

Gürcü Türkolojisi

Araştırmaları I

&

ქართული თურქოლოგიური კვლევები I

Georgian Turkology Studies I



Editörler / რედაქტორები / Editors

Doç. Dr. Salih UÇAK

Doç. Dr. Elisabed BZHALAVA



Fenomen
Yayıncılık

RumeliYA
Yayıncılık və Publishing

GÜRCÜ TÜRKOLJİSİ ARAŞTIRMALARI I

&

ქართული თურქოლოგიური კვლევები I

Georgian Turkology Studies I

Editörler / რედაქტორები / Editors

Doç. Dr. Salih UÇAK

Doç. Dr. Elisabed BZHALAVA



Fenomen
Yayıncılık

RumeliYA
Yayıncılık və Publishing

Editör / Editor

Doç. Dr. Salih UÇAK & Doç. Dr. Elisabed BZHALAVA

Yazarlar / Authors

Maka SUSAREISHVILI, Mzisa BUSKİVADZE, Yasemin ATAGÜL, Serpil YAZICI ŞAHİN,
Şura KABULOVA, Giga KAMUSHADZE, Neriman YILMAZ, Sopio MAKHATCHASHVILI,
Gül Mükerrrem ÖZTÜRK, Zaza TSURTSUMIA, Tea MESHVELISHVILI, Saba
TAVELISHVILI

Çevirmenler / Interpreter

Nana JANASHIA, Asmat DJAPARIDZE, Nato KHARSHİLADZE

Kitap adı / Book title

Gürcü Türkolojisi Araştırmaları I & Georgian Turkology Studies I

APA

Uçak, S. & Bzhalava, E. (Ed.) (2023). *Gürcü Türkolojisi Araştırmaları I & Georgian Turkology Studies I*. Kırklareli & Erzurum. Fenomen & RumeliYA Yayıncılık & Publishing
DOI: 10.5281/zenodo.10463428

Grafiker: RumeliYA

Kapak tasarım / Cover designer: Yakup YILMAZ

Redaksiyon: Dr. Nino OKROSTSVARIDZE

Yayın dili / Publication language: Türkçe / Turkish & Gürcüce / Georgian & İngilizce & English

Yayın no / Publication number: 38

ISBN

RumeliYA: 978-625-99696-7-1

Fenomen: 978-625-6470-54-5

Yayın tarihi / Date published: 2023

Yazıların akademik sorumluluğu yazarların kendilerine aittir.

სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

The academic responsibility of the articles belongs to the authors themselves.

Adres / Address

RumeliYA Yayıncılık & Publishing

Karacaibrahim Mh. Nüzhet Somay Cd., No. 49 B Merkez, Kırklareli, Türkiye

Sertifika / Certificate No 48218

web: www.rumeliya.com

e-mail: editor@rumeliya.com

Fenomen Yayıncılık

Lalapaşa Mahallesi, Çaykara Caddesi, Yakut Plaza Kat:3 No:93 Yakutiye/Erzurum

Sertifika / Certificate No 49983

web: http://www.fenomenyayincilik.com/

e-mail: siparis@fenomenyayincilik.com

İÇİNDEKİLER / სარჩევი/CONTENTS

ÖN SÖZ.....	VI
წინასიტყვაობა.....	VII
FOREWORD	VIII

FİLOLOJİ / ფილოლოგია / PHILOLOGY

1. პასტიმის მხატვრულ -ესთეტიკური ფუნქცია ორჰან ფამუქის რომანში “მე წითელი მქვია“	1
მაკა სუსარეიშვილი / Maka SUSAREISHVILI.....	1
Orhan Pamuk'un "Benim Adım Kırmızı" Romanında Pastişin Sanatsal-Estetik İşlevi	2
The Artistic-Aesthetic Function of Pastiche in Orhan Pamuk's Novel "My Name Is Red"	3
2. ოღუზ ათაის მოთხრობის “შიშის მოლოდინში” რეცეფციის საკითხი.....	11
მზისა ბუსკივაძე / Mzisa BUSKİVADZE	11
Oğuz Atay'ın “Korkuyu Beklerken” Eserinde Alımlama Estetiği Sorunu	12
Issue of Reception of Oğuz Atay's Story “Waiting For Fear”	13
3. Yabancı Dil Olarak Türkçe Öğretiminde Türkçe ve Kültür Öğretimi Açısından Dizi ve Filmler: Gürcistan Örneği.....	24
Yasemin ATAGÜL / იასემინ ათაგიული	24
Serpil YAZICI ŞAHİN / სერპილ იაზიჯი შაჰინი	24
ფილმებისა და სერიალების როლი თურქული კულტურისა და თურქულის, როგორც უცხოური ენის სწავლებაში: საქართველოს მაგალითი	25
TV Series and Films in Teaching Turkish as a Foreign Language, in Terms of Turkish Language and Culture: The Case of Georgia	25
4. Dede Korkut'ta Gürcistan ve Gürcüler	49
Şura KABULOVA / შურა კაბულოვა	49
“დედე ქორქუთში“ საქართველო და ქართველები	49
Georgia and Georgians in Dede Korkut.....	50

5. სამეტყველო კოდთა შერევით გამოწვეული სემანტიკური თავისებურებანი ქართული ენის სამხრულ კილოებში III.....	58
გიგა ქამუშაძე / Giga KAMUSHADZE.....	58
Gürcücenin Güney Lehçelerindeki Konuşma Kodlarının Karıştırılmasından Kaynaklanan Anlamsal Özellikler	59
Semantic Peculiarities Caused by Mixing of Speech Codes in The Southern Dialects of The Georgian Language III	59
6. იუსუფელის რაიონის ტოპონიმები და ჰიდრონიმები ოსმალურ არქივებში... 66	
ნერიმან ილმაზი / Neriman YILMAZ	66
T.C Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı Osmanlı Arşivinde Yusufeli İlçesinin Yer Adları (Toponimi) ve Akarsu İsimleri (Hidronimi)	67
Place names (Toponymy) and river/stream names (Hydronymy) of Yusufeli district in the Ottoman archives of the Turkish Presidency's State Archives	68
7. თურქული აზნები ქართული აკცენტებით XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში.....	83
სოფიო მახატაშვილი / Sopio MAKHATCHASHVILI	83
20. Yüzyıl Başı Gürcü Basını'nda Gürcü Vurgulu Türk Haberleri	84
Turkish news with Georgian accents in the early 20th century Georgian press	84
8. XIX საუკუნის ქართველი მწერლობა თურქულ ენციკლოპედიებში	96
გიულ მუქერემ ოზთურქი / Gül Mükerrerem ÖZTÜRK	96
Türk Ansiklopedilerinde 19. Yüzyıl Gürcü Yazarlığı.....	96
Century Georgian Authorship in Turkish Encyclopedias	97
TARİH / ისტორია / HISTORY	
9. ქართველი ებრაელები ოსმალეთის იმპერიაში	106
ზაზა წურჭუმია / Zaza TSURTSUMIA	106
Osmanlı İmparatorluğunda Gürcü Yahudiler	106
Georgian Jews in The Ottoman Empire	107
10. ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებები 1917-1918 წწ.....	123
თეა მესველიშვილი / Tea MESHVELISHVILI.....	123
1917-1918 Trabzon ve Batum Konferansları.....	123

Trabzon and Batumi Conferences in 1917-1918	124
---	-----

**ULUSLARARARI İLİŞKİLER / საერთაშორისო ურთიერთობები /
INTERNATIONAL RELATIONS**

11. Geopolitical Dynamics in The South Caucasus: Türkiye, Iran, and Regional Influence.....	142
---	-----

Saba TAVELISHVILI / საბა ტაველიშვილი.....	142
---	-----

გეოპოლიტიკური დინამიკა სამხრეთ კავკასიაში: თურქეთი, ირანი და რეგიონული გავლენა	142
--	-----

Güney Kafkasya'daki Jeopolitik Dinamikler: Türkiye, İran ve Bölgesel Nüfuz	143
--	-----

ÇEVİRİ / TRANSLATIONS / თარგმანები

12. Oktay AKBAL – ASLI ÇIKMAZI	150
--------------------------------------	-----

ნანა ჯანაშია / Nana JANASHIA.....	150
-----------------------------------	-----

ოქთაი აქბალი - ჩიხი სახელად ასლი	150
--	-----

13. Ziya PAŞA(1829-1880)	155
--------------------------------	-----

ასმათ ჯაფარიძე / Asmat DJAPARIDZE	155
---	-----

ზია ფაშა (1829-1880)	155
----------------------------	-----

14. Aziz NESİN- Uçuruma Gidiyoruz	158
---	-----

ნატო ხარშილაძე / Nato KHARSHİLADZE.....	158
---	-----

აზიზ ნესინი - უფსკრულისკენ მივდივართ	158
--	-----

ÖN SÖZ

Gürcistan sadece Türkiye'ye coğrafi yakınlığı olan bir ülke değil tarih boyunca kurulan diplomatik, ekonomik ve kültürel ilişkilerle zenginleşmiş köklü izlerin ve ilişkilerin olduğu bir yerdir. Türkiye ve Gürcistan arasındaki bu tarihî ortaklık, Türkolojinin Gürcistan'da kurulup gelişmesini sağlamış, alanında etkin bilim insanlarının yaptığı çalışmalarla bu kadim ilişkiler ve kültürel bağlar günden güne pekişmiştir.

Bugün, çok boyutlu ilişkilerin ve çok katmanlı multi-disiplinlerin var olduğu akademik hayatta en önemli meselelerden biri, açık erişim ve sürdürülebilirliktir. Dolayısıyla Gürcistan'daki potansiyeli ortaya koymak, burada yapılan Türkoloji çalışmalarını görünür kılmak ve literatüre katkı sunan diğer çağdaşlarla birlikte sistematik bir etkileşim içinde olmak ana hedeflerimiz arasındadır. *Gürcü Türkolojisi Araştırmaları* bu maksatlı neşvünema bulmuş bir projedir. Aynı minval üzere devamlılığı olacak olan bu ilk kitap, projemizin ilk somut ürünüdür.

Böyle bir eserin yazılmasının temel amacı, Türkoloji alanına katkı sağlayan birden çok yazarı bir araya getirerek alana yeni bir soluk getirmekle beraber kurumsal varlığıyla yüzyıla yaklaşan Gürcü Türkolojisini ve buna emek veren Türkologları tanımak ve tanıtmaktır.

Gürcü Türkolojisi Araştırmaları I kitabımız dört bölümden oluşmaktadır. Birinci bölümde linguistik çalışmalara yer verilmiş olup ağırlıklı olarak filoloji temel alanına ait meseleler çeşitli yönlerden ele alınmıştır. İkinci bölümde tarih konuları, üçüncü bölümde ise uluslararası ilişkiler bağlamında Kafkasya konu edinilmiştir. Son bölümde çeviribilime uygun olarak değerli akademisyenlerin Türkçeden Gürcüceye çevrilerine yer verilmiştir. Çalışmamızda Türkçe, Gürcüce ve İngilizce metinlere yer verilmiştir. Yazarlarımız dil konusunda serbest bırakılmış, işleyiş ve değerlendirmelerine müdahale edilmemiştir. Konuya ilgi duyan okurlar ve araştırmacılar için pratiklik sağlanmıştır.

Çalışmamıza bölüm yazarı olarak katkı veren değerli akademisyenler başta olmak üzere emeği geçen herkese teşekkür ederiz. Hususen çalışmamızın bir kitap olarak okurla buluşmasında emek sarf eden Prof. Dr. Yakup YILMAZ hocamıza, Fenomen Yayıncılık ve RumeliYA Yayıncılık & Publication'a müteşekkirimiz.

Alana katkı sunması temennisiyle...

25 Aralık 2023, Tiflis

Salih UÇAK & Elisabed BZHALAVA

წინასიტყვაობა

თურქეთისთვის საქართველო მხოლოდ მეზობელს არ წარმოადგენს, ეს არის ქვეყანა, რომელთანაც აკავშირებს ხანგრძლივი ისტორიული, დიპლომატიური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. სწორედ ამ ისტორიულმა ურთიერთობებმა განაპირობა საქართველოში თურქოლოგიის - როგორც დარგის ჩამოყალიბება და განვითარება. დარგში მოღვაწე ცნობილი მეცნიერების და მკვლევრების ნაშრომების დამსახურებაა, რომ ეს ურთიერთობები დღითიდღე ღრმავდება და ვითარდება.

თანამედროვე მულტიდისციპლინური და მრავალპლანიანი კვლევების არსებობის ფონზე აკადემიური გამოცემების მთავარი გამოწვევა - ღია წვდომა და მდგრადობაა. გამომდინარე აქედან, ჩვენი მიზანია დარგში მოღვაწე სხვა თანამედროვე მკვლევრებთან ერთად საქართველოში არსებული პოტენციალის წარმოჩენა და მიმდინარე თურქოლოგიური კვლევების პოპულარიზაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წიგნი „*ქართული თურქოლოგიური კვლევები I*“, რომელსაც მოჰყვება გაგრძელება და არის ჩვენი გრძელვადიანი პროექტის პირველი ხელჩასაჭიდი პროდუქტი.

წინამდებარე კრებულის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს თითქმის ასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული თურქოლოგია თურქოლოგები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული თურქოლოგიის განვითარებაში.

წიგნი „*ქართული თურქოლოგიური კვლევები I*“ სამენოვანია (ქართული, თურქული, ინგლისური) და ოთხი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში თავმოყრილია ფილოლოგიის დარგის სხვადასხვა თემატიკის სტატიები, მეორე ნაწილში მოცემულია ნაშრომები ისტორიის შესახებ, ხოლო მესამე ნაწილში წარმოდგენილი კვლევები უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს. ბოლო ნაწილი დაეთმო თარგმანებს. სტატიის ენის შერჩევაში ავტორებს მიენიჭათ აკადემიური თავისუფლება. თითოეულ სტატიას დართული აქვს დანარჩენ ორ ენაზე მოკლე შინაარსი (აბსტრაქტი) და საკვანძო სიტყვები, რაც, ვფიქრობთ, პრაქტიკული გამოსაყენებელი იქნება თემით დაინტერესებული მკითხველისთვის.

მადლობას ვუხდით გაწეული შრომისთვის, პირველ რიგში, ავტორებს, პროფესორ იაქუფ ილმაზს და გამომცემლობებს „Fenomen“ და „RumeliYA“ რომლებმაც უზრუნველყვეს ჩვენი წიგნის მკითხველთან შეხვედრა.

სალიპ უჩაქიძე ელისაბედ ბჟალავა

FOREWORD

For Turkey, Georgia is not only a neighbor, but a country, with which it has long historical, diplomatic, economic, and cultural relationships and these historical relationships have conditioned the formation and development of Turkology in Georgia as a discipline and due to the works of well-known scientists and researchers of this area, these relationships deepen and develop every day.

Against the background of existing contemporary multidisciplinary and multi-plane research, the main challenge to academic publications is to ensure open access and sustainability. Regarding this, our main goal is, together with the other modern researchers, working in the area, to demonstrate the potential existing in Georgia and the popularization of the ongoing studies. The book “Georgian Turkology Studies I” serves this purpose, it will be followed by continuation and it is the first tangible product of our long-term project

This collection of works is intended to familiarize society with Georgian Turkology, with its almost hundred-year history, Turkologists, who have greatly contributed to the development of this sphere.

The book “Georgian Turkology Studies I” is trilingual (Georgian, Turkish, English) and consists of four parts. Part One is a collection of articles about different issues of philology, Part Two includes works about history, studies presented in Part Three deal with the issues of international relations and the last part includes translations. The authors had academic freedom in the selection of the language of the article. Each of the articles is accompanied by the abstract in two other languages and the keywords, in our opinion, this would be convenient for the readers interested in the relevant issue.

We would like to express our gratefulness, for the performed work, primarily, to the authors, Professor Yakup YILMAZ, publishers “Fenomen” and “RumeliYA”, who have ensured that the readers obtained our book.

Salih UÇAK & Elisabed BZHALAVA

**FİLOLOJİ / ფილოლოგია /
PHILOLOGY**

1. პასტიშის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია ორჰან ფამუქის რომანში “მე წითელი მქვია“

მაკა სუსარეიშვილი / Maka SUSAREISHVILI

Dr., Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi'nde misafir öğretim görevlisi (Gürcistan, Kutaisi, Tamar Mepe St #59 posta kodu 4600) / ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის #59, საფოსტო კოდი 4600 / Doctor of Philological Sciences, Visiting lecturer at Akaki Tsereteli State University (Georgia, Kutaisi, Tamar Mepe St #59 postal code 4600 / DOI: 10.5281/zenodo.10462538

E-posta / ელ.ფოსტა / e-mail: makamakassusareishvili@yahoo.com

ORCID ID: 0009-0006-7920-6352

მოკლე შინაარსი

მწერლის ნარატივი, ინტერტექსტუალობის წყალობით, წარმოადგენს მუდმივ დიალოგს წარსულსა და აწმყოს შორის, კლასიკური ლიტერატურული ტრადიციისა და თანამედროვე ლიტერატურის უწყვეტობას. ორჰან ფამუქი თავის ნაწარმოებების შექმნისას აქტიურად იყენებს პოსტმოდერნისტული ტექნიკისათვის დამახასიათებელ ელემენტს, პასტიშს. პასტიშს პოსტმოდერნული ხელოვნების მთავარ მეთოდს უწოდებენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ პასტიში არის სხვადასხვა სტილთა მანერიზმებისა და სტილისტური მიხვრამოხვრის იმიტირება, სტილისტიკური ნიღბის ტარება, მეტყველება მკვდარ ენაზე, ან მათი მიმიკრია. პასტიშის ტექნიკით ორჰან ფამუქი სხვა ავტორის სტილთან ადაპტირდება იმ ეფექტის მისაღებად, რაც მას სურს მკითხველზე მოახდინოს და ქმნის ახალ ტექსტს. ორჰან ფამუქი პასტიშის საშუალებით ბაძავს მესნევის სტილსა და სტრუქტურას, ტრადიციული მესნევის კადენციას, რითმას და თავის ხედვისამებრ ქმნის ახალი ფორმის რომანს მესნევის ტრადიციული ელემენტების კონტექსტუალიზაციით. მწერალი, რომელიც ხშირად ათავსებს მესნევის ნარატივებს პოსტმოდერნისტულ კონტექსტში თავის რომანში გადაწერის გზით, უზრუნველყოფს ამ გადაწერილი ქვეტექსტების არქეტიპული თემების ხელმეორედ შეტანას ლიტერატურულ მიმოქცევაში. მესნევის მოდერნიზებული და ემულაციური ვერსიით ორჰან ფამუქი არა მხოლოდ აცოცხლებს ოსმალეთის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ასპექტს, არამედ ამუშავებს თანამედროვე საკითხებსა და თემებს. ეს მრავალფენიანი დიალოგი წარსულსა და აწმყოს, ტრადიციასა და თანამედროვეობას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ასახავს მწერლის განსაკუთრებულ ნარატიულ უნარს და მის ინოვაციურ მიდგომას სიუჟეტისადმი. გარდა აღმოსავლური ტექსტებისა, „მე წითელი მქვია“ მიმართებას ამყარებს უმბერტო ეკოს რომანთან „ვარდის სახელი“. მწერალმა თავის ტექსტში ეკოს რომანის თემატური თარგი აღმოსავლურ კულტურას მიუსადაგა. **მიზანი:** პასტიშის მხატვრული ფუნქციის დადგენა, ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“, რაც სიახლეა სამეცნიერო ლიტერატურაში კონკრეტული ნაწარმოებების მიხედვით. ინტერტექსტუალობის, როგორც პოსტმოდერნისტული სტილის, ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის პასტიშის რეალიზების სპეციფიკის შესწავლა ორჰან ფამუქის რომანში. **მეთოდები:** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი, ანალიზის, ინტერტექსტუალური, სამეცნიერო

მიდგომებისა და კონცეფციების თეორიული ანალიზის მეთოდები. **შედეგები:** კვლევის შედეგები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: რომანი „მე წითელი მქვია“ პოსტმოდერნისტული ხასიათისაა. ნაწარმოები გაჯერებულია პასტიშის ელემენტებით. ნაწარმოებში პოსტმოდერნისტული ესთეტიკისათვის დამახასიათებელი პასტიშის ტექნიკა ათვალსაზიროებს ნაწარმოების მთავარ თემას.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი; ინტერტექსტუალობა; პასტიში.

Orhan Pamuk'un "Benim Adım Kırmızı" Romanında Pastişin Sanatsal-Estetik İşlevi

Öz

Orhan Pamuk'un "Benim Adım Kırmızı" adlı romanı metinlerarasılık kavramının şekillendirdiği bir kurguyu temsil eder. Metinlerarasılık sayesinde yazar, geçmişle günümüz arasında sürekli bir diyalog kurma imkânı bulur ve bu sayede klasik edebiyat geleneği ile modern edebiyatın devamlılığını sağlar. Orhan Pamuk, eserlerini işlerken postmodernist tekniğin karakteristik bir unsuru olan "pastiş"i aktif olarak kullanır. Pastiş, onun romanlarında vazgeçilmez bir unsur haline gelir. Pastiş, postmodern sanatın temel yöntemi olarak kabul edilmiştir. Literatürde açıklandığı üzere pastiş, çeşitli tarzlardaki üslup ve üslup nüanslarının taklit edilmesini, üsluba bağlı bir maske benimsemesini, hareketsiz dilin kullanılmasını veya bunların taklit edilmesini içerir. Gizli bir parodi ve hiciv amacı olmadan pastiş, mizahtan yoksun bir parodiye dönüşür. Orhan Pamuk, pastişten yararlanarak okurda istenilen etkiyi yaratmak için sanki başka bir yazarın üslubunu benimsemiş gibi yapar ve yeni bir metin yaratır. Yazarın dilini, anlatım özelliklerini, sözlerini ve üslubunu taklit etmeyi içerir. Stilizasyon tekniğinde stilistik özelliklerin taklit edilmesinin yanı sıra bazı temalar da tekrarlanır. Yazar stilizasyon yoluyla espritüel bir etki yaratmaya çalışır. Bu bağlamda pastiş, aynı stildeki başka bir metnin aynı kodla çoğaltılarak yeni bir metin oluşturulmasını içerir. Orhan Pamuk pastiş aracılığıyla, geleneksel Mesnevi ritmi ve kafiyesini de içeren Mesnevi'nin üslup ve yapısını taklit etmiş, Mesnevi'nin geleneksel unsurlarını yeniden kurgulayarak yeni bir roman biçimi yaratmıştır. Orhan Pamuk, Mesnevi tarzı anlatıları romanlarında sıklıkla postmodernist bir bağlamla yeniden ele alarak onların birer alt metin olarak edebiyatta yer almasını sağlamıştır. Orhan Pamuk, Mesnevi'nin modernize edilmiş ve taklit edilmiş bir versiyonuyla, yalnızca Osmanlı kültürel mirasının önemli bir yönünü yeniden canlandırmakla kalmaz, aynı zamanda güncel meselelere ve temalara da değinir. Geçmiş ile günümüz, gelenek ile modernite, Doğu ile Batı arasındaki bu çok katmanlı diyalog, yazarın olağanüstü anlatım becerisini ve hikaye anlatıcılığına yenilikçi yaklaşımını da yansıtmış olmaktadır. "Benim Adım Kırmızı", Doğu metinlerinin yanı sıra öykünme ve pastiş yoluyla Umberto Eco'nun "Gülün Adı" romanıyla ilişkilendirilmektedir. Yazar, metninde Eco'nun romanının tematik şablonunu Doğu kültürüne uygulamıştır. Amaç: Orhan Pamuk'un literatürde bir yenilik olarak kabul edilen "Benim Adım Kırmızı" romanındaki pastişin sanatsal işlevini belirli kıstaslara ve öğelere göre irdelemektir. Orhan Pamuk'un romanında postmodernist üslubun temel özelliklerinden biri olan metinlerarasılık üslubunu kurguya bağlı olarak göstermektedir. Yöntem: Eserde betimsel analiz, karşılaştırma, metinlerarası yaklaşım ve kavram teorisi kullanılmıştır. Bulgular: Araştırma sonuçları şu şekilde formüle edilebilir: "Benim Adım Kırmızı" doğası gereği postmodernisttir.

ser, pastiş unsurları açısından zengindir. Eserde postmodernist estetiğin bir özelliği olan pastiş tekniği eserin ana temasını öne çıkarmaktadır.

Anahtar Kelimeler: Orhan Pamuk, Benim Adım Kırmızı, postmodernizm, metinlerarasılık, pastiş.

The Artistic-Aesthetic Function of Pastiche in Orhan Pamuk's Novel "My Name Is Red"

Abstract

Orhan Pamuk's novel "My Name Is Red" exhibits a structure shaped by the intertextual concept. Through intertextuality, the author's narrative establishes a constant dialogue between the past and the present, maintaining the continuity of classical literary tradition and modern literature. When crafting his works, Orhan Pamuk actively employs a characteristic element of postmodernist technique: pastiche. Pastiche becomes an indispensable element in his novel. Pastiche is regarded as the primary method of postmodern art. As explained in scientific literature, pastiche involves the imitation of mannerisms and stylistic nuances from various styles, adopting a stylistic mask, employing a dormant language, or mimicking them. Without the hidden motive of parody and satirical impulse, pastiche without laughter becomes a pale parody devoid of humor. By utilizing pastiche, Orhan Pamuk adapts to another author's style to achieve the desired effect on the reader and creates a new text. It involves imitation of the author's language, expressive features, words, and style. In the stylization technique, in addition to imitating stylistic features, some themes are repeated. The author attempts to generate a comic effect through stylization. Pastiche involves creating a new text by reproducing another text in the same style with the same code. Through pastiche, Orhan Pamuk imitates the style and structure of Mesnev, including the traditional Mesnev cadence and rhyme, creating a new form of the novel by contextualizing the traditional elements of Mesnev. By frequently placing Mesnev's narratives in a postmodernist context within his novels, Orhan Pamuk ensures that the archetypal themes of these rewritten subtexts are reintroduced into literary circulation. With a modernized and emulated version of Mesnev, Orhan Pamuk not only revitalizes an important aspect of Ottoman cultural heritage but also engages with contemporary issues and themes. This multi-layered dialogue between the past and present, tradition and modernity, East and West reflects the writer's exceptional narrative skills and his innovative approach to storytelling. In addition to Eastern texts, "My Name Is Red" is connected to Umberto Eco's novel "The Name of the Rose" through emulation and pastiche. In his text, the writer applies the thematic template of Eco's novel to Eastern culture. Purpose: To determine the artistic function of pastiche in Orhan Pamuk's novel "My Name Is Red," a novelty in scientific literature according to specific works. Studying the specifics of pastiche realization as one of the main features of postmodernist style, intertextuality in Orhan Pamuk's novel. Methods: Descriptive, comparative, analysis, intertextual, scientific approach, and theoretical analysis of concepts are employed in the work. Results: The research results can be formulated as follows: "My Name Is Red" is inherently postmodernist. The work is rich in elements of pastiche. In the work, the pastiche technique, characteristic of postmodernist aesthetics, highlights the main theme of the work.

Keywords: Postmodernism; intertextuality; pastiche.

ორჰან ფამუქის მხატვრული სტილი წარმოადგენს ლირიკული პროზის, რთული ნარატივების, კულტურული სიღრმისა და ფილოსოფიური კვლევის ჰარმონიულ ნაზავს. ორჰან ფამუქის რომანი „მე წითელი მქვია“ გაჯერებულია პოსტმოდერნისტული ტენდენციებით, რომლებიც ხორციელდება როგორც შინაარსობრივ, ასევე ნარატიული სტრატეგიის დონეზე. მწერლის პოსტმოდერნისტული ხელწერის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ინტერტექსტუალობაა. ინტერტექსტუალობის წყალობით, ორჰან ფამუქის ნარატივი წარმოადგენს როგორც მსოფლიოს კულტურის მრავალი მხატვრული ტრადიციის პოლილოგიისა და კულტურების დიალოგის განსახიერებას, ასევე წარსულისა და აწმყოს, კლასიკური ლიტერატურული ტრადიციისა და თანამედროვე ლიტერატურის უწყვეტობას. ავტორი რომანში „მე წითელი მქვია“ ოსტატურად იყენებს პოსტმოდერნისტული სტილის გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს. მათგან ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი პასტიშია. რომანში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პასტიშის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია. პასტიშის საშუალებით მწერალი ამდიდრებს თავისი ნარატივების ტექსტურას და სიღრმეს ჰმატებს თხრობას.

პასტიში (pasticcio) ნიშნავს ოპერას, რომელიც სხვა ოპერის ნაწყვეტებისგან შედგება. პასტიშის ყველაზე სრულყოფილი განმარტება მოგვცა ამერიკელმა თეორეტიკოსმა ფრედერიკ ჯეიმსონმა. ის პასტიშს პოსტმოდერნული ხელოვნების მთავარ მეთოდს უწოდებს. პასტიში არის სხვადასხვა სტილთა მანერიზმებისა და სტილისტური მიხვრა-მოხვრის იმიტირება, სტილისტიკური ნიღბის ტარება, მეტყველება მკვდარ ენაზე, ან მათი მიმიკრია. პაროდის ფარული მოტივის, სატირული იმპულსის, სიცილის გარეშე პასტიში არის თეთრი პაროდია, რომელმაც დაკარგა იუმორის გრძნობა (3: 10).

პასტიში ნიშნავს არა თავად ტექსტის, არამედ მისი სტილის მიბაძვას, იგი გამოიყენება კონკრეტული ტექსტისათვის სხვა ტექსტის სტილური კონტურის მოსარგებად. ეს არის მოდელირების მეთოდი, რაც გულისხმობს, რომ ერთი მწერალი იღებს სხვა მწერლის ნაწარმოებს მოდელად. როდესაც ავტორი ქმნის ტექსტს, ის, პირველ რიგში, განსაზღვრავს სტილს თემასთან ერთად. თანამედროვე ლიტერატურაში, სადაც ორიგინალობა რთულია, ორიგინალობის დემონსტრირება უფრო სტილის საშუალებითაა შესაძლებელი.

ემულაციის (პასტიშის) საშუალებით ტექსტებს შორის მყარდება იმიტაციური ურთიერთობა. ემულაცია ზოგადად რეალიზდება ავტორის სურვილისამებრ. ავტორს შეუძლია მიჰბადოს როგორც ლიტერატურული ჟანრის სტილს, ასევე მის განსხვავებულ თემებს. ერთი და იმავე თემის გამეორებით ნაწარმოებებს შორის ერთიანობა მყარდება. კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა აღინიშნოს, არის ავტორის მცდელობა, „გაიმეოროს“ ნაწარმოები, რომელსაც ბაძავს (4:133-134).

ორჰან ფამუქი პასტიშის საშუალებით ჰბამავს მესნევის სტილსა და სტრუქტურას, ტრადიციული მესნევის კადენციას, რითმას და თავისი ხედვისამებრ ქმნის ახალი ფორმის რომანს მესნევის ტრადიციული ელემენტების კონტექსტუალიზაციით. ორჰან ფამუქი, რომელიც ხშირად ათავსებს მესნევის ნარატივებს პოსტმოდერნისტულ კონტექსტში თავის რომანებში გადაწერის გზით, უზრუნველყოფს ამ გადაწერილი ქვეტექსტების არქეტიპული თემების ხელმეორედ შეტანას ლიტერატურულ მიმოქცევაში. მესნევიები ძირითად ტექსტში იდენტიფიცირებულია როგორც რეფერენციული ტექსტები. მათთან მიმართება ინტერტექსტუალური ხერხების მეშვეობით მყარდება, ციტირებასა და მითითებასთან ერთად გამოყენებულია გადაწერა/პასტიში.

რომანს „მე წითელი მქვია“ მესნევიების მსგავსი სათაურები და ქვესათაურები აქვს. სწორედ აქ მიმართავს მწერალი პასტიშის ტექნიკას. ნაწარმოებში მე-12, მე-13, მე-14 თავები დაყოფილია ქვეთავებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან ქვეთავებად. მათში ხდება მესნევის ტექსტის ემულაცია. ეს სათაურები და ქვესათაურები აჯამებს თავში მოცემულ სათქმელს.

რომანის „მე წითელი მქვია“ ერთ-ერთი ქვეტექსტია ნიჰამი განჯელის მესნევი „ხოსროვი და შირინი“, რომელიც ეფუძნება აღმოსავლურ ლიტერატურაში ფართოდ დამუშავებულ მოტივებს. რომანში მოყვანილი მინიატურების უმეტესობა შეიცავს ნარატივებს „ხოსროვისა და შირინის“ თემაზე: „ვუყვებოდი ლეილას სიყვარულით გაგიჟებულ მეჯუნუნზე: მისი მარტოსულობა რომ ეჩვენებინათ, ყველა მხატვარი უდაბნოში მარტოდმარტოსა და ნაღვლიანს ხატავდა. დიდმა ოსტატმა ბეჰზათმა კი მეჯუნუნის მარტოობის გამოხატვა სხვაგვარადა შეძლო. მეჯუნუნი ბევრ ხალხში ტრიალებდა, ცეცხლს აჩაღებდა, საჭმელს ხარშავდა, კარვებს შორის დადიოდა, ირგვლივ უამრავი ქალი იყო. ვეუბნებოდი, რომ მხატვრებს, რომლებიც ხატავენ, თუ როგორ უთვალთვალებს ხოსროვი ტბაში მობანავე შირინს, ნიჰამის პოემა არ წაუკითხავთ. ამიტომ მიჯნურთა ტანსაცმელს, ცხენებს ისეთი ფერისას ხატავენ რაც თავში მოუვათ. როცა მხატვარს არ აინტერესებს ტექსტი, რომელსაც ასურათებს, იგი კალამსა თუ ფუნჯს მხოლოდ ფულისათვის ჰკიდებს ხელს“ (1:32)

ხოსროვისა და შირინის ისტორია, რომელიც პარალელური თხრობის სახით გრძელდება რომანში, არის ყარასა და შექურეს პირველი შეხვედრის გამოგონილი ისტორიის პალიმფსესტური ანალოგი. ამავდროულად, ხოსროვისა და შირინის ეპოსი რომანში რეფერენტული ტექსტის ადგილს იკავებს: მათი შეხვედრა ბევრი წლის შემდეგ მსგავსია ხოსროვისა და შირინის შეხვედრისა: „როცა წერილი გავხსენი და იქიდან სურათი გადმოვარდა, მივხვდი, როგორ ჰგავდა ჩვენი შეხვედრა ხოსროვისა და შირინის შეხვედრას, ხშირად რომ ხატავენ ხოლმე - ხოსროვი შირინის ფანჯრის ძირას, მე – ცხენზე ამხედრებული, ის – ფანჯარაში,

თუმცა ჩვენ შორის ერთი მოწყენილი ხეც იდგა. მე სიყვარულის ცეცხლში ვიწვოდი ისე, როგორც იმ წიგნებშია აღწერილი, ძალიან რომ გვიყვარდა“ (1: 44).

ფირდოუსის „შაჰნამე“ ემულირებული ტექსტია რომანისთვის „მე წითელი მქვია“.

„ – გახსოვს „შაჰნამე“? ფერიდუნ შაჰმა შეცდომა დაუშვა და თავისი სამეფო სამად გაყო? ყველაზე ცუდი მხარეები ორ უფროს ვაჟს არგუნა, საუკეთესო – ირანი – კი უმცროსს – ირგეხს – დაუტოვა. თურმა შურისძიება გადაწყვიტა, მიიტყუა უმცროსი ძმა და სანამ ყელს გამოსჭრიდა, ზუსტად ასე ჰქონდა ხელში მოქცეული მისი თმები, ასე აწვებოდა მთელი ტანით“ (1: 393).

ნაწარმოებში მკვლევარები და დაპირისპირება მხატვრებს შორის ანალოგია ფირდოუსის „შაჰნამეში“ ძმებს შორის ეჭვიანობისა. ეჭვიანობის მიზეზი ფერიდუნ შაჰის ვაჟებს - თურსა და ირეს შორის მამის დამოკიდებულებაა.

ეჭვიანობა და უთანხმოება მხატვრებს შორის „შაჰნამეს“ პროექციად შეიძლება ჩაითვალოს. „იერეხსა და სიავუშს ყელი ვერაგულად გამოსჭრეს – ზურგიდან დაესხნენ თავს ისე, როგორც შენ დამესხი მე“ (1: 121). ძმებმა ეს შურის გამო ჩაიდინეს. „შაჰნამეში“ შურის მიზეზი მამის უსამართლობაა. რომანში მხატვრების ეჭვიანობის მიზეზი მათი ოსტატის, ოსმანის, საქციელია. აქ მწერალი პასტიმის მეთოდს მიმართავს და ბაძავს ქვეტექსტს. შეიძლება ითქვას, რომ „შაჰნამეს“ ქვეტექსტში „ძმებს შორის ეჭვიანობის“ თემა ერთგვარ კავშირს ქმნის მთავარ ტექსტსა და ქვეტექსტს შორის.

მამა-შვილის ურთიერთობის თემა კიდევ ერთხელ იჩენს ნაწარმოებში თავს.

„გავიხსენეთ სატანისაგან წაქეზებულმა დეჰაქმა როგორ მოკლა საკუთარი მამა. ეს ამბავი „შაჰნამეს“ დასაწყისშია და იმ დროს ეხება, როცა სამყარო სულ ახალი შექმნილი იყო და ყველგან სიმართლივე სუფევდა, არაფერს სჭირდებოდა ახსნა-განმარტება. რძე თუ მოგინდებოდა, თხას მოწველიდი და დალევდი, „ცხენიო“, - იტყოდი, შეჯდებოდი ცხენზე და წახვიდოდი. ახსენებდი ბოროტებას და მაშინვე გაჩნდებოდა სატანა, რათა დაერწმუნებინე, რომ მშვენიერი რამ არის მამის მოკლა. დეჰაქის მიერ მამამისის – არაბი დიდგვაროვანი მერდასის – მოკვლა მართლაც მშვენიერი იყო იმით, რომ არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, მეორეც – დანაშაული შუადამისას მოხდა, სასახლის დიდებულ ბაღში, როცა ოქროს ვარსკვლავები კვიპაროსებისა და გაზაფხულის ფერად-ფერად ყვავილებს დაჰნათოდა „მერე ისიც გავიხსენეთ, დიდმა როსტომმა მტრის ლაშქართან სამდღიანი ბრძოლის შემდეგ როგორ განგმირა მათი მხედართმთავარი ზურაბი, რომელიც თურმე მისი შვილი ყოფილა. ხმლით გულისფიცარი რომ შეუღლეა, მაშინ მისი სამკლავური იცნო – წლების წინ თავად მისცა ზურაბის დედას. მიხვდა, ვინც იყო მისგან მოკლული ჭაბუკი. ტირილი მორთო. როცა როსტომი მოთქვამდა და თავში იცემდა, ყველა ჩვენგანის სულში რაღაც ხდებოდა“ (ფამუქი 2010,421).

რომანის მთავარი ტექსტის ქვეტექსტუალურ ჩარჩოს ქმნის სიკვდილით განპირობებული კონფლიქტები მამა-შვილს შორის. პროეცირებული ტექსტისა და წინარე ტექსტის იდეური ხაზები იდენტურია.

ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“ პასტიშის დომინანტური ნიშანია მთხრობელი, რომელიც მესწვევისა და რომანის თხრობის იდენტური ერთეულია. პასტიში გვევლინება პოსტმოდერნული ტექნიკის პროდუქტიულ ხერხად. მწერალი აერთიანებს პოსტმოდერნისტული ტექნიკის მრავალხმიანობას მესწვევის სტილისტურ პრეფერენციასთან, სადაც თხრობაში წამყვანი როლი მთხრობელებს ენიჭებათ. ისინი განსაზღვრავენ თხრობის ფორმას, რომელშიც თითოეული პროტაგონისტი პირველ პირში ლაპარაკობს. პირველ პირში და მრავალი მთხრობლის მიერ მოთხრობილი ამბავი მესწვევის ემულაციის იდეას ბადებს, რადგან, როგორც ცნობილია, მთხრობელი მნიშვნელოვანი ელემენტია მესწვევში, მესწვევები თხრობის მეთოდით იწერება.

მესწვევის მოდერნიზებული და ემულაციური ვერსიით ორჰან ფამუქი არა მხოლოდ აცოცხლებს ოსმალეთის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ასპექტს, არამედ ამუშავებს თანამედროვე საკითხებსა და თემებს. ეს მრავალფენიანი დიალოგი წარსულსა და აწმყოს, ტრადიციასა და თანამედროვეობას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ასახავს მწერლის განსაკუთრებულ ნარატიულ უნარს და მის ინოვაციურ მიდგომას სიუჟეტისადმი.

ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტული ხელწერის საინტერესო ასპექტია გაშუალებული ემულაციური მიმართება მხატვრულ ნაწარმოებებთან. რომანის „მე წითელი მქვია“ ქვეტექსტად შეიძლება ჩაითვალოს აკირა კუროსავას 1950 წელს გადაღებული ფილმი „რასიომონი“. ფილმს საფუძვლად უდევს რიუნოსკე აკუტაგავას ორი მოთხრობა „რასიომონი“ და „უსიერ ტყეში“. მიუხედავად იმისა, რომ მოდალური ტრანსფორმაციის პროცესი ხდება ფილმის რომანში გადატანის დროს, სინამდვილეში პრეტექსტად გადაიქცა ფილმის სცენარი, რომელიც ეფუძნება აკუტაგავას ორ მოთხრობას. ამ შემთხვევაში ხდება ტრანსფორმაცია მოთხრობიდან რომანში და არა კინოდან რომანში. თხრობის სტილის ემულაცია აქაც საგრძნობია. ერთი ჩარჩო და სხვადასხვა ჩართული მოთხრობა, ერთი ამბავი სხვადასხვა პერსპექტივით პოსტმოდერნისტული ტექნიკის ნაწილია.

გარდა აღმოსავლური ტექსტებისა, „მე წითელი მქვია“ მიმართებას ამყარებს უმბერტო ეკოს რომანთან „ვარდის სახელი“ ემულაციის/ პასტიშის გზით. თურქი მკვლევრის, ილდიზ ეჯევითის, აზრით, ორჰან ფამუქის რომანი „მე წითელი მქვია“ ძირითადად ვითარდება ინტერტექსტუალური ურთიერთქმედების თემატური ემულაციის ღერძზე და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის ინტერტექსტს წარმოადგენს „ვარდის სახელი“ : „ფამუქის რომანში ინტერტექსტუალობის მრავალხმიანობის ერთ-ერთი მძლავრი ხმა უმბერტო ეკოს საკულტო რომანიდან, „ვარდის სახელიდან“, ისმის. მან თავის ტექსტში ეკოს რომანის თემატური თარგი

ადმოსავლურ კულტურას მიუსადაგა. „მე წითელი მქვია“ რომანის გამოცემის შემდეგ გაჩნდა პირველი პუბლიკაცია სათაურით „ვარდის სახელია წითელი“, რომელსაც მოჰყვა სხვა პუბლიკაციები სათაურებით: „არისტოტელეს დაკარგული წიგნი“, „ენიმთეს საიდუმლო წიგნი“ და სხვა. მონასტერში ერთმანეთს წაკიდებული ქრისტიანული სექტების ადგილი ფუნდამენტალისტმა ერზრუმელებმა დაიკავეს, მოკლული ბერები ერთმანეთის მიყოლებით მოკლულმა მხატვრებმა ჩაანაცვლეს, „ბიბლიიდან“ მოყვანილი ციტატები კი „ყურანის“ სურებმა შეცვალეს“ (6: 155).

ორჰან ფამუქი იმეორებს უმბერტო ეკოს რომანის „ვარდის სახელი“ რამდენიმე ძირითად თემას და მოტივს, ესენია: ადგილი, დრო, ჟანრი, საიდუმლო წიგნი.

უმბერტო ეკოს რომანში ნაწარმოების მოქმედების ადგილი იტალიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბენედიქტელთა მონასტერია, შიდა დრო – ისტორიული პერიოდი, შუა საუკუნეები. უცნობი მკვლეელი წუხს, რომ განმანათლებლური მოძრაობა, რომელიც სასულიერო პირებში პოპულარული ხდება და ეწინააღმდეგება სტერეოტიპულ, ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, ნელ-ნელა არღვევს მონასტერში არსებულ წესრიგს. იგი ამ პროცესში ჩართული სასულიერო პირების დასჯას მათი მკვლელობით იწყებს. მკვლელობების გამოძიებას იწყებენ უილიამ ბასკერვილეელი და ადსოსი. უმბერტო ეკოს გმირები უილიამი და მისი თანაშემწე ადსოსი ტრანსფორმირდებიან ორჰან ფამუქის რომანში, ოსტატ ოსმანად და მისი თანაშემწე ყარად. უილიამ ბასკერვილეელი რაციონალურ გამომძიებელს განასახიერებს. ის იყენებს ლოგიკას, დედუქციას და ემპირიულ მსჯელობას სააბატოში იდუმალი მკვლელობის გამოსაძიებლად, რაც განასახიერებს დასავლური განმანათლებლობის პრინციპებს. ორჰან ფამუქის გმირი ყარა კი ნაკლებად რაციონალური და უფრო ინტუიციური დამკვირვებელია. ოსტატი ოსმანი და ყარა მკვლელის კვალს ეძებენ წერილობით დოკუმენტებში, როგორცაა სურათები და ხელნაწერები. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ავლენენ მკვლელის სტილს, მიჰყვებიან ამ სტილის დამახასიათებელ ნიშნებს და აღწევენ მკვლელამდე. უმბერტო ეკოს გამომძიებლები, უილიამი და ადსოსი კი ბიბლიოთეკაში ჩატარებული ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ცდილობენ მკვლელის მიგნებას. ორჰან ფამუქის რომანში ეს მოტივი ემულირებული ტექსტისაგან ოდნავ განსხვავებული ხაზით არის დამუშავებული,

ორივე ნაწარმოებში მოვლენები მიმდინარეობს შეზღუდული და მკაფიო დროის ფარგლებში (შვიდი დღიდან – ათ დღემდე); სამოქმედო სტრუქტურის ფარგლებში განიხილება ძალიან ინტენსიური ფილოსოფიური/ესთეტიკური პრობლემები. ორივე რომანი ვითარდება ინტელექტუალურ გარემოში. უმბერტო ეკოს რომანში მოქმედება ხდება იტალიაში, შუა საუკუნეების მონასტრის გარშემო, სადაც ინტელექტუალური კონფლიქტი არსებობს ქრისტიან

დოგმატებსა და ემპირიული მსჯელობის მზარდ ტალღას შორის. ორჰან ფამუქის რომანში მსგავს კონფლიქტს ვხვდებით მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერიაში, სტამბოლში, ქალაქის არეალში. ორივე რომანი ყურადღებას ამახვილებს ხელოვნებასა და მის ინტერპრეტაციაზე. „ვარდის სახელში“ ცენტრალური საიდუმლო ტრიალებს არისტოტელეს დაკარგული წიგნის გარშემო, რომელსაც რელიგიური ხელისუფლება სახიფათოდ მიიჩნევს. წიგნი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ხედვას, სქოლასტიკურ აზროვნებას და ამის გამო მალავენ, არ კითხულობენ. იმავე თემატიკას იმეორებს ფამუქის ნაწარმოებში საიდუმლო წიგნი, რომელიც ეწინააღმდეგება ისლამის ხელოვნების სტილს და რელიგიას. ორივე ნაწარმოებში საიდუმლო წიგნების თავიდან მოცილების მიზეზი რელიგიური აკრძალვებია.

უმბერტო ეკოს რომანის ემულაციისას ორჰან ფამუქი არ იმეორებს ან ტრივიალიზებს მის თხრობას, ამის ნაცვლად, ის ბაძავს უმბერტო ეკოს თხრობის ფორმას და სტრუქტურას და ათავსებს თავის თხრობის კონტექსტში, რომელიც საშუალებას აძლევს მას, წარმოადგინოს უმბერტო ეკოსაგან სრულიად განსხვავებული პერსპექტივა. ორჰან ფამუქი, ეკოს ნარატიული ჩარჩოს გამოყენებისას, მას თავისი უნიკალური სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტით ავსებს.

ორჰან ფამუქის მიერ უმბერტო ეკოს რომანის იმიტაცია ორმაგ მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, ის ქმნის თემატურ საფუძველს მისივე ნარატიული კვლევისთვის, მეორე მხრივ, აწარმოებს იმპლიციტურ დიალოგს უმბერტო ეკოს რომანთან, რომელიც სცილდება შესაბამისი ტექსტების, კულტურული და გეოგრაფიული დიალოგის საზღვრებს, რაც ფამუქს საშუალებას აძლევს გააკრიტიკოს, პატივი მიაგოს და დაეყრდნოს ეკოს ლიტერატურულ წვლილს.

მაშასადამე, ორჰან ფამუქმა ეკოს ტექსტის მოდელირება მოახდინა სახელის, საგნის, მოქმედებისა და სიუჟეტის სტრუქტურის, დროის, სივრცის, ფიგურალური ფუნქციის, ინტელექტუალური ნიმუშის მიხედვით. თუმცა ლოკალიზაციის ორიგინალური დამოკიდებულებით მან შექმნა ახალი ტექსტი (15: 504).

ორჰან ფამუქსა და უმბერტო ეკოს შორის საერთო ტექსტური სივრცე ხდება უფრო ფართო თემების შესწავლის ადგილი, როგორიცაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კვეთა, ადამიანური გამოცდილების უნივერსალურობა და ისტორიასა და აწმყოს შორის რთული ურთიერთობა. ეს ავლენს ინტერტექსტუალურობის ძალას, როგორც არა მხოლოდ ლიტერატურულ ტექნიკას, არამედ კომენტარისა და კრიტიკის მძლავრ ფორმას, რომელიც ასახავს იმ სიღრმესა და სიმდიდრეს, რაც შეიძლება მიღწეული იყოს ასეთი ჩართულობით.

ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“ პასტიმის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის გამოყენება სხვადასხვა მიზანს ემსახურება. რომანის თხრობის სტრუქტურაში პასტიმის ოსტატურად ჩართვით ფამუქი თავის ნამუშევრებს სიღრმესა და სირთულეს, დამატებით სემანტიკურ შრეებს სძენს. პასტიმის საშუალებით ახდენს არქეტიპული თემების ხელმეორედ შეტანას ლიტერატურულ მიმოქცევაში. მწერალი პასტიმის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის გამოყენებით ქმნის ღრმა კონცეპტუალური დისკუსიის ატმოსფეროს და ტექსტის ფართო სიბრტყეზე წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული მხატვრული ხერხი ასევე ხელს უწყობს გმირთა სახეების შექმნას, პერსონაჟების შინაგანი სამყაროს გახსნას. პასტიმი ორჰან ფამუქის რომანის შეუცვლელი ელემენტად იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფამუქი, ო. 2010. „მე წითელი მქვია“ თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
2. ფუკო, მ. 2004. „სიტყვები და საგნები“. თბილისი: დიოგენე.
3. ჯეიმსონი, ჯ. 2019. „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“ თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. Aktulum, K. 2000. *Metinlerarası İlişkiler*, Öteki Yayınevi, Ankara.
5. Ecevit, Y. 1996. „Orhan Pamuk“u Okumak, *Gerçek Yayınevi*. 1. Baskı, İstanbul.
6. Ecevit, Y. 1996. „Orhan Pamuk’un Romanlarında „Ana Bileşenler“. Varlık, Sayı: 1063, Nisan, İstanbul
7. Ecevit, Y. 2001. *Türk Romanında Postmodernist Açılımlar*. İstanbul: İletişim Yay.
8. Moran, B. 1999. Edebiyat Kuramları ve Eleştirisi, BASIM 1-27. BASKI 1999-2017, İstanbul.
9. Parla, J. 1995. „Sanat ve Yaşam Paradoksunda Bir Genç Adamın Sanatçı Olarak Portresi: Yeni Hayat“. Varlık, Sayı: 1049, Şubat, İstanbul.

2. ოღუზ ათაის მოთხრობის “შიშის მოლოდინში” რეცეფციის საკითხი

მზისა ბუსკივაძე / Mzisa BUSKIVADZE

Dr., Ivane Javakhishvili Tiflis Devlet Üniversitesi, Chavchavadze caddesi N36 / ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N36 / Phd. Dr. Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chavchavadze street N36 DOI: 10.5281/zenodo.10462568

E-posta / ელ.ფოსტა / e-mail: mzisa.buskivadze@tsu.ge

ORCID ID: 0000-0002-9094-6291

მოკლე შინაარსი

მე-20 საუკუნის გამორჩეულად საინტერესო თურქი ავტორის, ოღუზ ათაის, შემოქმედება (როგორც რომანები, ისე მოთხრობები) მრავალმხრივანი სტრუქტურით, პერსონაჟთა თვითრეფლექსიით, სიუჟეტთა ფიქციურობითა და მეტაფიქციურობით, დადგენილი ლიტერატურული კანონისა და ესთეტიკის რღვევით თურქული ლიტერატურის მკვლევრების დიდ ინტერესს იწვევს. მწერლის ყველაზე ვრცელი მოთხრობა “შიშის მოლოდინში” 1973 წელს გამოქვეყნდა. სტატიის ფარგლებში შევხებით აღნიშნული ვრცელი მოთხრობის რეცეფციის საკითხს. საკითხის კვლევის მეთოდოლოგია კი ლიტერატურული ნაწარმოების ახნისა და განმარტების უნივერსალურ მეთოდს, ჰერმენევტიკულ მეთოდს, ეფუძნება. ოღუზ ათაის ინდივიდუალური სტილი და მსოფლმხედველობა დიდწილად განპირობებულია როგორც თურქეთის ისტორიული რეალობით, ისე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით. მისი, როგორც ავანგარდისტი მწერლის ხელწერა არსებული ლიტერატორული კანონისა და ესთეტიკის დეკონსტრუქციაში, ლიტერატურის დეავტომატიზაციაში ვლინდება. რაც თავის მხრივ გულისხმობს არსებული მოდელის გააზრებულ ტრასფორმაციას, ახალ, უჩვეულო, ორიგინალურ მხატვრულ მოდელად. ოღუზ ათაი თურქული ინტელიგენციის სულიერ კრიზისს რიგ შემთხვევაში მკვეთარდ გამოხატული თვითრეფლექსიის პროცესით (სელიმ იმიქი, ჰიქმეთ ბენოლი, თურქუთ ოზბენი), რიგ შემთხვევაში სრული დეპერსონალიზაციით (“თეთრმანტოიანი კაცი”, “შიშის მოლოდინში”, “დავიწყებული”) გამოხატავს. იგი ერთგვარ საზოგადოებრივ კლასს ქმნის, რომელსაც “გარიყულები” ჰქვია. აღნიშნული კლასის წარმომადგენლები არიან რა საზოგადოებას სრულიად მოწყვეტლები, ყოფიერების საზრისის პოვნას საკუთარ თავში ჩაღრმავების გზით ცდილობენ. ყოფის აუტანლობა მათ რიგ შემთხვევაში თვითმკვლელობისკენ უბიძგებს (სელიმ იმიქი, ჰიქმეთ ბენოლი და თეთრმანტოიანი კაცი), რიგ შემთხვევაში მეტამორფოზისკენ (თურგუთ ოზბენი), რიგ შემთხვევაში თვითდასჯისკენ (“შიშის მოლოდინში”). მოთხრობაში “შიშის მოლოდინში” ავტორი ბურჟუაზიული კლასის ახალგაზრდა წარმომადგენლის ცხოვრებას აღწერს. მოვლენათა ნარატივი მთავარი პერსონაჟის მონოლოგურ თხრობაზეა აგებული. მოთხრობის მთავარ პერსონაჟის მოჭარბებული შიში ყველასა და ყველაფრის მიმართ, მას რეალობის ადეკვატურ აღქმას უკარგავს და საზოგადოებისგან სრულიად გარიყულსა და გაუცხოებულს ხდის. მხატვრულ ტექსტში როგორც პირველსაზრისი, ისე ქვესაზრისები კოდირებულია სიმბოლოებში. ერთი მხრივ ტექსტში მოცემულია მთავარი სიმბოლო, მეორემ მხრივ

კი ქვესიმბოლოები, რომლებიც ურთიერთგამომდინარეობენ და ჰერმენევტიკულ წრეს ქმნიან. მოთხრობაში “შიშის მოლოდინში” ცენტრალური სიმბოლო არის შიში, რომელიც ჯერ ვლინდება მოთხრობის დასაწყისშივე მთავარი პერსონაჟისა და ძაღლების ურთიერთობის მაგალითზე, შემდეგ განივთვლილი სახით თავს იჩენს საიდუმლო სექტის მიერ გამოგზავნილი წერილის ფორმით. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ერთი მხრივ საზოგადოებაში გამეფებულ ფსევდოღირებულებებს ემიჯნება, მეორე მხრივ კი რეალურ ცხოვრებასთან ადაპტირების გადაულახავი შიშით ცხოვრობს.

საკვანძო სიტყვები: თურქული ლიტერატურა; ოლუზ ათაი; ჰერმენევტიკული მეთოდი; მოთხრობა “შიშის მოლოდინში”.

Oğuz Atay’ın “Korkuyu Beklerken” Eserinde Alımlama Estetiği Sorunu

Öz

20. yüzyılın önde gelen Türk yazarlarından biri Oğuz Atay (hem roman hem kısa öykü) anlatısı; çok katmanlı yapısı, karakterlerin kendini yansıtmaları, olay örgüsünün kurgusal ve meta-kurgusal doğası ile olayların ani kırılmalarıyla ilgi çekmektedir. Yazar oluşturduğu yeni estetik düzen ve kanonlarıyla Türk edebiyatı araştırmacılarının dikkatini celbetmektedir. Yazarın en uzun öyküsü “Korkuyu Beklerken” 1973 yılında yayımlanmıştır. Bu çalışmada söz konusu uzun öykünün alımlama konusu ele alınmıştır. Bu konudaki araştırmanın metodolojisi, edebiyat eserinin evrensel açıklama ve yorumlama yöntemi olan hermenötik yönetime dayanmaktadır. Oğuz Atay’ın üslubu ve dünya görüşü çoğunlukla hem Türkiye’deki tarihsel gerçeklik hem de dünyada yaşanan süreçler tarafından şekillenmiştir. Avangard yazarın özgünlüğü, mevcut edebiyat kanonlarının ve estetiğinin yapı sökme uğraması, edebiyatın otomatizasyonundan arındırılması sebebiyle bu bir zorunluluktur. Bu da, mevcut modelin kasıtlı olarak alışılmadık, orijinal, yaratıcı bir modele dönüştürülmesi anlamına gelmektedir. Oğuz Atay, Türk aydınlarının ruhsal bunalımını kimi zaman izdüşüm süreciyle (Selim Işık, Hikmet Benol, Turktut Özben), kimi zaman da tamamen kişisellikten arındırma yoluyla (Beyaz Mantolu Adam, Korkuyu Beklerken) dile getirmektedir. Yazar, “korku”, “unutulmuşluk” ve “ötekileştirme” olarak adlandırılabilen bir tür sosyal sınıf yaratır kendince. Toplumdan tamamen soyutlanan söz konusu sınıfın temsilcileri, kendi içlerine çekilerek varolma duygusunu bulmaya çalışırlar. Karşı konulamaz hayat, onları bazı durumlarda intihara (Selim Işık, Hikmet Benol ve Beyaz Mantolu Adam), bazı durumlarda başkalaşıma (Turgut Özben) ve bazı durumlarda da kendilerini cezalandırmaya iter. Yazar, “Korkuyu Beklerken” öyküsünde burjuvazinin genç temsilcisinin hayatını anlatır. Olayların anlatımı ana karakterlerin monoloğuna dayanmaktadır. Ana karakterin her şeyden ve herkesten duyduğu aşırı korku, onu yeterli bir gerçeklik algısından mahrum bırakır ve onu toplumdan tamamen soyutlanmış ve yabancılaşmış hale getirir. Edebi metinlerde birincil anlam olarak alt anlamlar sembollere kodlanmıştır. Metin bir yandan ana sembolü, diğer yandan ise hermenötik daireyi oluşturan, birbirinin sonucu olan alt imgeleri sağlar. “Korkuyu Beklerken” öyküsünde ana sembol, öykünün başlangıcında ana karakter ile köpekler arasındaki etkileşim örneğinde ortaya çıkan korkudur, ayrıca köpeklerin gönderdiği mesaj gibi somutlaşmış biçimde de ortaya çıkar. Hikâyenin ana

karakteri bir yandan kendini topluma hâkim olan sahte değerlerden soyutlarken, diğer yandan da gerçekliğe uyum sağlama korkusuyla yaşamaktadır.

Anahtar Kelimeler: Türk Edebiyatı, Oğuz Atay, Hermenötik yöntem; Hikaye Korkuyu Beklerken, Ötekileştirme.

Issue of Reception of Oğuz Atay's Story "Waiting For Fear"

Art of Oğuz Atay, particularly interesting prominent 20th century Turkish author (both, novels and stories), with multi-layer structure, self-reflection of the characters, fictitious and meta-fictitious nature of the plots, breaking of the established canons and esthetics of literature, attracts great interest of the researchers of Turkish literature. The longest story of the writer "Waiting for the Fear" was published in 1973. In this article, we shall discuss the issue of reception of the mentioned long story. And the methodology of research of this issue is based on the universal method of explanation and interpretation of the piece of literature – hermeneutic method. Oğuz Atay's individual style and worldview is mostly conditioned by both, historic reality in Turkey and processes ongoing in the world. As the avant-garde writer's originality is deconstruction of the existing literature canons and esthetics, de-automation of the literature. This, in turn, implies deliberate transformation of the existing model into unusual, original creative model. In some cases, Oğuz Atay expresses the spiritual crisis of Turkish intellectuals through self-reflection process (Selim Ishik, Hikmet Benol, Turkut Ozben) and sometimes – through full de-personalization ("A Man in White Manteau", "Waiting for the Fear", "Forgotten"). He creates some kind of the social class that is called "the outcasts". The representatives of the mentioned class, being fully isolated from the society, attempt to find the sense of being through retiring into themselves. In some cases, irresistible life pushes them to suicide (Selim Isik, Hikmet Benol and a man in white manteaux), in some cases – to metamorphose (Turgut Ozben) and in some cases – to self-punishment ("Waiting for the Fear"). In the story "Waiting for the Fear", the author describes life of the young representative of the bourgeoisie. Narrative of the events is based on the monologue of the main characters. Main character's excessive fear of everything and everyone deprives him of adequate perception of the reality and makes him completely isolated and estranged from the society. In the literary text, as the primary sense, also the sub-senses are coded into the symbols. On one hand, the text provides the main symbol and on the other – the sub-symbols that are consequential from one another, creating the hermeneutic circle. In the story "Waiting for the Fear", the central symbol is the fear, revealed in the story beginning, on the example of interaction between the main character and the dogs, further, it shows up in the materialized form, as the letter sent by the secret sect. On one hand, the main character of the story isolates himself from the pseudo values dominating in the society and on the other, he lives with overwhelming fear of adaptation with real life.

Keywords: Turkish Literature, Oğuz Atay, Hermeneutic method, Story "Waiting for Fear", The Outcasts.

შესავალი

მე-20 საუკუნის გამორჩეულად საინტერესო თურქი ავტორის, ოღუზ ათაის, შემოქმედება (როგორც რომანები, ისე მოთხრობები) მრავალშრიანი სტრუქტურით, პერსონაჟთა თვითრეფლექსიით, სიუჟეტთა ფიქციურობითა და მეტაფიქციურობით, დადგენილი ლიტერატურული კანონისა და ესთეტიკის რღვევით თურქული ლიტერატურის მკვლევრების დიდ ინტერესს იწვევს. 1972

წელს თურქული ლიტერატურული სივრცე თურქული ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ უცნობ და უცხო მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტექნიკითა და ტენდენციებით გაჯერებულ რომანს “გარიყულები” ეცნობა. იმავე წლის ნოემბრის თვეში ჟურნალში “ახალი ჟურნალი” ერთმანეთის მიყოლებით მწერლის ორი მოთხრობა - “თეთრმანტიონი კაცი” და “დავიწყებული” დაიბეჭდა. მწერლის ყველაზე ვრცელი მოთხრობა “შიშის მოლოდინში” 1973 წელს გამოქვეყნდა. 30.09.1972 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში ოლუზ ათაი აღნიშნავდა: *“ეს დღეებია მოთხრობას ვწერ. მხოლოდ ერთი პრობლემა მაქვს, მოკლედ ვერ ვწერ, მოთხრობა 60 გვერდიანია, რაც მის გამოქვეყნებას ძალიან ართულებს”* (Ecevit, 2014, გვ. 475). სტატიის ფარგლებში შევხებით აღნიშნული ვრცელი მოთხრობის რეცეფციის საკითხს. საკითხის კვლევის მეთოდოლოგია კი ლიტერატურული ნაწარმოების ახნისა და განმარტების უნივერსალურ მეთოდს, ჰერმენევტიკულ მეთოდს, ეფუძნება. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ერთი მხრივ ხელს უწყობს ტექსტში დაფარული პირველსაზრისის წვდომას, მეორე მხრივ კი ითვალისწინებს მკითხველს რეცეფციის აქტს. ჰერმენევტიკული მეთოდი საშუალებას იძლევა ტექსტი განვმარტოთ მისი აბსოლუტური მხატვრული ფასეულობების კონტექსტში. *“ჰერმენევტიკის ფილოსოფიური დაფუძნება უკავშირდება გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიჰ შლაიერმახერის სახელს, რომელმაც ჰერმენევტიკის ფილოსოფიური და თეოლოგიური კონცეფცია ბიბლიური ტექსტების ანალიზის კონტექსტში წარმოაჩინა* (რატინი, 2008, გვ.115). ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში შლაიერმახერმა გამოყო ორი ასპექტი: გრამატიკული და ფსიქოლოგიური. *“ფსიქოლოგიური [ინტერპრეტაცია] არის უფრო მაღალი ოდენობა, თუკი ენას განვიხილავთ იმ საშუალებად, რომლის საფუძველზეც ცალკეული ადამიანი საკუთარ აზრებს გადმოსცემს. გრამატიკული [ინტერპრეტაცია] არის უფრო მაღალი ოდენობა, თუკი ენას განვიხილავთ იმ მოცემულობად, რომელიც თითოეულის აზროვნებას განაპირობებს. ამ ორმაგობიდან თავისთავად გამომდინარეობს სრულყოფილი თანაფარდობა”* (ბრეგაძე, 2009, გვ. 43). შლაიერმახერის მიხედვით ავტორი ტექსტის შექმნის პროცესში ოპერირებს ენობრივი სისტემის მიერ შემოთავაზებული ზოგადი სტრუქტურებით, რაც ვლინდება ენის სემანტიკურ, სინტაგმატურ და პრაგმატულ დონეებზე. გრამატიკული ინტერპრეტაცია ტექსტში ენის სწორედ ამ კანონზომიერებას ადგენს, რაც თავის მხრივ აყალიბების ტექსტის გარეგან ლოგოსს, ანუ ტექსტის ობიექტურ საზრისს, პირდაპირ აზრს. თუმცა, ავტორი ტექსტის შექმნის პროცესში ცდილობს ენობრივი სტრუქტურები ისე გამოიყენოს, რომ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა ნათლად გამოჩნდეს. შემოქმედებითი ინდივიდუალობა თავის მხრივ ვლინდება ავტორის სტილში, მსოფლმხედველობასა და სახისმეტყველებაში. სწორედ ავტორისეული ინდივიდუალობაა ტექსტში შინაგანი ლოგოსის, ანუ ტექსტის დაფარული საზრისის წარმოქმნის წინაპირობა. ოლუზ ათაის ინდივიდუალური სტილი და

მსოფლმხედველობა დიდწილად განპირობებულია როგორც თურქეთის ისტორიული რეალობით, ისე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით. მისი, როგორც ავანგარდისტი მწერლის ხელწერა არსებული ლიტერატორული კანონისა და ესთეტიკის დეკონსტრუქციაში, ლიტერატურის დეავტომატიზაციაში ვლინდება. რაც თავის მხრივ გულისხმობს არსებული მოდელის გააზრებულ ტრანსფორმაციას, ახალ, უჩვეულო, ორიგინალურ მხატვრულ მოდელად. ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე გეოკულტურული გარემოს ცვლილებამ თურქული საზოგადოება “ზღურბლისმიერ” პოზიციაში ჩააყენა. “ზღურბლისმიერობა” ევროპული და ეროვნული ღირებულებითი სისტემის, აზროვნებისა და ცხოვრების სტილის დიქტომიაში გამოვლინდა. საზოგადოების ყველა სფეროში გამოვლენილი ორმაგი დისკურსი თურქულ ლიტერატურაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფლიქტის, იდენტობის დაკარგვის, დეკუმანიზაციისა და დეპერსონალიზაციის სახით იჩენს თავს. აჰმედ ჰამდი თანფინარი სტატიათა კრებულში “წერილები ლიტერატურის შესახებ” წერს: “ახალ თურქულ ლიტერატურას საფუძვლად ცივილიზაციის კრიზისი უდევს” (Tanpınar, 1977, გვ. 85). აღნიშნული კრიზისი კლასიკური ეპისტემის ევროპული კონცეპტით „ჩანაცვლებამ“, ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, „ჩანაცვლების მცდელობამ“ გამოიწვია (ბუსკივაძე, 2022, გვ.289). სულიერი კრიზისი საზოგადოების განათლებული ნაწილის, ინტელიგენციის, ერთ-ერთი განმსაზღვრელი მარკერია. აქვე ხაზი იმასაც უნდა გავუსვათ, რომ საზოგადოების განათლებული ნაწილის სულიერი კრიზისი, მისი გამოვლინება და კრიზისის დამღევის გზები ერთმანეთისგან განსხვავებულია. თუკი 1960 წლამდე თურქული ინტელიგენციის წარმომადგენლები კრიზისის დამღევას საკუთარი ინტელექტუალური ძალების ხალხის კეთილდღეობასა და ცნობიერების ამაღლების საქმეში “ხარჯავდნენ”, 1960 წლის შემდეგ ლიტერატურაში ისეთი ცნება შემოდიხ, რომელსაც “თანამედროვე ადამიანის სულიერი კრიზისი” ჰქვია. აღნიშნული კრიზისულობა ხშირ შემთხვევაში საზოგადოებისგან გაუცხოებით, საკუთარ თავთან გაუცხოებით, დეპერსონალიზაციით, ონტოლოგიური საზრისის დაკარგვით ვლინდება. თანამედროვე ადამიანის სულიერი კრიზისი დიდწილად ისტორიული კონტექსტით არის დეტერმინირებული. პირველი და მეორე მსოფლიო ომის შედეგად ადამიანმა ყოფის აბსურდულობა გაიაზრა. ეგზისტენციალურმა ფილოსოფიამ წინ წამოსწია ადამიანის პასუხისმგებლობისა და თავისუფლების გადააზრების (ჟან პოლ სარტრი), სამყაროს აბსურდულობის და გროტესკულობის საკითხი (კამიუ, კაფკა). ნებისმიერი სახის სულიერი კრიზისი, რომელიც საერთო გლობალური მახასიათებლებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, კონკრეტული ერისა და საზოგადოების მიხედვით იცვლება, დეტერმინირდება იმ ასპექტებით, რომელიც კონკრეტული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. ოღუზ ათაი თურქი ინტელიგენციის სულიერ კრიზისის

ზოგ შემთხვევაში მკვეთრი თვითრეფლექსიის პროცესით (სელიმ იშიქი, ჰიქმეთ ბენოლი, თურქუთ ოზბენი), ზოგ შემთხვევაში სრული დეპერსონალიზაციით (“თეთრმანტოიანი კაცი”, “შიშის მოლოდინში”, “დავიწყებული”) გამოხატავს. იგი ერთგვარ საზოგადოებრივ კლასს ქმნის, რომელსაც “გარიყულები” ჰქვია. აღნიშნული კლასის წარმომადგენლები არიან რა საზოგადოებას სრულიად მოწყვეტილები ყოფიერების საზრისის პოვნას საკუთარ თავში ჩაღრმავების გზით ცდილობენ. ყოფის აუტანლობა მათ რიგ შემთხვევაში თვითმკვლელობისკენ უბიძგებს (სელიმ იშიქი, ჰიქმეთ ბენოლი და თეთრმანტოიანი კაცი), რიგ შემთხვევაში მეტამორფოზისკენ (თურგუთ ოზბენი), რიგ შემთხვევაში თვითდასჯისკენ, რომელიც საზოგადოებაში სინდისის ქენჯნის გაღვიძებას ისახავს მიზნად (“შიშის მოლოდინში”).

კვლევითი ნაწილი

მოთხრობაში “შიშის მოლოდინში” ავტორი ბურჟუაზიული კლასის ახალგაზრდა წარმომადგენლის ცხოვრებას აღწერს. მოვლენათა ნარატივი მთავარი პერსონაჟის მონოლოგურ თხრობაზეა აგებული. მის შესახებ სხვა პერსონაჟების შეფასებას ადგილი არ აქვს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლამის ერთპერსონაჟიან მოთხრობასთან გვაქვს საქმე. მთავარი პერსონაჟს სახელი არ აქვს, არც ფიზიკურ მახასიათებლებზე მახვილდება ყურადღება. პერსონაჟის “უსახელობა” მოთხრობაში დასმული საკითხის კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ გადანაცვლების სტრატეგიის მაჩვენებელია. მოთხრობის მთავარი პერსონაჟის მოჭარბებული შიში ყველასა და ყველაფრის მიმართ, მას რეალობის ადეკვატურ აღქმას უკარგავს და საზოგადოებისგან სრულიად გარიყულსა და გაუცხოებულს ხდის. სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ მოთხრობის შინაგანი ლოგოსის, დაფარული საზრისის, გამოვლენის მეთოდად ჰერმენევტიკულ მეთოდს მივანიჭეთ უპირატესობა. ჰერმენევტიკულ კონცეფციაში მნიშვნელოვანია ტექსტის გრამატიკული და ტექნიკურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია. ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაცია ეფუძნება კომპარატიულ, ხოლო ტექნიკურ -ფსიქოლოგიური კი დივინატურულ (Divination-ამოცნობა) მეთოდს. “ტექსტის გრამატიკული და ტექნიკურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციები, შესაბამისად დივინატორული და კომპარატიული მეთოდები, იმპლიციტურად გულისხმობენ ჰერმენევტიკულ წრეს, ანუ ინტერპრეტაციის პროცესს მთელიდან ნაწილისაკენ, და პირიქით, ნაწილიდან მთელისაკენ. აქ გვაქვს ტექსტის დაფარული პირველსაზრისისა (მთელი) და მისი ქვესაზრისების (ნაწილი) გამუდმებული დივინაცია (ამოცნობა,) და კომპარაცია (შედარება) (ბრეგამე, 2009, გვ.45). მხატვრულ ტექსტში როგორც პირველსაზრისი, ისე ქვესაზრისები კოდირებულია სიმბოლოებში. ერთი მხრივ ტექსტში მოცემულია მთავარი სიმბოლო, მეორემ მხრივ კი ქვესიმბოლოები, რომლებიც ურთიერთგამომდინარეობენ და ჰერმენევტიკულ წრეს ქმნიან. მოთხრობაში

“შიშის მოლოდინში” ცენტრალური სიმბოლო არის შიში, (ხაზი ჩემია-მ.ბ) რომელიც ვლინდება მოთხრობის დასაწყისშივე მთავარი პერსონაჟისა და ძაღლების ურთიერთობის მაგალითზე. *“წუხელ სახლში რომ ვბრუნდებოდი, ძაღლებმა ყეფა ამიტხეს, ჩვენი უბნის ძაღლებმა. ორი ამდევნა კიდეც. ნაბიჯს ავუჩქარე, წინათ ასე არასოდეს მოქცეულან, შემეშინდა”* (Atay, 2020, გვ.31). შიში გამძაფრებულად თავს იჩენს წერილის სახით, რომელიც საიდუმლო სექტის “UBOR-METENGA”-ს (დიადი გზა) მიერ არის გამოგზავნილი. მოთხრობის ერთი შეხედვით მარტივი სიუჟეტი მთავარი გმირის სულიერი მდგომარეობის პარალელურად იძენს სიმძაფრეს და მონოტონურობას. უსახელო პერსონაჟი ქალაქიდან მოშორებით ცხოვრობს ქუჩაზე, სადაც მხოლოდ სამი სახლი დგას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობაში მეზობელი სახლების მაცხოვრებლების შესახებ დაზუსტებით არაფერი ვიცით, გამოდის, რომ მთავარი პერსონაჟი “უადამიანო” ქუჩაზე ცხოვრობს, სადაც შესვლას ძაღლებიც კი ერიდებიან. *“ჩემს ქუჩაზე სამი სახლი იდგა ანუ სამი ნაგვის ყუთი. არა, იქ ვერ შეაფარებდნენ თავს. ამ ქუჩაზე თავის შეფარება მხოლოდ მე შემეძლო საამისო მიზეზებიც მქონდა”* (Atay, 2020, გვ.31). მთავარი გმირის მონოტონურ ცხოვრებაში, რომელიც ყოველდღიურად ოფისში სიარულითა და საღამოს სახლში დაბრუნებით არის შემოსაზღვრული, შიში განიცთებული სახით დერეფანში თაროზე შემოდებული კონკრეტით ვლინდება. წაუწერელი კონკრეტი პერსონაჟის ფსევდოსიმბოლურად არღვევს. მისი გონება სწრაფად აღადგენს სახლში ნივთების განლაგებას და რახან თავად კონკრეტს იქ არ დადებდა *“რადგან სახლში კონკრეტი არ მქონდა, რადგან წერილი არავისთვის მიმიწერია, რადგან მე არავინ მწერდა. შემეშინდა”* (Atay, 2020, გვ.33). აღსანიშნავია, რომ მთავარ პერსონაჟს სახლის (შიშის ერთ-ერთი ქვესიმბოლო) ყველა ოთახი ბოქლომით აქვს დაკეტილი და ყოველ დღე ადებს კონკრეტულად იმ ოთხს, რომელიც სჭირდება. ბოქლომის გასაღებებს ნომრავს და საგულდაგულოდ ინახავს. აღნიშნული გარემოება შესაძლებელია შევავსოთ როგორც საკუთარ თავთან შეხვედრის შიში *“საიდუმლო კლიტე უნდა გავაღო, მთავარ ბოქლომში გასაღები ორჯერ გადავატრიალო, ლარნაკიდან ოთახის გასაღები ამოვიღო (----) თუ გეშინია ქალაქიდან ასე შორს რატომ ცხოვრობ? რატომ ცხოვრობ სამსახლიანი ქუჩის ბოლო სახლში? რა გესაქმება ქვაფენილის ბოლო კვიდან ორმოცდაათობმეტ ნაბიჯში?”* (Atay, 2020, გვ. 34). საწყის ეტაპზე პერსონაჟი მოკლებულია თვითრეფლექსიის უნარს, იგი მხოლოდ გარემოზე ზედაპირული დაკვირვების შედეგად ახდენს გარესამყაროსთან კომუნიკაციას. წერილი პერსონაჟისათვის უცნობ, მკვდარ ენაზეა დაწერილი:

“Morde¹ ratesdan,

¹ ოღუზ ათაის შემოქმედების მკვლევარი ილდიზ ეჯევითი მონოგრაფიაში “მე აქ ვარ”, შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: “მართალია, წერილის ტექსტის ენა უცნობია და არცერთ ენას არ ჰგავს,

Esur tinda serg! Teslarom portog tis ugor anleter, fer to tagan

ugotahenc metoy-dosenct zist. Norgunok!

UBOR-METENGA” (Atay, 2020, გვ.35).

წერილის შინაარსის გასაგებად მოთხრობის მთავარი გმირი მკვდარი ენების სპეციალისტ მეგობარს მიმართავს, რომლის დახმარებითაც იგებს, რომ საიდუმლო სექტამ მას სახლიდან გარეთ გასვლა სასტიკად აუკრძალა. მთავარი გმირის სახლში გამოკეტვის აქტი პირდაპირი კავშირშია მისი თვითრეფლექსიის პროცესთან. სწორედ სახლში გამოკეტვის შემდეგ იწყებს მთავარი გმირი საკუთარი ცხოვრების განსჯას და ონტოლოგიური საზრისის ძიებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტოა და რაც დრო გადის მისი მარტოობის გრძნობაც მძარფდება, სახლში, როგორც დახურულ სივრცეში, ჩაკეტვა და საკუთარ შიშებთან პირისპირ დარჩენა, მას საბლოოდ წყვეტს მისთვის საძულველ საზოგადოებას. საგულისხმოა, რომ ავტორი სახლშიგამოკეტილი პერსონაჟის ცხოვრებას გაცილებით უფრო მრავალფეროვანს ხდის, ვიდრე მას იქამდე ჰქონდა. იგი იწყებს ენების შესწავლას, დისტანციურად ამთავრებს უნივერსიტეტს, ეცნობა ბალზაკის, სტენდალის, ზოლას, კაფკას² შემოქმედებას, ფილოსოფიას. მთავარი პერსონაჟის შემეცნების პროცესი წარსულის გააზრებაზე გადის. მან იცის, რომ საკუთარ წარსულს კარგად არ იცნობს. “არცოდნა” თუ აქამდე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა, ახლა პირიქით, საკუთარი ყოფის უსუსურობაში არწმუნებს.

“ამ უდიდამო ცხოვრებით თითქოს დაბადებამდეც მიცხოვრია, დაბადებამდე წამიკითხავს თითქოს იმ ცხოვრების შესახებ, მე რომ შემეფერებოდა. მტკიცედ მჯეროდა, რომ ჩემი უარყოფითი თვისებებიც კი, ჩემსს არსს ეკუთვნოდა. შესაძლოა ამ ნაღვლიან ბუნებაში უკვე საუკუნეებია ასიათასობით ადამიანი იღებს მუქარის წერილებს, საიდუმლო სექტისგან. წარსული კარგად არ ვიცოდი, ამ ადამიანებს ბუნდოვნად წარმოვიდგენდი. მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცოდი, მათ ამ მოვლენის შეფასება შეძლეს, მართლა შეეშინდათ, მართლა იტანჯებოდნენ, მართლა გამოუვალ მდგომარეობაში მარტონი აღმოჩნდნენ. მე კი იაფფასიანი რომანი ვიყავი. არა, მდარე ლიტერატურასაც კი აქვს თავისებური სიმართლე, უბადრუკი მიმბაძველებიც კი ჩემზე უფრო ნამდვილები არიან. მე არ ვარსებობდი. მეტიც ისეთ მდგომარეობაში ვარ, იმასაც ვერ ვამბობ არ ვარსებობ, არ ვიყავი მეტი. სიტყვებსაც კი არ უნდათ გვერდიგვერდ ჩამწკრივდნენ და

მაგრამ პირველი სიტყვა *morde*, ინგლისურ სიტყვას *murder*-ს მოგვაგონებს, რომელიც “მკვლელობას” ნიშნავს, ასევე გერმანული სიტყვაც *Mord*” (Ecevit, 2014, გვ. 484).

² ოლუზ ათაის შემოქმედებაში კაფკას გავლენა მნიშვნელოვანდ დიდია. რომანში “გარიყულები” ათაი კაფკას არაერთხელ ახსენებს და “კაფკასეულ” გაუცხოებულ, პირველსაწყისსდაკარგულ სამყაროს ქმნის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მოთხრობა კაფკას მოთხრობას “სორო” ორგანულად ეხმიანება.

დამახასიათონ. რა იქნებოდა, სიტყვები მეც მქონოდა, ჩემი კუთვნილი წინადადება, აზრი მქონოდა” (Atay, 2020, გვ.65).

საზრისის დაკარგვის პრობლემას განიცდის რომანის “გარიყულები” მთავარი გმირიც თურგუთ ოზბენი. მასაც დიდ სურვილი აქვს საკუთარი ცხოვრების წინასიტყვაობა თავად დაწეროს, საკუთარი წინადადებებით. მოთხრობაში დრო არ იზომება. რამდენი დღე, ან თვეა გმირი სახლში გამოკეტილი ეს უშუალოდ არ არის მოცემული. მთავარ პერსონაჟს რომ დღეების სათვალავი არეული აქვს ეს ფაქტია. *“ყველაფერი, რაც თავს გადამხდა პირველი დღიდან მოყოლებული, კიდევ ერთხელ გავიაზრე. რამდენი დღე გავიდა? სულელივით ისევ არ ჩამიწერია. დამაგვიანდა. ჟანგი მომეკიდებოდა და აქ მოვკვდებოდი. მეხსიერების დაქანგვა უკვე დამეწყო კიდევ. მარტოობა მეხსიერებას ასუსტებს. ნამდვილად! არავის ველაპარაკებოდი”* (Atay, 2020, გვ.77). მოთხრობის სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ მთავარი პერსონაჟის სიკვდილს მუდმივად რაღაც “უშლის ხელს”. შიმშილისგან მას ბაყალი იხნის, რომელსაც საჭმელი მოაქვს, როცა ფული უთავდება ლატარეას მოიგებს, როცა გადაწყვეტს, რომ სახლი გადაწვას გაზეთში საიდუმლო სექტის წევრების დაპატიმრების ამბავს წაიკითხავს. UBOR-METENGA-ს მიერ გამოტანილი განაჩენი მთავარ გმირს საზოგადოებაში დაბრუნებისა და რეალიზების სურვილს უჩენს. მან იცის, რომ აღნიშნული სექტა დაუფიქრებლობას, უმეცრებას უფრო დიდ დანაშაულად თვლის, ვიდრე გამიზნულად ჩადენილ დანაშაულს. ისინი სისულელეს ემტერებოდნენ. *“იმ კენჭის დანაშაულზეც კი, რომელსაც ფეხი შემთხვევით წამოჰკარი პასუხისმგებლობა შენ გეკისრებოდა. ჩემზე უკეთესს მსხვერპლს სად იმოვიდნენ ! მართლებიც იყვნენ, რადგან გონივრულად ჩადენილი დანაშაული იშვიათობას წარმოადგენდა”* (Atay, 2020, გვ.87). საიდუმლო სექტის წევრების დაპატიმრება მთავარი გმირის “ტყვეობიდან” გათავისუფლებას ნიშნავს. გმირის ცხოვრების ახალი ფაზა იწყება. იგი მიდის ნათესავებთან, უნდა ცოლის მოყვანა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრობა. ოჯახის შექმნის მთავარ ფაქტორად სიყვარულს არ მიიჩნევს. ისეთი გოგო უნდა, რომელიც დიდი ხანია სარკმელთან ზის და სატრფოს ელოდება, მზითვიც გამზადებული აქვს. სატრფოს მომლოდინე სარკმელსმიმდგარი გოგოს სახე, საზოგადოებაში ახალგაზრდა ქალებისათვის წინასწარგანსაზღვრული როლისა და ფუნქციის ფარული კრიტიკაა. ასეთ გოგოს პოულობს კიდევ, ნიშნობაც იმართება. საცოლესთან ერთად რესტორანში ყოფნისას გარემოზე დაკვირვების შედეგად აღმოაჩენს, რომ ადამიანები მის გარშემო ბედნიერები არიან, არ იციან რა არის მარტოობა, შიში, შიშის მოლოდინი. ეს “აღმოჩენა” კი მასში გამძაფრებული მრისხანების გრძნობას იწვევს. ამიტომ უნდა დაისაჯონ ისინი, მათაც უნდა გამოსცადონ შიში და მარტოობა. მოთხრობის მთავარი გმირი თავად დაუგზავნის მუქარის წერილებს შეყვარებულ წყვილებს, იმ იმედით, რომ ისინიც სახლში გამოიკეტებიან. შურიძიების სურვილით შეპყრობილი გმირი ნანატრი ბედნიერების განცდას ვერ აღწევს. ადამიანები მის

მუქარას ყურადღებას არ აქცევენ და ბედნიერად აგრძელებენ ცხოვრებას. მარცხის გარდაუვალობას მთავარი გმირი პოლიციის განყოფილებაში მიჰყავს, სადაც ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს. მოთხრობის მთავარ გმირს საცხოვრებელი ადგილი სრულიად გაცნობიერებულად ჰქონდა შერჩეული. მას არ უნდოდა იმ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც ვერც სიყვარული იშოვა, ვერც სიმდიდრე და ვერც ადამიანებთან სიახლოვე *“სამი წლისა და ოთხი თვის წინ გავმწარდი, ხასიათი გამიფუჭდა, არაფერი მომწონდა, მიგხვდი, რომ ფულს ვერასდროს ვიშოვიდი და ადამიანებს ვერასდროს შევიყავრებდი, ამიტომ შორს წავედი რათა ვერავის ვეპოვე”* (Atay, 2020, გვ.83). მთავარი გმირი ერთი მხრივ საზოგადოებაში გამეფებულ ფსევდოღირებულებებს ემიჯნება, მეორე მხრივ კი რეალურ ცხოვრებასთან ადაპტირების გადაულახავი შიშით ცხოვრობს. მოთხრობაში საიდუმლო სექტის მეშვეობით მთავარი გმირის შინაგანი სამყაროსაკენ მოზრუნების აქტი, ერთგვარი პაროდიაა აღმოსავლურ კულტურაში ფეხმოკიდებული რელიგიური ორდენებისა და სექტებისა, რომელთა მთავარი მისია ადამიანის სულიერ განვითარებასა და ღმერთთან ზიარებაში მდგომარეობდა. დროთა განმავლობაში კი მათი მიზანი ადამიანის მორალურ სრულყოფაზე მეტად წესებსა და მათ პედანტურ შესრულებაზე ფოკუსირდა.

დასკვნა

მოთხრობაში მთავარ გმირზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელია სამი ეტაპის გამოყოფა, რითაც ჰერმენევტიკული წრე იკვრება. მოთხრობის შინაგანი ლოგოსის დივინაცია ემფუძნება ცენტრალური სიმბოლოს - შიშის- დეკოდირების ფაქტორს. ვფიქრობ, მთავარია გავიმიჯნოთ რა სახის შიშზე მახვილდება ყურადღება. შიში საზოგადოებისა თუ შიში საკუთარ თავთან შეხვედრის? მთავარი გმირის ცხოვრების პირველი ფაზა, რომელიც ტოპოგრაფიულად ქალაქგარეთ სამსახლიანი ქუჩით არის დეტერმინირებული, კავშირის გაწყვეტა ნათესავებთან, მეგობრებთან, ბუნების სიძულვილი, თავდახრილი სიარული, რომელიც გმირს ირგვლივ მიმოხედვის შესაძლებლობას უზღუდავს, მოჩვენებითი არისტოკრატიზმი გმირის საზოგადოებასთან კონფლიქტს გამოხატავს. ის ბუნებასა და ადამიანებზე პოზიტიურად არ ფიქრობს და სამყაროსაც არაფერს აძლევს *“ჩემს თავს ჩემთვისვე ვინახავდი, ინიციატივას არ ვიჩენდი”* (Atay, 2020, გვ.62). მთავარ გმირსა და საზოგადოებას შორის აღმართული “შიშის კედელი” გაცილებით ტრაგიკულ ფორმას გმირის ცხოვრების მეორე ფაზაში იჩენს. შიშის განივთებული სახე საიდუმლო სექტის მიერ გამოგზავნილი წერილია. წერილი, როგორც ქვესიმბოლო, მთავარ გმირსა და საზოგადოებას შორის აღმართულ “შიშის კედელს” საძირკველს ურყევს და გმირს ონტოლოგიური საზრისის ძიებისკენ უბიძგებს. ძიების პროცესი კი საზოგადოებისგან სრულ იზოლაციას, საკუთარ თავთან შეხვედრის შიშის დაძლევას გულისხმობს. მთავარი გმირი აცნობიერებს, რომ მხოლოდ სამყაროსთან თანადროულობას, ბუნებასთან

სიახლოვეს, საზოგადოებასთან ადაპტირებას შეეძლო იგი ილუზორული ცხოვრებისგან ეხსნა. საკუთარი თავის სიბრალული მთავარი გმირის ერთ-ერთი უცვლელი თვისებათაგანია. იგი იმაშიც კი არ არის დარწმუნებული ტკივილს ნამდვილად განიცდის თუ არა. იცის, რომ შიშს, შიშის მოლოდინს დასასრული უნდა ჰქონდეს. დასასრული კი ფიზიკური არსებობის მოსპობით უნდა რომ დააჩქაროს. საიდუმლო სექტის წევრთა დაპატიმრებით გმირის ცხოვრების მესამე ფაზა იწყება. შიშისგან გათავისუფლებული ცდილობს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს. ბრუნდება სამსახურში, სტუმრობს ნათესავებს, ქორწინდება. მისი სახლი, კიდევ ერთი ქვესიმბოლო გმირის დაფარული თუ ღია შიშებისა, ინგრევა. ნგრევას განახლება მოსდევს, გმირის შემთხვევაში განახლების პროცესი მხოლოდ ნაწილობრივ ხდება. “სამყაროში ერთხელ გადაგდებულობის”, მარტოობისა და გარიყულობის განცდა, მასში საზოგადოების დასჯის სურვილს იწვევს. სურს საზოგადოებამ იცოდეს როგორია შიშის სამყარო, შიშის მუდმივი ლოდინი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუსკივაძე, მ. (2022). ფსევდოევროპული დისკურსი და დეპერსონალიზაციის საკითხი აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში “დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი”, ლიტერატურული ძიებანი 42, გვ. 287-304. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, E-ISSN 2960-9968, literaryresearches.litinstitut.ge.
2. ბრეგაძე, კ. (2009). ჰერმენევტიკა და ტექსტის ინტერპრეტაცია, სჯანი 10, ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. გვ.38-54, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, ISSN 1512-2514.
3. გადამერი, ჰ.გ. (2015). გაგების წრის შესახებ, წიგნში: ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია III, გვ.115-126, თბილისი: GCLAPress, ISBN 978-9941-0-7785-2.
4. Atay, O. (2020). Korkuyu Beklerken, İletişim Yayınları, İstanbul.
5. Çağdaş Türk Romani (2019), Anadolu Üniversitesi, Eskişehir, E-ISBN 978-975-06-3403-1
6. Ecevit, Y. (2014). Ben Buradayım, Oğuz Atay’ın Biyografik ve Kurmaca Dünyası, İletişim Yayınları, İstanbul.
7. Tanpınar, A.H. (1997). Edebiyat Üzerine Makaleler, Dergâh Yayınları, İstanbul.

8. Sakallı, F. (2011). Tutunamayanların Hikâyeleri “Korkuyu Beklerken”, Turkish Studies - International Periodical for The Languages, Literature and History of Turkish or Turkic Volume 6/1 Winter 2011, p. 1713-1725, Turkey.
9. Kara, E. (2012). Korkuyu Beklerken ile Yuva Hikâyelerinde Mekanla İlişkisi Açısından Korku ve Paranoya, Uluslararası Sosyal Araştırmalar Dergisi The Journal of International Social Research Cilt: 5 Sayı: 21, Bahar Issn: 1307-9581. www.sosyalarastirmalar.com

References:

1. Buskivadze, M. (2022). Psevdoevropuli Diskursi da Depersonalizatsiis Sakitkhi Ahmed Hamdi Tanpinaris romanshi “Drois Maregulirebeli Instituti”. [Pseudo-European Discourse and the issue of Depersonalization in the novel of Ahmet Hamdi Tanpınar “The Time Regulation Institute”], Literary Researchers, Vol 42. p. 287-304, E-ISSN 2960-9968, literaryresearches.litinstituti.ge.
2. Bregadze, K. (2009). Hermenevtika da Tekstis Interpretatsia. [Hermeneutics and Interpretation of Fiction] Sjani Vol. 10, Annual Scientific Journal of Literary Theory and Comparative Literature , p.38-54, ISSN 1512-2514, Tbilisi.
3. Gadamer, H. G. (2015). Gagebis Tsrıs Shesakheb. [Hermeneutical Circle] In the Book: Chrestomathy of Theory of Literature III, p.115-126, GCLAPress, ISBN 978-9941-0-7785-2. Tbilisi.
4. Atay, O. (2020). Korkuyu Beklerken, [“Waiting for Fear”] İletişim Publishing, İstanbul.
5. Çağdaş Türk Romani (2019), Modern Turkish Novel, Anadolu University, Eskişehir, E-ISBN 978-975-06-3403-1
6. Ecevit, Y. (2014). Ben Buradayım, Oğuz Atay’ın Biyografik ve Kurmaca Dünyası, [I am Here, Oguz Atay’s Biography and Fiction World]. İletişim Publishing, İstanbul.
7. Tanpınar, A. H. (1997) Edebiyat Üzerine Makaleler, [Articles on Literature], İstanbul, Dergâh Publishing.
8. Sakallı, F. (2011). Tutunamayanların Hikayeleri “Korkuyu Beklerken”, [Stories About the Good for Nothing “Waiting For The Fear”]. Turkish Studies - International Periodical for The Languages, Literature and History of Turkish or Turkic Volume 6/1 Winter 2011, p. 1713-1725, Turkey.
9. Kara, E. (2012). Korkuyu Beklerken ile Yuva Hikâyelerinde Mekanla İlişkisi Açısından Korku ve Paranoya, [The Fear and the Paranoia in the Stories Korkuyu Beklerken And Nest in Terms of Relation With Place]. The Journal of International

3. Yabancı Dil Olarak Türkçe Öğretiminde Türkçe ve Kültür Öğretimi Açısından Dizi ve Filmler: Gürcistan Örneği

Yasemin ATAGÜL / იასემინ ათაგიული

Öğr. Görevlisi Dr., Sakarya Uygulamaları Bilimler Üniversitesi, Rektörlük Türk Dili Bölümü, Sakarya/ Türkiye/ იასემინ ათაგიული საქარიას გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი / Lecturer PhD., Yasemin Atagül Sakarya University of Applied Sciences/Rector's Office **DOI: 10.5281/zenodo.10462642E**

ORCID ID: 0000-0003-1490-9568

E-posta / ელ.ფოსტა / e-mail: yaseminatagul@subu.edu.tr

Serpil YAZICI ŞAHİN / სერპილ იაზიჯი შაჰინი

Dr. Öğr. Üyesi, Kocaeli Üniversitesi Fen Edebiyat Fakültesi Türk Dili ve Edebiyatı Bölümü, Kocaeli, Türkiye / დოქტორი კოჯაელის უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, თურქული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი, ქოჯაელი, თურქეთი / Dr. Kocaeli University, Faculty of Arts and Sciences, Department of Turkish Language and Literature, Kocaeli, Turkey

E-posta / ელ.ფოსტა / e-mail: serpil.yazici@kocaeli.edu.tr,

ORCID ID: 0000-0003-4667-9533.

Öz

Türkçe, yeryüzündeki altı bin dokuz yüz on iki dilin arasında en çok konuşulan beş dilden biridir. Son yıllarda, yabancı dil olarak Türkçe öğrenimine yoğun bir şekilde artan ilgi ve merak, şüphesiz ki sadece Türkiye ile sınırlı değildir. Bu ilgi ve merakı pekiştiren diğer önemli bir durum da Türk dizi ve filmlerinin ihraç edildiği ülke sayısının artmasıdır. Bu çalışmada, Gürcistan'da Türkçe öğrenen Gürcülerin, Türk dizi ve filmlerini izlemeleri sonucu Türkçe ve Türk kültürü hakkında bilgi ve farkındalıklarında meydana gelen değişimlerin saptanması ve Türk dizi ve filmlerinin Türk dilinin ve kültürünün öğretilmesine katkısının tespit edilmesi amaçlanmıştır. Bu çalışmada, nitel araştırma yöntemlerinden durum çalışması modeli kullanılmıştır. Gürcü öğrencilerin Türkçe ve Türk kültürüyle ilgili bilgi ve farkındalıklarının artmasında Türk dizi ve filmlerinin rolünün ortaya çıkarılması amaçlandığından veri toplama aracı olarak yarı yapılandırılmış görüşme formu kullanılmıştır. Veriler gönüllü katılımcılarla yüz yüze görüşülerek toplanmıştır. Yarı yapılandırılmış görüşme formu dağıtılmadan önce görüşmenin kayıt altına alınacağı katılımcılara bildirilmiş, görüşmeler kayıt cihazı ile kayıt altına alınmıştır. Araştırmamız sonucunda Gürcistan'da Türkçe öğretimi açısından Türk dizi ve filmlerinin etkisi ortaya

konulmuş, Türkçe dizi ve filmlerin ders materyali olarak kullanımı açısından önerilerde bulunulmuştur.

Anahtar Kelimeler: Yabancı dil olarak Türkçe Öğretimi, Türk filmleri, Türk dizileri, Gürcistan'da Türkçe Öğretimi

ფილმებისა და სერიალების როლი თურქული კულტურისა და თურქულის, როგორც უცხოური ენის სწავლებაში: საქართველოს მაგალითი

მოკლე შინაარსი

თურქული ენა, მსოფლიოს ექვსი ათას ცხრაას თორმეტ ენას შორის, ყველაზე გავრცელებული 5 ენიდან ერთ-ერთია. თურქულის, როგორც უცხო ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება. ექვგარეშეა, რომ ენის შესწავლისადმი ინტერესი და ენათუზიაზმი სცდება თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებს, რაშიც მნიშვნელოვან როლს იმ ქვეყნების რაოდენობა თამაშობს, სადაც თურქული სერიალებისა და ფილმების ექსპორტი ხორციელდება. სტატიის მიზანია დაადგინოს, თუ რა გავლენას ახდენს თურქული სერიალები და ფილმები სწავლების პროცესზე და რა როლს თამაშობს ენის შესწავლით დაინტერესებული ქართველი მსმენელების თურქული კულტურისადმი ცნობადობის ამაღლებაში. მეთოდოლოგიურ ბაზად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი „შემთხვევის შესწავლა“, მონაცემების შეგროვებისას ვებლმძვანელობით ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ტექნიკით. მონაცემები შეგროვდა მოხალისეებთან პირისპირ ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით. რესპონდენტებს თავიდანვე ეცნობათ, რომ ინტერვიუ იწერებოდა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში თურქული ენის შესწავლის პროცესზე თურქული სერიალები და ფილმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. გაიცა რეკომენდაცია, რომ ეს უკანასკნელი გამოყენებული იქნას როგორც სასწავლო მასალა.

საკვანძო სიტყვები: თურქული, როგორც უცხოური ენა; თურქული ფილმები და სერიალები; საქართველოში თურქული ენის სწავლება.

TV Series and Films in Teaching Turkish as a Foreign Language, in Terms of Turkish Language and Culture: The Case of Georgia

Abstract

Turkish stands out as one of the five most spoken languages among a total of six thousand nine hundred and twelve languages spoken in the world. The intense interest and enthusiasm in learning Turkish as a foreign language in recent years are undoubtedly not limited to Turkey. An important factor that reinforces this interest and enthusiasm is the increasing number of countries where Turkish TV series and movies are exported. The study aims to determine the changes in the knowledge and awareness of Georgians learning Turkish in Georgia as a result of watching Turkish TV series and movies and to specify the contribution of Turkish TV series and movies to teach the Turkish language and culture. In the conclusion of the study, it has been discussed how and at what level Turkish TV series and movies contribute to Turkish

learning. The case study model, one of the qualitative research methods, was used in this study. A semi-structured interview form was used as a data collection tool since it aimed to reveal the role of Turkish TV series and films in increasing the knowledge and awareness of Georgian learners about the Turkish language and Turkish culture. Data were collected through face-to-face interviews with volunteer participants. The participants were informed that the interview would be recorded before the semi-structured interview form was handed out, and the interviews were recorded with a tape recorder. We concluded that Turkish TV series and movies have an impact on Turkish language teaching in Georgia. In this context, we provided recommendations regarding the use of Turkish TV series and movies as course materials.

Keywords: Teaching Turkish as a Foreign Language, Turkish Movies, Turkish TV Series, Teaching Turkish in Georgia.

1. Giriş

1.1. Türk-Gürcü İlişkileri ve Türkçe

Türkiye ile Gürcistan arasında asırlardır devam eden komşuluk ilişkisi, halkların tarihinde, kültüründe ve dilinde önemli izler bırakmıştır. İki ülke arasındaki coğrafi yakınlık ve tarihî ilişkiler karşılıklı etkileşime uygun bir ortam hazırlamış, komşu iki halkın günlük yaşamları bu ortak zemin üzerinde gelişmiştir. Gürcistan, coğrafyası ve jeopolitik konumuyla, birçok halkın birlikte yaşadığı bir kavşak noktasıdır; ayrıca Türkler için en uğrak göç yollarından biridir. Kafkasya'ya farklı boylarla farklı zamanlarda göçen Türk boyları (Tunç, 2015) ile Gürcü halklarının yolları birçok defa kesişmiştir. Türklerle Gürcülerin ilişkilerinin başlangıcını milattan önceye kadar götürmek mümkündür. Henüz birinci yüzyıldan itibaren Türkçe konuşan halkların Kafkasya'da görülmeye başladığı bilinmektedir. Türklerin Gürcülerle ilk kez tam olarak ne zaman temas ettiği konusunda araştırmacıların çeşitli yaklaşımları mevcuttur. Bu yaklaşımların ortak yönü Türk-Gürcü ilişkilerinin çok eskiye dayanmasıdır (Alasania, 2013; Tellioglu, 2004). Gürcistan topraklarında varlığını sürdüren Türk halkları, bu kadim ilişkileri her iki yönde beslemiş; Gürcistan'da Türkçe konuşulma tarihini de doğrudan etkilemiştir. Türkçe 1937'den itibaren, Tiflis Türkoloji kürsüsü kurulana değin, Gürcistan Üniversitesi'nin Filoloji Fakültesi'nde yardımcı ders olarak okutulmuştur. Prof. Dr. Sergi Cikia (1898-1993), İstanbul Üniversitesi ve St. Petersburg Devlet Üniversitesi'nde öğrenim görmüş, Türkiye Türkolojisi ve Sovyet Türkoloji ekolünü harmanlayarak Gürcistan Türkolojisini kurmuştur (Duduçava, 2014). Cikia'ya göre Türk dilli halkların dili ve edebiyatı, tarihi ve etnografyasını sistematik şekilde araştırma, 1945'te Tiflis Üniversitesi'nde Şarkiyat Fakültesi açıldıktan ve Türkoloji kürsüsü, Şarkiyat kürsüsünden ayrıldıktan sonra, özellikle 1948'de Gürcistan SSC İlimler Akademisi'nde Türkoloji Bölümü'nü de içeren Şarkiyat Araştırmaları Enstitüsü kurulduktan sonra başlamıştır (Abdiyeva, 2004). Türkoloji bölümünün kurulmasıyla Gürcistan'da Türkçe öğretimi bir disiplin haline gelmiştir. SSCB'nin dağılmasından sonra 28 Haziran 1991 yılında Gürcistan'ın yeniden bağımsız bir ülke olmasıyla (Gladman, 2004) Türkiye, 16 Aralık

1991 tarihinde bağımsız bir devlet olarak tanıdığı Gürcistan'la diplomatik ilişki kuran ilk ülkeler arasında yer almıştır. *Diplomatik İlişkilerin Tesisine İlişkin Protokol* ise 21 Mayıs 1992 tarihinde imzalanmış, iki ülkeye büyükelçilikler açılmıştır. Türkiye'nin Batum'da, Gürcistan'ın ise İstanbul ve Trabzon'da başkonsoloslukları bulunmaktadır (T.C. Dışişleri Bakanlığı, 2020). Büyükelçiliklerin ve ülke temsilciliklerinin açılması ve karşılıklı sağlanan vize kolaylıkları iki ülke arasındaki diplomatik, ekonomik ve eğitim ilişkilerini sağlamlaştırmıştır. Türkiye'deki Gürcü kökenli Türkler ile Gürcistan'daki Türk kökenli Gürcülerin varlığı bu ilişkiyi kültürel etkileşim boyutuna taşımış, böylece Gürcistan'daki Türkçe öğretimi faaliyetleri hız kazanmıştır. Gürcistan'ın Türkiye'ye sadece jeopolitik konumla sınırlı kalmayan kültürel yakınlığı, Türkiye'nin dost ve Kafkaslardaki stratejik ortağı olması, yurtiçi ve yurtdışı iş ve eğitim imkanları sunması sebebiyle Gürcistan Türkçeye yoğun ilgi gösterilen ülkelerden biri olmuştur. Gürcistan aynı zamanda Türkçe öğrenimi pratikleri açısından ilk on beş ülke arasında yer alır (Bulut, 2022).

Günümüzde T.C. Tiflis Büyükelçiliği Eğitim Müşavirliği kayıtlarına göre, Gürcistan'daki sekiz üniversitede Türkoloji kürsüleri veya Doğu Dilleri adı altında Türk dili bölümleri bulunmaktadır. Bunlardan beşi Tiflis'te, diğerleri Kutaisi, Ahıska ve Batum'dadır. Ayrıca Tiflis'te, ortaöğretim düzeyindeki yedi devlet okulunda Türkçe seçmeli dil dersi ya da okulların Türkçe kulüp faaliyeti adı altında öğretilmektedir¹. T.C. Tiflis Büyükelçiliği Eğitim Müşavirliği'ne bağlı iki Türkçe dil kursunun yanı sıra T.C. Milli Eğitim Bakanlığı'na bağlı Batum Türk Okulu, Yunus Emre Enstitüsü, Maarif Okulları'nda da Türkçe öğretim hizmeti verilmektedir. Ayrıca Yurtdışı Türkler ve Akraba Topluluklar Başkanlığı'nın (YTB) öğrencilere sağladığı Türkiye bursları ile Türk İş birliği ve Koordinasyon Ajansı Başkanlığı'nın (TİKA) Türkçe eğitimi/öğretimi faaliyetlerine yaptığı maddi destekler de sürece katkı sunmaktadır. Türkçe öğretim faaliyetlerinin pek çok ülkede artması Türkçeye, dolayısıyla da Türkiye'ye ve kültürüne olan ilgiyi tetiklemiştir. Dizi ihracatında ABD'den sonra ikinci sırada gösterilen Türkiye'nin (Anadolu Ajansı, 2019) ürettiği film ve dizilerinin Çin'den Amerika'ya kadar yüzlerce ülkeye ulaşması bu ilgiyi daha da artırmıştır. Uçak'a göre (Uçak, 2021), dünyadaki bu ilgiye paralel olarak, Gürcistan'da Türk dizileri vasıtasıyla Türkiye'ye ve Türkçeye ilgi artmakta, formal ve informal eğitim kurumları vasıtasıyla Türkçe öğretimi yaygınlık kazanmaktadır.

Araştırmalara göre yabancı dil öğreniminde dizi ve filmler öğrencilerin dinleme, anlama ve anlamlandırma becerilerini geliştirmekte ve motivasyonlarını artırmaktadır. Hedef dilin günlük konuşmalarda kullanılan kalıp ifadeleri, dizi ve filmler sayesinde öğrencilerin belleğine görselliği ile yerleşmekte, diyaloglarla pekiştirilmektedir. (Istanto, 2009; İşcan ve Aktürk, 2014). Türkiye'ye gelme imkânı

¹ T.C. Tiflis Büyükelçiliği Eğitim Müşavirliği kayıtları. 25.04.2022.

bulamayan öğrencilerin kolaylıkla doğal yaşam ortamına ulaşmalarını sağlamak açısından da önemlidir. Türk kültürünün, tarihinin, gelenek-göreneklerinin yansıtıldığı Türk dizi ve filmlerinin yabancı dil olarak Türkçe öğrencileri için önemli destekleyici unsurlar arasında yer aldığı kabul edilen bir gerçektir. Türk dizi ve filmlerinin yardımcı ve destekleyici unsur olduğu gerçeğinden hareketle bu araştırmada, Gürcistan'da Türk dizi ve filmlerinin yabancı dil olarak Türkçe öğretimine etkisi incelenmiştir.

1.2. Araştırmanın Amacı

Gürcistan'da Türkçe öğrenen Gürcülerin, Türk dizi ve filmlerini izlemeleri sonucu Türkçe ve Türk kültürü hakkında bilgi ve farkındalıklarında meydana gelen değişimlerin saptanması ve yumuşak güç olan Türk dizi ve filmlerinin Türk dilinin ve kültürünün öğretilmesine katkısının tespit edilmesi amaçlanmıştır. Bu amaç doğrultusunda şu soruların cevapları aranmıştır:

1. Gürcistan'da katılımcıların en çok izledikleri dizi ve filmler nelerdir?
2. Katılımcıların Türk dizi ya da filmlerini izleme süreleri ve seyretme amaçları nelerdir?
3. Türk dizi ve filmlerini izleyerek öğrendikleri yeni kelimeler, atasözleri, deyim ya da kalıp ifadeler nelerdir?
4. Türk dizi ve filmlerini izleyerek Türk kültürüne dair edindikleri bilgiler nelerdir?
5. Türk dizi ve filmlerini izlerken farkına vardıkları ortaklıklar ve benzerlikler nelerdir?

2. Yöntem

2.1. Araştırma Modeli

Bu araştırmada, var olan durumun saptanması amaçladığından “gözlem, görüşme ve doküman analizi gibi nitel veri toplama tekniklerinin kullanıldığı, algıların ve olayların doğal ortamda gerçekçi ve bütüncül bir biçimde ortaya konmasına yönelik nitel bir sürecin izlendiği araştırma (Yıldırım ve Şimşek, 2008) türü olan nitel araştırma yöntemlerinden durum çalışması modeli kullanılmıştır. Durum çalışması, sınırlı bir sistemin derinlemesine betimlenmesi ve incelenmesidir (Merriam, 2013).

2.2. Çalışma Grubu

Araştırmanın evrenini 2019 yılında Gürcistan'da yabancı dil olarak Türkçe öğrenen Gürcü öğrenciler oluşturmaktadır. Araştırmanın örneklemini T.C. Tiflis Büyükelçiliği Türkçe kursu öğrencileri, İlia Devlet Üniversitesi, Gürcistan Üniversitesi, İv. Javakhishvili Tiflis Devlet Üniversitesi, Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi ve Batum Shota Rustaveli Devlet Üniversitelerinde Türkçe öğrenmeye

devam eden ve en az A2 düzeyinde Türkçe yeterliliğine sahip olan 41 gönüllü öğrenci oluşturmaktadır.

Tablo 1. Katılımcıların Tanımlayıcı Özellikleri

Tablolar	Gruplar	Frekans (n)	Yüzde (%)
Cinsiyet	Erkek	6	14,6
	Kadın	35	85,4
	Toplam	41	100,0
Yaş	18-25	28	68,2
	26-33	5	12,2
	34-41	4	9,8
	41 yaş ve üzeri	4	9,8
	Toplam	41	100,0
Eğitim Durumu	Lisans	37	90,2
	Yüksek Lisans	2	4,9
	Doktora	2	4,9
	Toplam	41	100,0
Türkçe Seviyesi	A2	4	9,8
	B1	14	34,1
	B2	13	31,7
	C1	10	24,4
	Toplam	41	100,0

Tablo 1'e bakıldığında, katılımcıların %85,4'ünün kadın, %14,6'sının erkeklerden oluştuğu görülmektedir. Yaş değişkenine göre katılımcıların %68,2'sini 18-25 yaş arası, %12,2'sini 26-33 yaş arası, %9,8'ini 34-41 yaş arası, %9,8'ini 41 yaş ve üzeri katılımcılar oluşturmaktadır. Eğitim durumlarına bakıldığında, halen lisans düzeyinde öğrenim gören veya lisans mezunu olan katılımcıların oranı %90,2'dir. Bunun yanı sıra %4,9 oranında yüksek lisans ve yine %4,9 oranında doktora

düzeyinde öğrencinin katılım sağladığı görülmektedir. Türkçe düzeylerine bakıldığında, A2 düzeyindeki katılımcıların oranı sadece %9,8'dir. Katılımcıların %34,1'i B1 düzeyinde, %31,7'si B2 düzeyinde ve %24,4'ü C1 düzeyindedir.

2.3. Veri Toplama Aracı

Bu araştırmada, Gürcü öğrencilerin Türkçe ve Türk kültürüyle ilgili bilgi ve farkındalıklarının artmasında Türk dizi ve filmlerinin rolünün ortaya çıkarılması amaçlandığından veri toplama aracı olarak yarı yapılandırılmış görüşme formu kullanılmıştır. Yarı yapılandırılmış görüşme formu araştırmacının önceden sormayı planladığı soruları içeren protokoldür. Araştırmacı görüşmenin akışına bağlı olarak değişik yan ya da alt sorularla görüşmenin akışını etkileyebilir ve kişinin yanıtlarını açmasını ve detaylandırmasını sağlayabilir (Türnüklü, 2000). Veriler gönüllü katılımcılarla yüz yüze görüşülerek toplanmıştır. Yarı yapılandırılmış görüşme formu dağıtılmadan önce görüşmenin kayıt altına alınacağı katılımcılara bildirilmiş, görüşmeler kayıt cihazı ile kayıt altına alınmıştır.

3. Bulgular

Çalışmanın bu bölümünde elde edilen verilerden yola çıkılarak araştırma bulguları sıralanmıştır.

Tablo 2. Katılımcıların İzledikleri Dizi ve Filmler

Dizi-Film İsmi	Frekans (n)	Yüzde (%)	Dizi-Film İsmi	Frekans (n)	Yüzde (%)
Çukur	11	26,8	Ayla	1	2,4
Erkenci Kuş	10	24,3	Beni Affet	1	2,4
Hercai	8	19,5	Beni Bırakma	1	2,4
Muhteşem Yüzyıl	7	17	Benim Adım Melek	1	2,4
Kıralık Aşk	6	14,6	Binbir Gece	1	2,4
Mucize Doktor	5	12,2	Bir Aile Hikayesi	1	2,4
Kadın	4	9,7	Bir Zamanlar Çukurova	1	2,4
Anne	3	7,3	Bizans Oyunları	1	2,4
Çocuk	3	7,3	Bizim Hikâye	1	2,4

Gürcü Türkolojisi Araştırmaları I

İçerde	3	7,3	Çanakale 1915	1	2,4
İlişki Durumu Karışık	3	7,3	Diriliş	1	2,4
Kösem Sultan	3	7,3	Elimi Bırakma	1	2,4
Medcezir	3	7,3	Eşkya Dünyaya Hükümdar Olmaz	1	2,4
Muhafız	3	7,3	Evim Sensin	1	2,4
Sefirin Kızı	3	7,3	Fatmagül'ün Suçu Ne?	1	2,4
Sen Anlat Karadeniz	3	7,3	Gecenin Kraliçesi	1	2,4
Söz	3	7,3	Güneşin Kızları	1	2,4
Afili Aşk	2	4,8	Hadi be Oğlum	1	2,4
Aşk Ağlatır	2	4,8	Issız Adam	1	2,4
Aşk Laftan Anlamaz	2	4,8	İnadına Aşk	1	2,4
Aşk ve Ceza	2	4,8	Kaçak Gelinler	1	2,4
Babam ve Oğlum	2	4,8	Kalp Atışı	1	2,4
Çarpışma	2	4,8	Kardeşim Benim	1	2,4
Çilek Kokusu	2	4,8	Kırgın Çiçekler	1	2,4
Güneşi Beklerken	2	4,8	Kızım	1	2,4
Hababam Sınıfı	2	4,8	Kuzey Güney	1	2,4
Her Yerde Sen	2	4,8	Kuzgun	1	2,4
İstanbul Gelin	2	4,8	Merhamet	1	2,4
Kara Sevda	2	4,8	O Hayat Benim	1	2,4
Karagül	2	4,8	Seni Seviyorum Adamım	1	2,4

Kardeş Çocukları	2	4,8	Sonsuz Aşk	1	2,4
Kimse Bilmez	2	4,8	Suskunlar	1	2,4
Paramparça	2	4,8	Şefkat Tepe	1	2,4
Ufak Tefek Cinayetler	2	4,8	Üç Kağıtçı	1	2,4
Ağlama Anne	1	2,4	Vatanım Sensin	1	2,4
Arkadaşlar İyidir	1	2,4	Yasak Elma	1	2,4
Aşkı Memnu	1	2,4	Yemin	1	2,4
Atiye	1	2,4	Yeni Gelin	1	2,4

Tablo 2 incelendiğinde, en çok izlenen dizi ve filmlerin sırasıyla Çukur (%26,8), Erkenci Kuş (%24,3), Hercai (%19,5), Muhteşem Yüzyıl (%17), Kırallık Aşk (%14,6), Mucize Doktor (%12,2) ve Kadın (%9,7) olduğu görülmektedir.

Tablo 3. Katılımcıların Türk Dizi ve Filmlerini İzleme Süreleri

	Frekans (n)	Yüzde (%)
0-12 ay	3	7,3
1+ yıl	8	19,5
2+ yıl	30	73,2
Toplam	41	100

Tablo 3 incelendiğinde, Gürcü öğrencilerin büyük çoğunluğunun (%73,2) iki yıldan uzun bir süredir Türk dizi ya da filmlerini izledikleri görülmektedir. Türk dizi ve filmlerini bir yıldan uzun süredir izleyenlerin oranı %19,5, bir yıldan az süredir izleyenlerin oranı ise %7,3'tür.

Tablo 4. Altyazı Kullanım Durumu

	Frekans (n)	Yüzde (%)
Evet	17	41,5
Hayır	24	58,5

Toplam	41	100
Türkçe	12	70,5
Gürcüce	3	17,6
Rusça	2	11,7
Toplam	17	100

Tablo 4 incelendiğinde katılımcıların yarısından biraz fazlasına karşılık gelen %58,5'inin altyazı kullanmadığı, %41,5'inin ise altyazı kullandığı görülmüştür. Altyazı kullananların %70,5'i Türkçe, %17,6'sı Gürcüce, %11,7'si ise Rusça altyazı kullandıklarını belirtmişlerdir.

Tablo 5. Katılımcıların Türk Dizi ya da Filmlerini Seyretme Amaçları

	Frekans (n)	Yüzde (%)
Türkçeyi geliştirmek	36	87,8
Türk dizilerine karşı ilgi, sevgi ve merak duymak	17	41,4
Türk kültürü, yaşayışı hakkında bilgi sahibi olmak	10	24,3

Tablo 5 incelendiğinde, katılımcıların büyük çoğunluğu (%87,8) Türkçelerini geliştirmek amacıyla Türk dizi ve filmlerini izlediklerini ifade etmişlerdir. Katılımcıların %41,4'ü Türk dizi ve filmlerine karşı ilgi ve sevgileri olduğu için, %24,3'ü de Türk kültürü ve yaşayışı hakkında bilgi alabildikleri için Türk dizi ve filmlerini izlediklerini belirtmişlerdir.

Tablo 6. Türkçenizin Hangi Yönden Gelişim Sağladığını Düşünüyorsunuz?

	Frekans (n)	Yüzde (%)
Dinleme	29	70,7
Konuşma	21	51,2
Kelime Öğrenimi	20	48,8

Tablo 6 incelendiğinde Türk dizi ve filmlerini izleyen katılımcıların büyük çoğunluğu (%70,7) dinleme becerilerinin geliştiğini belirtmişlerdir. Dinleme becerisini sırasıyla konuşma (%51,2), kelime öğrenimi (%48,8) ve gramer bilgisi (%9,8) kazanımları izlemektedir. Dizi ve filmler, öğrencilerin öğrendikleri dilin pratiğini yapma imkanına sahip olmadıklarında hatırlatıcı vazifesi görmektedir. Bunun yanı sıra kelimelerin, deyimlerin, kalıp ifadelerin hatta atasözleri, özlü sözlerin dizi ve filmlerde bağlam içinde gösterilmesiyle öğrenilmesinin kolaylaştığı görülmektedir. Katılımcıların bazılarının bu konuyla ilgili cevapları şu şekildedir:

Türkçeyi Geliştirmek:

K1: “Türk dizilerini izliyorum çünkü Türkçemi daha da geliştirmek istiyorum. Örneğin, kitaplardan bir sürü söz öğreniyoruz ama onu nerede, nasıl kullanacağımızı bilmiyoruz. Dizilerde canlı canlı gördüğümüzde hangi durumda ne söyleceğini kolay anlıyoruz.”

K16: “Türkçeyi unutmamak için, bunun dışında etrafımda Türkler yok. Aynı zamanda yeni kelimeler, kalıp sözler öğreniyorum.”

K23: “Ne zaman Türk dizileri izliyorum, Türkçe daha iyi düşünüyorum, kelimeler öğreniyorum, kulağım Türkçe sözleri tanıyor.”

K28: “Çünkü ben Türkçe konuşmak iyi öğrenmek istiyorum bunun için seyreliyorum.”

K34: “İzliyorum çünkü benim için konuşma ve dinleme yeteneğim çok gelişti, ondan sonra daha iyi anlıyorum Türkçeyi, her şeyi anlıyorum. Benim yeteneğim Türk dili hakkında çok gelişti.”

Türk Dizilerine İlgi, Sevgi ve Merak Duymak:

1. Ekici, M. (2019). Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası-Soylamalar ve 13. Boy- Salur Kazan'ın Yedi Başlı Ejderhayı Öldürmesi, Ötüken Neşriyat, İstanbul- Haziran
2. Gökyay, O. Ş. (1973). Dedem Korkud'un Kitabı, Milli Eğitim Basımevi, I. Baskı, İstanbul
3. Ekici M. (2019). 13. Dede Korkut Destanı, “Salur Kazan'ın Yedi Başlı Ejderhayı Öldürmesi” Boyunu Beyan Eder Hanım Hey!, Millî Folklor, 2019, Yıl 31, Sayı 122, www.millifolklor.com
4. Sepetçioğlu, M. (1998). Dedem Korkut'un Kitabı.
5. ჩლაიძე, ლ. (2004). ვინ შეიძლება იყოს „ქორქუტის წიგნის“ შუქლი მეფე. მნათობი.
6. Özel H. (2015). Dede Korkut Destanlarında Oğuzların Düşmanları Kimlerdi? Türk Dünyası İncelemeleri Dergisi/Journal of Turkish World Studies.
7. Veren, E. (2017). Dede Korkut Kitabını Nasıl Anlamalı? Hacettepe Üniversitesi Türk Halkbilimi Bölümü Yayınları.

5. სამეტყველო კოდთა შერევით გამოწვეული სემანტიკური თავისებურებანი ქართული ენის სამხრულ კილოებში III

გიგა ქამუშაძე / Giga KAMUSHADZE

Doç. Dr., Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi / ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი / Akaki Tsereteli State University. DOI: 10.5281/zenodo.10462663

E-posta / ელ.ფოსტა / e-mail: giga.kamushadze@gmail.com

ORCID ID: 0009-0008-1857-2986

მოკლე შინაარსი

აღნიშნულ სტატიაში მიმოვიხილავთ მძიმე ისტორიული წარსულის გამო თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებებს. საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების მიუხედავად, ქართული ენა მყარი, დაურღვეველი ორგანიზმი აღმოჩნდა, რომლის მოშლა და დარღვევა აქ ვერც მწვავე პოლიტიკურმა ვითარებამ და ვერც დრომ მოახერხა, რადგანაც ეს იყო ეთნიკურ ქართველთა ერთობისა და კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელი. ნაშრომს მიზნად დავუსახეთ, განვიხილოთ მუჰაჯირთა მეტყველების მაგალითზე ქართული და თურქული ენების ინტერფერაციის შედეგად და თურქული ენის გავლენით საერთოქართველური ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ცვლილებების შედეგები. მასალაზე მუშაობის დროს ვაფიქსირებდით ქართველური ენობრივი სამყაროსათვის უჩვეულო ფორმებს, კონტექსტებსა თუ მნიშვნელობებს. აღმოჩნდა, რომ მუჰაჯირთა მეტყველებისათვის ესოდენ დამახასიათებელი და ქართული სალიტერატურო ენისა თუ სხვა დიალექტებისათვის უჩვეულო კონტექსტები თუ მნიშვნელობები სწორედ, რომ თურქული ენის პირდაპირი ზეგავლენის შედეგია. საილუსტრაციოდ განვიხილავთ როგორც ზმნურ, ასევე სახელურ ფუძეებს. **გარიგება, რენგში შესვლა, დაკავება, ჩამოკიდება, დაბეჭდვა** და მისთ. კვლევამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, ზმნური თუ სახელური ფუძეების მაგალითზე, დაგვედგინა, რომ მათი სემანტიკური განსხვავებულობა-თავისებურება სწორედ სამეტყველო კოდების შერევის შედეგად არის გამოწვეული; ემპირიულ და სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით გაგვეანალიზებინა მოპოვებული მასალის სემანტიკა და ფორმა; გამოგვეჩვენა მათ შორის მიმართებები. საბოლოოდ კი, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე გავაკეთეთ შესაბამისი დასკვნები. ამ ფორმათა საფუძველი კი მუჰაჯირ ქართველთა სრული ბილინგვიზმია.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირი ქართველები; სემანტიკური ცვლილებები; ბილინგვიზმი; დიალექტი; ქვესისტემა

Gürcücenin Güney Lehçelerindeki Konuşma Kodlarının Karıştırılmasından Kaynaklanan Anlamsal Özellikler

Öz

Bu makalede, zorlu tarihî geçmiş nedeniyle Türkiye Cumhuriyeti'nde yaşayan etnik Gürcü nüfusun konuşma dili üzerinde durulmuştur. Yüzyıllardır devam eden çeşitli süreçlere rağmen Gürcü dili, etnik Gürcüler için birliğin ve kültürel devamlılığın belirleyicisi olduğundan ne kronik politik durumun ne de zamanın bozmayı başaramadığı sağlam, yıkılmaz bir organizma olmuştur. Makalede amaç; Gürcüce ve Türkçenin etkileşimi, Türkçenin etkisiyle Gürcüce sözcük birimlerinde meydana gelen anlam değişikliklerinin doğal sonucunu muhacirlerin konuşma dili örneği üzerinden somut değerlendirmelerde bulunmaktır. Materyal üzerinde çalışırken Gürcü dili dünyası için alışılmadık biçimler, bağlamlar ve anlamlar kayda geçirilmiştir. Muhacirlerin konuşmalarında tipik bazı kullanımların Gürcü edebi dili veya diğer lehçeler için alışılmadık bağlam ve anlamların, Türk dilinin doğrudan etkisiyle meydana geldiği fark edilmiştir. Örnek olarak hem fiil hem de isim kökleri ele alınmıştır: dağıtmak, yüzüğe girmek, tutmak, asmak, baskı yapmak vb. Araştırma, fiil veya kökteş kökler örneğinde bunların anlamsal farklılığının nedenin konuşma dilinde özgül kodlarının karıştırılmasından kaynaklandığını belirlememize olanak sağlamıştır. Ampirik ve bilimsel materyale dayanarak elde edilen materyalin anlam ve biçimi analiz edilmiş; aralarındaki ilişkiler irdelenmiştir. Nihayetle, elde edilen bulguların yorumlanmasına dayanarak uygun sonuçlara varılmıştır. Bu formların temeli, Gürcü göçmenlerin tam anlamıyla iki dilli olmasına dayanmaktadır.

Anahtar Kelimeler: göçmen Gürcüler, anlamsal değişiklikler, iki dillilik, lehçe, alt sistem.

Semantic Peculiarities Caused by Mixing of Speech Codes in The Southern Dialects of The Georgian Language III

Abstract

In this article, we review the peculiarities of the speech of the ethnically Georgian population living in the Republic of Turkey due to the difficult historical past. Despite a number of processes that have been going on for centuries, the Georgian language turned out to be a solid, indestructible organism, which neither the acute political situation nor time managed to break and disrupt here, because it was the determinant of the unity and cultural continuity of ethnic Georgians. The aim of the paper is to consider the results of the semantic changes of Georgian lexical units as a result of the interference of the Georgian and Turkish languages and the influence of the Turkish language on the example of the speech of the Muhajirs. While working on the material, we recorded unusual forms, contexts and meanings for the Georgian language world. It turned out that the contexts and meanings that are so typical for the speech of the Muhajirs and unusual for the Georgian literary language or other dialects are the result of the direct influence of the Turkish language. As an illustration, we will consider both verb and noun stems. Dealing, entering the ring, holding, hanging, printing, etc. The research gave us the opportunity to determine, on the example of verb or handle stems, that their semantic difference-specificity is caused by the mixing of speech codes; Based on empirical and scientific material, we analyzed the semantics and form of the obtained material; We will find out the relations between them. Finally, based on the

interpretation of the obtained results, we made appropriate conclusions. The basis of these forms is the complete bilingualism of Georgian emigrants.

Keywords: emigrant Georgians; semantic changes; bilingualism; dialect; subsystem.

მძიმე ისტორიული წარსულის გამო, ქართველები, როგორც ცნობილია, დიდი რაოდენობით ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკაში, აზერბაიჯანსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

ძალზე არსებითი და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქეთში მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა.

თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკურ ქართველთა ერთი დიდი ნაწილის ცხოვრება გვიან შუა საუკუნეებსა და მთელ შემდგომ პერიოდში საქართველოს ისტორიულ მხარეებში (რომლებიც დღეს უკვე თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია) მიმდინარე მთელ რიგ მძიმე ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება, ხოლო მეორე დიდი ნაწილისა კი მუჰაჯირობის უმძიმეს და ტრაგიკულ ისტორიას. საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების მიუხედავად, ქართული ენა მყარი, დაურღვეველი ორგანიზმი აღმოჩნდა, რომლის მოშლა და დარღვევა აქ ვერც მწვავე პოლიტიკურმა ვითარებამ და ვერც დრომ მოახერხა, რადგანაც ეს იყო ეთნიკურ ქართველთა ერთობისა და კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელი. თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ქართული ენა საუკუნეებს გამოატარეს და დღემდე შემოგვინახეს, როგორც ეთნოკულტურული ინფორმაციის უნიკალური წყარო (ლუტიძე:2016:11).

გადასახლებულთა ზუსტი რიცხვი დღემდე უცნობია. ზ.ჭიჭინაძე გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ თავის ნაშრომში – „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში“ – არ ეთანხმება ბათუმის მუფთის ჰასან ეფენდი გვერდამის მონაცემებს, რომლის მიხედვით თითქოსდა საქართველოდან 150 000 ქართველის გადასახლეს. იგი ამ რიცხვს გაზვიადებულად მიიჩნევს (ჭიჭინაძე, 1913:147).

მიუხედავად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისტორიული სამშობლოსგან იძულებითი მოწყვეტისა, "ჩვენებურებმა" არ დაივიწყეს მშობლიური ენა, ადათ-წესები და ტრადიციები. სწორედ, ამის შედეგს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათ ცნობიერებაში თანდათანობით იღვიძებს და ახალი ძალით ვლინდება ინტერესი მათი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა. გახსნილი საზღვრები მათ ახლობლების ნახვისა და მშობლიური ცის ხილვის შეუზღუდველ შესაძლებლობას აძლევს.

საუკუნეების მანძილზე სამწიგნობრო ქართულს დაშორებულ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველება საინტერესოა, როგორც საკუთრივ გრამატიკული, ასევე

ლექსიკური თვალსაზრისითაც. თურქული ენის გავლენა ჩანს როგორც ლექსიკაში, ისე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში.

ნაშრომში განვიხილავთ მუჰაჯირთა მეტყველების მაგალითზე ქართული და თურქული ენების ინტერფერენციის შედეგად და თურქული ენის გავლენით საერთოქართველური ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ცვლილებების შედეგებს.

ქართული ენის სამხრული კილოების შესწავლა ძალზე საინტერესო სურათს ხატავს სწორედ სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით.

თურქულ ენობრივ სამყაროსთან ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგად, დღეს თითქმის ყველა მუჰაჯირი (ზოგიერთი ღრმად მოხუცის გარდა) ფლობს სახელმწიფო ენას - თურქულს. სწავლა-განათლება, ბუნებრივია, თურქულ ენაზე; ასევე, საკმაოდ ხშირად იყენებენ მას ოჯახებში თუ ჩვეულებრივი ყოფითი ურთიერთობების დროს. მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაში კოდ-სვიჩინგის (ინგლ. Switshing „გადართვა“) ხუთივე ძირითადი ქვეტიპია წარმოდგენილი. რამდენადაც ცნობილია, კოდ-სვიჩინგი სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ სრული ბილინგვიზმის ან დიგლოსიის შემთხვევაში. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილეთ კალკურ გადართვაზე (Calgue Switshing) რომელიც გულისხმობს – A ენაში/დიალექტში, B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების სპონტანურად წარმოქმნას (ლაზაძე, 2010:114).

მასალაზე მუშაობის დროს ვაფიქსირებდით ქართველური ენობრივი სამყაროსათვის უჩვეულო ფორმებს, კონტექსტებსა თუ მნიშვნელობებს. აღმოჩნდა, რომ მუჰაჯირთა მეტყველებისათვის ესოდენ დამახასიათებელი და ქართული სალიტერატურო ენისა თუ სხვა დიალექტებისათვის უჩვეულო კონტექსტები თუ მნიშვნელობები, სწორედ, რომ თურქული ენის პირდაპირი ზეგავლენის შედეგია.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ როგორც ზმნური, ასევე სახელური ფუძეები.

გარიგება - ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენებურთა მეტყველებაში, სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსად, არის გაცნობა, გარიგება: *წინწინ გარიგება იყო, ახლა აღარ არი, გენჯები თვითონ ეცნობიან ერთმანეთს და გარიგდებიენ (ინეგ.)*

იგივე ზმნა სამხრულ კილოებში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტებშიც: *იმას ცულის პირითა შუაზედ გავარიგებ (ინეგ); ბზე გარიგდება კაკლიდან, ბზის ზვინი დადგება ცალკე, პურის დადგება ცალკეთ (მაჭახ.)*

მოცემულ მაგალითებში **გარიგება** ფორმა გამოიყენება ა) ხის შუაზე დაჭრა-გაპობის, განაწილების; ბ) ბზის კაკლიდან გარჩევა-გაცალკეების მნიშვნელობით.

ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის სამხრულ კილოებში რისიმე შუაზე გაყოფის, გარჩევა-გაცალკევების მნიშვნელობით **გარიგება** ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ზმნისა **ayırmak**. რომელსაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად, სწორედ, რომ უფიქსირდება, **გარჩევა, დაჭრა, გაპობა** მნიშვნელობები. მაგ. Elmayı dörde ayırmak - ვაშლის ოთხად გაჭრა.

რენგში შესვლა - ფორმა ქართული ენის სამხრულ კილოებში აღმოვაჩინეთ **ვისიმე დაბნევის, სირცხვილისაგან ფერის შეცვლის** მნიშვნელობით: დიმიანხა და რენგში შევიდა (მურდ.).

ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ფორმა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის სამხრულ კილოებში ვისიმე დაბნევის, სირცხვილისაგან ფერის შეცვლის მნიშვნელობით **რენგში შესვლა** ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ფრაზეოლოგიზმისა - **renge girmek**. რომლის მნიშვნელობაც არის: ფერფურის შეცვლა, დაბნევა; სირცხვილისგან ფერის ცვლა.

დაკავება - ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენებურთა მეტყველებაში, სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსად, არის დაკავება/დაიკავეს: ბაღვობაში იმფერი უძალო ვიყავ, ქი ჩაფას ხელში ვერ დევიკავებდი (მურდ.); გეჩენ სენე პატარა თორუნი ხელში დევიკავე (მურდ.).

იგივე ზმნა სამხრულ კილოებში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტებშიც: ბაღვობაში დევიკავებდით ბოჯუქებსა, ფეხსე მუაბამდით ძაფსა (ფაც.); წურბელებს დევიკავებდით ტალახში, ჭილოან ტბაში (ფაც.):

მოცემულ მაგალითებში **დაკავება** ფორმა გამოიყენება დაჭერის მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის სამხრულ კილოებში რისიმე დაჭერის მნიშვნელობით **დაკავება** ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ზმნისა **tutmak**. რომელსაც ხელში რისიმე დაჭერა-დაკავების მნიშვნელობებთან ერთად, სწორედ, რომ უფიქსირდება დაჭერა/შეპყრობა მნიშვნელობები. მაგ. Balık tutmak - თევზის დაჭერა.

ჩამოკიდება - ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენებურთა მეტყველებაში, სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსად, არის დაკიდება, ჩამოკიდება: გახმებოდა რო ევლებდით, დავკიდებდით ქერზედა; (ინეგ.). ოჯალებში ჩამოკიდული თოფები ჰეპსი დუუთესლიმებიათ; (ინეგ.).

იგივე ზმნა სამხრულ კილოებში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტებშიც: მემლექეთში იმფერმა კაცება ჩამოკიდება იცოდნენ. ამფერი კაცები არ ებლაყებოდენ ბეგებსა (ინეგ.);

მოცემულ მაგალითში **ჩამოკიდება** ფორმა გამოიყენება თავის დაძვრენის, რისამე თავის არიდების, გულგრილობის მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის სამხრულ კილოებში თავის დაძვრენის, რისამე თავის არიდების, გულგრილობის მნიშვნელობით **ჩამოკიდება** ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ზმნისა **asmak**. რომელსაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად, სწორედ, რომ უფიქსირდება ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობები.

ზმნა **ჩაფლობა** ძირითადი მნიშვნელობის გარდა მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტშიც: დღეს რო კაცი მოკტება, მეორე დღეს ავწევთ, ჩავფლავთ.

მოცემულ მაგალითში ჩაფლობა ფორმა გამოიყენება დაკრძალვის, დასაფლავების მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. მუჰაჯირთა მეტყველებაში დაკრძალვის აღსანიშნად **ჩაფლობა** ფორმის გამოყენება პირდაპირი კალკია თურქული ზმნისა **gömülmek** (ჩაფლობა), რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელობად უდასტურდება სწორედ **დაკრძალვა, დასაფლავება**.

გამოწევა - ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენებურთა მეტყველებაში, სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსად, არის გაწევა, გათრევა: შუაზედ რომ გავარიგებდით, გავწევდით იან თარფზე (ინეგ.). ჯოროკი გამოწიე და ჩამოჯექ შენცა (ინეგ.).

იგივე ზმნა სამხრულ კილოებში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტებშიც: ჩვენმა დიდვრანებმა წინ წინ რუსებიან ბევრი გამოწიეს, უკან კიდე გურბეთობაშიც ეფეი გამოწიეს (ინეგ);

მოცემულ მაგალითში **გამოწევა** ფორმა გამოიყენება **ატანა, მოთმენა, გადატანის** მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის სამხრულ კილოებში ატანა, მოთმენა, გადატანის მნიშვნელობით **გამოწევა** ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ზმნისა **çekmek**. რომელსაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად, სწორედ, რომ უფიქსირდება ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობები. *Ettiğini çektii – რაც ჩაიდინა, მიეზღო; neler çektik neler!* - რაები გადავიტანეთ, რაები!.

დაბეჭდვა - ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენებურთა მეტყველებაში, სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსი მნიშვნელობით არ შეგვხვედრია.

აღნიშნული ზმნა სამხრულ კილოებში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტებში: გოგოს მოპარვაზე გაველით მათ სოფელში, ვენახის ქენარში დევმალეთ, ზოგ გოგვებმა დიგვინახეს და დაბეჭდეს (ინეგ);

მოცემულ მაგალითში **დაბეჭდვა** ფორმა, ვფიქრობთ, რომ გამოიყენება ა) დანაშაულის ადგილზე წასწრების; ბ) ათესვა/გაქცევის მნიშვნელობით. ასეთი მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის სამხრულ კილოებში დანაშაულის ადგილზე წასწრების ან ათესვა/გაქცევის მნიშვნელობით **დაბეჭდვა** ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ზმნისა **basmak**. რომელსაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად, სწორედ, რომ უფიქსირდება ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობები.

ზემოთ გაანალიზებული ზმნური თუ სახელური ფუძეების მაგალითზე დავინახეთ, რომ მათი სემანტიკური განსხვავებულობა-თავისებურება სწორედ სამეტყველო კოდების შერევის შედეგად არის გამოწვეული. ამ ფორმათა საფუძველი კი მუჰაჯირ ქართველთა სრული ბილინგვიზმია.

განხილულმა მასალამ ასევე აჩვენა, რომ ქართული ენის სამხრულ დიალექტებში, რომლებიც ოთხ საუკუნეზე მეტია მოწყვეტილია დანარჩენი ქართულენოვანი სამყაროს გავლენას და თურქულენოვან სამყაროსთან მჭიდრო კავშირი აქვს, თურქული სალიტერატურო ენისა და დიალექტების გავლენის შედეგად, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დონეზე კალკური გადართვა სკონტანურად ხდება, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს სიტყვათა სემანტიკური ცვლილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ლაბაძე, ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევის საკითხისათვის მურდულის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა), წელიწდეული II, ქუთაისი, 2010
2. შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით; სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ქართველურ ენათა განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 1993).
3. გ. ქამუშაძე, თურქული ენის გავლენის შედეგებისათვის მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაზე, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული, ქუთაისი, 2019
4. ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზაქარია, „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფ.

5. თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლ. ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი, 2011
6. Türkçe Sözlük, Türk Dil Kurumu Yayınları, 11. baskı, Ankara, 2011

6. იუსუფელის რაიონის ტოპონიმები და ჰიდრონიმები ოსმალურ არქივებში

ნერიმან ილმაზი / Neriman YILMAZ

Dr. Öğr. Üyesi, Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi / ასისტენტ-პროფესორი ნერიმან ილმაზი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი / Dr., Recep Tayyip Erdoğan University. DOI: [10.5281/zenodo.10462676](https://doi.org/10.5281/zenodo.10462676)

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: neriman.yilmaz@erdogan.edu.tr

ORCID ID: 0009-0007-4125-3249

მოკლე შინაარსი

ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორია XVI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. 1579- 1580 წლებში ოსმალებმა იქაურ მოსახლეთა საყოველთაო აღწერა ჩაატარეს და შექმნეს ფეთეჰრეჰის ანუ ფეთერეჰის სანჯაყი (სადროშო) არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში, თუმცა მალევე იუსუფელის ტერიტორია გადავიდა ჩილდირის საბეგლარბეგოს გამგებლობაში. 1632 წელს ფეთეჰრეჰის სანჯაყი შევიდა უკვე ყარსის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში. მოსახლეობის სარეგისტრაციო წიგნებში შეზღუდული რაოდენობით გვხვდება მონაცემები ქართულად მოსაუბრე სოფლების შესახებ. ამისი მიზეზი, ჩვენი აზრით შესაძლებელია იყოს ის, რომ ოსმალ მოხელეები სრულად ვერ აღწევდნენ მთიან და რთული გეოგრაფიის მქონე რეგიონში. საარქივო მასალებში მცირე რაოდენობით მოიპოვება ჰიდრონიმებთან დაკავშირებული წყაროები. გამონაკლისს მხოლოდ მდინარე ჭოროხი წარმოადგენს. ქართული სახელი „ჭოროხი“ წყალდიდობის შედეგად მოტანილ ღორღსა და ქვიშას ნიშნავს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ იუსუფელის მიწების დიდი ნაწილი ისევ ოსმალეთის მხარეს დარჩა, ხოლო რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა მხოლოდ სოფელ კობაკის ჩრდიოეთით არსებული სამოვრების ტერიტორია. 1885 წლიდან 9 ქალაქისა და 61 სოფლისგან შემდგარი ძველი პეტერეკის სადროშოს მიწებისგან შეიქმნა კისკიმის რაიონი. მის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა სოფლები: ერსისი, პეტერეკი, ოშნახი, ხოდუჯური, ბალხი, უტავი (ოსმალეთის სახელმწიფო საარქივო წყაროებში - უდავი). როგორც ვხედავთ რაიონთა ცენტრების სახელებს ოსმალეთის სახელმწიფოს პერიოდში რაიმე ცვლილება არ განუცდია. ამ კონტექსტში კისკიმის რაიონიც დაუქვემდებარეს არზრუმის ოლქს. ეს ვითარება შენარჩუნდა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე. ამის შემდეგ კი დღის წესრიგში დადგა კისკიმისათვის სახელის შეცვლის საკითხი. ამის მიზეზი კი გახლდათ ანკარის ოლქის ქესქინის რაიონისა და კისკიმის სახელების ერთნაირი ჟღერადობა, რაც ასევე დიდ აღრევას იწვევდა ფოსტისა და ტელეგრაფის

გზავნილებში. ფადიშაჰის 1914 წლის 28 მაისის ფერმანის შესაბამისად კისკიმის რაიონს სახელად ეწოდა იუსუფელი.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, ჰიდრონიმი, პეტერეკი, ჭოროხი, სანჯაყი

T.C Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı Osmanlı Arşivinde Yusufeli İlçesinin Yer Adları (Toponimi) ve Akarsu İsimleri (Hidronimi)

Öz

Günümüz Yusufeli ilçesinin toprakları Osmanlı imparatorluğuna yaklaşık XVI.yüzyılın ikinci yarısından sonra dahil oldu. Osmanlı Devleti,buradaki nüfus kaydını 1579-1580 yıllarında gerçekleştirdi ve bu bölgeye Erzurum beylerbeyliğine bağlı Peterek sancağı kuruldu.Ancak kısa bir süre sonra, şu anki Yusufeli toprakları Çıldır beylerbeyliği idaresine dahil edildi.1632 yılında ise Peterek sancağı, Kars beylerbeyliğine bağlandı. Yusufeli ilçesinin Onomastiği, T.C Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı Osmanlı Arşivleri'nde bulunan kaynaklarda yer almaktadır. Osmanlı döneminde,yerleşim yerlerinin adları genellikle değişikliğe uğramamıştır. Örneğin, 1579-1580 yıllarına ait kayıtlarda Yusufeli ilçesine ait köylerin isimleri şunlardır: Petekrek veya Peterek) günümüzde Çevreli olarak bilinir), Nıkhak (Yokuşlu köyü), Ersis (şu an ki kılıçkaya köyü) ve Oşnakh (Köprügören) vb. Ek olarak, bu isimler halk arasında kullanılmış ve günümüze kadar ulaşmıştır. Aynı nüfus defterlerinde, günümüzde Gürcüce konuşulan köyler hakkında sınırlı bilgiye rastlanmaktadır.Bu durumun nedeni olarak,Osmanlı katiplerinin dağlık ve zorlu coğrafyaya sahip bölgeye tam anlamıyla ulaşamamış olabileceğini düşünüyoruz. Arşiv belgelerinde hidronimler hakkında çok az kaynak bulunmaktadır. Bir tek Çoruh nehri istisna olarak verilmiştir. Gürcüce ismi “çorokhi(ჭოროხი)” olan nehir; taşan ve sel tarafından getirilen çakıl, kum” anlamını taşımaktadır. Çoruh nehri Mescit dağlarının batı yamaçlarından kaynağını almaktadır. Bayburt, Erzurum’un İspir ilçesi ve Artvin’in Yusufeli ve Borçka ilçelerini geçerek Gürcistan sınırları içerisinde girdikten sonra Batum’un güneyinden Karadeniz’e dökülmektedir. 1877-1878 Osmanlı-Rus savaşı sonrası, günümüzün Yusufeli topraklarının büyük bir kısmı yine Osmanlı tarafında kalmış olup, Rusya egemenliğine sadece Kobak (Yüksekoba) köyünün kuzeyinde bulunan yayla arazileri geçmiştir. Bunun sonucunda Peterek sancağı sınır haline gelmiştir. 1885 yılından 9 Nahiye (boy) ve 61 köyden oluşan eski Peterek sancağı topraklarında Kiskim kazası (ilçe) kuruldu. Boy olarak Ersis, Peterek, Oşnakh, Khoducuri, Balkhi Utav (Osmanlı Devleti arşiv kaynaklarında Udav) ve Melo kabul edildi. Görüldüğü gibi nahiye merkezlerinin adları Osmanlı devleti döneminde herhangi bir değişikliğe uğramamıştır. Bu bağlamda Kiskim kazasında yine Erzurum vilayetine tabi tutulmuştur. Bu durum birinci dünya savaşının başlangıcına kadar devam etmiş olsada daha sonra Kiskim kazasının isminin değiştirilmesi gündeme gelmiştir. Bunun ana sebebi ise; Ankara’ya bağlı Keskin kazası ile Kiskim kazasının ses benzerliğinin posta

ve telgraflardaki karışıklık oluşturmıştır. 28 Mayıs 1914 tarihinde ise çıkarılan padişah fermanıyla Kiskim kazasının ismi Yusufeli olarak değiştirilmiştir.

Anahtar Kelimeler: Toponim, Hidronim, Peterek, Çoruh, sancak

Place names (Toponymy) and river/stream names (Hydronymy) of Yusufeli district in the Ottoman archives of the Turkish Presidency's State Archives

Abstract

Yusufeli, a district in modern times, became a part of the Ottoman Empire in the second half of the 16th century. The Ottoman administration conducted its population registration between 1579-1580, establishing the Peterek sanjak under the Erzurum beylerbeylik. However, soon after, the region came under the Çıldır beylerbeyi. In 1632, the Peterek sanjak was integrated into the Kars beylerbeylik. The ancient onomastics of Yusufeli is documented in the Ottoman archives of the Turkish Presidency's State Archives. Notably, the names of villages from the late 16th century like Petekrek (modern-day Çevreli), Nihak (Yokuşlu), Ersis (Kılıçkaya), and Oşnak (Köprüören) have remained largely unchanged. These names have persisted in local usage over time. The Ottoman records have limited information about the villages where Georgian was spoken, possibly because Ottoman scribes did not reach these mountainous areas. Regarding hydrology, apart from the Çoruh river, very few details exist in the archives. The Çoruh river, with its Georgian name “çorokhi”, originates from the western slopes of the Mescit Mountains, flowing through regions like Bayburt, Ispir, and Yusufeli before emptying into the Black Sea near Batum. After the 1877-1878 Ottoman-Russian war, most of the contemporary Yusufeli region remained under Ottoman control, with only some highland areas like Kobak passing to Russian authority. This event solidified the border of the Peterek Sanjak. In 1885, the Peterek sanjak was reorganized into the Kiskim kazası (district), comprising 9 nahiyes and 61 villages. The names of the nahiye centers remained consistent with the Ottoman era, and Kiskim districts was still under the Erzurum Vilayet. However, due to the phonetic similarity between Keskin district and Kiskim district, which caused confusion in postal and telegraphic communications, a decree was issued on May 28, 1914, changing the name of Kiskim district to Yusufeli.

Keywords: Toponym, Hidronym, Peterek, Çoruh, Sanjak.

შესავალი

ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა XVI საუკუნის 70-იანი წწ. ბოლოდან. ოსმალებმა იქაურ მოსახლეთა საყოველთაო აღწერა ჩაატარეს 1579-1580 წლებში და შექმნეს ფეთეჰრექის ანუ ფეთერექის სანჯაყი (სადროშო) არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში, თუმცა მალევე, იუსუფელის ამჟამინდელი ტერიტორია გადავიდა ჩილდირის საბეგლარბეგოს გამგებლობაში. 1632 წელს, ფეთეჰრექის სანჯაყი შევიდა უკვე ყარსის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში.

ოსმალური მმართველობის (ე.წ. „ნიზამ-ი ოსმანის“) დამყარებისთანავე, როგორც ითქვა, ოსმალებმა აღწერეს ადგილობრივი მოსახლეობა. აღწერის წიგნებში მოცემულია არამართო ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორიაზე მაშინ

Gürcü Türkolojisi Araştırmaları I

არსებული სოფლების დასახელებები, არამედ ისიც, თუ რომელ რელიგიას მისდევდა იქაური მოსახლეობა, რამდენი იყო ქალთა და კაცთა ხვედრითი წილი მათ შორის და ა.შ.

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ტაბულას, რომელშიც მოცემულია ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის სოფლების მოსახლეობის რაოდენობა და ოჯახური მდგომარეობა 1555 წელს (ამასიის ზავის დადების დროს, როცა ეს მიწები ოსმალეთის გავლენის სფეროდ ჩაითვალა) და 1574 წელს, როცა აღწერისათვის დაიწყო მზადება.

	Hane (კომლი)	Mücerred (სული)	Tahmini Nüfus მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა	Hane (კომლი)	Mücerred (სული)	Tahmini Nüfus მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა
Pertekrek	10		50	98	37	527
Givnar	3		15	18	8	98
Göcek	7	2	37	52	25	285
kiskim	65		625	191	65	1.020
Ersis	73		365	289	112	1.557
Solporek (Söllek)	16		80	20	7	207
Nihah	30	1	151	50	15	265
Çörgens-i Ulya	28	12	152	86	26	456
Çörgens-i	17	3	88	12	3	63
Süfla						
Orçanak (Oşnak)	28	13	153	90	28	478

Hav	4	1	21	12	5	65
Hüngamek -i Ulya ve Süfla	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			28	8	148
Habkanis	8	7	147	28		152
Karakarmış / Vank	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			23	8	123

İsasor	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			52	18	278
Hamrut	Bu yazımda bu köyler yazılmamıştır.			23	7	122
Kidason				12	5	65
Arkil				10	5	55
Kisporot				18	6	96
Kirkicor	18	1	91	2	3	13
Hoduçur	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			57	24	1.804

Kurdeşen	30	1	151	103	36	551
Hohurgut	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			57	24	309

ამდენად, იუსუფელის რაიონის ძველი ონომასტიკა წარმოდგენილია ოსმალურ აღწერის წიგნებში. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალეთის იმპერიამ თითქმის არც კი შეუცვლია დასახლებული პუნქტების სახელწოდებები - მათ, უბრალოდ, ისინი ისე ჩაიწერეს, როგორც ესმოდათ ანდა როგორც არაბულ-ოსმალური ანბანი იძლეოდა ამის საშუალებას. მაგალითად, 1579-1580 წწ. აღწერის წიგნებში მოცემულია იუსუფელის რაიონის შემდეგი სოფლების დასახელებები: ფეთერექ // ფეთერექ (დღეს Çevreli Köyü), ნიხახ (Yokuşlu köyü), ერსის (Kılıçkaya), ოშნაქ (Köprügören) და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ამ სახელწოდებებს ადგილობრივი, მოსახლეობა დღემდე აქტიურად იყენებს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, ფეთერექის სანჯაყის ადმინისტრაციულ ცენტრად საბოლოოდ დამკვიდრდა სოფელი ქისქიმი, რომელიც სანჯაყის შემადგენლობაში ცალკე ნაჰიეს (თემს) შეადგენდა. ქისქიმის თემის მეთაური იყო დერვიშ ბეი. თვით სოფელში კი ცხოვრობდა 5672 კაცი. მათ შორის მუსლიმანები უკვე უმრავლესობა იყო და ისინი შვიდჯერ აღმატებოდნენ ქრისტიანებს. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდიდან იქ ჩნდებიან მოსულების: ბოშების, თურქმენებისა და სხვათა წარმომადგენლები, რომლებიც - როგორც ოსმალთა აღწერის დოკუმენტებშია მოცემული, - ხელობით მჭედლები, ჩალვადრები ან დურგლები იყვნენ.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, დღევანდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორიის მეტი წილი ისევ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა, ხოლო რუსეთის შემადგენლობაში კი მოხვდა მხოლოდ სოფელ ქობაძეს ჩრდილოეთით მდებარე იალალების ტერიტორია. ამიერიდან, როგორც მუამერ დემირელი წერს, ფეთერექის სანჯაყი სასაზღვრო მიწად იქცა და იქ ამოქმედდა სხვადასხვაგვარი შეზღუდვა, რაც ცხადია, საზღვრის დემარკაციასთან იყო დაკავშირებული. მოგვიანებით, რუსეთში გადასასვლელი სასაზღვრო პუნქტები გაიხსნა სოფელ მელოსა და ხოდში: მელოდან გზა გადადიოდა ართვინში, ხოლო ხოდიდან კი - არტანუჯში.

სასაზღვრო ზონად ქვეყნის შემდეგ 1885 წლიდან, ყოფილი ფეთერექის სანჯაყის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქისქიმის ყაზა (რაიონი), რომელიც 9 ნაჰიეს (თემს) და 61 სოფელს მოიცავდა. თემებად ჩაითვალა ერსისი, ფეთერექი, ოშნაქი, ხოდუჯური, ბალხი, უტავი (ოსმალური წყაროს მიხედვით - უდავ), არჯივანი,

ზორი და მილო. ნაჰიეს ცენტრების ეს სახელები, როგორც ვხედავთ, ოსმალებს არც ამჯერად შეუცვლიათ.

იუსუფელის რაიონის წარმოქმნა.

როგორც იმჟამინდელ ოსმალურ წყაროებშია მითითებული, ერზრუმის პროვინციის კისკიმის/კესკიმის რაიონისა და ანკარის პროვინციის ქესქინის რაიონის სახელების მსგავსების გამო ხშირად ხდებოდა შეცდომები საფოსტო გზავნილების დარიგებისას.

საფოსტო გზავნილების შეცდომით დარიგების თავიდან აცილების მიზნით, საფოსტო-სატელეგრაფო ზედამხედველობამ შიდა (სახელმწიფო) ზედამხედველობას შესთავაზა სახელი „კისკიმი“ შეცვლილიყო დასახელებით ერსისი. ამ წინადადების მუხედავად შიდა ზედამხედველობამ, 1914 წლის 7 თებერვლის მითითებით, ანკარის პროვინციის მმართველობას შესთავაზა შეეცვალათ სახელი ქესქინი. ამ მითითებას ანკარის პროვინციამ უპასუხა, რომ ქესქინის რაიონი ანკარის განვითარებული რაიონი იყო. ამავე დროს ქესქინი წარმოადგენს თურქულ სახელს და შესაბამისად, უფრო მართებული იქნებოდა შეცვლილიყო სახელი კისკიმი.(kiskim-Alanbaşı köyü)

აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა ზედამხედველობამ 1914 წლის 24 თებერვალს ერზრუმის პროვინციას უბრძანა ქისქიმის რაიონის სახელი შეცვლილიყო შესაფერისი დასახელებით. არზრუმის პროვინციამ, 1914 წლის 6 მარტს, შესაბამისი ბრძანება მისცა ქისქიმის რაიონს. კისკიმის რაიონის მეჯლისი შიკრიბა 1914 წლის 6 მაისს (1330 წლის 23 აპრილი) და განიხილა აღნიშნული საკითხი.

რაიონისათვის შესაფერისი სახელის შერჩევის მიზნით, რაიონის მეჯლისი, რაიონის მმართველის, აჰმეთ ნეჯათ-ბეის თავმჯდომარეობით, 1914 წლის 6 მაისს შიკრიბა მეჯლისის სააქტო დარბაზში. დარბაზის კედელზე გამოფენილ სურათზე გამოსახული სასულთნოს ტახტის მემკვიდრის, შაჰზადე (უფლისწულ) იუსუფ იზზედდინ ეფენდის სახელის პატივისცემის ნიშნად, მეჯლისის თავმა აჰმეთ ნეჯათ-ბეიმ მეჯლისის შესთავაზა რაიონს დარქმეოდა სახელი იუსუფელი. მეჯლისმა კენჭისყრით დაადასტურა წარმოდგენილი ცვლილება. აღნიშნული გადაწყვეტილება, რაიონის მეჯლისის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ოქმის სახით, იმავე დღეს აცნობა არზრუმის პროვინციას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ მას შემდეგ, რაც უარი ითქვა რაიონის ცენტრს დარქმეოდა ერსინი, საფოსტო განყოფილებებში წარმოქმნილი შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, უსარგებლო იქნება ქისქიმ დასახელების შენარჩუნება და მიზანშეწონილია დასახელების შეცვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონის ძველი დასახელება კისკიმი სასურველია შეიცვალოს იუსუფელი სახელით, სასულთნოს ტახტის მემკვიდრის, შაჰზადე იუსუფ

იზუედდინ ეფენდის სახელის პატივისცემის ნიშნად. რაიონის მეჯლისი შედგებოდა რაიონის მმართველ აჰმეთ ნეჯათ-ბეის, ყადის, მუფთის, ოფიციალური საქმისმწარმოებლის (ქათიბი), ორი არჩეული მუსლიმანი და ორი არამუსლიმანი წევრისაგან.

მეჯლისის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება პროვინციის მმართველობამ აცნობა ქვეყნის მმართველობას (მთავრობას). ქვეყნის მმართველობამ დაამტკიცა მიღებული გადაწყვეტილება და ფადიშაჰ მეჰმედ რეშანის ფირმანით კისკიმის რაიონს ეწოდა იუსუფელი.

ქვემოთ წარმოდგენილია ოსმალეთის სახელმწიფო არქივიდან ამოღებული სათანადო დოკუმენტაციის (მიწერ-მოწერისა და ბრძანებების) ქართულ თარგმანს. დედანი - ოსმალური ტექსტი (ლათინური გრაფიკით) შეგიძლიათ იხილოთ დანართში:

DH_ID___00097_2_00045_001_001

ანკარის ვილაიეთის მმართველობას.

აღნიშნულ განცხადებაში სატელეგრაფო სამსახურის რეგიონალურმა მართველობამ წინადადებით მიმართა ანკარის ვილაიეთის მმართველობას, რათა ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელება შეცვლილიყო სხვა დასახელებით, რადგან არზრუმის ვილაიეთის ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელებების მსგავსება ხშირად იწვევდა საფოსტო გზავნილების არასწორ მისამართზე დაგზავნას.

DH_ID___00097_2_00045_002_001

Devlet-i Osmâniye

Posta ve Telgraf ve Telefon Nezâreti

Posta Umûru Müdüriyeti

İşletme Kalemî

Husûsî 244

საკითხის არსი: კისკიმ და ქესქინ დასახელებების ერთმანეთთან მსგავსების გამო ქესქიმ დასახელების შეცვლა და ძველი დასახელების, ერსის-ის აღდგენა

შინაგან საქმეთა სამინისტროს.

აღნიშნულ განცხადებაში სატელეგრაფო სამინისტრო მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ერზრუმის ვილაიეთის ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელებების მსგავსებიდან გამო საფოსტო

გზავნილების არასწორ მისამართზე დაგზავნის თავიდან აცილების მიზნით კისკიმის რაიონს დაუბრუნდეს ძველი დასახელება ერსისი.

DH_ID___00097_2_00045_002_002

Posta 745

Îrâde-i Umumiye

Fî 25 Kânun-ı Sâni sene 329

2

239

Lütfi Bey'e

25

Vilâyetten istifsâr

Kaleme 25

DH_ID___00097_2_00045_003_001

Evrak Umumi Numarası 1042

Müsevidi (İSİM)

Kalem Numarası 2797

Târih-i tebyiz Fî 28 Rebüü'l-Evvel sene 332 / Fî 11 Şubat sene 329

არზრუმის ვილაიეთის მმართველობას.

საფოსტო სამინისტრო მიმართავს ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას, რომ არზრუმის ვილაიეთის კისკიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელებების მსგავსებიდან გამო საფოსტო გზავნილების არასწორ მისამართზე დაგზავნის თავიდან აცილების მიზნით კისკიმის რაიონის დასახელება შეიცვალოს სხვა დასახელებით.

DH_ID___00097_2_00045_004_001

Ankara Vilâyeti

Mektubi Kalemi

Umumi 23753

Hususi 1090

შინაგან საქმეთა სამინისტროს

ანკარის მმართველი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ქესქინის რაიონი უძველესი დროიდან ატარებს ამ სახელს. ეს არის ნამდვილი თურქული წარმოშობის დასახელება და ის არასდროს შეცვლილა. ქესქინი წარმოადგენს ვილაიეთის მნიშვნელოვან და განვითარებად რაიონს და მიმოწერაში არსებული შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, ~~უფრო~~ მიზანშეწონილია შეიცვალოს ქესქიმის რაიონის დასახელება. თუ აუცილებელია რაიონის დასახელების შეცვლა, საურველი იქნება გავითვალისწინოთ რაიონის ცენტრალური დასახლების დინექ მადენი-ს სახელი და რაიონს დაერქვას დენექ მადენი.

ანკარის ვალი

ჰულუსი

DH_ID___00097_2_00045_004_002

ანკარა

არზრუმის ვილაიეთის განმარტება ქესქიმთან დაკავშირებით

DH_ID___00097_2_00045_005_001

Evrak Umumi Numarası 172

Müsevvidi (İSİM)

Kalem Numarası 2063

Tarih-i tesvid 11 Mayıs sene 330

Târih-i tebyiz 12 Mayıs sene 330

დიდი სავეზირო

არზრუმის ცენტრალური სადროშოს შემადგენლობაში არსებული კისკიმის და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის სახელების მსგავსების გამო საფოსტო გზავნილების დაგზავნისას წარმოქმნილი შეცდომების შესახებ შიდა ზედამხედველობამ აცნობა ერზრუმის ვილაიეთს. ვილაიეთიდან მიღებულ პასუხში ვილაიეთის მმართველობა ითხოვს ნებართვას, რომ დაადასტუროს რაიონის მეჯლისის გადაწყვეტილება ქესქიმის რაიონის ცენტრალურ დასახლებას ერსის მისი აღმატებულების ტახტის მემკვიდრის იუსუფ იზზედინ ეფენდის პატივსაცემად და მისი სახელის უკვდავსაყოფად ეწოდოს სახელი „იუსუფ ილი“.

უზენაესი ბრძანება

არზრუმის ცენტრალური სადროშოს კისკიმის რაიონის ცენტრალურ დასახლებას ერსის შეეცვალოს სახელი და ეწოდოს იუსუფ ილი. აღნიშნული ბრძანების აღსრულება ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

DH İD___00097_2_00045_006_001

Numara 83

ძირითადი საკითხი: რაიონის დასახელების იუსუფელით შეცვლის შესახებ

ვილაიეთის მმართველობა

Huzûr-ı Sâmi-i Cenâb-ı Vilâyet-penâhî'ye

აღნიშნული დოკუმენტში ვილაიეთის მმართველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს რაიონის მმართველობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და თხოვნას.

თხოვნაში აღნიშნულია, რომ ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის სახელების მსგავსებიდან გამომდინარე საფოსტო გზავნილების დაგზავნისას წარმოქმნილი შეცდომების გამო არ არის მიზანშეწონილი ძველი დასახელების შენარჩუნება და ითხოვს მიღებულ იქნას საბოლოო გადაწყვეტილება, რათა მისი აღმატებულების ტახტის მემკვიდრის იუსუფ იზზედინ ეფენდის პატივსაცემად ქესქიმის რაიონს ეწოდოს სახელი იუსუფ ილი და გამოიცეს შესაბამისი ბრძანება (ფირმანი)

კისქიმის გამგებელი

აჰმედ ნეჯათი მუფთი

მეჰმედ ჯელალი

ფინანსების მმართველის მოადგილე (ბეჭედი) წევრი

ქაჰრამან წევრი

(ბეჭედი) წევრი

Kopyasında წევრი

Bu dahi

DH İD___00097_2_00045_007_001

Erzurum Vilâyeti - არზრუმის ვილაიეთი

Tahrirat Kalemi

Aded

Umumi 20379

Hususi 172

შინაგან საქმეთა მინისტრს

Dâhiliye Nezâret-i Celilesi'ne

წერილი წარმოადგენს ერზრუმის მმართველის საპასუხო წერილს სამინისტროს წერილზე. წერილში აღწერილია, რომ გამოგზავნილია ადგილობრივი მეჯლისის გადაწყვეტილების ოქმი ქესქიმის რაიონის ერსისის დასახლებას ტახტის მემკვიდრის პატივსაცემად დაერქვას იუსუფ ილი, მაგრამ გართულდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ერზრუმის მმართველი ითხოვს თანხმობას ადგილობრივ გადაწყვეტილებაზე ან სხვა საბოლოო გადაწყვეტილებას სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ერზრუმის მმართველი

ელ-სეიდ აჰმედ რემიდი

DH_ID___00097_2_00045_007_002

Erzurum 172

Dosyasıyla İdâre-i Umumiye Müdüriyeti'ne

Fî 11 Mayıs sene 330

2063

Lütfi Bey'e 11

Sadaret-i Uzmâ'ya tezkire yazılması emir buyurulmuşdur

Kaleme 11

Nuri Bey'e 11

DH_ID___00097_2_00045_008_001

Evrak Umumi Numarası 428

Müsevvidi (İSİM)

Kalem Numarası 2269

Tarih-i tesvid 18 Mayıs sene 330

Târih-i tebyiz 20 Mayıs sene 330

ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას

ცენტრალურ სამმართველოებს

მისი უდიდებულესობა ფადიშაჰი თანახმაა ერზრუმის ცენტრალური სადროშოს ქესქიმის რაიონის ცენტრალური დასახლებას ერსისის დაერქვას სახელი იუსუფ ილი. 18 მაისი 330 წ.

ხელმოწერა

DH_İD___00097_2_00045_009_001

Bâb-ı Âli

Dâire-i Sadâret

Umur-ı Mühimme Kalemi

უზენაესი ბრძანების (ფირმანი) ასლი

Îrâde-i Seniyye suretidir

ერზრუმის ცენტრალური სადროშოს კისკიმის რაიონის ცენტრალურ დასახლება
ერსისს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს იუსუფელი

მეჰმედ რეშადიდი ვეზირი

მეჰმედ საიდი

შინაგან საქმეთა მინისტრი

ჯავიდი

დიდი სავეზიროს საქმის წარმოების სამმართველო

მ. სეიფედდინი

შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილი შეტყობინების ჩანართი

DH_İD___00097_2_00045_009_002

პასუხი გაცემულია

მუჰიდინი

ხელმოწერა

DH_İD___00097_2_00045_010_001

Bâb-ı Âli

Dâire-i Sadâret

878 Umur-ı Mühimme Kalemi

Umumî 321563

Hususi 428

Keskim kazâsıyla Ersis kasabası nâmlarının “Yusuf İli”ne tahviline dâir melfuf

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

Dâhiliye Nezâreti Vekâlet-i Celilesi'ne

აღნიშნულ წერილში დიდი ვეზირი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფადიშაჰის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ერზურუმის ქესქიმის რაიონის დასახლება ერსისს დაერქვა იუსუფ ილი და მას ეგზავნება ბრძანება, რათა ამის შესახებ აცნობოს ყველა უწყებას (მმართველობას).

დიდი ვეზირის სახელით,

Sadrâzam nâmına

მრჩეველი ემინი

DH_İD___00097_2_00045_010_002

Sadâret 42

İrâde-i Umumiye

Fî 17 Mayıs sene 330

2239

Lütfi Bey'e 17

Kaleme 17

Nuri Bey'e 17 akşam

DH_SN__THR___00055_00082_001_001

Erzurum Vilâyeti

Tahrirât Kalemi

Aded

Umumi 21457

Hususi 274

შინაგან საქმეთა მინისტრს

Dâhiliye Nezâret-i Celilesi'ne

ერზურუმის მმართველი აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ქესქიმის რაიონისათვის იუსუფ ილის სახელის დარქმევის გამო ვილაიეთის განსახლების სამმართველომ ითხოვა ახალი ბეჭდის გამოგზავნა რაიონის განსახლების სამმართველოსათვის.

ერზურუმის ვალი ,

აჰმედ რეშიდი.

DH_SN__THR__00055_00082_002_001

Sicil-i Nüfus İdâre-i Umumiyesi Tahrirat Kalemi

Evrak Numarası 530

Dosya Numarası 6010

Tarih 2 Temmuz sene 330

ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას

Erzurum Vilâyet-i Behiyyesi'ne

განსახლების სამინისტრო ატყობინებს ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას, რომ მათი მოთხოვნის შესაბამისად, იუსუფ ილის რაიონის მოხელეებისათვის სახელმწიფო ბეჭდების ერთი კომპლექტი, ვილაიეთში გამოსაგზავნად, ჩაბარდა ფოსტას.

DH_SN__THR__00055_00082_003_001

Sicil-i Nüfus İdâre-i Umumiyesi Tahrirat Kalemi

Evrak Numarası 530

Dosya Numarası 6010

Kalem Numarası 695

Tarih 15 Haziran sene 330

განცხადება მომარაგების სამმართველოს

Levâzım İdâresi'ne müzekkire

ქესქიმის რაიონისათვის ახალი სახელის, იუსუფ ილი-ს დარქმევის გამო, განსახლების სამმართველოსათვის ვილაიეთის მმართველობის მიერ ახალი ბეჭდის გამოგზავნის შესახებ მოთხოვნიდან გამომდინარე გეგზავნებათ შესაბამისი ბეჭდების გამოსახულების ერთ კომპლექტს დასამტკიცებლად

İ_DH__01508_000049_001_001

Bâb-ı Âlî

Dâhiliye Nezâreti

İdâre-i Umumiye-i Dâhiliye Müdüriyeti

Umumi: 90961

Hususi: 451

დიდ ვეზირს

Huzûr-ı Âlî-i Cenâb-ı Sadâret-penâhî'ye

არზრუმის ცენტრალური სადროშოს კისკიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონების სახელებს შორის არსებული მსგავსების გამო საფოსტო გზავნილების დარიგებისას წარმოქმნილი შეცდომების შესახებ საფოსტო-სატელეგრაფო სამინისტრომ აცნობა არზრუმის ვილაიეთს. აღნიშნულთან დაკავშირებით ვილაიეთის მმართველობაში იმსჯელეს და გადაწყვიტეს ქესქიმის რაიონის ცენტრალურ დასახლებას ერსინს ტახტის მემკვიდრის სახელის პატივსაცემად ეწოდოს სახელი იუსუფ ილი. საკითხის მოწესრიგების მიზნით ვილაიეთის მმართველობამ ითხოვა თანხმობა ამ გადაწყვეტილებაზე და შესაბამისი ბრძანების გამოცემა. დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამისი ბრძანების პროექტს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

ხელმოწერა

İ_DH__01508_000049_002_001

Bâb-ı Âlî

Dâhiliye Nezâreti

İdâre-i Umumiye-i Dâhiliye Müdüriyeti

Hususi: 784

უზენაესი ბრძანება (ფირმანი)

İrâde-i Seniyye

არზრუმის ცენტრალური სადროშოს კისკიმის დასახლებას შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „იუსუფელი“. ბრძანების აღსრულება ევალება შინაგან საქმეთა მინისტრს.

მეჰმედ რეშადი დიდი ვეზირი

(პრემიერმინისტრი)

მეჰმედ შაიდი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

(ხელმოწერა)

დასკვნა

თურქეთის რესპუბლიკაში - ქოროხის ხეობაში, ზემმლავრი ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების გამო, იუსუფელის რაიონის დიდი ნაწილი წყალქვეშაა. ამის გამო, მათ შესახებ არსებულ ყოველ მონაცემს, დროთა განმავლობაში უთუოდ დოკუმენტის მნიშვნელობა მიენიჭება. უდავოა, რომ თურქეთისთვის დღეს მნიშვნელოვანია იუსუფელის რაიონის ტოპონიმებისა თუ ჰიდრონიმების მეცნიერული ანალიზი.

ნაშრომში ჩვენ მიერ მოყვანილი და გაანალიზებული ოსმალური დოკუმენტები ცხადყოფენ იმასაც, თუ როგორ ხდებოდა ონომასტიკური ცვლილებები ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, მათში დაფიქსირებული მასალა მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული დინამიკის შესწავლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Muammer Demirel,(2010), Yusufeli Tarihi,Yusufeli Belediyesi yayınları. Yusufeli
2. Muvahhid Zeki, (2010), Artvin Vilayeti Hakkında Ma'lûmat-ı Umumiye,Yusufeli Belediyesi yayınları.
3. Taner Artvinli, (2012). Yusufeli Külliyyâtı Cilt 1. Artvin: Yusufeli Belediyesi Yayınları.
4. Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı Osmanlı Arşivi(BOA)
5. ნერიმან ალბაირაქი,(2018), იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია,

7. თურქული ამბები ქართული აქცენტებით XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში

სოფიო მახატაშვილი / Sopio MAKHATCHASHVILI

Dr., Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi / რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის, ასისტენტ-პროფესორი / Assistant Professor, Rize Recep Tayyip Erdogan University. DOI: [10.5281/zenodo.10462690](https://doi.org/10.5281/zenodo.10462690)

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: sophio.makhatchashvili@erdogan.edu.tr

ORCID ID: [0000-0003-1083-9865](https://orcid.org/0000-0003-1083-9865)

მოკლე შინაარსი

XX საუკუნის დასაწყისი ისტორიული მოვლენების დინამიკური განვითარებითა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების ახალ საფეხურზე გადასვლით ერთერთი მნიშვნელოვანი პერიოდია მსოფლიოს ისტორიაში. ევროპაში მოსიარულე „აჩრდილმა“, რომელმაც აღმოსავლეთისკენ გადმოინაცვლა, „მძაფრი ქართველებით“ „სისხლის და ცხედრების“ მორევი მოიყოლა, ისტორიის ჩარხი სულ სხვა მიმართულებით დაატრიალა და განსაზღვრა მთელი შემდგომი ასწლეულის ორიენტირი. ამ გლობალური ცვლილებების ეპიცენტრში საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნებიც აღმოჩნდნენ, რაც განაპირობებდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების საგრძნობლად გაზრდილ ინტერესს სამეზობლოში მიმდინარე მოვლენათა მიმართ. ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ქართული საზოგადოების დამოკიდებულება არსებული ვითარებისადმი მეზობელ თურქეთში, ქვეყანაში, რომელში მიმდინარე მოვლენებმაც ასევე ეპოქალური ცვლილებები მოიყოლა და ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს მის ისტორიაში. ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ამ დამოკიდებულების წარმოჩენაა, რომელიც ნათლად და მკაფიოდ გამოსჭვივის ქართული პრესის ფურცლებზე განთავსებული პუბლიკაციებიდან, რომელიც იმ დროისთვის არსებული მასმედიის ერთადერთი საშუალება იყო და მის ძირითად ფუნქციას საზოგადოების ინფორმირებასთან ერთად საზოგადოებრივი აზრის ფორმირება წარმოადგენდა. რუსეთის გუბერნიის სტატუსის მქონე, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებამოსიერებული ქვეყნისთვის კი აქტუალური საკითხების მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უდაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. განსაკუთრებით სამეზობლოსთან ურთიერთობასა და სწორ პოზიციონირებაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქვეყნის მომავალი ბედ-იღბალი. რამდენად ჰქონდა საშუალება იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას პრესის ფურცლებზე თვალი მიდევნებინა მეზობელ თურქეთში მიმდინარე მოვლენებისათვის; რამდენად ობიექტურად შუქდებოდა იქაური პოლიტიკური თუ სოციალური ვითარება; რა დამოკიდებულება მქდავდებოდა მათ მიმართ. რაზე კეთდებოდა აქცენტები და რა ტენდენციები იკვეთებოდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამომავალი ქართულენოვანი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში - ამის გარკვევა ძირითადი მიზანი ჩვენი სტატიისა, რომელიც, ვფიქრობთ,

დადინტერესებს როგორც ქართულ-თურქულ ურთიერთობების სფეროში მომუშავე სამეცნიერო საზოგადოებას, ისე ფართო აუდიტორიას.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-თურქული ურთიერთობები, საზოგადოებრივი აზრი, ქართული პრესა.

20. Yüzyıl Başı Gürcü Basını'nda Gürcü Vurgulu Türk Haberleri

Öz

20. yüzyılın başı, tarihi olayların dinamik gelişimi ve toplumsal bilincin oluşumunda yeni bir düzeye geçiş sebebiyle dünya tarihinin en önemli dönemlerinden biri olarak Kabul edilir. Gürcistan ve komşu ülkeler de bu küresel değişimlerin merkezinde yer almıştır. Bu da o dönemde Gürcü toplumunun bu coğrafyada yaşanan olaylara olan ilgisinin önemli ölçüde arttırmıştır. Güncel olayların aynı zamanda çığır açıcı değişimlere yol açtığı gerçeğinden hareketle ilgili dönemde komşu Türkiye'deki Gürcü toplumunun mevcut duruma karşı tutumu, çalışmamızın odak noktasını oluşturmaktadır. Araştırmamızın amacı, o dönemde ulaşılabilen tek kitle iletişim aracı olan Gürcü basınının sayfalarında yer alan yayınlarda takip edilebilen bu tutumun, kamuoyunu bilgilendirmenin yanı sıra diğer bir işlevinin kamuoyu oluşturmak olduğunu ortaya koymaktır. Bu çalışmada asıl amacımız Gürcü toplumunun, o dönemde komşu Türkiye'deki olayları basın sayfalarından ne ölçüde takip etme olanağına sahip olduğunu, hangi sorunlara vurgu yapıldığını açığa kavuşturmak.

Anahtar Kelimeler: Gürcistan-Türkiye ilişkileri, kamuoyu, Gürcü basını.

Turkish news with Georgian accents in the early 20th century Georgian press

Abstract

The beginning of the 20th century is one of the most important periods in the history of the world with the dynamic development of historical events and the transition to a new level of formation of public consciousness. Georgia and its neighboring countries were also at the epicenter of these global changes, which led to the significantly increased interest of the Georgian society at that time in the events taking place in the neighborhood. This time, the attitude of the Georgian society towards the current situation in the neighboring Turkey, a country in which the current events also led to epochal changes and represents one of the important periods in its history, fell into the field of our interest. The purpose of our research is to present this attitude, which is clearly visible from the publications placed on the pages of the Georgian press, which was the only available mass media at that time, and its main function, along with informing the public, was the formation of public opinion. To what extent did the Georgian society at that time have the opportunity to keep an eye on the events taking place in neighboring Turkey on the pages of the press; What problems were emphasized on? - To clarify this is the main purpose of our article.

Keywords: Georgian-Turkish relations, public opinion, Georgian press.

შესავალი

„როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების

სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაოა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თავისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს.“ – „ივერიის“ წინასიტყვაობაში ჩამოყალიბებულმა ჟურნალისტიკის უმთავრესი მიზნისა და უპირველესი დანიშნულების ილიასეულმა ფორმულირებამ („ივერია“ #1, 1877) განსაზღვრა ეროვნული ჟურნალისტიკის ის ძირითადი მიმართულება, რა მიმართულებითაც მომდევნო ათწლეულებში წარიმართა კიდევ მუშაობა ქართული პრესისა, რომელიც იმჟამინდელი საზოგადოებრივი სივრცის ფორმირებისათვის ფართო არეალსა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ცხოვრების მაჯისცემის მიგნება, ახალი დროისა და მოთხოვნილებების შესაფერისი კულტურულ-იდეოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პოპულარიზაცია და საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრება - ესაა პრესის განვითარებისათვის ილიას მიერ დასახული გზა და თუ თვალს გადავავლებთ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოშვებულ პერიოდულ გამოცემებს, დავრწმუნდებით, რომ ამ გზიდან არც არასდროს გადაუხვევია. (ჯოლოგუა, 2013)

დასავლური სამყაროსაგან მრავალსაუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი, კულტურულად დაქვეითებული, დაქსაქსული და დაწრეტილი ეროვნული ნებისა და თვითშეგნების აღორძინებას, გამთლიანებასა და გაძლიერებას სწორედ ამ გზის ერთგულებით ცდილობდა ქართული პრესა მწერლობასა და საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციებთან ერთად,

მიუხედავად იმხანად არსებული მძიმე საცენზურო პირობებისა, რის გამოც ქართველი მოღვაწეებისთვის შეუძლებელი იყო პრესაში ეროვნული თავისუფლების საკითხებზე ღიად მსჯელობა, ინტენსიურად შუქდებოდა სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და ამით შეფარული ფორმით ეწეოდნენ განმათავისუფლებელი იდეების პოპულარიზაციასა და ქართული საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებას. (ჯოლოგუა, 2013, 132)

იმ ქვეყნებს შორის, რომლებში მიმდინარე მოვლენებიც XX ს. დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებზე აქტიურად შუქდებოდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთს (რომელიც იმხანად ოსმალეთის იმპერიას წარმოადგენდა და შესაბამისად, ინფორმაციებიც ხან ოსმალეთის, ხანაც კონსტანტინეპოლის სახელით იბეჭდებოდა), არა მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვის, არამედ მასში მიმდინარე ეპოქალური მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური პროცესების გამო, რომლებიც სარკისებურად ისახებოდა რევოლუციის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის

ცხოვრებაზე და გარკვეულ მოლოდინებს უჩენდა ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესში მყოფ ქართულ საზოგადოებას. XIX - XX ს. მიჯნაზე გამომავალ ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე უხვად გაბნეული საინფორმაციო ტექსტებისა და მრავალფეროვანი პუბლიკაციების გაანალიზება ნათლად წარმოაჩენს იმდროინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას მეზობელ ქვეყანაში არსებული ვითარებისადმი ზოგადად; ასევე კონკრეტული, კონცეპტუალური საკითხებისადმი, რომელთა აქცენტირება „ცხოვრების მოთხოვნილებითა და საჭიროებით“ იყო ნაკარნახევი და გარკვეული „აზრისა და ცოდნის გავრცელებას“, „გონებითი და ზნეობითი ნიჭის“ აღორძინებას, მნიშვნელოვანი საკითხებისადმი მკაფიო განწყობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. XX ს. დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებიდან ამოკრებილი, ქრონოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით თავმოყრილი მასალის დაჯგუფება და განხილვა ცხადყოფს მაშინდელ საქართველოში ამ საკითხთა მიმართ არსებული ქართული საზოგადოების განწყობებს. ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ამ განწყობათა წარმოჩენა და გაანალიზებაა, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესს აღნიშნული საკითხების მიმართ.

შინაარსობრივად ეს პუბლიკაციები უაღრესად მრავალფეროვანია და მრავალ განსხვავებულ ასპექტს მოიცავს. მთავარი და გამორჩეული თავისებურება ამ პუბლიკაციებისა კონცეპტუალური მიდგომაა. ჩვენ ვეცადეთ პრესის ნომრებიდან ამოგვეკრიბა და გაგვეხილა ის პუბლიკაციები, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი ჩვენთვის საინტერესო საკითხები: ეროვნული თავისუფლება, ერის მთლიანობა, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა - ეს იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც იმდროინდელი პრესის: „ივერიის“ (1877-1909), „მოამბის“ (1895 - 1905), „ცნობის ფურცლის“ (1896-1906), „საქართველოს“ (1903 - 1905), „მოგზაურის“ - 1905, „სახალხო გაზეთის“ (1910-1914) და სხვ. ფურცლებზე მთავარი ადგილი უკავია და პუბლიკაციათა უმეტესობაც მათ ირგვლივ არსებული პრობლემატიკის განხილვა-გაანალიზებას ეძღვნება. ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო, საყურადღებო, მნიშვნელოვან, მწვავე და მტკივნეულ პრობლემებზე ყურადღების კონცენტრირება, სხვა ქვეყნებისა და ხალხების ყოფის ინტენსიურად გააშუქებისას მათზე აქცენტირება, ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესის ნაწილია და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესისათვის დამახასიათებელ საგულისხმო ტენდენციას წარმოადგენს.

კვლევისათვის ძირითადად „ივერიაში“, „ცნობის ფურცელსა და „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს ვიყენებთ. შინაარსობრივად ეს პუბლიკაციები უაღრესად მრავალფეროვანია და განსხვავებულ ასპექტებს

წარმოაჩენს. ვეცადეთ, პრესის ნომრებიდან ამოკრეფილი ჩვენთვის საინტერესო საკითხთა ირგვლივ შეგროვილი არცთუ მწირი მასალა ქრონოლოგიურ და კონცეპტუალურ ჩარჩოებში მოგვექცია. ამგვარი მიდგომით მასალის ანალიზი გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. სტატიის სტრუქტურა კი მიზნობრივი თემატური პუბლიკაციების სიხშირემ განაპირობა: ეროვნული თავისუფლება და ერის მთლიანობა, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა, განათლება... - ეს ის საკითხებია, XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების არაცალსახა დამოკიდებულების გამო, მსჯელობის საგნად რომ იყო ქცეული და ინტენსიურად განიხილებოდა სხვა ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრების მაგალითზე. ამჯერად, მეზობელი ოსმალეთიდან მოწოდებულ კორესპონდენციებსა და ოსმალეთში მიმდინარე მოვლენების ამსახველ პუბლიკაციებში ამ საკითხთა აქცენტირებაა ჩვენი ინტერესის ობიექტი. პრობლემატიკის ამგვარმა დაჯგუფებამ და გაანალიზებამ არაერთი საყურადღებო ასპექტი წარმოაჩინა. ვინაიდან პრესაში გამოთქმული მოსაზრებები ძალიან ჰგავს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მაშინდელ საქართველოში არსებულ განწყობებს, ადვილად საცნაურ ხდება იმდროინდელი ქართული საზოგადოების განწყობაც ზოგადად ოსმალეთისა და მასში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

ეროვნული თავისუფლებისა და ერის მთლიანობის იდეა თურქეთში მიმდინარე მოვლენათა ასახვის ფონზე XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში.

XIX საუკუნის ქართული პრესისათვის დამახასიათებელი ტენდენციების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფარული ფორმით გაწვევისა და ქართველ მკითხველთა შორის განმათავისუფლებელი იდეების პოპულარიზაციისთვის ქართული პრესის მნიშვნელობა ამომწურავადაა განხილული თ. ჯოლოგუას 2013 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში - „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX ს.). იგივე გზას აგრძელებს ქართული ჟურნალისტიკა XX ს. დასაწყისში: იკვეთება იგივე ტენდენციები, უფრო ღრმავდება და იხვეწება დროისა და გარემოებათა ცვლილებისდა მიხედვით. ჟურნალისტიკის მოვალეობაც მკაფიოდ განსაზღვრული: ცხოვრების მოვლენათა აკინძვა, ფაქტისა და მიზეზების ერთმანეთთან დაკავშირება და იქიდან გამომდინარე შედეგთა გარკვევა და გათვალისწინება.“ („ივერია“, #1, 1906.)

იმჟამინდელი პერიოდიკის თემატიკის თვალის გადავლებისას უნებურად გახსენდება „ივერიის“ საპროგრამო წერილებში გაცხადებული დაპირება: „რედაქცია ყოველს ღონის-ძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დატოვოს“. მსოფლიოში XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპასა და აზიაში, განსაკუთრებით მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე თავბრულდამხვევად დინამიურ მოვლენათა კვალად, პრესის მიერ თავმოყრილი ინფორმაციული ბაზაც მრავალფეროვანი და მრავალთემოვანია. სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებიდან თუ

საკუთარი კორესპონდენტების მიერ მოწოდებული, თემატურად რუბრიკებად შერჩეული პუბლიკაციები მრავალმხრივ საინტერესოა და მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს ღირებულებაც აქვს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რუბრიკები: „ფელეტონი“, „უცხოთა შორის“, „უცხოეთი“, „დეპეშა“, „გაზეთებიდან“, „ოსმალეთ იტალიის ომი“, „ბალკანეთის ომი“, „ბალკანეთი და ევროპა“, „რუსეთი და ოსმალეთი“, „ამბოხება ოსმალეთში“ ... რომლებშიც თავმოყრილია არამარტო რუსული, არამედ უცხოური საინფორმაციო სააგენტოებიდან მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციები. უნდა შევნიშნოთ, რომ

სანდოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა საკუთარი კორესპონდენტების: ისე რაჭველის, დავით ჩიქოვანის, ივ. გვარამაძის, ვინმე კოლხის, შინაურის, დ. მიქელაძის (მეველეს), მეთვალყურეს მიერ მოვლენათა ეპიცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციები თუ მიმდინარე მოვლენათა ამსახავი პუბლიკაციები, რომლებშიც კარგად იკითხება ავტორთა პირადი დამოკიდებულება და სარედაქციო პოლიტიკის ორიენტირის მაჩვენებელიცაა.

ასევე, საკითხის ობიექტურად წარმოჩენის მიზნით, უცხოური პრესის ფურცლებიდან გადმოტანილი და „გადმოქართულებული“ ამბები. ამგვარი „ამბები“, იძლეოდა ცენზურისთვის თვალის ახვევის თუ გვერდის ავლის საშუალებას. მათში გამჭვირვალედ იკითხება ეროვნული თავისუფლების, ერის მთლიანობის, სოციალური სამართლიანობისა თუ პოლიტიკური თანასწორობის იდეები, რომელთა პირდაპირ ქადაგებისას გაზეთი საცენზურო კომიტეტისგან, ბუნებრივია, ვერ მიიღებდა ნებართვას - „Дозволено цензурою“.

ქართულ საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლეოდა, ერთის მხრივ, უცხოური პრესის პერსპექტივიდან თვალი მიედევნებინა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების განვითარებისათვის, ამავედროულად, იქაური „ცხოვრების დაუდგრომელ დუღილში“ თავისი „ცხოვრების მოთხოვნილება და საჭიროება ამოეკითხა“. უნდა შეინიშნოს, რომ მეტი დამაჯერებლობისთვის მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებებია დამოწმებული, ისეთები, როგორიცაა: ფრანგული: *Paris Nouvelles*“, „ბლოკი“, „ტანი“; ინგლისური *„Polit. Corresp.“*, *„Neues W. Jornal“*, *„Times“*, „მანჩესტერ გუარდიან“; თურქული: „იკდამი“ „მეშვერეთი“, „სერვესტი“, „Bevue“, „Temps“-ი, „Moniteur Ottoman“, „Moniteur Oriental“, „Standart“; სერბული: „ცარიგრადსკი გლასნიკი“, „ბეოგრადსკე ნოვინე“; უნგრული *„Revue d'Orient et de Hongria“*, რუსული „რუსსკაია ვედომოსტი“, ავსტრიული „Neve Freie Presse“, ბულგარული „ახალი დღიური“, „ვეჩერნაია პოსტა“ და სხვა.

სარედაქციო წერილებში დამოწმებულია უცხოელი ავტორების: კლემანსოს, პრესანსეს, სერ უილიამ რამზეის და სხვათა ევროპულ თუ თურქულ გამოცემებში

დაბეჭდილი ნააზრევი, აქტუალურ, მწვავე საკითხებზე გაკეთებული პოლიტიკური შეფასებანი, თუმცა მათი ავთენტურობის გადამოწმება შეუძლებელია, რადგან არაა მითითებული გამოცემის თარიღი ან ნომერი, რაც ბადებს ეჭვს ამ შეფასებათა ადრესანტისა და გვაფიქრებინებს, რომ ესეც ერთგვარი ხერხი იყო ცენზურის თვალის ასაბმელად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ორ მთავარ გამოცემაში, „ივერიასა“ და „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილ მასალას მოვუყარეთ თავი. „ივერია“, რომელიც 1877- 1909 წლებში თითქმის შეუფერხებლად გამოიცემოდა, თუ არ ჩავთვლით ილიას წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანიის გამო შექმნილ პრობლემებს და რეაქციის წლებს -1906 წ, როცა ორი თვის მანძილზე შეჩერებული იყო, ხოლო შემდეგ კი შეფერხებებით გამოიცემოდა და ბოლოს კი 1909 წ. ფინანსური პრობლემების საბაბით სრულად დახურეს. 1909 -1914 წლებში გამოდიოდა სოციალ-ფედერალისტთა ბეჭდვითი ორგანო. „სახალხო გაზეთი“. ამ ორი საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უწყვეტად შეგვიძლია მივადევნოთ თვალი „მახლობელ აღმოსავლეთში“ მიმდინარე მოვლენებსა და საზოგადოების განწყობებს XX ს. დასაწყისიდან ვიდრე პირველ მსოფლიო ომამდე.

ეს პერიოდი თურქეთისთვის, რომელიც იმჟამად ოსმალეთად იწოდებოდა ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია. რუსეთთან განცდილი მარცხების შემდეგ დასუსტებული ქვეყნისთვის წელში გამართვა იოლი არ აღმოჩნდა. შიდა დაპირისპირებებმა კი საბოლოოდ შეარყია ორ კონტინენტზე გადაჭიმული ძლიერი იმპერიის საძირკველი და დაშლამდე მიიყვანა.

„ივერიის“ საკუთარი კორესპონდენტი იასე რაჭველი, რომელიც 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, რეგულარულად გზავნიდა კორესპონდენციებს მოვლენათა ეპიცენტრიდან. თვითმხილველის თვალით დანახული და განცდილი გადმოჰქონდა გაზეთის ფურცლებზე და ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ოსმალეთის მიმართ პოზიტიური განწყობის შექმნას ცდილობდა. მის პუბლიკაციებში მნიშვნელოვანი ინფორმაციებია შემონახული თურქეთის იმდროინდელი რეალური ყოფისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი მოგონებანი, რომლებიც საარქივო მასალებში იქნა მოძიებული და გამოცემული ნ. ბოსტაშვილის მიერ 1991 წ. სათაურით „წერილები თურქეთიდან“. ერთერთ მათგანში, რომელიც უთარილოა და სავარაუდოდ, დაუსრულებლობის გამო პუბლიკაციად ვერ იქცა - „ოსმალეთი და საქართველო“ (დღევანდელი ომის გამო. მოგონებანი) ვკითხულობთ: „ არსად, არავითარ ქვეყანაში, არავითარ ხალხზე არ შეიძლება ითქვას არც სავსებით კარგაო, არც სავსებით გლახაო... იმ დროს, როცა ოსმალეთის ბედ-იღბალი ბეწვის ხიდზე ჰკიდია, მათ ქვეყანაში გერმანიზმის გამეფებისა თუ სხვა ისტორიული უღმობლობის გამო, არავის არ ეპატიება წყალი სათავეში

აუმღვრიოს და ტყუილი ცნობები გაავრცელოს, ჩვენ გვესმის ზოგი ასეთი ვაჟბატონის კუჭის გვრემა, რომ ამით შეიყვანონ ჩვენი ხალხი შეცდომაში და გადაგვამტერონ ამ ხალხს, რომელსაც ჩვენ არც კი ვიცნობთ. ოსმალები არც ისინი არიან რაც წინათ იყვნენ, მაშინ რაინდობა ხმაღზე იყო დამყარებული, დღეს კი ჭკუაზე და ტექნიკაზეა. ამიტომა არც გადაჭარბებით ქებით უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ ოსმალებს და არც მეტი დამცირებით. (ბოსტაშვილი, 1991/108). სიფრთხილისა და ზომიერებისაკენ მოუწოდებს თანამოკალმეებსა და ზოგადად საზოგადოებას. მის პუბლიკაციებში იგრძნობა მცდელობა მეზობელი ქვეყნის მიმართ ქართულ საზოგადოებაში დადებითი განწყობის ჩამოსაყალიბებლად, რაც ახალი დროისა და მოთხოვნილებების შესაფერისი მსოფლმხედველობის ფორმირებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი იყო.

იასე რაჭველი ერთგვარად იზიარებდა ოსმალთა ნაციონალისტების აზრს: ოსმალეთი თვით ოსმალთ უნდა იხსნანო, როდესაც წერდა ჯერ კიდევ 1897 წელს გაზეთ ივერიაში: „ახალთაობის ოსმალთა შეთანხმებული მოქმედება სულთანთან უფრო დიდ შემწეობას აღმოუჩენს მრავალ ტანჯულის ოსმალეთის სვე-ბედს. ვინ არ იცის, რომ თვით მართლმორწმუნეთა ხალიფს დიდი ხანია ჰსურს მართვა-გამგეობა განათლებულის ხალხის ხელში ჩააგდოს და ამითი მოუღოს ბოლო მარცვა-გლეჯას, მექრთამეობასა და უსამართლობას. საზოგადოდ ეტყობა, ნელ-ნელა ოსმალეთი მიხვდა, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება.“ („ივერია“, 1897, # 164)

ძველებურად ცხოვრება რომ აღარ შეიძლებოდა, ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ხალხებიც ხვებოდნენ, თუმცა მხოლოდ უხეირო მმართველობის შეცვლა არ იყო საკმარისი. „ოსმალეთში დღეს ყველაფერს წინსვლა ეტყობა, მაგრამ... მრავალ ჯურა და რჯულის ხალხის დამშვიდებას არა ეშველა-რა. დღემდის ქვეყანას ასე ეგონა, ამათი არეულობის მიზეზი ოსმალეთის ურიგო მმართველობა არისო და მათი ბარბაროსობაო, ეხლა-კი, ამას წინად მომხდარ ამბების გამოაშკარავებამ, თითქმის ყველანი დაარწმუნა, რომ ოსმალეთი აქ არაფერს შუაშია“. - წერდა ი. რაჭველი მაკედონიაში მომხარი არეულობის შესახებ 1901 წ. „ივერიის“ 75-ე ნომერში დაბეჭილ პუბლიკაციაში „წერილი ოსმალეთიდან“. შემდგომში ბალკანეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა და აქტიურად შუქდებოდა იმჟამინდელ ქართულ პრესაში სპეციალური რუბრიკით „ბალკანეთის ომი“, „ოსმალეთი და პატარა ერები“ და არაერთი სტატია დაიბეჭდა მათ გასაანალიზებლად, დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს მოწყობის პრინციპის შეცვლის აუცილებლობა. აქტიურად განიხილებოდა ფედერალიზმისა და ავტონომიის უპირატესობანი.

„ეროვნული საკითხის გამო ოსმალეთს კიდევ ბევრი შავი დღე დაადგება, ბევრი შინაური განხეთქილება, ბევრი სისხლის ღვრა, - ეს განხეთქილება, ეს სისხლის ღვრა სამუდამოთ მოისპობა მაშინ, როდესაც სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა

ეროვნებას თანასწორი უფლება მიენიჭება. „ - წერდა 1909 წ. ვინმე კ. - გაზეთ „ივერიის“ ოცდამეთექვსმეტე ნომერში. („ივერია“, 1909, #36)

აღნიშნული საკითხი აქტუალური იყო ქართული საზოგადოებისთვისაც, როგორც რუსეთის იმპერიის კლანჭებქვეშ მოქცეული პატარა ერისთვის. ბალკანელებთან პარალელების გავლებას, მათი გამოცდილების გაზიარებით, შეცდომების გათვალისწინებით თუ მიღწევების გაანალიზებით საკუთარი ორიენტირების განსაზღვრას მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა.

„მხოლოდ ის ერი მიდის წინ, იძენს განათლებას და სიმდიდრეს, ვინც მოიპოვავს ეროვნული თავისუფლება. ეროვნული მისწრაფება არის უმთავრესი მიმართულება მსოფლიო მოძრაობისა. ევროპიდან წამოსულმა ტალღამ გადმოიარა ავსტრია და უნგრეთი, სერბია და ბოლგარია, მიაღწია სტამბოლს და დღეს თუ ხვალ უნდა გაიტაცოს საქართველოც. - ვკითხულობთ გაზეთ „ივერიის“ 1909 წ. პირველ ნომერში დაბეჭდილ გიორგი გვაზავას პუბლიკაციაში „ფიქრი საქართველოს მომავალზე“. („ივერია“, 1909 წ. #1) რამდენად იყო მზად საქართველო მსოფლიო მოძრაობის ევროპიდან წამოსულ ტალღის დასახვედრად?!

ასი წლის განმავლობაში მონობას ჩვეული ქართველი ერი დღეს კიდევ საკუთარ იდეალების წამოყენებას ვერ ახერხებს და პოლიტიკურ აზროვნებაში დამოუკიდებელს მოქმედებას ვერ ბედავს. კრძალვით და მოწიწებით გავიხედებთ დღესაც კიდევ სხვა ერებისაკენ და ჩვენი ეროვნული წყლულის მალამოს იქიდან მოველით... - ვკითხულობთ „ივერიაში“ დაბეჭდილ კ. თუმანიშვილის სარედაქციო წერილში („ივერია“, 1909 წ. #1) ჩვენ ქართველები, წინეთ ასი წლის განმავლობაში ეროვნულად დაჩაგრული ვიყავით, ამის უარყოფა ქართველების მტერსაც არ შეუძლია. დაჩაგრული ვიყავით იმიტომ, რომ სახელმწიფოში არ გვქონდა იგივე უფლებები, რომელიც სხვებს, მაგ. რუს ეროვნებას ჰქონდა მინიჭებული. ჩვენი წარსული ცხოვრების რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ ამ უსამართლო განსხვავების დადი ყველას თანასწორად ეტყობა. - წერს სტატიის ავტორი და ერისათვის, რომელსაც სურს არ შეურიგდეს თავის ეროვნულ დაჩაგრვას და უნდა უფლებებით სახელმწიფოში ყველა სხვა ეროვნებას გაუთანასწორდეს, გამოსავალს განსაკუთრებული, ეროვნული პროგრამის შემუშავების აუცილებლობაში ხედავს. თუ მოისპობა ყოველივე ეროვნული ქიშპობა, ქართველი ერი თავის თავს დაჩაგრულად არ იგრძნობს და რუსეთში მცხოვრებ ყველა სხვა ეროვნებასთან ერთად შესძლებს თავისი ძალები ადგილობრივ ხალხის კულტურულ ზრდას, სახელმწიფოს პოლიტიკურ გაძლიერებას შესწიროს; თუ ერის ყოველი ნაწილი ერთ რომელიმე აზრით და სურვილით იქნება გატაცებული, მაშინ იგი ძლიერი და უძლეველი იქნება. - ასე სჯერა სტატიის ავტორს.

ეროვნული პროგრამა უნდა დახმარებოდა ქვეყანას, თავისუფლების მოპოვების შემდგომ პერიოდში თავიდან აეცილებინა პროცესების იმგვარი განვითარება, როგორც იყო ბალკანეთის ქვეყნებში. „... ამ ოცდა-ხუთის წლის წინედ ბურგაზის მკვიდრნი (ბულგარეთი) იმის ნატვრასა და ცდა-ბრძოლაში იყვნენ, რომ როგორმე ოსმალეთის ბრჭყალებს თავი დავახწიოთო და თავისუფლება, ეს ყოველის გონიერ ცხოველისათვის საჭირო საგანი შევიძინოთო. ეხლა-კი გაიძახიან : „ვაი ჩვენს მოსწრებას, ნეტავი ისევ ოსმალების ხელში ვყოფილიყავითო“. („ივერია“ 1902, #96) ვკითხულობთ იასე რაჭველის 1902 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „წერილები ბურგაზიდან“, რომელშიც დაწვრილებით აღწერს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ბულგარელში გამეფებულ დუხჭირ ყოფას. შიმშილისაგან შეწუხებული გლეხობა, რომლებმაც თავისუფლებასა და კეთილდღეობას შორის არჩევანი კეთილდღეობის სასარგებლოდ გააკეთეს, „რა თავში ვიხლი თავისუფლებას, თუ კუჭი შიმშილით დამეწვისო“, ტოვებენ სახლ-კარს და გარბიან ოსმალეთში.

სტატიის ავტორი აღწერს ასევე მრავალეროვანი ქვეყნის მაცხოვრებელთა შორის არსებულ საშინელ სიძულვილს, როგორ დასანახად ეზარებათ ერთმანეთი. სადაც ძმობა და ერთობა ისევე მოუხერხებელია, როგორც ბალკანეთის სხვა ქვეყნებში. როგორ ცდილობენ ბულგარელები თავიანთი უპირატესობა განამტკიცონ, სხვა ერები დაამცრონ, დააკნინონ და ქვეყნის დატოვება აიძულონ. „თუმცა ხალხის თავისუფლება, კონსტიტუციის ძალით, ხელ-უხლებელი უნდა იყოს, ბოლგარები ბერძენთა წინააღმდეგ სიტყვებს ამბობენ და ბერძენებს-კი თავის გასამართლებელ სიტყვის მიგების ნებას არ აძლევენ. ასეა, მკითხველო, დღეს ეს თავისუფალი ქვეყანა და რა იქნება იქ, საცა თავისუფლება არ არის. ეს ადვილად მისახვედრია.“ - ასკვნის სტატიის ავტორი. („ივერია“ 1902, #96).

ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად იასე რაჭველი გამოსავალს „ავტონომიაში“ ხედავს: „მიეცით თითოეულ ისტორიულ ეროვნებას შინაური მართვა-გამგეობის მოწყობის უფლება - „ავტონომია“ და ის მაშინ გახდება სასარგებლო წევრი თავის ქვეყნის უზენაეს სახელმწიფოს ისე, როგორც არიან: ინგლისში, შვეიცარიაში და სხვაგან. რუსეთის დღევანდელ მთავრობას კი თავის ქვეშევრდომებზე იმდენი ნდობაც კი არა აქვს, რომ ისინი შეაიარაღოს და ადგილობრივ დატოვოს. - წერს თავის მოგონებებში. (ბოსტაშვილი, 1991/114)

ავტონომიური უფლებები არა მხოლოდ მცირე ერებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ისეთი დიდი სახელმწიფოსთვისაც, როგორც ოსმალეთი იყო. „პრინციპით არც ერთს სახელმწიფოს, რაც უნდა დიდი იყოს მისი მოქალაქეობრივი უპირატესობა, ნება არა აქვს ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში. მაგრამ რახან ევროპა, კაცთმოყვარეობის პირბადით სახეაფარებული, ნდომობს მზრუნველობა გაუწიოს აბდულ-ჰამიდს და მის გამგეობას, რომ მისი ჩარევა სხვის საქმეში სამართლიანობასა და სჯულიერებას

მაინც ეთანხმებოდეს. („ივერია“, 1902 წ., # 19) ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის შედეგებს კარგად აცნობიერებდა ახალგაზრდა ოსმალთა პოლიტიკური დასი და ხვდებოდა, რომ მნიშვნელოვანი იყო საკუთარი ქვეყნის საზოგადოების თანადგომის მოპოვება, ამისთვის-კი საჭირო არ არის თავის დამდაბლება, მონობა და ევროპის ფეხ-ქვეშ წოლა, იმ ევროპისა რომელიც ცივის ანგარ მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდება. ჩვენ უნდა ქრისტიანთა ცივილიზაციის საუკეთესო მხარეები შევითვისოთ და დავაწესოთ ჰუმანური გამგებლობა, რომელიც თანაბრად და თანასწორად უნდა მოეპყრას ოსმალეთში მცხოვრებ ერებს“. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლიან გავაძლიეროთ ოსმალეთი იმდენად, რომ იმასთან მეგობრობა სხვა სახელმწიფოებისთვის სანატრელი გახდესო. („ივერია“, 1902, #44)

როგორც ჩანს, მოგვიანებით თავად ოსმალეთის ხელისუფლებაც მიხვდა „ჰუმანური გამგებლობის“ საჭიროებას. „ახალი სულთანი ყველა ეროვნების წარმომადგენელს იწვევს შეერთებულ მუშაობისკენ. ეს მოწოდება მეტად საგულისხმოა და საყოველთაო აღტაცებას იწვევს ოსმალეთის არა ოსმალთა ერებში.- გვ ამცნობს გაზეთი „ივერია“ 1909 წ. („ივერია“, 1909, #19)

თუმც მახლობელ აღმოსავლეთის მდგომარეობა ასე ადვილად და სწრაფად არ მოგვარებულა. საქმე უმთავრესად შეეხება ოსმალეთსა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ პატარა ერებს, „რომელთაც აქვთ თავისი განცალკევებული სულიერი სალარო, თავისი კერძო პოლიტიკური იდეალები. ამ ერთა მისწრაფება უფრო თვალსაჩინო გახდა ოსმალეთის განახლების შემდეგ, როდესაც იმედის ამდენი ნაკადული დაიღვარა ამ ერების გარანტიების შესახებ, როდესაც ამდენი სიტყვა წარმოითქვა ძმობასა და თანასწორობა-ერთობაზე. განახლებული ოსმალეთისაგან მოელოდნენ პატარა ერები თავიანთ უფლებათა აღდგენას. („სახალხო გაზეთი“, 1910, #2)

1910 წ. მეთორმეტე ნომერში ვკითხულობთ გაზეთ „მანჩესტერ გუარდიან“-ის მცირე აზიის კორესპონდენტის, სერ უილიამ რამზეის, რომელიც აღმოსავლეთის კარგ მცოდნედ ითვლებოდა, ნააზრევს: უნდა აირჩიოს ოსმალთა ერმა: ან დაქუცმაცება ოსმალეთისა, ან თავის გათანასწორობა უფლებებით სხვა თანამოსახლე ერებთან. საიმედო არ არის, რომ ოსმალთა შორის დაიბადოს ისეთი გენიოსი, რომელსაც, როგორც ნაპოლეონს, შეეძლოს გამოჩენა სამხედრო და ადმინისტრაციულ ნიჭისა, მაგრამ გინდ რომ დაიბადოს კიდეც ასეთი პირი, იგი უთუოდ სცნობს საჭიროდ ოსმალეთის მთლიანობის შესანახად ერთა გათანასწორობას.“ („სახალხო გაზეთი“, 1910, #12)

როგორც ჩანს, ხონთქარმაც მისაღებად ჩათვალა ამგვარი მიდგომა, რისი დასტურიცაა პარლამენტში წარმოთქმული სეფე-სიტყვა: „ჩემი სურვილია ოტომანებში ძლიერი განვითარება მენახა იმ ძმობისა და ერთობისა, რომელიც ასე საჭიროა სამშობლოს კეთილდღეობისა და წინსვლისათვის. დარწმუნებული ვარ,

სენატი და პალატა. მდგომარეობისა და კანონპროექტის თაობაზე კამათს რომ შეუდგებიან, სამშობლოს კეთილდღეობა და ბედნიერება თვალით ექნებათ. მწამს მათი დადგენილება ამ მიზნით იქნება ნაკარნახევი. სიხარულით აღვნიშნავ, რომ ჩვენი ურთიერთობა გულწრფელი და მეგობრულია, როგორც წინად, ეხლაც განვაგრძობთ პოლიტიკას, სხვა არას ვერჩოდეთ და ჩვენი დავიცვათ.“ („სახალხო გაზეთი“, 1911, #415)

დასკვნა

იმ ქვეყნებს შორის, რომლებში მიმდინარე მოვლენებიც XX ს. დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებზე აქტიურად შუქდებოდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთს არა მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვის, არამედ მასში მიმდინარე ეპოქალური მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური პროცესების გამო, რომლებიც სარკისებურად ისახებოდა რეგიონის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე და გარკვეულ მოლოდინებს უჩენდა ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესში მყოფ ქართულ საზოგადოებას.

კვლევისათვის ძირითადად „ივერიაში“, „ცნობის ფურცელსა და „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებია გამოყენებული. შინაარსობრივად ეს პუბლიკაციები უაღრესად მრავალფეროვანია და განსხვავებულ ასპექტებს წარმოაჩენს. პრესის ნომრებიდან ამოკრეფილი ჩვენთვის საინტერესო საკითხთა ირგვლივ შეგროვილი არცთუ მწირი მასალის ქრონოლოგიურ და კონცეპტუალურ ჩარჩოებში მოგქცევამ და მისმა ანალიზმა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა. კერძოდ:

XX ს. დასაწყისში ქართულ საზოგადოებაში თანდათან იზრდებოდა ინტერესი მეზობელ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ; ქართული პრესის მესვეურნი ცდილობდნენ მკითხველისთვის მიწოდებული ინფორმაციები არ ყოფილიყო მწირი და ტენდენციური; არ იფარგლებოდნენ მხოლოდ რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ მოწოდებული ცნობებით. მკითხველს საშუალება ჰქონდა, თვალი მიედევნებინა როგორც თურქული, ისე ევროპული საინფორმაციო საშუალებებისათვის. გასცნობოდა აქტუალური საკითხების შესახებ არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს და თავადვე შეერჩია საკუთარი პოზიცია.

წინა პერიოდისაგან განსხვავებით, XX ს. დასაწყისის პრესის ფურცლებზე გაბნეულ პუბლიკაციებში იგრძნობა აშკარად შერბილებული ტონი, დადებითისკენ შეცვლილი განწყობა, რომელშიც ერთგვარი თანაგრძნობაც კი გამოსჭვივის „მრავალ ტანჯულის ოსმალეთის სვე-ბედის“ მიმართ. მასში მიმდინარე პროცესების ანალიზი ეროვნული თავისუფლებისა და ერის მთლიანობის იდეის გააზრებისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოსტაშვილი ნ., „წერილები თურქეთიდან“, თბილისი, 1991 წ.
2. გაზ. „ივერია“, 1877 წ., #1;
3. გაზ. „ივერენსია“, 1897 წ., #164;
4. გაზ. „ივერია“, 1901 წ., #75;
5. გაზ. „ივერია“, 1902 წ., #19;
6. გაზ. „ივერია“, 1902 წ., #44;
7. გაზ. „ივერია“, 1902 წ., #96;
8. გაზ. „ივერია“, 1906წ., #1;
9. გაზ. „ივერია“, 1909 წ., #1;
10. გაზ. „ივერია“, 1909 წ., #19;
11. გაზ. „ივერია“, 1909 წ., #36;
12. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ., #2;
13. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ., #12;
14. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., #415;
15. ნიკოლეიშვილი ა., ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლები თურქეთში, ქუთაისი, 2015წ;
16. ჯოლოგუა თ., „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX ს.), თბილისი, 2013 წ.

8. XIX საუკუნის ქართველი მწერლობა თურქულ ენციკლოპედიებში

გიულ მუქერემ ოზთურქი / Gül Mükerrerem ÖZTÜRK

Doç. Dr. Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi, Fen Edebiyat Fakültesi, Gürcü Dili ve Edebiyatı Bölümü / ასოცირებული პროფესორი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება / Assoc. Prof. Recep Tayyip Erdoğan University, Faculty of Arts and Sciences, Department of Georgian Language and Literature. DOI: **10.5281/zenodo.10463352**

ORCID ID: 0000-0003-1875-4954

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: gul.ozturk@erdogan.edu.tr Rize/Türkiye

მოკლე შინაარსი

საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია როგორც კავკასიის რეგიონისთვის, ასევე თურქეთისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობები და მნიშვნელოვანი მოვლენები სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში, წარსულიდან დღემდე თარიღდება, ლიტერატურულ ურთიერთობებში განვითარებული მოვლენები ახლო წარსულიდან იღებს სათავეს. თუ ქართულ-თურქულ ლიტერატურულ ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ ქართველი მკითხველი თურქულ ლიტერატურას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართველი თურქოლოგების დახმარებით გაეცნო. თუმცა, ქართულმა ლიტერატურამ თურქულ საზოგადოებამდე მიაღწია უფრო შემდგომ პერიოდში. ამ კვლევის მიზანია ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებული ოთხი თურქული ენციკლოპედიის ზოგადი შეფასება. ამ თვალსაზრისით, ჩვენი კვლევის შესავალ ნაწილში, რომელშიც ვლინდება ქართული ლიტერატურის ისტორია თურქულ ენციკლოპედიებში, ჯერ ხაზგასმულია ქართული ლიტერატურა, შემდეგ თავებში კი მოცემულია კონცეპტუალური ჩარჩო და მეთოდი. კვლევის დასკვნით ნაწილში მოცემულია ინფორმაცია ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ ოთხ ენციკლოპედიაში, კერძოდ, „თურქული ენციკლოპედია“, ლარუსის დიდი ენციკლოპედია“, „ანაბრიტანიკა“ და „სტამბოლის ენციკლოპედია“. დასკვნისა და რეკომენდაციების ნაწილში კი ხდება შეფასებები კვლევაში მიღებული შედეგების საფუძველზე და მოცემულია რეკომენდაციები. მიგვაჩნია, რომ ეს კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მცირე წვლილს შეიტანს ორი მეზობელი ქვეყნის ენის, ლიტერატურისა და კულტურის კვლევის სფეროებში.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ენციკლოპედია, კავკასია, ქართული.

Türk Ansiklopedilerinde 19. Yüzyıl Gürcü Yazarlığı

Öz

Gürcistan, konumu itibariyle hem Kafkasya bölgesi hem de Türkiye için önem arz etmektedir. Gürcistan ve Türkiye arasındaki özellikle siyasi, askeri ve ekonomik olmak üzere çeşitli alanlardaki dikkate değer gelişmeler geçmişten günümüze kadar uzanmasına rağmen edebi ilişkiler yönündeki gelişmeler ise yakın geçmişe dayanmaktadır. Gürcü-Türk edebi ilişkilerden bahsedecek olursak, Türk edebiyatının

Gürcü okuyucularla tanışması İvane Cavakhişvili Tiflis Devlet Üniversitesi ve Doğu Bilimleri Enstitüsündeki Gürcü Türkologların öncülüğünde gerçekleştiğini söylememiz gerekir. Ancak Gürcü edebiyatının Türk toplumuna ulaşabilmesi ise daha geç dönemlerde karşımıza çıkmaktadır. Bu çalışmanın amacı, Gürcü edebiyat tarihini ele alan dört Türk ansiklopedi üzerine genel bir değerlendirme yapmaktır. Buradan hareketle, Türk ansiklopedilerinde Gürcü edebiyatı tarihi hakkında tespit ettiğimiz çalışmamızın giriş bölümünde ilk olarak Gürcü edebiyatı üzerinde durulmuş ve sonraki bölümlerde ise, kavramsal çerçeve ve yönteme değinilmiştir. Çalışmanın bulgular kısmında, "Türk ansiklopedisi", "Büyük Larousse Sözlük ve Ansiklopedisi", "Ana Britannica" ve "İstanbul Ansiklopedisi" olmak üzere dört ansiklopedi de yer alan Gürcü edebiyatı tarihi üzerine yazılmış bilgilere yer verilmiştir. Sonuç ve öneriler bölümünde ise çalışmada elde edilen bulgulardan yola çıkarak değerlendirmelerde bulunulmuş ve öneriler sunulmuştur. Bu çalışmanın başta dil, edebiyat ve kültür olmak üzere bu iki komşu ülke arasında yapılacak karşılıklı bilimsel çalışmalara katkı sunması açısından önem arz ettiği düşüncesindedir.

Anahtar Kelimeler: Gürcü edebiyatı, ansiklopedi, Kafkasya, Gürcüce.

Century Georgian Authorship in Turkish Encyclopedias

Abstract

Due to its location, Georgia is important for both the Caucasus region and Turkey. Although the relations between Georgia and Turkey and notable developments in various fields, especially in the political, military, and economic fields, date from the past to the present, the developments in the literary relations date back to the recent past. If we talk about the Georgian-Turkish literary relationship, we have to say that Georgian readers were introduced to Turkish literature under the leadership of Georgian Turcologists from Ivane Cavakhishvili Tbilisi State University and Institute of Oriental Studies. However, Georgian literature could reach Turkish society in later periods. The aim of this study is to make a general evaluation on four Turkish encyclopedias dealing with the history of Georgian literature. From this point of view, in the introductory part of our study in which the history of Georgian literature in Turkish encyclopedias is revealed, Georgian literature is first emphasized, and in the following sections, the conceptual framework and method are mentioned. In the findings part of the study, information on the history of Georgian literature in four encyclopedias, namely "Turkish encyclopedia", "Great Larousse Dictionary and Encyclopedia", "AnaBritannica", and "Istanbul Encyclopedia" is given. In the conclusion and recommendations section, evaluations are made based on the findings obtained in the study and suggestions are presented. It is thought that this study is important in terms of contributing to the mutual scientific studies to be made between these two neighboring countries, especially in language, literature, and culture.

Keywords: Georgian literature, encyclopedia, Caucasus, Georgian.

შესავალი

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის ახლო წარსულში დაიწყო. საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გარდა საქართველოსა და თურქეთს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კულტურის სფეროშიც. კულტურული ურთიერთობა აისახა ლიტერატურაზეც.

1940 წელს ნიაზ აჰმედ ბანოდლუ დაინტერესდა ქართული ლიტერატურით, მაგრამ მის ინიციატივას ყურადღება არავინ მიაქცია. მაგრამ ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება თურქეთში 1960 წლიდან იწყება. აჰმედ მელაშვილმა 1968 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო“. წიგნი თურქ მკითხველს აცნობდა საქართველოს და ქართული ლიტერატურის შესახებაც იყო მცირე ინფორმაცია. მანვე თარგმნა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“ (1973) და გამოაქვეყნა. კულტურულ ჟურნალ „ჩვენებურში“ კი დაბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის რამდენიმე თავი. 1969 წელს კი გერმანიულიდან თურქულ ენაზე ითარგმა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“.

რამაც თურქი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. რასაკვირველია, ის, რომ თურქი მკითხველი არ იცნობდა ქართულ ლიტერატურას, იყო ძალიან დიდი დანაკლისი. ეს კარგად ესმოდათ აჰმედ ოზგან მელაშვილს, იბრაჰიმ იავეზ გორაძეს, ჰაირი ჰაირიოღლუს, მათ ხელი მოჰკიდეს ქართული ლიტერატურის თურქული საზოგადოებრიობისათვის გაცნობის რთულ საქმეს.

ამის შემდეგ ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობები ჟურნალ „ჩვენებურის“ („Çveneburi“) საშუალებით გრძელდება. ჟურნალი კულტურის დარგის კრებული იყო, რომელიც გამოდიოდა თურქეთის რესპუბლიკაში და გათვალისწინებული იყო თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის და საქართველოში დაინტერესებული თურქებისათვის. კრებული გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ.

„ჩვენებურის“ კარი ღია იყო ყველა იმ მწერლისთვის, პოეტისთვის, მთარგმნელისთვის, რომელსაც რაიმე შეხების წერტილი ჰქონდა საქართველოსთან. კრებული მეტად მრავალფეროვანი იყო. აქ მკითხველი ეცნობოდა ქართულ ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნებას, კულტურას, საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას, სოციალურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას; ინტერვიუსა და პორტრეტის განყოფილებაში საინტერესო პიროვნებებთან უწყევდა შეხვედრა. აქ ისინი ხვდებოდნენ ქართული ხალხური ზღაპრების გმირებს, ეცნობოდნენ ქართველ საბავშვო მწერალთა და პოეტთა ლექსებსა და მოთხრობებს.

„ჩვენებურის“ პირველი ნომერი გამოსცა შვედეთის ქართულმა კულტურულმა კავშირმა შანვერ აკინის ინიციატივით სტოკჰოლმში 1977 წელს. ამავე წელს გამოვიდა კრებულის მეორე და მესამე, მომდევნო წელს მეოთხე და მეხუთე ნომრები. სტამბოლში დაიბეჭდა „ჩვენებურის“ მეექვსე და მეშვიდე ნომერი 1979 წელს აჰმედ მელაშვილის მიერ.

ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა შეწყდა აჰმედ მელაშვილის გარდაცვალების მიზეზით. მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჟურნალის გამოცემის აღდგენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქ. სტამბოლში რედაქციას

სათავეში ედგა ფარნა-ბექა ჩილაშვილი, ხოლო შემდეგ წლებში ჟურნალს ხელმძღვანელობდა ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი).

თურქეთში ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში „ჩვენებურის“ გარდა დიდი წვლილი მიუძღვის ისეთ ჟურნალებსაც, როგორებიცაა „მამული“ და „ფიროსმანი“.

აღსანიშნავია ჰაირი ჰაირიოღლუს ნაშრომებიც, რომლებიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ეხება. ჰაირი ჰაირიოღლუ დაიბადა 1936 წელს ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. მისი მშობლები აჭარიდან თურქეთში გადასახლდნენ. ქართული სასაუბრო ენა მან ოჯახში შეისწავლა, შემდეგ კი ისწავლა ქართული ანბანი. ძალიან პატარა იყო, როდესაც ლექსების წერა დაიწყო. ბევრმა გამოცემლობამ, თურქეთსა თუ მის ფარგლებს გარეთ, გამოსცა მისი მოთხრობები, ლექსები, გამოკვლევები და სამეცნიერო სტატიები. 1978 წელს მოიწვიეს საქართველოში, სადაც მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. 1982 წელს იგი პენსიაზე გავიდა და მთელ დროს უთმობდა სამეცნიერო მუშაობას კავკასიოლოგიაში.

ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ თურქულად ნათარგმნი ქართული ზღაპრების კრებულის „ზარმაცი კაცის“ წინასიტყვაობაში შეიძლება ამოვიკითხოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჩვენი მეზობელია, ქართული მწერლობის ძალიან ცოტა ნიმუში არის თარგმნილი თურქულ ენაზე. ართველ ერს დიდი ისტორიული წარსული აქვს და როგორც ყველა დიდი წარსულის მქონე ერი, მდიდარია ზღაპრებითა და ეპიკური ნაწარმოებებით.

თურქეთის განათლების სამინისტრომ შეისწავლა აღნიშნული წიგნი და მიიჩნია, რომ მისი წაკითხვა რეკომენდირებულია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, ჰაირი ჰაირიოღლუმ შეკრიბა და ქართულიდან თურქულად თარგმნა ზღაპრების კრებული „მზის ასული“. წიგნის წინასიტყვაობაში იგი თურქ მკითხველს აცნობს საქართველოსა და ქართულ კულტურას, საუბრობს ოქროს საწმისსა და რუსთაველზე, თამარ მეფეზე; მოკლედ ეხება თურქეთის ისტორიას და აღნიშნავს, რომ საქართველოს უცხოელები ყოველთვის „აღმოსავლეთის სამოთხეს“ უწოდებდნენ, რომ საქართველო ლეგენდებისა და ცისფერი მთების ქვეყანაა.

საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის თურქი მკითხველისათვის გაცნობაში დიდია ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ფარნა ჩილაშვილის) წვლილი. იგი დაიბადა 1955 წლის 18 აპრილს უნიეში. სტამბოლში დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, არის მწერალი და პოეტი. ფაჰრეთინ ჩილოღლუმ ქართულიდან თურქულ ენაზე თარგმნა რამდენიმე ისტორიული წიგნი, ქართველ პოეტთა ლექსები და პროზაული ნაწარმოებები. ფაჰრეთინ ჩილოღლუმ თურქ მკითხველს გააცნო ივანე ჯავახიშვილის „წერილები შავშეთიდან“.

თარგმნისას მან ისარგებლა აღნიშნული წიგნის 1991 წლის თბილისური გამოცემით. მაგრამ შეცვალა სათაური და მას უწოდა „წერილები ბორჩხიდან“. თვითონ ამას ასე ხსნის: “რადგან წერილები ბორჩხიდან არის მოწერილი, ამიტომ უფრო შესაფერად ჩავთვალეთ, მისთვის გვეწოდებინა „წერილები ბორჩხიდან“.

ივანე ჯაიანი დაიბადა 1862 წელს და გარდაიცვალა 1936 წელს. იგი 1877-1878 წლების რუსეთ - ოსმალეთის ომის დროს გაიგზავნა ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან. ხეობა აღნიშნული ამის შედეგად რუსეთის ხელში აღმოჩნდა. აქ სამსახურის დროს მან დაწერა წერილები, რომლებიც გამოქვეყნდა თბილისში გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“. წერილებში გადმოცემულია ივანე ჯაიანის ურთიერთობები ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან. წიგნი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის იმ ქართველებზე, რომლებიც ომის შემდეგ ხეობაში დარჩნენ.

ისტემდებადე დოქტორ მეჰმეთ არიფის ავტორობით გამომცემლობა „სინათლემ“ 2002 წელს გამოსცა წიგნი “ქართული სოფლები”. იგი ეხება ჭოროხის ხეობიდან წასულ და სამსუნის ილჩე ჩარშამში ჩასახლებულ ქართველებს. ორივე წიგნი გახლავთ მნიშვნელოვანი წყარო თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

წერილების ავტორი აბდულ მიქელაძე ისეთივე საინტერესო პიროვნებაა, როგორც მისი წერილები. იგი თავის 44-ე წერილში წერს, რომ პირველად თბილისში 1880 წელს ჩავიდა. აღნიშნავს, რომ არ იცოდა წერა-კითხვა, რომ მხოლოდ ქართულ ასოებს სცნობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ის გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ხდება. აბდულ ეფენდი მიქელაძე 1853 წელს სოფელ ქედის მახლობლად, ქვემო აჭარაში დაიბადა. მისმა ოჯახმა კარგად იცოდა ხალხური მედიცინა, თუმცა მამამისი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. აბდულ ეფენდი ტრაპიზონში სწავლობდა მედრესეში (სასულიერო სასწავლებელში). აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა, თუმცა სასულიერო საქმიანობა არ გაუგრძელებია და ისიც ხალხური მედიცინით დაინტერესდა.

ქართული წერა-კითხვის სწავლა 1870 წელს დაუწყო. 1882-1884 წლებში გაიცნო ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და იმ ეპოქის სხვა მოწინავე მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები. სწორედ ამ პერიოდიდან არის შესაძლებელი მისი ცხოვრებისათვის თვალის მიდევნება მის წიგნში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით, ბოლო წერილი 1915 წელს არის დაწერილი, რომელშიც ის თავს ასე მოიხსენიებს „ძველი ივერიის“ დავიწყებული კორესპონდენტი აჭარელი მიქელაძე“ (46-ე წერილი). ამ წიგნის დამატებითი თავის მეხუთე წერილში ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ ივანე ჯაიანი ბორჩხაში ქართულ ანბანს ასწავლის. აქ აღნიშნული ივანე ჯაიანი სხვა არავინაა, თუ არა ავტორი წიგნისა „წერილები შავშეთიდან“. „წერილები აჭარიდან“ და „წერილები შავშეთიდან“ არის ორი წიგნი, რომელიც ერთმანეთს ავსებს.

ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული „რაც არ უნდა იყოს“ თურქულ ენაზე ითარგმნა 1987 წელს ფაქირ ბაიქურთისა და აბდურაჰმან ჩეთინქაიას მიერ. ფაქირ ბაიქურთი და აბდურაჰმან ჩეთინქაია შეეცადნენ ერთმანეთი შეევესოთ. ჩეთინქაიამ სიტყვასიტყვით თარგმნა ფრიდონ ხალვაშის ლექსები, ფაქირ ბაიქურთმა კი გალექსა. ლექსების თურქული თარგმანი დაიბეჭდა სტამბოლში 1988 წელს.

1991 წელს სამსუნში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე თარგმნის მცდელობა დაკავშირებულია სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორ ბილალ დინდარის სახელთან. იმის გამო, რომ მან არ იცოდა ქართული ენა, ისარგებლა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული (სერგი წულაძის) და აზერბაიჯანული (აჰმედ ჯევადის) თარგმანებით.

XIX საუკუნის ქართული მწერლობა თურქულ ენციკლოპედიებში

თურქული ენციკლოპედიის რამდენიმე გამოცემაში გვხვდება მცირე ინფორმაცია ქართული ლიტერატურის შესახებ. პირველ რიგში 1970 წელს გამოცემულ „თურქული ენციკლოპედია“ XVIII ტომში მოკლედ არის საუბარი ქართული ლიტერატურის შესახებ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქართული ლიტერატურა სათავეს იღებს მეხუთე საუკუნეში. ამ დროს იქმნება სასულიერო, ისტორიული და ფილოსოფიური ნაწარმოებები. ქართული ლიტერატურის აღმავლობა ხდება თამარ მეფის ხანაში (1184-1212). ამ ეპოქის შედეგია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სპარსული ლიტერატურის გავლენით არის შექმნილი. ეს არის სამიჯნურო და სარაინდო ეპოსი. ძალიან მწირი ცნობებია აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ენციკლოპედია გვამცნობს, რომ „მეცხრამეტე საუკუნეში იწყება ქართული ლიტერატურის აღორძინება. ამ დროს მოღვაწეობდნენ პოეტი და მწერალი ილია ჭავჭავაძე, ეროვნული თეატრის დამაარსებელი გიორგი ერისთავი, პოეტი აკაკი წერეთელი, რომანისტი ალექსანდრე ყაზბეგი. საზღვარგარეთ მოღვაწეობდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1884-1962)“ (2, 128).

შედარებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული ლიტერატურის მიმოხილვას „დიდი ლექსიკონისა და ენციკლოპედიის“ მეხუთე ტომში, რომლის გამოცემის წელიც მითითებული არ არის. ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია, სომხეთის მსგავსად, იწყება მეოთხე საუკუნეში საქართველოს გაქრისტიანებასთან ერთად. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად საჭირო გახდა წმინდა წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა და ანბანის შექმნა.

ენციკლოპედიის „ანაბრიტანიკას“ მე-14 ტომში უფრო დეტალურად არის მიმოხილული მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა. „მე-19 საუკუნის პირველ

ნახევარში მცხოვრები და მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) თავისუფლებისმოყვარე ლექსებში საქართველოს იმ პერიოდის მდგომარეობა იყო ასახული. გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) და ბარათაშვილის ლექსი „საყურე“ (1839; küpe), პოემა „ბედი ქართლისა“ (1839; Gürcistan'ın kaderi) და სხვა მსგავსი ნაწარმოებები პატრიოტული სულის გამომხატველი ქმნილებებია, სადაც პოეტმა მძიმე საზოგადოებრივი და სოციალური მდგომარეობის პესიმისტური სურათი დაგვიხატა. მე-19 საუკუნის შუახანებში ფეოდალური ეკონომიკური ურთიერთობების რღვევამ და კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა რეალისტური ასახვა ჰპოვა დანიელ ჭონქაძისა (1830-60) და ლავრენტი არდაზიანის (1815-70) შემოქმედებაში. არდაზიანის ყველაზე ნობილი რომანი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ (1862) ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპტალიზმის შემოსვლის შედეგად განვითარებული სოციალური კონფლიქტის თემებს ეხება. ქართული ლიტერატურისა და თეატრის განვითარებისთვის განუზომლად დიდი ამაგის მქონე გიორგი ერისთავმა (1813-1864) ქართულად თარგმნა ისეთი ცნობილი ავტორების ნაწარმოებები როგორებიც არიან: რასინი, მოლიერი, პეტრარქა და შილერი.

1860-იან წლებში ახალი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობა „თერგდალეულები“ (Terek'in Suyundan İçenler) აქტიურად გამოვიდა საზოგადოების წინაშე რომელმაც თავადაზნაურულ იდეოლოგიას ფრონტი გაუხსნა. თერგდალეულები რუსეთში განეთლებამიღებული ახალგაზრდა მწერლებისგან და პატრიოტებისგან შედგებოდა. მათი იდეოლოგი და წინამძღოლი „პირველი დასის“ დამფუძნებელი ილია ჭავჭავაძე იყო (1837-1907). მან თავის ნაწარმოებებში: „მგზავრის წერილები“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“ და სხვა ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა, თავისი ქვეყნის სიყვარული ახასა. ილია ჭავჭავაძეს გვერდში იდგა აკაკი წერეთელი (1840-1915). რომლის ლექსი „სულიკო“ სახალხო სიმღერად იქცა. სამშობლოს სიყვარულისა და მისი მძიმე ბედის გამო შეწუხებული პოეტის შემოქმედება სავსეა ამ თემატიკაზე შექმნილი ლექსებითა და მოთხრობებით. უამრავი პროზაული ნაწარმოებისა და პიესის შექმნელის, აკაკი წერეთლის შემოქმედების ყველაზე ცნობილი პროზაული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“ (1894).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში მთის ცხოვრება და იქ არსებული ტრადიციების შესახებაა მოთხრობილი. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ცნობილი პროზაული ნაწარმოებები როგორიცაა: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“. პოეტისა და მწერლის ვაჟა ფშაველას (1861-1915) შემოქმედების თემატიკა („ალუდა ქეთელაური“, „გველის-მჭამელი“) მთა, მთის ტრადიციები, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა და ჰუმანიზმია.

დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი (1857-1934) ორი ლიტერატურული ეპოქის შემაკავშირებელი მწერლები არიან. მე-19 საუკუნის ლიტერატურულ

ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ამ მწერლების ქმნილებები მე-20 საუკუნის საზოგადოებისა და ამ ეპოქის ატმოსფეროთია გაჟღენთილი. კლდიაშვილის შემოქმედების თემატიკა მე-19 მე-20 საუკუნის ქართველ თავადაზნაურთა ყოფაა. საკუთრი მძიმე ბედის პირისპირ დარჩენილი თავადაზნაურობის ყოფას კლდიაშვილი ტრაგი-კომიკური ჟანრის გამოყენებით გადმოგვცემს. საკმაოდ ორიგინალური მხატვრული ფორმით გადმოგვცემს სათქმელს მწერალი ვასილ ბარნოვი რომანში „არმაზის მსხვერვა“. ნაწარმოებში მე-20 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა რელიგიურ ატმოსფეროშია წარმოდგენილი(4,243).

„სტამბოლის ენციკლოპედიის“ ტომში უფრო დეტალურად არის აღწერილი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა. აღნიშნული ენციკლოპედიიდან ვიგებთ, რომ ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა რომანტიზმის თვისებებს იძენს. ქართველი მწერლები და პოეტები ევროპის ლიტერატურას კვალდაკვალ მიჰყვებიან. XIX საუკუნის პირველი ორი ათეული წელი რომანტიზმის განვითარებით ხასიათდება. ამ სკოლის წარმომადგენლებმა: ალექსანდრე ჭაჭავაძე, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლიტერატურაში ორიგინალური სტილი შექმნეს, პოეტური ფორმები და ჟანრი განაახლეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს.

ანალიზი და შედეგები

დაახლოებით წარმოდგება თურქულ საცნობარო ლიტერატურაში - ენციკლოპედიებში კი საერთოდ ქართული მწერლობა და კერძოდ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა. როგორც დავინახეთ, ცნობები ძალზედ ზოგადია, ძირითად ხაზებში სწორი და ობიექტური, ზოგჯერ კი გარკვეულად ტენდენციური. მაგალითად, ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული ბიბლია მაინცდამაინც სომხურიდან არის ნათარგმნი, ან აზრი იმის შესახებ, რომ კლასიკური ხანის ქართული მწერლობა, მათ შორის, ქართული პოეზიის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული ლიტერატურის გავლენითაა შექმნილი. არც ნ. ბარათაშვილის ბრწყინვალე ლექსი „საყურე“ არაა პატრიოტული მოტივით განსაზღვრული ლექსი და ა. შ. საერთოდ კი, თავისთავად მნიშვნელოვანია, რომ თურქულ ენციკლოპედიებში უკმარად, მაგრამ მაინც ადგილს პოულობს ცნობები ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის შესახებ.

საქართველოში ყოველთვის იყო და დღესაც არის თურქული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის ინტერესი. დღემდე უამრავი სტატია დაიწერა ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ. ქართველი მკითხველი თურქულ ლიტერატურას პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგების საქმიანობის საშუალებით გაეცნო.

დღესდღეობით საქართველოსა და თურქეთში წარმატებით გრძელდება მთარგმნელობითი საქმიანობა ლიტერატურის დარგში. ითარგმნება როგორც თურქი, ისე ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება, რაც ხელს უწყობს ამ ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებასა და საზოგადოების დაახლოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. AnaBritannica, Genel Kültür Ansiklopedisi (1990). “Gürcü Edebiyatı” [ქართული ლიტერატურა]. İstanbul: Ana Yayın.14. Cilt, s. 243.
2. Dünden bugüne İstanbul Ansiklopedisi (1994). “Gürcü Edebiyatı” [ქართული ლიტერატურა]. İstanbul: Kültür Bakanlığı ve Tarih Vakfı Yayın. 3. Cilt, s. 453.
3. Halvaşı, P. (1988). *რაც არ უნდა იყოს [Eninde Sonunda]*. (Çev. F. Baykurt& A. Çetinkaya). Ortadoğu Yayın. (Oriijinal Tarihi 1982).
4. Kazbegi, A. (1973). *ელგუჯა და მზაღო [Elguca ve Mzağö]*. (Çev. A. Ö. Melaşvili). İstanbul Yayın. (Oriijinal Tarihi 1881).
5. Melaşvili, A. (1968). *Gürcistan [საქართველო]*. Bursa: Aksiseda Yayınevi.
6. Meydan Larousse-Büyük Lugat ve Ansiklopedisi (1973). “Gürcü Edebiyatı” [ქართული ლიტერატურა]. İstanbul: Meydan Yayınevi. 5. Cilt, s. 23-25.
7. Türk Ansiklopedisi (1970). “Gürcü Edebiyatı” [ქართული ლიტერატურა]. Ankara: Milli Eğitim Basımevi. 8. Cilt.
8. Yakut, M. (28.07.2005). Türkiye Gürcüleri’nin İlia Çavçavadze’si. BirGün. Elde edilme tarihi: 18 Haziran 2023, <https://www.birgun.net/haber/turkiye-gurculeri-nin-ilia-cavcavadze-si-23777>

TARİH / ისტორია / HISTORY

9. ქართველი ებრაელები ოსმალეთის იმპერიაში

ზაზა წურწუმია / Zaza TSURTSUMIA

Prof. Dr. Aziz Kral Tamar Georgia Partikliği Üniversitesi / პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს, წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი / Professor, Saint King Tamar University of Patriarchate of Georgia.

DOI: 10.5281/zenodo.10463367

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: zazatsurtsumia@gmail.com

ORCID ID: 0000-0003-0626-8262

მოკლე შინაარსი

წინამდებარე სტატია იკვლევს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მცხოვრები ქართველი ებრაელების ისტორიის, ყოფა-ცხოვრების, ეკონომიკური, კულტურული და დემოგრაფიული ვითარების საკითხებს. მეთექვსმეტე საუკუნიდან, ახალციხესა და მესხეთის რეგიონში მცხოვრები ქართველი ებრაელობა, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა ქვეშევრდომი არამუსლიმი თემის სტატუსით. ებრაელები, ისევე როგორც ბერძნები და სომხები, იმპერიის მუსლიმი მოსახლეობისაგან განსხვავებით, უფლებებში შეზღუდულნი იყვნენ, სანამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, „თანზიმათის“ რეფორმების შედეგად, ისინი უფლებრივად გაუთანაბრდნენ მუსლიმებთან და მიეცათ სახელმწიფო თანამდებობების დაკავების საშუალება. ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ცნობილია მრავალი სახელმწიფო თუ სამხედრო მოღვაწე, რომელთა ვინაობაში აღნიშნულია ეთნიკური ტერმინი „გურჯი/გურჯუ“, რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს მათ ქართულ, საქართველოდან წარმომავლობაზე. ჩვენი კვლევის შედეგად, რაც ეფუძნება დოკუმენტურ მასალას, გამოვლინდა, რომ თურქეთში მცხოვრები ებრაული თემის წარმომადგენლები, რომელთაც ეკავათ მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები, კერძოდ ოსმალეთის დიპლომატიურ სამსახურში, ოფიციალურ მასალებში მოიხსენიებიან „გურჯი/გურჯუს“ სახელით. ეს გარემოება, ჩვენი შეფასებით, მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენლები იყვნენ. საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები გააჩნდათ ოსმალეთთან. რუსეთ-ოსმალეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში თავისი ადგილი ეკავათ ქართველ ებრაელ ვაჭრებს-„მესტამბოლეებს“, რომლებიც ასე იწოდებოდნენ სტამბოლში ხშირი მიმოსვლის გამო. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ახალციხელი ებრაელები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კავკასიის ვაჭრობაში ოსმალეთსა და ირანთან.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები; ოსმალეთის იმპერია; ახალციხის (ჩილდირის) საფაშო, გურჯი/გურჯუ; მესტამბოლეები

Osmanlı İmparatorluğunda Gürcü Yahudiler

Öz

Çalışmanın amacı Osmanlı İmparatorluğu'nda, Ahıska (Çıldır Eyaleti) olarak bilinen Akhaltsikhe yöresinde yaşayan Gürcü Yahudilerin tarihiyle ilişkili konuları gün ışığına çıkarmaktır. Çalışma, Gürcistan ile Osmanlı Devleti arasında asırlara dayanan

ilişkilerin parçası olan Gürcü Yahudileri konusunun günümüze kadar araştırılmış olmaması münasebetiyle bilimsel açıdan yenilik taşımaktadır. XVI-XVIII. Yüzyıllarında Gürcü Yahudileri Ahıska Eyaleti içindeki Akhaltsikhe’de, Adigeni’de, Akhaldaba’da, Atzkuri’de, Tzunda’da, Baraleti’de, Khertvisi’de ve Gokia’da yaşıyorlardı. 1740’lı yıllarda Ahıska’da faal bir sinagog vardı. Ahıska Yahudilerinin kendi içlerinde kullandıkları konuşma dili İbranice ve Gürcüceydi, Türkçe de biliyorlardı. Gürcü Yahudileri arasında Osmanlı kültürünün etkileri fazlaydı, bu etki giyim tarzlarında görüldüğü gibi yaşam geleneklerine de yansımıştı. 1820’li yılların başında Ahıska nüfusu 40 bin kişiden oluşuyordu, bunların çoğunluğu Türk idi, bununla birlikte şehir ve çevresindeki köylerde Gürcüler, Yahudiler ve Ermeniler de yaşıyordu. Her milletin kendine ait kilisesi, sinagogu ile rahipleri ve hahamları da vardı. Ahıska’da Türkçe hâkim olmuştu, ancak çok kişi Gürcüce de konuşuyordu. Ahıska Paşalığı 1828-1829 yıllarında Osmanlı-Rusya savaşı sonunda ikiye bölündü. Rusya egemenliğine giren Akhaltsikhe’de 1833 yılında 117 Yahudi ailesi yaşarken, 1835 yılı verilerine göreyse kadın ve erkek Yahudilerin toplamı 623 kişiydi. 1831 yılında Osmanlı’nın ilk nüfus sayımına göre, eski Ahıska Paşalığı’nın parçası olan Çıldır Sancağı’nda 318 erkek Yahudi kayıt altına alındı. Osmanlı tarihinde birçok devlet görevlisi ile askeri komutan “Gurci/Gürcü” adları ile bilinmektedir ki bu da onların Gürcü kökenlerine ana dilleri Gürcüce olduklarına işaret etmektedir. Osmanlı Devleti’nin yüksek diplomatik makamlarında bulunan Osmanlı Yahudilerinden birkaç kişi de, resmî Osmanlı kaynaklarında aynı şekilde “Gurci/Gürcü” adları ile anılmakta olup, kanaatimizce bu onların Gürcü Yahudisi olduklarına işaret etmektedir. XIX. Yüzyılın ikinci yarısı ve XX. Yüzyılın başlarında Hariciye Nazırlığı’nda görev yapmış Yahudi kökenli Osmanlı diplomatları olarak bilinen Nissim Gürcü, Cemil Gürcü ve Selim Gürcü’nin aslında Gürcü (Ahıska) Yahudileri olduklarını anlaşılmaktadır. Gürcistan’da yaşayan Yahudiler, ticaret amacıyla İstanbul’a sıkça gidip geldikleri için “Mestamboleebi” yani İstanbul’a gidenler olarak da anılıyordu. “Mestamboleebi” ticaret kervanlarıyla Erzurum-Trabzon karayolu güzergâhını kullanıyor, Trabzon’dan gemiyle İstanbul’a gidiyordu. Batı Gürcistan (Kutaisi, Samegrelo) Yahudileri de Osmanlı’yla sıkı ticari ilişki içindeydi. Gürcü Yahudiler sınırlardan altın paralar ve değerli eşyaların gümrüksüz geçirilmesi için kaçakçılık da yapıyorlardı.

Anahtar Kelimeler: Gürcü Yahudileri, Osmanlı Devleti, Çıldır (Ahıska) Paşalığı, Gürci/ Gürcü, Mestamboleebi

Georgian Jews in The Ottoman Empire

Abstract

This issue has not been researched is the history of Georgian Jews living in the Ottoman Empire. Since the end of 16th century, all the Georgian Jews, residing in Akhaltsikhe and around Meskheti fell under control of Ottoman Sultan as a non-Muslim community. According to the Ottoman law, Jews along with Armenians and Greek had limited rights, due to the fact that they were religious minorities. However, since the second half of 19th century, after Tanzimat, they became allowed to hold various state positions. In the history of Ottoman Empire there are numerous state and military persons who are named as *Gurci/Gurcu* the term, which denotes the Georgian origin. According to the materials, that this research is based on, certain well-known individuals, who were the representatives of Jewish community within Ottoman Empire and served under the diplomatic service, are mentioned as *Gurci/Gurcu* in the official documents. This further implies that they were the representatives of Georgian Jews, residing in the Ottoman Empire. It is also important to mention that Jews living in Georgia had an intensive trade relation with the Ottoman Empire. Georgian Jews, who used to be called *Istanbul people* (*Mestamboleebi* in Georgian) due to their

frequent visits in Ottoman Empire, took active part in the Russian Ottoman trade-economic relations. In the first half of the 19th century Jewish population residing in Akhaltsikhe played a significant role for foreign trade of Transcaucasia with Ottomans and Iran.

Keywords: Georgian Jews; Ottoman Empire; Akhaltsikhe; Gurci/Gurcu; Mestamboleebi.

უძველესი დროიდან საქართველოში მცხოვრები ებრაელები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილენი იყვნენ. ებრაელობა ქართულ ფეოდალურ სისტემაში იყო ჩართული - ისინი სამეფო, საბატონო და საეკლესიო ყმებად ირიცხებოდნენ, სოციალურად არაფრით განსხვავდებოდნენ ქართველებისაგან, მათი სამეტყველო ენა, ებრაულთან ერთად ქართული იყო, ამიტომ ქართველი ებრაელების სახელთ არიან ცნობილნი.

ებრაელთა ერთი ნაწილი ოსმალეთის იმპერიისგან დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე განაგრძობდა არსებობას და ცდილობდა თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნებას. მნიშვნელოვანია ქართველ ებრაელთა წვლილი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ოსმალეთის იმპერიასთან.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალებმა სამხრეთ საქართველოს სამთავრო-სამცხე-საათაბაგოს, სადაც დამყარეს თავიანთი ხელისუფლება, - „ჩილდირის ვილაეთი“, „ახალციხის ვილაეთი“ უწოდეს, (ასევე მოიხსენიება როგორც „გურჯისტანის ვილაეთი“). ოსმალებმა მოახდინეს ტერიტორიის სრული აღწერა საგადასახადო მიზნით, შედეგად 1595წ. შეადგინეს ოფიციალური დოკუმენტი - „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. (ჯიქია 1947, VII)

ევლია ჩელები, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა XVII საუკუნის ორმოციან წლებში, მოგზაურობის წიგნის პირველ ტომში, ოსმალეთის ვილაეთების ჩამონათვალში ასახელებს ცალ-ცალკე „ჩილდირის ანუ ახალციხის ვილაეთს“ და „გურჯისტანის ვილაეთს“. ევლია ჩელები „გურჯისტანის ვილაეთში“, ახალციხისაგან განსხვავებით, არ ასახელებს სანჯაყებს, მხოლოდ ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოს მხარეებს. (ევლია ჩელები 1973, 31-32) ევლიას მიხედვით, ახალციხის ვილაეთი ჩართული იყო საქართველოს ვაჭრობაში უცხოეთთან - აწყურში ორმოცდაათამდე დუქანი იყო, ახალციხეში - სამასი. (ევლია ჩელები 1971, 297; 301)

„გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ სამცხე-საათაბაგოს დასაბეგრი, არამუსლიმი მოსახლეობა აღნიშნულია ზოგადად როგორც „გურჯისტანის ვილაეთის ქაფირები“ (ურწმუნოები). (ჯიქია 1941, 4) დავთარი მოსახლეობაში არ განასხვავებს და არ გამოყოფს ებრაელებს, რომლებიც, როგორც ცნობილია

ქართული ფეოდალიზმის ისტორიიდან, გამაჰმადიანებულ ქართველ მებატონეთა ისეთივე ყმაგლეხებს წარმოადგენდნენ, როგორც ქართველები. თუმცა, დავთარში მოცემულ, ადამიანის საკუთარ სახელებზე დაკვირვებისას, ებრაული წარმომავლობის სახელები ჩანს სამცხე-საათაბაგოში ებრაელთა ტრადიციული დასახლებების ადგილებში. **(ჯიქია 2013, 68)**

სამცხეში ებრაელთა დასახლების უძველესი კვალი შეიმჩნევა რეგიონის ტოპონიმიკაში. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებით, ასეთია ტოპონიმი ზანავი, (დაბა ადიგენტან, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს). ზანავ (zanab) ებრაულად ნიშნავს „კუდს“, „ბოლოს“ და შესაძლებელია ყოფილიყო წყლის მცირე ნაკადის, ნაკადულის აღმნიშვნელი, აქედან კი მიგველო დასახლებული პუნქტის სახელიც. **(ჭუმბურიძე 2008, 482-483)**

„გურჯისტანის ვილაიეთში“ (იგივე ჩილდირის ვილაეთი, ახალციხის საფაშო) XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ებრაელები ცხოვრობდნენ ადიგენში, ახალდაბაში, აწყურში, გოკიაში. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით, „ახალდაბა, მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი და ურიანი...აწყური ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მესხნი სომეხნი და ურიანი ვაჭარნი. გოკიაში (ჯავახეთი) მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი. **(ვახუშტი 1973, 380; 201; 669)**

ებრაელები ცხოვრობდნენ წუნდაში, სადაც საკუთარი უბანი ჰქონდათ. ბარალეთსა **(ვახუშტი 1973, 676)** და ხერთვისშიც. **(ლომსაძე 1975, 482)**

ახალციხის საფაშოს ცენტრ ახალციხეში ებრაელები მდინარე ფოცხოვის მარცხენა მხარეს, ციხე-სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობდნენ. სასაფლაო ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, სამოსახლოს სიახლოვეს ჰქონდათ. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან თურქეთიდან შემოსულმა სომხებმა ძალდატანებით ებრაელთა სასაფლაოს მითვისება დაიწყეს. ებრაელებმა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან იჩივლეს და იმას მიაღწიეს, რომ სომხებმა ებრაელთა სასაფლაოზე დაკრძალული თავიანთი მიცვალებულები მათთვის ცალკე გამოყოფილ სასაფლაოზე გადაასვენეს. **(იველაშვილი 2015, 6)**

ქალაქ ტრაპიზონში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა, ხოლო მათი დასახლების ადგილს ოსმალურად „გურჯი მეჰელე“- ანუ ქართული ებანი ეწოდებოდა. **(ჭიჭინაძე 1904, 24)**

აღსანიშნავია ქართველ ებრაელთა დამსახურება ოსმალეთის ქართველებში ქართული ენის შენარჩუნების საქმეში: „ოსმალეთის საქართველოში ყველგან შეირყა ქართული ენა. ქართული ენა დაავიწყდათ აგრეთვე ახალციხის ქართველ მაჰმადიანებთაც. ახალციხელი ქართველი ებრაელნი კი შინ და გარეთ ქართულს ენას თავისუფლად ხმარობდნენ... ქართული ენა თუ დარჩა აქა-იქ და ქართველ

მაჰმადიანებმა არ დაივიწყეს, ეს იყო ქართველ ებრაელთა შნო და წყალობა, მათ შეინახეს ქართული ენა. **(ჭიჭინაძე 1904, 48-49)**

მ. ხანანაშვილს მოჰყავს გაზეთ „საქართველოს“ (1916წ. №87) ცნობა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთში ქ.ტრაპიზონში მუსულმანმა ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ, ქრისტიანმა ქართველებმა შეითვისეს ბერძნული ენა და გაბერძენდნენ. ქართული ენა შეინარჩუნეს მხოლოდ ქართველ ებრაელთა, რომელთა რიცხვიც „ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველდაგანვე.“ **(წიწუაშვილი 2014, 110)**

ებრაელთა ერთგულებას ქართული ენისადმი ხაზს უსვამს ალ. ფრონელი: „თუმცა ორას წელიწადზე მეტს ქართველებთან ერთად ოსმალების ბატონობას იტანდნენ, ქართულ ენის შენახვა პატრონობაში მესხეთის ებრაელობას დიდი ღვაწლი მიუძღვის. დღევანდელ ახალციხეს თუ კიდევ ქართული იერი ცოტათი მაინც შერჩენილი აქვს, ეს ებრაელების წყალობაა“. **(ფრონელი 1914, 129)**

ოსმალთა მფლობელობის ქვეშ ახალციხეში, შუა საუკუნეების ქალაქთა ტრადიციების შესაბამისად, ებრაელთა განსახლება თავიანთ სალოცავებთან ახლოს მდებარეობდა. ახალციხეში შემორჩენილია ორი სინაგოგა, რომელთაგან პირველის აგების თარიღად სინაგოგის კედელზე მითითებულია 5623წ. (გრიგორიანული კალენდრით 1862-1863 წ.,) მეორე სინაგოგის აგების თარიღად კი აღნიშნულია 1902 წელი. ამასთან, პირველი სინაგოგის შესახებ არსებობს მონაცემები, რომ ის გაცილებით ადრე, ახალციხის საფაშოს პერიოდში არის აშენებული.

ცნობილი ევროპელი ებრაელი მოგზაურისა და მეცნიერის იუდა ჰალევი ჩორნის დღიურებში აღწერილია მასალები ახალციხის პირველი სინაგოგის შესახებ. ჩორნი 1869 წელს, ახალციხეში სტუმრობისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ებრაული სალოცავი დაახლოებით საუკუნე ნახევრის წინ არის აშენებული. „ახალციხეში, ერთი ძველი ლოცვის შენობა ვნახე, რომლის აშენების თარიღი არავის ახსოვს, ლოცვის შენობის შიგნით, დასავლეთის კედელზე, ერთ დიდ ქვაზე, აშენების თარიღი აწერია. წარწერა ამოვშიფრე და შეიცავს შემდეგს: „ესე სინაგოგა აშენდა ქვეყნის დასაბამიდან 5501 წელს (1740-41) რაბი ხახამ ფინხაზ ბენიამინის ძე მიზრახის მიერ“. მოგზაური აქვე მოიხსენებს ახალციხის სინაგოგაში რაბი ფინხაზის დავთარს და დასძენს, რომ დავთარში 1742-1744 წლების ჩანაწერებია. აქედან ირკვევა, ასკვნის ჩორნი, რომ ეს სალოცავი 129 წლის წინ არის აშენებულიო“. **(ჩორნი 2014, 606-607)**

ახალციხის ებრაულ სალოცავზე უფრო გვიანდელი წარწერა (1862-1863 წ.), შემდგომი გადაკეთება რესტავრაციის კვალი უნდა იყოს. **(მესხიშვილი, 2021)**

თბილისში საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, 1820-იანი წლების დასაწყისში, ახალციხის მოსახლეობა 40 ათას მცხოვრებს შეადგენდა, რომელთა უმრავლესობა თურქი იყო, ახალციხეში და მიმდებარე სოფლებში ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. ყველა ეროვნებას თავთავისი ეკლესია და სინაგოგა ჰქონდა, ჰყავდათ მღვდლები და რაბინები. ახალციხეში გაბატონებული იყო თურქული ენა, თუმცა ბევრი ლაპარაკობდა ქართულადაც. ახალციხელებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ერზერუმთან, თბილისსა და ერევანთან. **(გამბა 1987, 265-266)**

ახალციხის საფაშოში მცხოვრები ქართველი ებრაელები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ოსმალეთის იმპერიის ებრაულ თემებთან. ა. კრიხელი ამ გარემოებით ხსნის ცნობილი „ბრეთის ბიბლიის“, რომელიც ოსმალეთის ბალკანეთში ქ. სალონიკში არის დაწერილი, მესხეთში ჩამოტანას. **(კრიხელი 2014, 156)**

ოსმალეთის პერიოდის ახალციხეში ებრაული თემის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული მეცხრამეტე საუკუნის ათიანი-ოციანი წლების ახალციხის საფაშოს სასამართლო დავთარში. აქედან ირკვევა, რომ ახალციხის ფაშები, მხარის სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების მიზნით, ახალციხელ ებრაელებს მფარველობას უწევდნენ და შუამდგომლობდნენ იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი მდგომარეობის შემსუბუქებისათვის.

ახალციხის ფაშა სელიმმა (სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი - ზ.წ.) სულთნისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ითხოვა ახალციხელი ებრაელების განთავისუფლება არამუსლიმებისათვის დაწესებული „ჯიზიას“ გადასახადისაგან ორი წლით. მისმა შემცვლელმა ლუტფულლაჰ ფაშამ გააგრძელა წინამორბედის პოლიტიკა ახალციხის არამუსლიმთა და განსაკუთრებით ებრაელთა მიმართ, რის შედეგად, ოსმალური წყაროების ცნობით, თბილისსა და საქართველოს სხვა მხარეებში გახიზნული ებრაელობა დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს და დიდი წვლილი შეიტანა საფაშოს ეკონომიკურ გამოცოცხლებაში. **(Değirmenci 2017, 207)**

ახალციხის ებრაელებში ძლიერი იყო ოსმალური კულტურის გავლენა, რაც გამოიხატებოდა როგორც ჩაცმულობაში, ასევე საყოფაცხოვრებო ტრადიციებში. საქართველოში პირველი ებრაელი მხატვრის, ახალციხელი შალომ კობოშვილის ნამშევრებში ასახულია მეცხრამეტე საუკუნეში ახალციხელ ებრაელთა შორის „ჯეიზის“ (ჩეიზი-ოსმალურად მზითევი) გამზადება, რელიგიურ სასწავლებელში (ხედერში) გავრცელებული მოსწავლის ფიზიკური დასჯის სახეობა „ფალაკა“, რაც მიღებული იყო ოსმალეთის იმპერიაში და სხვ. **(წიწუაშვილი 2022, 25)**

სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი ებრაული თემი, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ორად გაყოფილი აღმოჩნდა. ოსმალეთმა ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის იმპერიას გადასცა, ახალციხის საფაშო (ჩილდირის ვილაეთი) კი გააუქმა და ოსმალეთის ტერიტორიაზე დარჩენილი მისი ნაწილი, ცენტრით ოლთისში, ჩილდირის სანჯაყის სახელით ერზერუმის ვილაეთის შემადგენლობაში შეიყვანა. **(Kızılkaya 2013, 408)**

რუსეთის მმართველობაში გადასულ ახალციხეში 1833 წელს 117 ებრაული ოჯახი, 1835 წლის მონაცემების მიხედვით კი ორივე სქესის 623 ებრაელი ცხოვრობდა. **(Мамиствалишвили, 93-94)**

1831 წელს ოსმალეთში ჩატარებული პირველი აღწერის მონაცემებით, ჩილდირის სანჯაყში 318 ებრაელი აღირიცხა. **(Karal 1943, 214)**. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოსმალური წესით, მოსახლეობის სიებში შეჰყავდათ მხოლოდ მამრობითი სქესის პირები, მაშინ ოსმალეთის ტერიტორიაზე დარჩენილი, ყოფილი ახალციხის საფაშოს მთელი ებრაული მოსახლეობა ქალების ჩათვლით, აღწერილის მიახლოებით ორმაგ რაოდენობას - 636 ადამიანს შეადგენდა. შედარებისთვის, ანატოლიაში აღწერილია 1361 ებრაელი მამაკაცი. **(Karpat 1985, 20-21)**

ებრაელთა თემი ოსმალეთის იმპერიაში, ისევე როგორც ბერძენი მართლმადიდებლები, გრიგორიანი სომხები და კათოლიკეები, არამუსლიმ უმცირესობას განეკუთვნებოდა, რომელსაც არ ჰქონდა სახელმწიფო თანამდებობებისა და სამხედრო სამსახურის უფლება, თუმცა, სარგებლობდა გარკვეული უფლებებით სარწმუნოებრივ და ტრადიციულ საყოფაცხოვრებო საკითხებში. ოსმალეთის იმპერიაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარე ევროპეიზაციის რეფორმების ფარგლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო გარდაქმნებმა (თანზიმათის რეფორმები), არამუსლიმი მოსახლეობა მუსლიმებს უფლებრივად გაუთანაბრა და საჯარო სამსახურში თანამდებობების დაკავების უფლებაც მისცა. იმპერიის ბიუროკრატია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ ოსმალეთში მცხოვრებ ებრაელებსაც. **(Kılıç 2012, 129)**

ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქ სტამბოლში ქართველ ებრაელთა დიასპორა არსებობდა. (Давид 1989, 422). ნურუოსმანიეს დიდი მეჩეთის მახლობლად მდებარე ვეზირ ხანის ქარვასლაში ახალციხელ ვაჭრებს საკუთარი ოთახები ჰქონდათ. შემდგომში საბუთები ოთახების მფლობელობაზე ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა სავანეს გადაეცა. **(დ'ალესიო 1921, 19)**

სტამბოლში ქართველ ებრაელთა დიასპორა, შედგებოდა სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშო) ებრაელთა შთამომავლებისაგან, ასევე ოსმალეთის მიერ დაპყრობილი, შავიზღვისპირეთის საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე

მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან. ქართველ ებრაელთა ამ დიასპორაში მოიაზრებოდა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში სავაჭროდ ჩასული და იქ დროებით თუ სამუდამოდ დამკვიდრებული ქართველი ებრაელობაც. როგორც ქართულ ენაზე მოლაპარაკეთ, ოსმალები მათ „გურჯუს“ უწოდებდნენ. რადგან, ტრადიციულად, ოსმალეთის იმპერიაში მეტსახელით „გურჯუ“ („გურჯი“) მოიხსენიებდნენ მხოლოდ ქართველებს, როგორც მუსლიმებს, ასევე არამუსლიმებსაც, შესაბამისად ოსმალურ წყაროებში, ოსმალეთში მცხოვრები ებრაელის „გურჯუდ“ მოხსენიება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ ის ქართველი ებრაელი, საქართველოდან ჩამოსული ებრაელია. თვით სტამბოლში მცხოვრებ ებრაელთა წრეში განასხვავებდნენ საქართველოდან ჩამოსულ ებრაელებს და მათ „გურჯებს“ უწოდებდნენ. **(Türkoğlu, Kutluata 2009)**

სტამბოლის ქართველ ებრაელთა თემის სალოცავი ბეიოლლუში მდებარე *ორ ჰოდემის* სინაგოგა იყო, სადაც ქართულ ენაზეც ლოცულობდნენ. ქართველი ებრაელების საფლავებია, მათზე ქართული წარწერებით, სტამბოლში ულუსის ებრაელთა სასაფლაოზე. **(Dünden Bugüne İstanbul Ansiklopedisi 1993, 453)**

ოსმალეთში ქართველ ებრაელთა დიასპორის რამდენიმე წარმომადგენლის სახელი გვხვდება თურქ ისტორიკოსთა შრომებში, რომელიც ოსმალეთის (თურქეთის) ებრაულ თემს ეძღვნება. ებრაული წარმოშობის ცნობილი თურქი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ავრამ გალანტი, თავის წიგნში „თურქები და ებრაელები“, ებრაული თემის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ახსენებს ოსმალეთის იმპერიის დიპლომატებს. ესენია ნისსიმ გურჯუ - ოსმალეთის კონსული იტალიის ქნეაპოლში (1896 წ.): ჯემილ გურჯი-კონსული რუმინეთის ქ. კონსტანცაში (1907), სელიმ გურჯი-კონსული ჯერ ქ. ნეაპოლში და შემდეგ რუმინეთის ქ. კალაფატში. **(Galanti 1947, 79)**

თურქეთის ებრაული თემის ისტორიის მკვლევარი მუსა კილიჩი თავის ნაშრომში „ებრაელები ოსმალეთის დიპლომატიის სამსახურში“ მიმოიხილავს სელიმ გურჯის დიპლომატიურ კარიერას. მან ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამსახური დაიწყო 1886 წელს. მსახურობდა უცხოელთა აღრიცხვის დეპარტამენტში. 1887 წელს დაწინაურდა ოსმალეთის დიდგვზირის (მთავრობის მეთაური) თარჯიმანთა ბიუროს თანამშრომლად. 1896 წელს დაინიშნა ნეაპოლში საკონსულოს კანცელარიის უფროსად, 1898 წელს ოსმალეთის კონსულია ქ. კალაფატში (რუმინეთი), შემდგომ დაინიშნა კონსულად ბრინდიზიში (ლიბია). სელიმ გურჯი 1904 წელს ოსმალეთის კონსული იყო იმ დროს რუსეთის იმპერიისგან ოკუპირებულ თურქეთის ქ. ყარსში. **(Kılıç 2011, 109; 114)**

ა. გალანტის ნაშრომში ოსმალეთის ებრაული თემის გამოჩენილ წევრთა შორის დასახელებულია სალიკ იგივე ბენიამინ გურჯი (გურჯუ). სალიკ გურჯუ შესამჩნევი ფიგურაა მეოცე საუკუნის დასაწყისის ოსმალეთის იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის დაიბადა სტამბოლში 1883 წელს, ბენიამინ გურჯუსა და ესთერ იერუსალიმის ებრაულ ოჯახში. სალიკ გურჯუს სტამბოლში ჰქონდა მიღებული ფრანგული განათლება. „ახალგაზრდა თურქების“ რევოლუციური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი სალიკ გურჯუ, 1908 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცემდა პოლიტიკურ ჟურნალს *La Turquie Nouvelle*, ხოლო 1909 წელს სტამბოლში დაარსა „ოსმალეთის სატელეგრაფო სააგენტო“. **(Galanti 1947, 79)**

ისტორიულ სამშობლოში - პალესტინაში, (ებრაელების ერეც ისრაელი), რომელიც იმ დროისათვის ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ებრაელთა თავმოყრისა და გაერთიანების იდეამ ხორცი შეისხა სიონიზმის სახით. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს დიდი არ იყო საქართველოდან პალესტინაში ასული ხახამების რიცხვი. მათგან მხოლოდ რამდენიმეს სახელია შემორჩენილი: მათ შორისაა ეფრაიმ ბენ იაკობ ჰალევი კუკია, ახალციხელი ხახამი იოსებ დავითაშვილი. სიმან ბენ მოშე რიჟინაშვილმა 1892წ. იერუსალიმში გამოსცა ებრაული დამწერლობით, ებრაულ-ქართული სახელმძღვანელო-სასაუბრო „სეფერ ჰინუხხა-ნეარიმ“ (ყრმათა აღზრდის წიგნი). **(რელიგიები საქართველოში 2008, 88)**

ალ. ფრონელი აღნიშნავს, რომ ახალციხის (მესხეთის) ებრაელობის შეძლებული ნაწილი ცდილობდა იერუსალიმში დაბინავებას. (ფრონელი 1914, 129) . ალ. ფრონელის ეს ცნობა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის ვითარებას ასახავს, ეხმაურება მონაცემებს, რომლის მიხედვითაც 1914 წელს, იერუსალიმში საქართველოდან წასული 500 ებრაელი ცხოვრობდა. **(Намталашвили 2014, 35; Turan 2019, 45)**

„გურჯების“ სახელით ცნობილი ქართველი ებრაელები, პალესტინაზე დიდი ბრიტანეთის მანდატის პერიოდშიც (1920-1948) დიდ ძალასა და გავლენას ფლობდნენ. განსაკუთრებით გურჯებს უფრო ხოდა არაბული მოსახლეობა, თუმცა „გურჯები“ არაბთა მიმართ სისასტიკესა და უსამართლობას არ იჩენდნენ. **(Давид 1989, 391)**

რუსეთის იმპერიის ოსმალეთთან საზღვრისპირა ვაჭრობაში გამოირჩეოდნენ ახალციხელი ებრაელები, რომელთაც ოსმალეთიდან შემოტანილი საქონელი (ძირითადად ტრაპიზონული თამბაქო, ნახევარ აბრეშუმში) თბილისშიც გაჰქონდათ, ხოლო ახალციხიდან ოსმალეთში ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი და ტყავეული შეჰქონდათ. ოსმალეთთან სააკრანტინო-საბაჟო პუნქტი მესხეთში, სოფ. ჯაყისმანთან მდებარეობდა. **(Кавказский календарь на 1849 год 1848, 59-60)**

ერთი პერიოდი მეფის რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიაში საშინაო-საგარეო ვაჭრობის წასახალისებლად შეღავათიან საგადასახადო ტარიფების პოლიტიკას ატარებდა, თავისუფალი იყო სატრანზიტო ვაჭრობა. ამ დროს, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ევროპასთან, ირანთან და განსაკუთრებით ინტენსიური კი ოსმალეთთან. საქართველოში ვაჭართა უმეტესობას შეადგენდნენ ქართველი ებრაელები და სომხები. მათ შორის შეძლებული ებრაელი ვაჭრები ცხოვრობდნენ უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში და ახალციხეში. **(Кавказ 1861, № 72)**

ახალციხელი ებრაელების საერთაშორისო აღებ მიცემობაში ჩართვას ხელს უწყობდა იმ საერთაშორისო სავაჭრო სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, რომელიც ირანს ოსმალეთის გავლით აკავშირებდა ევროპის ქვეყნებთან. ახალციხელ ებრაელებს ინტენსიური კომერციული ურთიერთობა ჰქონდათ ოსმალეთისა და ირანის სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებთან. 1830-იან წლებში, ახალციხელი ებრაელების მიერ ჩამოყალიბებულ „სოლომონის კომპანიას“, სახმელეთო გზით საქონელი გაჰქონდა ოსმალეთის ანატოლიური ვაჭრობის ერთ-ერთ ცენტრში - ქ. თოქათში. **(Акты 1881, 51)**

შემონახულია ისტორიული დოკუმენტები-ახალციხელ ებრაელ ვაჭართა წერილობითი თხოვნები ქუთაისის გუბერნატორისადმი, რომ დაუშვან მათზე კონსტანტინოპოლს (სტამბოლი) სავაჭროდ გასამგზავრებლად აუცილებელი პასპორტები. ებრაელებს, რომლებიც ოსმალეთში ვაჭრობდნენ, „მესტამბოლეებს“ უწოდებდნენ. რეუვენ ენოხის (ენუქაშვილი) დაკვირვებით, ქართველი ებრაელების მეტყველებაში „მესტამბოლე“ ნიშნავს ვაჭარს, რომელიც ვაჭრობს სტამბოლში, მსგავსი ფორმაა „მერუსეთე“ - ანუ ის, რომელიც რუსეთში ვაჭრობს. **(Enoch 2021, 84)**

„მესტამბოლეები“ წელიწადში ორ-სამჯერ ჩადიოდნენ ოსმალეთში. სტამბოლს მიმავალი ებრაელი ვაჭრები უმთავრესად არზრუმი-ტრაპიზონის სახმელეთო გზას ირჩევდნენ, ტრაპიზონიდან კი გემებით ჩადიოდნენ სტამბოლს. იყო მეორე გზაც, ახალციხიდან არტაან-ართვინისა და იქიდან ბათუმისაკენ, რომელიც 1878 წლამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სტამბოლს გემებით მიემგზავრებოდნენ ფოთიდან და ყულევიდანაც. **(პაპისიმედოვი 2014, 34-35)**

ახალციხელ ებრაელთა საგარეო ბაზრებთან ურთიერთობის ამსახველ საინტერესო მასალას წარმოადგენს 1935-1939 წლებში ჩაწერილი, მოხუც ებრაელთა (მათ შორის მხატვარ შალომ კობოშვილის ჩანახატები) მოგონებები, რომელთა მიხედვით, „მესტამბოლეები“ აქლემებითა და ცხენებით გადაადგილდებოდნენ, ქარავანს თან ვაჭრები-ჩალვადრები (აქლემებისა და ცხენების პატრონები) და ქარავანბაში (ქარავნის წინამძღოლი) მიჰყვებოდნენ. **(წიწუაშვილი 2022, 78)**

ქართველ ებრაელთა სავაჭრო ურთიერთობების ერთ-ერთი სახე იყო ე.წ. ყურბათობა, რომელსაც მიმართავდნენ შორეული, რთული სავაჭრო მოგზაურობების დროს. ყურბათობა ძირითადად ახალციხელ ებრაელთა შორის იყო გავრცელებული. ზოგჯერ შეძლებული ებრაელი ვაჭარი იქირავებდა მეორე ებრაელს, რომელიც ზურგით ატარებდა საქონლით სავსე ბოხჩას (ტომარას), ეხმარებოდა დამქირავებელს ვაჭრობაში, იცავდა მის საქონელს. ასეთი დაქირავებული პირები თავიანთ პატრონს მიჰყვებოდნენ ხანგრძლივ სავაჭრო მგზავრობაში, ყველაზე ხშირად სტამბოლს. **(მეტრეველი 2008, 8)**

ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები, სტამბოლელი და ანატოლიელი ებრაელები მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებში იყვნენ რუსეთის იმპერიასთან და მათ საქმიანი კონტაქტები გააჩნდათ „მესტამბოლეებთან“. **(Давид 1989, 205).**

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ 1837 წლის ერთი ცნობის თანახმად, ახალციხელი ებრაელების ნაწილი თავისუფლად ფლობდა თურქულ ენას. **(Давид 1989, 192)**

ოსმალეთთან ვაჭრობდნენ დასავლეთ საქართველოს ებრაელებიც. ისტორიული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქუთაისელ მოშა იაკობაშვილსა და მის ბიძაშვილებს კაცოს, დავითს და შალომას სავაჭრო ამხანაგობის ხელშეკრულება დაუდვიათ ურთიერთშორის „კონსტანტინოპოლთან ვაჭრობის საწარმოებლად“. **(პაპისიმედოვი 2014, 41)**

მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში, სამეგრელოში მცხოვრები ქართველი ებრაელებიდან ოსმალეთში ვაჭრობით დიდძალი ქონება დააგროვეს სოფ. სუჯუნაში მცხოვრებმა აბრამ და ცხაკუნია მიხაილაშვილებმა. **(მეუნარგია 1939, 148)**

რუსი სახელმწიფო მოხელე, სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების აღმზრდელი და 1858-1861 წლებში სენაკის მაზრის მმართველი კ. ბოროზდინი, აღნიშნავს სამეგრელოში სუჯუნელი გლეხების მდიდრულ ცხოვრებას და აღტაცებას ვერ მალავს სუჯუნელი ქალების სილამაზითაც. ბოროზდინის ცნობით, ვაჭარი ცხაკუნია მიხაილაშვილი, ისევე როგორც დანარჩენი სუჯუნელი ებრაელები, სუჯუნას წმინდა გიორგის ეკლესიის ყმაგლეხები იყვნენ. ცხაკუნია მიხაილაშვილი სტამბოლში აბრეშუმით ვაჭრობდა. მის ქონებას 200 ათასი მანეთის ოდენობით აფასებდნენ. **(Бороздин 1885, 291; 288)**

ცხაკუნია მიხაილაშვილს 1850-1860-იან წლებში სავაჭრო ობიექტები გააჩნდა ქ.ფოთში, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიის ოსმალეთსა და ევროპასთან ვაჭრობის უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა. მისმა მძიმეშვილმა არონ მიხელაშვილმა მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, საექსპორტო ვაჭრობისთვის დრეიფუსის სახელობის სავაჭრო კანტორა გახსნა ფოთში. წყაროები ამ გვარს ასე

მოიხსენიებენ, კ.ბოროზდინი: მიხალეშვილი; ი.მეუნარგია: მიხაილაშვილი. ი.პაპისიმედოვით კი სწორი ფორმაა მიხაელაშვილი. **(პაპისიმედოვი 2014,41)**

ებრაელების ნაწილი, 1860-იან წლებში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველი გლეხების მსგავსად დროებით ვალდებული აღმოჩნდა, მაგრამ მეორე ნაწილმა შეძლო თავის გამოსყიდვა და სავაჭრო საქმიანობის ისე სარგებლად აწყობა, რომ საკუთარი ბატონების ქონებაც კი ჩაიგდო ხელში. შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ თურქეთისა და ირანის მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან - სტამბოლი, ყარსი, არზრუმში, თავრიზი. ქუთაისელი ებრაელების საგარეო ვაჭრობის მთავარი მიმართულება სტამბოლი იყო. გარდა ლეგალური სავაჭრო ურთიერთობებისა, ხდებოდა კონტრაბანდა ანუ საქონლის ფარული გადატანაც. (ჩოჩიშვილი 2021,120).

ებრაელთა მონაწილეობით ოსმალეთში ოქროს კონტრაბანდის შესახებ ერთი ცნობა განეკუთვნება 1921 წლის იანვარს. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით, ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქ სტამბოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსული იოსებ გოგოლაშვილი წერილობით ატყობინებს თბილისში საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს მოქალაქეების შესახებ, რომელთაც კონსტანტინოპოლში „აუარებელი ოქრო და ვერცხლი“ (თვრამეტი ჩემოდანი) შემოიტანეს. კონსული აღნიშნავს, რომ გემში ოქროვერცხლის შეტანა მოხდა ქართველი მოხელეების-საგანგებო რაზმის წევრების მხრიდან და ითხოვს ამ საკითხზე გამოძიების დაწყებას. კონტრაბანდისტები ქართველი ებრაელები არიან - ისრაილ გორელაშვილი (შვილებით), ისხაკ ბოხანაშვილი, სოლომონ კრცონაშვილი, იუდა გურფაშვილი, არონ ბოხანაშვილი. (გოგოლაშვილი, 1921). იგივე ხასიათის შეტყობინებას აგზავნის კონსული საქართველოს მოქალაქე იოსებ ბიბინაშვილის შესახებ. (გოგოლაშვილი, 1921).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ქართველი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის ფორმირებაში. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა სამმა ებრაელმა - იოსებ ელიგულაშვილმა, მოსე დავარაშვილმა და ილია გოლდმანმა.

1920 წელს, ქართველ ებრაელთა ლიდერებმა ბეით ქნესეთის (სინაგოგის) ოქროს მარაგის ნაწილი საქართველოს ხაზინაში შეიტანეს. **(წიწუაშვილი, 2022, 13)** აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, იოსებ ელიგულაშვილმა-საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, დიდი წვლილი შეიტანა ბოლშევიკური რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციის პერიოდში, 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოდან სტამბოლსა და შემდგომ ევროპაში ეროვნული განძის გატანასა და გადარჩენაში. **(ჯორდანია, 1983, 50-51)**

ბიბლიოგრაფია

1. ბაგრატიონი, ვახუშტი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
2. გამბა, ჟაკ ფრანსუა. 1987. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ტომი პირველი. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი: განათლება.
3. გოგოლაშვილი, იოსებ. 1921. საქართველოს კონსულის იოსებ გოგოლაშვილის წერილები ქართველი ებრაელების მიერ საქართველოდან კონსტანტინოპოლში ჩატანილი ოქრო-ვერცხლის საქმის გამოძიებისა და სომხების მიერ თურქულ პრესაში საქართველოზე გავრცელებული ყალბი ინფორმაციების შესახებ. საქართველოს ეროვნული არქივი: საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე № 538. https://republic.archival-services.gov.ge/respublica/preview/GE_1_2_1864_2_598_1/619 (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
4. დ'ალესიო, ევგენი დალეჯიო. 1921. ქართველები კონსტანტინეპოლში. (ფრანგულიდან) პ.შ. ვარდიძისა. სტამბოლი: საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა საგანისა.
5. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. 1971. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი. თბილისი: მეცნიერება.
6. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. 1973. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბილისი: მეცნიერება.
7. იველაშვილი, თინა. 2015. ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში. თბილისი.
8. კრიხელი, არონ. 2014. ბრეთის ბიბლიის საკითხისათვის. სსიპ დავით ბაახოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი. შრომები I-II-III. თბილისი: ქართული აკადემიური წიგნი.
9. მეტრეველი, როინ. 2008. ისრაელი-ახალი სახელმწიფო. გაზ.: საქართველოს რესპუბლიკა, № 85.
10. მეუნარგია, იონა. 1939წ. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები. რედ: სოლ. ცაიშვილი. თბილისი: ტექნიკა და შრომა.

11. ლომსაძე, შოთა. 1975. სამცხე-ჯავახეთი. თბილისი: აკად.ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი.
12. პაპისიმედოვი, ილია. 2014. საქართველოს ებრაელთა აღებ მიცემობის ისტორიისათვის 1800-1864 წ.წ. სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი. შრომები I-II-III. თბილისი: ქართული აკადემიური წიგნი.
13. ჟორდანია, გივი. 1983. დაბრუნებული საუნჯე. თბილისი: მეცნიერება.
14. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა 2008. რელიგიები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.
http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/Religiebi_Saqartveloshi.pdf
15. (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
16. მესხიშვილი, ცირა. 2021. ახალციხის სინაგოგის დაარსების თარიღისათვის. გორი: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჟურნალი: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია no. 5.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/338706/1/History_Archaeology_Ethnology_2021_N5.pdf (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
17. ფრონელი, ალექსანდრე. 1914. დიდებული მესხეთი. გორი: იასონ კერესელიძის გამოცემა.
18. ჩორნი, იუდა ჰალევი. 2014. მოგზაურობა იმიერ და ამერკავკასიაში. თბილისი: საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. (მეორე გამოცემა). ტომი III.
19. ჩოჩიშვილი, დავით. 2021. იეჰუდა ჩორნის მოგზაურობა ქუთაისში. გორი: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჟურნალი: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, no. 6.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/364172/1/History_Archaeology_Ethnology_2021_N6.pdf (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
20. წიწუაშვილი, ლელა. 2022. მხატვარი და ეპოქა: შალვა კობოშვილი 145. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
21. წიწუაშვილი, შალვა. 2014. ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915 -1926 წწ.). თბილისი: ს.ს.ი.პ. დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი: შრომები, no. IX.
22. ჭიჭინაძე, ზაქარია. 1904. ქართველთა ებრაელნი საქართველოში. ტფილისი.

23. ჭუმბურიძე, ზურაბ. 2008. ებრაული ლექსიკის კვალი ქართულ ტოპონიმიაში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
24. ჯიქია, სერგი. 1947. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. წიგნი I. ტექსტი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
25. ჯიქია, სერგი. 1941. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. წიგნი II. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
26. ჯიქია მარიკა. 2013. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ანთროპოლოგია. კრებულში: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VII. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
27. Değirmenci, Salih. I Numaralı Ahışa Şeriyeye Siciline göre (1233-1241/1818-1826) Çıldır Eyaletindeki Valif Eserleri ve Çıldır Eyaletinin Toplum Yapısı. 2017. Uluslararası Gürcistan'da İslamiyet'in Dünü Bugünü Yarını Sempozyumu. Bildiriler Kitabı. İstanbul: Gürcistan Dostluk Derneği Yayınları.
28. Düinden Bugüne İstanbul Ansiklopedisi. Cilt 3. 1993. Editör İlhan Tekeli. İstanbul: Kültür Bakanlığı / Tarih Vakfı.
29. Enoch, Reuven (Enukashvili, Ruben). 2021. From The Panther Skin to the Translations of the Holy Books by Georgian Jews - Linguistic Parallels. International Journal of Multilingual Education, no. 19. https://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/1.%20From%20The%20Panther%20Skin%20to%20the%20Translations%20of%20the%20Holy%20Books.pdf (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
30. Galanti Avram. 1947. Türkler ve Yahudiler: Tarihi, Siyasi Tetkik. İlaveli İkinci Baskı. İstanbul: Tan Matbaası. <https://ia804608.us.archive.org/26/items/TurklerVeYahudilerAvramGalanti/TurklerVeYahudiler-a.Galanti-int.pdf> (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
31. Kılıç, Musa. 2011. Osmanlı Diplomasisi Hizmetinde Yahudiler. Türk Sosyal ve Siyasi Hayatında Yahudiler. Editörler: Yrd.Doç Dr. İbrahim Erdal; Yrd.Doç Dr. Yunus Özger. İstanbul: IQ Kültür Sanat yayıncılık.

32. <https://docplayer.biz.tr/55254840-Editorler-yrd-doc-dr-ibrahim-erdal-yrd-doc-dr-yunus-ozger-inchel-ie-arastirma.html> (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
33. Kılıç, Musa. 2012. Sicill-i Ahval kayıtlarına göre II Abdülhamid dönemi Osmanlı Bürokrasisinde Yahudi memurlar. Ankara: Ankara Üniversitesi Osmanlı Tarihi Araştırma ve Uygulama Merkezi. Osmanlı Tarihi Araştırma ve Uygulama Merkezi Dergisi OTAM, no.31/Bahar 2012. <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/113983> (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
34. Karal, Enver Ziya.1943. Osmanlı İmparatorluğunda İlk Nüfus Sayımı 1831. Ankara: TC Başvekâlet İstatistik Umum Müdürlüğü, no. 195.
35. Karpat, Kemal H. 1985. Ottoman Population 1830-1914. Demographic and Social Characteristics. Madison: The University of Wisconsin Press.
36. Kizilkaya, Oktay. 2013. XIX Yüzyılın Ortalarında Çıldır Sancağı'nın Sosyo-Ekonomik Durumu. Ankara: Turkish Studies - International Periodical For The Languages, Literature and History of Turkish or Turkic. Volume 8/5 Spring 2013. <https://turkishstudies.net/DergiTamDetay.aspx?ID=4884> (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
37. Turan, Resul. 2019. Çarlık Rusya'sı ve Sovyet Birliği'nde Gürcü Yahudileri. İsrailiyat: İsrail ve Yahudi Çalışmaları Dergisi, no. 5. Kış 2019. <http://dergi.israiliyat.com/tr/download/article-file/913864> (მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
38. Türkoğlu Güliz, Kutluata Zeynep. Beki Bahar ile Söyleşi: Türkiye'de Yahudi olmak. <http://www.feministyaklasimlar.org/sayi-07-mart-2009/turkiyede-yahudi-olmak/> (გახსნილია/მონახულებულია 2022 წლის 16 ოქტომბერს)
39. Бороздин, Корнилий. 1885. Закавказские Воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год.С.- Петербург: Издание А.С.Суворина. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/333302?mode=full> (გახსნილია/მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
40. Давид, Ицхак. 1989. История Евреев на Кавказе I. Тель-Авив: "Кавкасион". Кавказ 1861, no. 72.
41. Кавказская Археографическая Комиссия. 1881. Акты, Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том VIII. Издан под редакцию председателя комиссии д.с.с. Ад. Берже. Тифлис: Типография Главного Упрвление Наместника Кавказского.

Канцелярия Кавказского Наместника. 1848. Кавказский календарь на 1849 год : (4-й год). Тифлис.

42. Мамиствалишвили, Эльдар. Грузинские Евреи. (с эпохи античности до 1921г.). თბილისი:ს.ს.ი.პ. დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/303243/1/Gruzinskiee_Ivreii.pdf
(გახსნილია/მონახულებულია 2023 წლის 16 ოქტომბერს)
43. Намталашвили, Габриел 2014. Прогулки по Петхаину: 26 веков в Грузии: время и судьбы. რედ: Гиви Гамбашидзе. Тбилиси: Петити.

10. ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებები 1917-1918 წწ.

თეა მეშველიშვილი / Tea MESHVELISHVILI

Dr. Öğrencisi, Gürcistan Üniversitesi, 77a Kostava Caddesi, 0171 / დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კოსტავა 77, 0171 / PhD(C), University of Georgia, 77a Kostava Str., 0171. DOI: [10.5281/zenodo.10463382](https://doi.org/10.5281/zenodo.10463382)

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: t.meshvelishvili@uge.edu.ge

ORCID ID: 0009-0005-5556-6970

მოკლე შინაარსი

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, როდესაც ძალთა გადანაწილება შეიცვალა და ქვეყნის სათავეში მოსულ ახალგაზრდა თურქებს იმედი გაუჩნდათ, რომ ხელთ იგდებდნენ არა მხოლოდ კავკასიას, არამედ, ყირიმსა და შუა აზიას. 1917-1918 წლები სამხრეთ კავკასიის კომისარიატისთვის ასევე კრიტიკული წლები იყო, რადგან უწყვეტა როგორც ოსმალეთის იმპერიისთვის, ასევე, საბჭოთა რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ჩვენი ჰიპოთეზის გასამყარებლად გამოვიყენეთ პირველადი წყაროები და პერიოდული გამოცემები. ფაქტების ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ თურქეთის მთავრობამ ისარგებლა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ძალთა თანაფარდობის ცვლილებით, ასევე, კავკასიაში შექმნილი სიტუაციით, რათა თავისი გეგმები შენდებულად განეხორციელებინა და მიაღწიეს კიდევ იმ მომენტში. ისტორიული ფაქტების და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთისთვის სახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა რუსეთის მიერ მშვიდობის დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ თურქების ინიციატივა - კავკასიაში დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები - შეიძლება ითქვას, ერთგვარი ხრიკი იყო და რეალურად, პანთურანური იდეებით შეპყრობილი ახალგაზრდა თურქების მთავრობა „დიდი თურანის“ აღდგენას გეგმავდა, რომელიც კავკასიიდან შუა აზიამდე უნდა გადაჭიმულიყო.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის ფრონტი, საქართველო, სამშვიდობო მოლაპარაკებები, საბჭოთა რუსეთი, ახალგაზრდა თურქები

1917-1918 Trabzon ve Batum Konferansları

Öz

Bu makale, Ekim Darbesi'nden sonra 1917-1918 yılları arasında Osmanlı İmparatorluğu ile Güney Kafkasya arasındaki barış görüşmelerini, güç dağılımını, güç dengesinin nasıl değiştiğini ve Jön Türk hükümetinin yakalamayı umduğu yeni siyasi imajını ortaya koymaya çalışmaktadır. Çalışma, aynı zamanda Kafkasya'nın yanı sıra Kırım ve Orta Asya'yı da kapsamaktadır. Ayrıca 1917-1918 yılları arasında Trans Kafkasya, Rusya İmparatorluğu'nun çöküşünden sonra hem Osmanlı İmparatorluğu'na hem de Sovyet Rusya'ya direnmek zorunda kalmıştır. Makale çerçevesinde, birincil kaynaklara, süreli yayınlara ve gerçeklere dayalı veri analizlerine dayanarak, Türk hükümetinin “Ekim Devrimi” sonrası güç dengelerindeki değişimin

yanı sıra Kafkasya'daki durumdan da faydalandığı ve çeşitli faaliyetleri gizlice hayata geçirmeyi düşündüğü sonucuna varılmıştır. Tarihsel gerçeklere ve toplanan verilere dayanarak "Ekim Darbesi" sonrasında Türkiye açısından olumlu bir durum oluştuğunu söylemek mümkündür. Türkiye'nin Sovyet Rusya tarafından bir barış kararnamesi yayınlama ve Kafkasya'da barış müzakerelerini başlatma girişiminin bir tür hile olduğu söylenebilir. Pantürkizm fikrine sahip olan Jön Türk hükümeti, "Büyük Turan"ı yeniden kurmayı planlamış, bu fikir Kafkasya'yı ve Orta Asya'yı da içine almaktadır.

Anahtar Kelimeler: Kafkas Cephesi, Gürcistan, Barış Müzakereleri, Sovyet Rusya, Jön Türkler.

Trabzon and Batumi Conferences in 1917-1918

Abstract

The aim of this paper is to showcase the peace negotiations between Ottoman Empire and South Caucasus in 1917-1918 after the October Coup in the new political image, when the distribution of power changed and the government of the Young Turks hoped that they would get hold of not only the Caucasus but also the Crimea and Central Asia. Also after the collapse of the Russian Empire the Transcaucasian Seim, for which the years 1917-1918 were particularly critical, had to resist both the Ottoman Empire and Soviet Russia. Within the frames of the article, on the bases of primary sources, periodicals and fact-based data analysis, we concluded that the Turkish government took advantage of the change in the balance of power after the October Revolution, as well as the situation in the Caucasus, to implement various activities in disguise resulted in achieving their plans. Based on historical facts and collecting data, we found that after the October Coup a favorable situation was created for Turkey. Turkey's initiative to publish a peace decree by Soviet Russia, to start peace negotiations in the Caucasus can be said was a kind of trick, and in fact, Young Turkish government obsessed with Pan-Turanian ideas, was planning to restore "Great Turan" which should have stretched from the Caucasus to Central Asia.

Keywords: Caucasus Front, Georgia, Peace Negotiations, Soviet Russia, Young Turks

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რეგიონში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. საუკუნეების მანძილზე ოსმალეთის მეტოქე ცარისტული რუსეთი, რომელიც სარიყამიშზე მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ოსმალეთის დანაწილებითა და კონსტანტინოპოლის აღებითაც კი იმუქრებოდა, აღარ არსებობდა. სახელმწიფოს სათავეში მოსული ბოლშევიკური მთავრობა უარს აცხადებდა თურქეთის დანაწილებაზე და მოითხოვდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას. 1917 წლის 27 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა დერკეტი ზავის მოთხოვნის მიზნით. 1917 წლის 20 აპრილის გაზეთ პრავდაში გამოქვეყნდა ლენინის მიმართვა, ცნობილი, როგორც „აპრილის თეზისები“, სადაც აცხადებდა, რომ რუსეთს ტერიტორიული პრეტენზიები არცერთ ქვეყანასთან არ აქვს. ოსმალეთი თავდაპირველად სიხარულით შეხვდა ამ სიახლეს. იმედი გაუჩნდა, რომ შეძლებდა აღდგენა „დიდი თურანი“, რომელიც კავკასიიდან ცენტრალურ აზიამდე იქნებოდა გადაჭიმული. თურქულ გაზეთებში აქტიურად წერდნენ, რომ პროლეტარიატმა სახელმწიფოს მართვის

სადავეები გადაიბარა და ამიერიდან რუსეთს ახალი მიწების ხელში ჩაგდების სურვილი აღარ ექნებოდა, რაც თურქეთისთვის დადებითი მოლოდინს ქმნიდა. თუმცა, მალევე გაუცრუვდათ იმედი. 1917 წლის სექტემბრის ნომერში გაზეთი „თერჯუმან ი ჰაქიათ „ წერდა, რომ კავკასია თურქეთსა და რუსეთს შორის დიდი ხანია, რაც საჯილდო ქვა არის, რომ რუსული საფრთხის შესაჩერებლად თურქეთს საჭირო ზომები უნდა მიეღო.

აღნიშნული სტატია ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ, სტატიაში გამოყენებულია დისკრიფციული დასვნის მეთოდი. დისკრიფცია გულისხმობს მრავალი ფაქტიდან ისეთის შერჩევას, რომელთა დაფიქსირება შესაძლებელია. ეს მეთოდი გულისხმობს დასკვნის გამოტანას დაკვირვებადი ფაქტების საფუძველზე - რა არის სისტემური დაკვირვებად ფაქტებში და რა არასისტემური. აღწერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახსნის პროცესში, რომლის საფუძველზე ხდება სისტემური დასკვნის გამოტანა. ფაქტების შეჯამებით ჩვენ ვიღებთ დისკრიფციულ ისტორიას. კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ მოვლენათა ინტერპრეტაციის მეთოდი. მოვლენათა ინტერპრეტაციის საშუალებით შევეცადეთ მოგვეხსენა ისტორიული დეტალების ზუსტი შეჯამება, ასევე აღწერილი მოვლენები შეგვეჯამებინა ისეთ გასაგებ კონტექსტში, რომელშიც ქმედებათა მნიშვნელობა ახსნადი ქნებოდა. ამისათვის გამოვიყენეთ ინფორმაციის მოძიების ინსტრუმენტი - დოკუმენტების/პერიოდული გამოცდემების კოდირებით, რამაც საშუალება მოგვცა მოგვეხსენა ისტორიულ მოვლენათა ზუსტი ინტერპრეტაცია.

საბჭოთა მთავრობის მიერ სამშვიდობო პაქტის გამოქვეყნების შემდეგ, კავკასიაში მშვიდობის დამყარების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა. სამშვიდობო მოლაპარაკების ინიციატივა თურქეთის არმიის გენერალმა ვაჰიბ ფაშამ ითავა და 1917 წლის 20 ნოემბერს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს - პრჟევალსკის სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. (გენ. შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების არქივი A4 -3671 K 2921 511 1-9) (Kurأت ., (2011)გვ.464). თუმცა, პასუხმა დააგვიანა. პასუხის დაგვიანების გამო ვაჰიბ ფაშა ვარაუდობდა, რომ რუსულ სარდლობას ჯერ არ აქვს სურვილი სამშვიდობო მოლაპარაკებებზე წამოვიდეს. ენვერ ფაშასთვის გაგზავნილ ტელეგრამაში წერს, რომ „რუსეთის მთავრობას თავის დაქვემდებარებულ საჯარისო ნაწილებისათვის ბრძანება არ მიუცია სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე, ამიტომ, მომავალი ბუნდოვანი არის“. (გენ. შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების არქივი ATASE A 1-1, K. 151 D. 678-200 F. 108-6 ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების მიხედვით, მოლაპარაკება უნდა შემდგარიყო თურქეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ მდგომარეობა სრულად შეცვლილი იყო, რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა იყო სამხრეთ კავკასიის კომისარიატი, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას იმთავითვე არ აღიარებდა. ამიტომ, ვაჰიბ ფაშას

წერილის ადრესატი სამხრეთ კავკასიის კომისარიატი იყო. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ კავკასიის რესპუბლიკებს ომის გაგრძელება არ შეეძლო და სამხრეთ კავკასიის კომისარიატის სახელით კავკასიის ფრონტის სარდლის გენერალმა პრჟევალსკიმ ვაჰიბ ფაშას შეთავაზების პასუხად 1917 წლის 5 დეკემბრის დეპეშაში ზავის დადებაზე თანხმობა მისწერა. დადებითი პასუხის შემთხვევაში შესთავაზა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელშიც თურქი და რუსი წარმომადგენლები შევიდოდნენ და შეიმუშავებდნენ სამშვიდობო შეთანხმების პირობებს. იმავე დღეს პრჟევალსკიმ წერილი გაუგზავნა ინგლისის მესოპოტამიის არმიის მთავარსარდალს, სადაც აუწყა თურქეთის მზაობა მოლაპარაკებების დაწყებაზე და მისი თანხმობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დეპეშას გენერალი პრჟევალსკი და გენერალი ლებედინსკი აწერენ. [Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 9,10, გვ 19, 20). ამ ნაბიჯით, კომისარიატმა ხაზი გაუსვა, რომ ის ბოლშევიკური მთავრობას არ აღიარებდა და მის მეტოქესთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე მზაობას აცხადებდა. მიუხედავად ამისა, ანტანტას ქვეყნები უკმაყოფილ იყვნენ, რადგან მათთან შეთანხმების გარეშე მოხდა თურქეთის მხარის წინადადებაზე თანხმობის მიცემა. გენერალ პრჟევალსკის განმარტებით კი, მისი ეს ნაბიჯის გამოწვეული იყო შიშით, კონტროლი არ გადასულიყო ბოლშევიკების ხელში, მით უფრო, როცა ახალ დროებით მთავრობას უკვე გამოცემული ჰქონდა მშვიდობის დეკრეტი და მზაობა თურქულ მხარესთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. (Şahin ., (2002). გვ 162). 1917 წლის 5 დეკემბერს სამხრეთ კავკასიის მთავრობამ შეიმუშავა დაზავების პირობები, რომლითაც კომისიას უნდა ეხელმძღვანელა. პირობები 13 პუნქტისაგან შედგებოდა. მათგან მნიშვნელოვანი - ცეცხლის უპირობო შეწყვეტა, სამხედრო დანაყოფებისთვის ქვეყნების მიერ დადგენილი საზღვრების ფარგლებში გაჩერების უფლების მიცემა, მხარეებს ეკრძელებათ ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება, ხოლოს სამოქალაქო პირებს არ ეზღუდებათ დემარკაციის ზოლის კვეთა. დაზავება მოქმედებდა მშვიდობის საბოლოო დამყარებამდე. ინსტრუქციას ხელს აწერენ: გენერალ-მაიორი ლებედინსკი, გენერალ-კვარტერმეისტერი შამილოვი. 1917 წლის 15-18 დეკემბერს ერზინჯანში დაიწყო პირველი საზავო მოლაპარაკებები. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთის არმიის სახელით არა ბოლშევიკური მთავრობა, არამედ, სამხრეთ კავკასიის კომისარიატი და კავკასიის რუსული არმიის სარდლობა. თურქული მხარე დაბნეული იყო, რადგან, სამხრეთ კავკასიის კომისარიატი სულ ახალი შექმნილი იყო და ამ მოლაპარაკებების პარალელურად ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული შეთანხმებები შესაძლებელია თანხვედრაში არ ყოფილიყო ერზინჯანში მიღებულ გადაწყვეტილებებთან. (Şahin ., (2002). გვ.165). ის, რომ თურქეთი მოლაპარაკებებს აწარმოებდა სამხრეთ კავკასიის კომისარიატთან, ფაქტობრივი აღიარება იყო, რომ თურქეთი ცნობდა კომისარიატის

უფლებამოსილებას. თუმცა, ეჭვით უყურებდა მოლაპარაკებების მიმდინარეობას, რასაც ვაჰიბ ფაშა კავკასიის არმიის გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძესადმი გაგზავნილ წერილშიც ჩანს. ის წერდა, რომ ერზინჯანში თურქული დელეგაციის ხელმძღვანელისგან - ომერ ლუთფი ბეისგან მიიღო ტელეგრამა, სადაც იგი წერდა, რომ რუსულ მხარეს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის კომისარიატი. გამომდინარე აქედან, ვაჰიბ ფაშა თვლიდა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელების მიზნით, ვაჰიბ ფაშა თვლიდა, უპრიანი იქნებოდა თბილისში დელეგაციის გაგზავნა. [Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 15, გვ 30). თბილისის მთავრობამ თურქული დელეგაციის მიღებაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ ელოდა დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებას პეტროგრადში. (Kurat ., (2011). გვ. 465). „გამომდინარე იქედან, რომ გვაქვს სურვილი სამშვიდობო შეთანხმება დავდეთ რუსულ დემოკრატიული ძალების მოთხოვნების გათვალისწინებით, უპრიანია გაცნობოთ, რომ ჩვენ, როგორც რუსეთის რესპუბლიკის ნაწილი, შევძლებთ მოლაპარაკებების გაგრძელებას დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული რწმუნებების შემდეგ“. - ნათქვამია 1918 წლის 5 (18) იანვრის კავკასიის კომისარიის სხდომის [Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 18 გვ. 26). 1918 წლის 3 (16) იანვარს ვაჰიბ ფაშა სამხრეთ კავკასიის კომისარიატს, გენ. ოდიშელიძეს დეპეშას უგზავნის, სადაც სთხოვს გააგზავნოს რწმუნებულები ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე. [Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus, # 34, გვ. 52). ეს დეპეშა თბილისში მხოლოდ 1 (14) თებერვალს აღწევს.

1918 წლის 6 იანვარს დამფუძნებელი კრება შედგა, თუმცა, დროებითი მთავრობის დაბრუნება ვერ მოხერხდა, ბოლშევიკებმა გარეკვეს დემოკრატიული ძალები და საქართველოს მთავრობამაც ნელ-ნელა დაიწყო გამოფხიზლება იმ ილუზიისაგან, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლება. (ჭუმბურიძე ., (2018). გვ.123) დამფუძნებელთა კრების გარეკვის შემდეგ თბილისის მთავრობამ მოსათათბირებლად სამი კვირა ითხოვა. [Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 20, გვ 35). ამასობაში საბჭოთა რუსეთის მთავრობა რეგიონში სამოქალაქო ომის წაქეზებას ცდილობდა, რათა საბჭოთა ხელისუფლება გავრცელებულიყო კავკასიაში. სახალხო კომისარიატმა მიიღო დეკრეტი თურქეთში სომხური დიასპორის (Турецкая Армения) თვითგამორკვევის შესახებ, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთი სრულ მხარდაჭერას უცხადებდა სომხურ დიასპორას თვითგამორკვევის საკითხებში, რომ სომეხ ერს უფლება ჰქონდა საკუთარი უფლებები დაეცვა, თუნდაც

რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით. გამომდინარე აქედან, სახალხო კომისარიატი მოითხოვდა სასწრაფოდ შექმნილიყო მილიცია, რომელიც ეთნიკური სომხებით იქნებოდა დაკომპლექტებული, სომეხი ლტოლვილების (სხვადასხვა ქვეყნებში ემიგრირებული სომხების ჩათვლით) უპირობო დაბრუნდება უნდა უზრუნველყო თურქეთის მხარეს, შექმნილიყო დროებითი სახალხო მმართველობა. აღნიშნული მოთხოვნების შესრულების მიზნით, მხარდაჭერის აღმოჩენა დაევალა კავკასიის საკიხებში დროებით კომისარს სტეფან შაუმიანს. აღნიშნულ დეკლარაციაში შენიშვნის სახით წერია, რომ თურქეთში სომხური დიასპორის ახალი გეოგრაფიული არეალი მტკიცდება სომეხი წარმომადგენლების მიერ, დემოკრატიულად არჩეული შერეული კომისიებთან (მუსლიმების და სხვა ეთნიკური წარმომადგენლებით დაკომპლექტებული) და კავკასიის საკითხებში დროებითი კომისართან შეთანხმებით. დეკლარაციას ხელს აწერენ: ვ. ულიანოვი (ლენინი) ი. ჯულაშილი (სტალინი) ვ. ბონჩ-ბრუნევიჩი (სახელმწიფო საქმეების მმართველი) ნ. გორბუნოვი (საბჭოს მდივანი) Dokumenty Vneshnej Politiki SSSR [Documents on Internal Policy of The USSR] P 1917 წლის 17 ნოემბერი - 1918 წლის 31 დეკემბერი გვ. 76). საბჭოთა რუსეთის გათვლებით, სომხური დიასპორის გაძლიერების შემდეგ, დღის წესრიგში დადგებოდა რეფერენდუმის გამოცხადება დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ამგვარად, საბჭოთა რუსეთი სომხური დიასპორის დახმარებით თურქეთს მიწებსაც წართმევდა და რეგიონში სომხური სეპარატიზმი საბოლოოდ აღმოიფხვრებოდა. (Kurat ., (2011). გვ. 461). შედეგად, რეაქციონერი ბოლშევიკების წაქეზებით, გახშირდა სომხური შეიარაღებული დაჯგუფებების თავდასხმები რეგიონში. თითქოს ოსმალეთის ინტერესებსაც წაადგა ეს მოვლენები. მოლაპარაკებების პარალელურად ოსმალეთი ცდილობდა მუსლიმის თემის ამხედრებას და პოლიტიკური სიტუაციის აღრევას. რაუფ ბეი ფარულ მოლაპარაკებებს მართავდა აზერბაიჯანისა და დაღესტნის მუსლიმი თემის წარმომადგენლებთან, რომლებიც თითქოსდა ითხოვდნენ თურქეთის არმიის კავკასიაში შემოსვლას . (Kurat ., (2011). გვ 469). ვაჰიბ ფაშამ გენერალ ოდიშელიძესადმი მიწერილ დეპეშაში მოითხოვა თავდამსხმელების დაშოშმინება. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 29 გვ. 44). 1918 წლის 30 იანვრის(12 თებერვალი) გაგზავნილ დეპეშაში გენ. ოდიშელიძე ვაჰიბ ფაშას წერს, რომ მის ხელთ არსებულ დასმენების სისწორეში ეჭვი ეპარება, რომ მონაცემები გადაჭარბებულად არის შეფასებული, თუმცა, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რუსული არმიის მიერ დაკავებული, მუსლიმი თურქებით დასახლებული რეგიონი დაცული იყოს სომხური თავდასხმებისაგან. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 30 გვ. 46). გენ. ოდიშელიძის მცდელობების მიუხედავად, თავდასხმების შეჩერება ვერ ხერხდებოდა. (Kurat ., (2011). გვ. 465). 1918 წლის 30

იანვარს (18 თებერვალს) ვაფიზ ფაშა ტელეგრამით აფრთხილებს, რომ შემქნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქული ჯარები შეტევაზე გადასვლას აპირებენ, რის პასუხად, გენ ოდიშელიძემ გასცა ბრძანება, საბძოლო შენაერთებმა საბძოლო პოზიციები დაეკავათ და დაეცვათ ტერიტორიები თურქული ჯარის შეტევის შემთხვევაში. *Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii*, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus]# 31, 32 გვ. 48, 49). ენვერ ფაშა ვაჰიზ ფაშასთან 1918 წლის 16 თებერვალს გაგზავნილ დეპეშაში წერს: „ჩვენი მიზანია საზღვართან მდგარი რუსული ჯარისა და სომხური დსიასპორისაგან სრული გაწმენდა, კავკასიის მუსლიმებისა და ქართველებისათვის დახმარების მიზნით, კიდევ უფრო წინ წაწევო.“ (გენ. შტაბის სამეხდრო ისტორიის არქივი A 4-3671 K 2909 D 452-17 T. 2-66) 12 აპრილს გაგზავნილ წერილში წერს, რომ პირველი რიგის ამოცანა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში მუსლიმი თემის სრულად თურქეთზე დაკავშირება მომხდარიყო. (Şahin ., (2002) გვ. 191). 1918 წლის 25 მარტს *Tercüman ı Hakikat* გაზეთში კავკასიაში მუსლიმის თემის დაცვის აუცილებლობაზე სტატია იბეჭდება. ავტორი წერს: „იმ შემთხვევაში, თუ კავკასიაში და რუსეთში სიტუაცია გამწვავდა და შეტაკებები მოხდა, ჩვენი ძმები და თანამემამულეები უნდა დავიცვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასიაში გაგარძელდება წინააღმდეგობები და რუსები ისევ ეცდებიან ჩვენს საზღვრისპირა სახელმწიფოს ხელში ჩაგდებასო“. (*Tercüman ı Hakikat Mart 1334/1918 . No 13323*) ცხადია, ოსმალეთს თავისი ინტერესები ჰქონდა კავკასიის მიმართ. კავკასიაში შექმნილი მოვლენების პარალელურად ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა და 1918 წლის 19 თებერვალს / 3 მარტს ხელი მოეწერა ბრესტ ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარაკებას. რომლის ფარგლებში დამატებითი შეთანხმება მოხდა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის. მხარეების თანმხედობოდნენ, რომ შეთანხმების რატიფიკაციიდან სამი თვის განმავლობაში რუსულ-თურქული კომისიის პირველი რიგის ამოცანა იქნებოდა სასაზღვრო ზოლის აღდგენა რუსეთსა და თურქეთს შორის და ეს ხაზი კი გადიოდა 3 ოლზე : ყარსზე, არტანასა და ბათუმზე. (*Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii*, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus] 1917 წლის 17 ნოემბერი - 1918 წლის 31 დეკემბერი გვ. 199). 1918 წლის 17 თებერვალს (2 მარტს) სამხრეთ კავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა ბრესტ ლიტოვსკში ბოლშევიკების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. „სამხრეთ კავკასიის მთავრობა, სეიმის გადაწყვეტილების თანახმად, თვლის, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც შეეხება სამხრეთ კავკასიასა და მის საზღვრებს და რომელიც მიღებულია თავად ამ სახელმწიფოს ნების და ჩართულობის გარეშე, არ გააჩნია საერთაშორისო ლეგიტიმაცია. ამერიკაკავკასიის სემიმმა შეარჩია დელეგაცია, რომელიც გაემგზავრება ტრაპიზონში თურქეთთან მოლაპარაკებების საწარმოებლად“. *Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii*, 1919]

[Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 41, გვ. 62). ნოტას ხელს აწერენ სამხრეთ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ე.გეგეჭკორი და სეიმის თავმჯდომარე ა. ჩხეიძე. 25 თებერვალს / 10 მარტს თურქებმა მოითხოვეს ბრესტის ზავით გადაცემული ტერიტორიების დაბრუნება. (ჭუმბურთიძე ., (2018). გვ. 124). იმავე დღეს, 10 მარტს (25 თებერვალი) ვაჰიბ ფაშამ განკარგულება გასცა ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაკავების შესახებ. 1915 წლიდან რუსების ხელში მყოფი ერზინჯანი 11 მარტს (13 თებერვალს) თურქულმა ჯარმა დაიკავა, 14 მარტისთვის რუსული ჯარის მიერ დაკავებული თითქმის ყველა ტერიტორია, რაც I მოფლიო ომამდე ეკავა, თურქებმა დაუბრუნეს.

ბრესტი-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი ისე მოეწერა, რომ სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა არ ყოფილა ჩართული, რის გამოც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის დელეგაციამ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა. სეიმმა უარი თქვა ოსმალეთის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. 10 (23) თებერვალს ვაჰიბ ფაშამ სამხრეთ კავკასიის კომისარიატს მიმართა რადიო ტელეგრამით, სადაც ის სეიმს სთავაზობდა გაიმართულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები და ამისათვის ის მზად იყო თბილისში წამოსულიყო. (Документы и материалы по внешней политики Закавказья и Грузии, Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii, 1919) [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus] # 40, გვ 68). იმავე დღეს მოწვეული იქნა სეიმის სხდომა, რომელმაც ე. გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე გადაწყდა თურქეთის მხარისათვის მოლაპარაკებების გამართვის ადგილად შეეთავაზებინათ ტრაპიზონი. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii, 1919) [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 41, გვ 66). ქართული მხარე ტრაპიზონს, როგორც ნეიტრალურ ქალაქს განიხილავდა, სადაც უპრიანი იქნებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა, თუმცა, თურქი მკვლევრები თვლიან, რომ მაშინ, როდესაც ტრაპიზონი ჯერ ისევ რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, ქართველების ამ გადაწყვეტილებაში დიპლომატიურ ხრიკს ხედავენ, თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ იქ იჯდა ბერძენი მიტროპოლიტი, რომელმაც ოქტომბრის გადატეხილების შემდეგ ბოლშევიკების მთავრობა არ ცნობდა და სამხრეთ კავკასიის კომისარიატს დაემქვემდებარა. (Şahin ., (2002). გვ. 241). 1918 წლის 13 მარტს ტრაპიზონის საზავო კონფერენცია დაიწყო. საქართველოს დელეგაციას ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 14 იანვრის დადგენილებით ა. ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ჰაიდარ აბაშიძე, მეჰმედ ხასან ხაჩინსკი, იბრაჰიმ ჰაიდაროვი, გიორგი გვაზავა, რუბენ კაჩასცუნნი, გიორგი ლაშიშვილი, იაკობ მაჰდიევი, ჰალილ ხას მემედოვი, ალექსანდრე ხათისიანი და ექბერ აღა შეიხულისლამოვი. დელეგაციის ძირითად შემადგენლობასთან ერთად მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდნენ ოფიცრები: გენ. შტაბის უფროსი ვლადიმერ ლევანდოვსკი, პოლკოვნიკი ეჯაძე, კაპიტანი პრიმატოვი, უმცროსი ლეიტენანტი

გარტმანი, კაპიტანი გოლიცინი, ოფიცრები: დიაკოხოვი, აპისკინი და ლოვენგო. ჯამში 43 დელეგატი. (Şahin ., (2002). გვ 274). თურქეთის მხრიდან დელეგაციაში 9 დელეგატი შედიოდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა რაუფ ბეი, დელეგაციის წევრები : მრჩეველი იურიდიულ საკითხებში ნუსრეთ ბეი, ერთობისა და პროგრესის პარტიის ტრაპიზონის წარმომადგენელი რიზა ბეი, სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი თევფიქ სალიმი, ოპერატიული განყოფილების დირექტორი, მაიორი ჰუსრევ ბეი. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 46, გვ 83). ამიერკავკასიის დელეგაცია 8-9 მარტს უკვე ტრაპიზონში ჩავიდა, თუმცა, ხმელეთზე არ გადასულა. უსუსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე. თურქული დელეგაცია 12 მარტს ჩავიდა ტრაპიზონში, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის დელეგაცია დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სამშობლოში გასამგზავრებლად ბოლო სამზადისში იყო.

კომისარიატის ინსტრუქციის მიხედვით, დელეგაციას პირველ რიგში უნდა მოეთხოვა ცეცხლის სრული შეწყვეტა, საზღვრის დემარკაცია 1914 წლის მდგომარეობით, და კიდევ ერთი პუნქტი - თურქეთში სომხური დიასპორის თვითგამორკვევის მისწრაფებების მხარდაჭერა. თურქული დელეგაციისთვის მიცემული ინსტრუქცია კი შემდეგში მდგომარეობდა: 1. ბათუმის, არტანისა და ყარსის სანჯაყები, რომელიც რუსეთის მოთხოვნით ოსმალეთმა სამხედრო კაპიტულაციის სახით 1877-2878 წლებში რუსეთს დაუთმო, რუსეთთან დადებული ახალი სამშვიდობო ხელშეკრულების თანხმად, ოსმალეთის ჯარი უნდა შესულიყო მშვიდობისა და წესრიგის დამყარების მიზნით. 2. თურქულ დელეგაციას უნდა დაედგინა კავკასიის დელეგაციის ნამდვილი მიზნები, მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაედგინა კავკასიის სეიმში შემავალი ქვეყნებისა და მათი წარმომადგენლების ეთნიკური წარმომავლობა და მათთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოების შესაძლებლობა. შეთანხმების მიღწევის შემდეგ კი განიხილებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, ტყვეთა გაცვლა და ა.შ. (Şahin E. (2002). გვ. 304)

როგორც ზემოთ ითქვა, თურქული დელეგაციის პირველი რიგის ამოცანა კავკასიის დელეგაციასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებზე გადასვლამდე მათი მიზნების გარკვევა იყო. კავკასიის დელეგაციის ლეგიტიმურობაზე ეჭვი თურქულ დელეგაციას მაინც მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომაც, მაქსიმალურად აჭიანურებდა მოლაპარაკებების დაწყებას, ვიდრე არ გაირკვეოდა დელეგაციის ჩამოსვლის მთავარი მიზანი და მხოლოდ ამის შემდეგ სტამბოლიდან მიღებული განკარგულების შესაბამისად, უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება. მოლაპარაკებების დაწყებამდე, 13 მარტს, რაუფ ბეიმ საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა დელეგაციის დაღესტნელ და აზერბაიჯანელ წარმომადგენლებთან. ესენი იყვნენ : ბენდერლი იბრაჰიმ ბეი ჰაიდაროვი, იაკუბ მეჰმედიევი, მუსტაფა ბეი.

საიდუმლო შეხვედრაზე კავკასიის სეიმის წარმომადგენლებმა რაუფ ბეის განუცხადეს, რომ მუსლიმი მოსახლეობა თურქული ჯარის შესვლას ელოდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი დასასრული ექნებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებას. რაუფ ბეი დაარწმუნეს, რომ ინგლისელების მიერ სომხების მხარდაჭერისა და ბოლშევიკური გავლენების გავრცელების საფრთხის გამო კავკასიაში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა თურქული ჯარის მხარდაჭერის იმედზე იყო. შეხვედრის დროს ჰუსეინ რაუფ ბეიმ პირდაპირ განაცხადა, რომ კავკასიის რესპუბლიკას, რომელშიც მუსლიმი, ქართველი და სომეხი ერები იყვნენ გაერთიანებული, დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. (Kurat ., (2011). გვ. 469) ამავე დღეს, 13 მარტს თბილისში გამოცემული რუსულენოვანი გაზეთის „რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა დელეგაციის ტრაპიზონში ვიზიტის შესახებ. ეს სტატია სასწრაფოდ ითარგმნა თურქული დელეგაციისთვის, გარდა ამისა, თურქეთი ინფორმირებული იყო 16 თებერვლის / 1 მარტის თათბირის შესახებ, რომელზეც გადაწყდა დელეგატების ვინაობა და დადგინდა ინსტრუქციები. მოლაპარაკებების დაწყებამდე თურქული დელეგაცია სრულად ინფორმირებული იყო კავკასიის კომისარიატის მიზნების შესახებ. (Şahin., (2002). გვ. 317) 14 მარტს დაიწყო მოლაპარაკებები. დელეგაციის მუსლიმი წარმომადგენლებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, კავკასიის კომისარიატი ჯერ დამოუკიდებელ სტრუქტურად არ იყო ჩამოყალიბებული და ისევ რუსეთზე ამყარებდა იმედებს, ამიტომაც, იმისათვის, რომ რუსები არ გაედიზიანებინათ, არ ჩქარობდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ პირობებიდან გამომდინარე, თურქულ ჯარს სასწრაფოდ მოქმედებაზე გადასვლას ურჩევდნენ. დელეგაციის მუსლიმი წარმომადგენლებიდან მიღებული ინფორმაცია თურქულ მხარეს ეჭვს უღვიძებდა, რამდენად იყო შესაძლებელი მოლაპარაკებები გაგრძელებულიყო ისეთ სახელმწიფოსთან, რომელსაც არც საზღვრები და არც სუვერენიტეტი გააჩნდა. რაუფ ბეი ამიერკავკასიის დელეგაციისთვის 1(14) მარტს გაგზავნილ წერილში ითხოვდა დელეგაციას მკაფიოდ განემარტა ამიერკავკასიის კომისარიატის სახელმწიფოებრიობის ფორმა შეესაბამებოდა თუ არა სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო ნორმებს. 3 (16 მარტს) პასუხად ამიერკავკასიის დელეგაციამ განაცხადა, რომ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კავკასიაში ერთა სრულფასოვანი წარმომადგენლობითი ორგანო იყო ამიერკავკასიის სეიმი, რომლის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობა სრულად შეესაბამებოდა საერთაშორისო ნორმებს და უფლებამოსილი იყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ეწარმოებინა ოსმალეთთან. სამხრეთ კავკასიის სეიმი წუხდა, რომ კავკასიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარიმართა და გადაწყვეტილება ისე იყო მიღებული, რომ ამ პროცესში ჩართული არ იყო სამხრეთ კავკასიის Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 57 გვ. 117).

რაზეც ოსმალეთის დელეგაციამ უპასუხა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, შესაბამისად ის ვერ მიიღებდა მოლაპარაკებებში მონაწილეობას. რის მტკიცებულებადაც მოიყვანა 23 იანვრის 1918 წლის გ. გეგეჭკორის დეპეშა, რომელშიც ის იუწყებოდა, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფომ უნდა შეათანხმოს თავისი ნაბიჯები რუსეთის ფედერაციასთან, რომლიც ნაწილადაც ის იმჟამად თვლიდა. გამომდინარე აქედან, სამხრეთ კავკასია, რომელიც თავს რუსეთის ფედერაციის ნაწილად თვლიდა, ვერ მიიღებდა მოლაპარაკებები მონაწილეობას. შესაბამისად, წერილში ოსმალეთის დელეგაცია აცხადებდა, რომ მისთვის მიუღებელია სამხრეთ კავკასიის დელეგაციის პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 58 გვ 118). მოლაპარაკებების პროცესში თურქული დელეგაცია მუდმივად იღებდა საიდუმლო ინფორმაციას მუსლიმი დელეგატებისაგან, რაც მას მომგებიან მდგომარეობაში აყენებდა. თანაც, ის ფაქტი, რომ ორივე მხარე დათმობას არ აპირებდა, მოლაპარაკებები ჩიხში შეცემა. კავკასიის დელეგაცია ითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში კავკასიასთან დაკავშირებული პუნქტების ანულისრებას, თუმცა, განიხილებოდა მცირეოდენი ცვლილებები, მაგალითად, არტაანის თურქეთისთვის დატოვება, ხოლო ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დატოვებას და ყარსის სომხებისთვის გადაცემას. დელეგაციის მუსლიმი წევრები რაუფ ბეის არწმუნებდნენ, რომ ბათუმის ქართველების ხელში დატოვება ოსმალებისთვის ხელსაყრელი იყო, რათა სომხები და ქართველები არ ამხედრებულიყვნენ და დაპირისპირებოდნენ მუსლიმებს. (Kurat ., (2011). გვ 472) მაგრამ თურქული დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკის პუნქტების შესრულებას ითხოვდა და ბათუმის დათმობაზე თანახმა არ იყო. ვიდრე გრძელდებოდა დებატები, ვაჰიბ ფაშა 5 აპრილს საბრძოლო მოქმედებაზე გადავიდა და სარიყამიში აიღო. 1918 წლის 24 მარტი / 6 აპრილს რაუფ ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციას ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა 48 საათში გაეცა საბოლოო პასუხი ბრესტ-ლიტოვსკის პუნქტებთან დაკავშირებით. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 72 გვ 155). ამგვარად, ეს იყო ოსმალეთის დელეგაციის ბოლო პასუხი - ან ამიერკავკასიის მთავრობა დათანხმდებოდა ულტიმატუმში წაყენებულ პირობებს ან 5 აპრილს დაწყებული შეტევა გაგრძელდებოდა. ტრაპიზონში მყოფი დელეგატები სასწრაფოდ გაემგზავრნენ თბილისში, სამხრეთ კავკასიის სეიმის ყრილობაზე. ა.ჩხენკელი ბათუმის კომენდანტი გენერალ მდივანისადმი წერილში წერს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გაპროტესტება აზრს კარგავდა, მთავარი, იმ მომენტში იყო ის მაქსიმალური ზღვარი, რომლის შემდეგაც სეიმი უნდა გადასულიყო ბრძოლაზე,

იყო თუ არა მზად ოსმალეთი იარაღით ებრძოლა ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქებისთვის და ამის შემდეგი ნაბიჯები ამის მიხედვით გადაედგათ. ა. ჩხენკელი დარწმუნებული იყო, რომ თურქები ბათუმს არ დათმობდნენ. თუმცა, თურქები მაინც მზად არიან ამ საკითხზე ვაჭრობისთვის, განსხვავებით ყარსისა, რაზეც თურქები მსჯელობაზეც კი უარს ამბობენ. ეს მდგომარეობა, ა. ჩხენკელი, შიშობდა, რომ სეიმის ერთობას საფრთხეს უქმნიდა. *Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii*, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 73 გვ 156). ოსმალეთის ჯარი წინ კი ამასობაში წინ მიიწევდა. 26 მარტი / 8 აპრილს გეგეჭკორი ა. ჩხენკელისთვის მიწერილ ტელეგრამაში წერდა, რომ ასეთ პირობებში სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელება აზრს კარგავდა. თუ ოსმალეთს ჯარი არ შეწყვეტდა შეტევას, სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩაიშლებოდა. *Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii*, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 74 გვ 165). ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში მესამე ქალაქი, რომელიც ამიერკავკასიის სეიმს უნდა დაეთმო, იყო ბათუმი. ბათუმთან დაკავშირებით თვით ოსმალეთის მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ვაჰიბ ფაშა, ბათუმის ქართველებისათვის დათმობის მომხრე იყო, მისი გათვლებით, ეს ხელსაყრელი ნაბიჯი იყო იმისათვის, რომ სომხები ასპარეზზე მარტონი დარჩენილიყვნენ. საპირისპირო მოსაზრების იყო ენვერ ფაშა. ვაფიზ ფაშასთვის გაგზავნილ წერილში ის წერს: „გეთანხმებით, რომ ქართველების კეთილგანწყობის მოპოვება ჩვენი ამოცანაა, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს თურქეთის ინტერესების დათმობის ხარჯზე. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების მთავარი მონაპოვარი - ბათუმი - ჩვენი მმართველობის ქვეშ უნდა მოექცეს და ბათუმი შემდეგ საწინდარი გახდება არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ირანისა და აზიის მთელი მუსლიმი მოსახლეობის გაერთიანებისა... პოლიტიკური მეგობრობის შენარჩუნების მიზნით, შეგვიძლია ქართველებს შავ ზღვაზე გასვლის უფლება მივცეთ, თუმცა, ამაზე მეტის მოთხოვნა თვით ქართველების ინტერესებშიც არ შედის, რადგან ახლა თუ ისინი ინგლისელებისა და ფრანგების დახმარებას იღებენ, ხვალ შეიძლება სულ მარტონი აღმოჩნდნენ რუსეთის წინაშე და თუ რუსეთი გადაწყვეტს შეტევაზე გადასვლას, მათ წინააღმდეგობის თავი აღარ ექნებათ. ამიტომ, ისინიც იძულებულები არიან ჩვენთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნება გავაცნოთ ჩვენი მიზნები და დავიდრათ ბათუმისკენ, რათა მოლაპარაკებების დაწყებამდე ხელთ მყარი განატიები გვქონდეს.“ (Şahin ., (2002). გვ 414).

13 აპრილის ოსმალეთმა ბათუმის კომენტანტს ულტიმატუმი წაუყენა ქალაქის დატოვებაზე. 15 აპრილს ბათუმი უბრძოლველად დანებდა თურქულ ჯარს. გაზეთი თარიზი ი ევქარ ოსმალეთის ჯარის თურქეთში შესვლას ასე აღწერს: „ ბათუმში ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ქალაქის ქუჩებში ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა გამოეფინა. ფადიშაჰს გაუმარჯოს! - ისმის

ყველა მხრიდან ყიჟინა. ქუჩების ოსმალეთის დროშებით არის მოფენილიო“. (Tarih i Efkâr 22 Nisan 1334 / 1918 NO 2432). ოსმალეთის მიერ ძალის დემონტირების საპასუხოდ სეიმი იძულებული გახდა თურქული მხარის მოთხოვნებს დათანხმებოდა. 1918 წლის 22 აპრილს /11 მაისს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებები განაახლა. მთავრობის მეთაური და ამავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ა. ჩხენკელი ბათუმში გამეგზავრა თურქეთთან მოლაპარაკების მიზნით. სამხრეთ კავკასიის სეიმის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე: ნიკო ნიკოლაძე, გენ. ოდიშელიძე, ნოე რამიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი გვაზავა, გ. რიტკილაძე, ვახტანგ ღამბაშიძე, მეჰმედ ხასან ხაჯინსკი, ემინ რესულზადე, ფეთჰალი ხან ხოისკი, ასლან საფიკურდსკი, აჰმედ ცედეთ პეპინოვი, ალექსანდრე ხათისიანი, ხოვანეს კაჩაზუნჯი, მენტორ ბანათიანი, სიმონ, ვაზიანი, მიხაილ პაპაჯანიანი. (Şahin ., (2002). გვ. 521) ოსმალეთის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ჰალილ ბეი, ვაჰიბ ფაშა, მუჰთარ ბეი, ფერიქ ვაჰიბ ფაშა, მუჰთაე ბეი, თარჯიმანი ორჰან ბეი (ბრისტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებშიც მონაწილეობდა), მდივანი ნიზამეთინ ბეი, ურიდიულ საკითხებში მრჩეველი ნუსრეთ ბეი (რომელიც ტრაპიზონის კონფერენციასაც ესწრებოდა), სადიქ და ჯელალ ბეი -თარჯიმნები, სამხედრო ექიმი თევფიქ სალიმ ბეი, მაიორი იუსუფ ზია ბრეი.(Şahin ., (2002). გვ. 517). ბათუმის კონფერენციაზე მეთვალურის სტატუსით დასწრება საბჭოთა რუსეთმაც მოითხოვა, რომელმაც მანამდე ოსმალეთის ყარსი, არტაანისა და ბათუმის მიმართულებით წინ წაწევა გააპროტესტა. ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთი თურქეთსა და ამიერკავკასიის დელეგაციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. საინტერესოა, რომ მოსკოვში გერმანიის ელჩი ფონ მირბახს ჩიჟერინმა ნოტა გაუგზავნა, რომელშიც საბჭოთა რუსეთი აცხადებდა, რომ არ ცნობდა ბათუმის კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს გამომდინარე იქედან, რომ საბჭოთა რუსეთი არ ცნობდა ამიერკავკასიის კონფედერაციას. (Kurat ., გვ. 475) კონფერენციაზე დასწრება ასევე ითხოვა გერმანიის მხარემ, რომელიც მანამდე სრულ ინდიფეტენტულობას იჩენდა მიმდინარე მოვლენების მიმართ. გერმანიის მხარეს არც ბათუმის თურქების მიერ დაკავებაზე გამოუთქვამს პროტესტი, თუმცა, მას მერე, რაც ოსმალეთმა აქტიურად დაიწყო საბძოლო მოქმედებები სანხრეთ კავკასიაში გავლენის გაძლიერების მიზნით, გერმანია მოკავშირის მიმართ უარყოფითად განეწყო. ოტო ფონ ლოსოვმა მოლაპარაკებების დროს მედიატორის როლი შესთავაზა სამხრეთ კავკასიის დელეგაციას Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus], # 147 გვ 293). იგივე წინადადებით მიმართა თურქულ დელეგაციასაც, თუმცა, უარი მიიღო. უარის მიღების შემდეგ ოტო ფონ ლასოვი სანხრეთ კავკასიის დელეგაციას აუწყა, რომ გერმანია ვეღარ მიიღებდა მოლაპარაკებებში

მონაწილეობას. თუმცა, გემრანიის დელეგაცია ბერლინში დაბრუნების ნაცვლად ფოთში გაჩერდა. იქ კი ქართულ დელეგატებთან - ჩხენკელთან, ნიკოლაძესთან, ავალიშვილთან და რამიშვილთან ერთად საიდუმლო მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა.

კონფერენციის დაწყებამდე დელეგაციის მეთაურმა ჰალილ ფაშამ სადრაზამ თალათ ფაშასგან საჭირო დირექტივები მიიღო. დირექტივების გრძელ ჩამონათვალში ყველაზე მთავარი ახალი მოთხოვნა- ახალციხის და ახალქალაქის თურქეთის მმართველობის ქვეშ მოქცევა იყო. პანთურანული იდეებით განმსჭვალული ოსმალეთის მთავარი მიზანი მეზობლების დასუსტება იყო, კავკასიაში არა მხოლოდ მტრული სომხეთის, არამედ საქართველოს დასუსტება- დაქუქვამაცვაც ოსმალეთის პანთურანული მიზნების განხორციელების გზაზე მთავარი ამოცანა იყო, ზუსტად ამას ემსახურებოდა ახალი მოთხოვნა - ახალციხე- ახალქალაქის თურქეთის მმართველობის ქვეშ მოქცევის შესახებ. რაც მთავარია, ამ ახალი მოთხოვნის საფუძველად ოსმალეთი მეტოქის- საბჭოთა რუსეთის რევოლუციის შემდეგ მშვიდობის პაქტს იშველიებდა, სადაც გაცხადებული იყო, რომ ყველა ერს უფლება ჰქონდა თვითგამორკვევაზე და სუვერენიტეტზე. თუკი რუსეთი ოსმალეთში სომხური დიასპორის თვითგამორკვევის უჭერდა მხარს, ოსმალეთი ახალციხესა და ახალქალაქში მუსლიმი თემის ინტერესებს „იცავდა“. ზუსტად ამ თვითგამორკვევის უფლების საბაზით, 1918 წლის 13 აპრილს ახალციხისა და ახალქალაქის მუსლიმმა თემმა მიიღო დადგენილება ახალქალაქისა და ახალციხის თურქეთთან მიერთების შესახებ. *Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz'ja i Gruzii, 1919*] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus] # 160 გვ 316).

შემქნილი საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის დელეგაცია, განსაკუთრებით, კი ქართველი დელეგატები თურქებთან სამოშვიდობო მოლაპარაკებაზე მაინც დათანხმდნენ. ალბათ იმ იმედით, რომ ეს დათმობა დროებითი იყო და თურქეთის მეკავშირე გერმანია, რომლის დიდი იმედიც საქართველოს ჰქონდა, რომ დამოუკიდებლობიზს მოპოვებში დაეხმარებოდა, მოლაპარაკებების დროსაც შეძლებდა თურქეთის დაყოლიებას, დაეთმო ბათუმის ოლქი. ზ. ავალიშვილი იხსენებს:“ მტრების მიერ ბათუმის ოლქის დაკავება მხოლოდ დროებითი იყო და ეს მარცხი საბოლოო არ იყო და ყველაფერი დამოკიდებული იყო ომის შემდგომ განვითარებაზე. ამიტომაც იმ მომენტში აუცილებელი იყო თურქებთან მოლაპარაკება.“ (*Авалов ., (1924) გვ 36*)

საზავო მოლაპარაკებები 1918 წლის 11 მაისს დაიწყო, მართლაც რომ რთულ ვითარებაში. პირველივე სხდომაზე ოსმალეთის წარმომადგენლობამ ქართულ დელეგაციას 12 პუნქტიანი დოკუმენტი შესთავაზა და განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკებების საფუძველს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება აღარ წარმოადგენს, რადგან ტარპიზონში ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ

ვითარება შეიცვალა და მოითხოვეს ახალციხე, ახალქალაქის, ადრიანოპოლისა და ეკმიადინის რაიონები. ოსმალების ახალი მოთხოვნები აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა ქართული მხარისათვის. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ჩხენკელმა გააპროტესტა ახალი მოთხოვნები, განაცხადა, რომ ტრაპიზონში მოლაპარაკებები დროებით შეჩერდა, რომ ოსმალეთს პრეტენზიები არა სამხრეთ ავკასიასთან, არამედ რუსეთთან უნდა ჰქონოდა. ხოლო კავკასიის დელეგაცია აქ მშვიდობის დამყარების მიზნით იმყოფებოდა და მოლაპარაკებების საფუძველად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება უნდა აღებულიყო. ოსმალეთის ამ სრულიად მოულოდნელმა მოთხოვნამ კავკასიის დელეგაცია საგონებელში ჩააგდო. ვიდრე მიმდინარეობდა მსჯელობა, ამასობაში თურქული ჯარი აგრძელებდა წინსვლას, სომხეთი და საქართველო საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. (Kazemzadeh., გვ.110) ქართულმა დელეგაციამ ოსმალეთს ოთხპუნქტიანი წინადადება შესთავაზა, კერძოდ, სამშვიდობო შეთანხმებას ხელი უნდა მოაწეროს არა მხოლოდ თურქეთმა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფომ, არამედ ოთხთა კავშირმა და სამხრეთ კავკასიამ და შეთანხმება უნდა ეყრდნობოდეს ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას. მიმდინარე საბძოლო მოქმედებების ფარგლებში შეთანხმებები მოხდება ცალკე, როგორც აღნიშნული შეთანხმების დამატება კონვენციის სახით, ოთხთა კავშირსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკას შორის. ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარება უნდა მოხდეს ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში. ავსტრია და ბულგარეთი მოლაპარაკებების დროს არ იქნება წარმოდგენილი, თუმცა, ეს მოლაპარაკებების დაბრკოლების საფუძველს არ წარმოადგენდა. [Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus]# 132 გვ 268). კავკასიის დელეგაციის ეს შეთავაზება ერთგვარი დიპლომატიური ხრიკი იყო, რომ მოლაპარაკებებში მხარედ ჩართულიყო გერმანია, როგორც მშვიდობის გარანტორი. ოსმალეთის პასუხმაც არ დააყოვნა. ჰალილ ბეი აცხადებდა, რომ მოლაპარაკებების საფუძველი მხოლოდ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ვერ იქნება, ოსმალეთი თანახმაა შეთანხმების დამატებად შემუშავდეს სპეციალური კონვენცია, რომელიც ძალაში დარჩება ომის დასრულებამდე. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus]# 136 გვ 272). ამ მოლაპარაკებების პარალელურად ოსმალეთის არმია ლორესა და თბილისისკენ მოიწევდა, რის ამოც ა. ჩხენკელმა კვლავ პროტესტის ნოტა გაუზავენა ოსმალეთის დელეგაციას. ოსმალეთის ასეთი ძალის დემონსტრირებას აზერბაიჯანი ჩუმად ხვდებოდა, სომხეთი კი ისეთი დასუსტებული იყო, რომ ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას, საქართველო კი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სტრატეგიული პოზიციის შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა, საგარეო დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა. (Kazemzadeh., გვ.115). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის ამიერკავკასიაში გააქტიურების შემდეგ, გერმანია

გამოფხიზლდა და მოკავშირის შეჩერება სცადა, ქართულ მხარესაც აწყობდა მისი მოლაპარაკებებში ჩართულობა. ქართველმა დელეგატები ფონ ლოსოვსა და შულენბურგს (გერმანიის კონსული თბილისში) საიდუმლოდ შეხვდნენ და მედიატორობა შესთავაზე, თუმცა, როგორც ვიცით, ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელისაგან - ჰალილ ბეისაგან უარი მიიღეს. გერმანიის ასეთ გააქტიურებას ოსმალები შეშფოთებით შეხვდნენ, მათ არ სურდათ ევროპის ძლიერი მოკავშირის გადამტერება, თუმცა, ფონ ლოსოვის მიერ მოლაპარაკებების დატოვების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკული გახდა. 26 მაისს ჰალილ ბეიმ ჩხენკელს ახალი ულტიმატუმი წაუყენა და მოთხოვა დამატებით კიდევ ნახჭევანის გადაცემა თურქეთისთვის. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკა დაშლის პირას მივიდა, სომხეთი ყარაქილისთან ბრძოლაში დამარცხდა, თურეთთან, აზერბაიჯანი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა, მოლაპარაკებების დროს ის ყოვლეთვის ოსმალეთის პოზიციას იზიარებდა, საქართველოსთვის კი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ამიტომ, ქართველმა დიპლომატებმა ქართველი ერის გადარჩენისათვის ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგეს - გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გადაწყდა ბათუმის მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელებულიყო. საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ დელეგაციის ხელმძღვანელად ნოე რამიშვილი დაინიშნა. თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა - ჰალილ ბეიმ განაცხადა, რომ მიუხედავად თბილისში მომხდარი ცვლილებებისა, ულტიმატური ისევ ძალაში რჩებოდა. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჰალილ ბეის მაშინვე უპასუხა და განუცხადა, რომ საქართველოს რესპუბლიკა თანახმაა ოსმალეთის იმპერიას მისცეს შესაძლებლობა ისარგებლოს რკინიგზით ჯარის და საომარი აღჭურვილობის გადატანის მიზნით, საქართველოს სამხრეთ საზღვარი უნდა გადიოდეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვარზე. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919] [Documents on Internal Policy of Georgia and South caucasus] # 170 გვ 340). საქართველოს დელეგაცია ხაზს უსვამდა, რომ ოსმალეთის ულტიმატუმს - ახალქალაქისა და ახალციხის ოქლების დათმობის შესახებ მეტწილად აკმაყოფილებდა, მხოლოდ რკინიგზით სარგებლობის ფარგლებში და ისევ მოითხოვდა საზღვრის დემარკაცია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ფარგლებში მომხდარიყო. ჰალილ ფაშამ ქართული დელეგაციის ამ ნოტას „თავიდან მოცილებისთვის გამოგზავნილი პასუხი“ უწოდა. როგორ ჩანს, ოსმალეთი არ აპირებდა დათმობებზე წასვლას, ოსმალეთი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით აპელირებდა, მზად იყო ბათუმი მოლაპარაკებებიც კი ჩაეშალა და საქართველოს წინააღმდეგ საბოლოო მოქმედებებზე გადასულიყო. (Şahin ., (2002). გვ 615).

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს დელეგაცია დათანხმდა ოსმალეთის პირობებს. ბათუმის მოლაპარაკებები 8 ივნისს 1918 წელს დასრულდა და ოსმალეთმა მიიღო ახალქალაქისა და ახალციხის ოქლები გარდა აბასთუმანისა და აწყურისა. (Alen ., Muratoff .,(1953). გვ.158).

ოსმალეთის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ყარსი, არტანის და ბათუმის შემოერთებით ოსმალეთის გავლენა და ძალა კიდევ უფრო გაიზარდა. ბათუმის კონფერენცია ბრესტ-ლისტოვსკში დაწყებული მოლაპარაკებების ერთგვარი გაგრძელება იყო. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთს სურდა კავკასიაში გავლენის გაზრდა და საბჭოთა რუსეთის დასუსტება, რომელიც თურქეთში სამოქალაქო წინააღმდეგობას აღვივებდა, სომხურ დიასპორას თვითგამორკვევისთვის აქეზებდა. ამის საპასუხოდ თურქეთმა მოითხოვა 1877-1878 წლებში არსებულ სტატუს კვოს დაბრუნდება: რუსეთს უნდა გამოეყვანა თავისი ჯარი არტანის, ყარსის და ბათუმის ოლქებიდან. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საბჭოთა რუსეთს არ ძალუძდა წინააღმდეგობა გაეწია თურქულ-გერმანული ალიანსისთვის იძულებული გახდა დათანხმებოდა მოთხოვნებს და ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებათაზე. ბრესტ-ლიტოვსკში მიღწეული შეთანხმება პირველი ნაბიჯი იყო. ტრაპიზონსა და ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად, კავკასიის მთავრობის დაშინების და თავის მოთხოვნებზე დაყოლიების მიზნით, ოსმალეთმა საბოლოო მოქმედებები წამოიწყო, რასაც ოსმალები მუსლიმი მოსახელობის თავდასხმებისაგან დაცვით ამართლებდნენ და შედეგიც მიიღო. ოსმალეთმა ჩრიდლო-სამხრეთ საზღვარი სრულად თავის გავლენის ქვეშ მოაქცია. ბათუმის ხელშეკრულება ძალაში არ შევიდა, რადგან არ იყო ხელმოწერილი და რატიფიცირებული ორივე მხარის მიერ. ოსმალეთმა გააგრძელა საბრძოლო მოქმედებები ვიდრე არ მოეწერა ხელი მუდროსის ხელშეკრულებას. კავკასიის საკითხი მოგვიანებით, სამი წლის შემდეგ ისევ დღის წესრიგში დადგა, ოღონდ, სხვა პოლიტიკური რეალობის ჭრილში. კავკასიის გასაბჭოების შემდეგ მოლაპარაკებს თურქეთი და საბჭოთა რუსეთი მართავდა.

ბიბლიოგრაფია:

1. Yunus Nadi April 18, 1917 Siyâsiyyât – Yeni Rusya’da Amele ve Hükûmet, Rus Amele Cemiyetlerinin Mukarrerât-ı Mühimme *Tasvir-i Efkâr* No: 2075 / 26 Cemâzi-yel-âhir 1335 / 18 Nisan 1333 / 18 Nisan 1917 p.1
2. Ağaoğlu Ahmet, Mart 1334/1918, *Tercüman ı Hakikat*, No 13323
3. Emin A. ,10 September, 1334/1918, Talat Paşa ve Sulh. *Vakit* .No. 319
4. Dokumenty i materialy po vneshnej politiki Zakavkaz"ja i Gruzii, 1919[Online] Available: <https://rev-lib.com/dokumenty-i-materialy-po->

- vneshej-politike-zakavkazya-i-gruzii/ [Documents and Materials on Internal Policy of Transcaucasia and Georgia] pp.19,20,26,30
5. Dokumenty Vneshej Politiki SSSR [Online] Available: <http://militera.lib.ru/docs/da/dvp/index.html> [Documents on Internal Policy of The USSR]
 6. ch'umburidze d. (2018). *ak'ak'i chkhensk'eli - sakhelmts'ipo moghvats'e, dip'lomat'i, mamulishvili. universal. tbilisi.* [Chumburidze. D. Akaki Schkhenskeli – A Statesman, Diplomat, Patriot. Universal, Tbilisi.]
 7. Avalov Z. (1924). *Nezavisimost' Gruzii v Mezhdunarodnoj Politike 1918-1921 g.* Parizh[Avalov. Z. (1924) *The Independence of Georgia in the International Policy 1918-1921.* Paris]
 8. Kurat A.N, (2011). *Türkiye ve Rusya XVIII Yüzyıl Sonundan Kutuluş Savaşına Kadar Türk-Rus İlişkileri 1798-1919.* Ankara. Türk Tarih Kurumu. Ankara [KuraT A.N. (2011) *Turkiye and Russia from the XVIII century to the War of Independence 1798-1919.* Ankara. The Turkish Historical Society. Ankara]
 9. Alen W. E, Muratoff P. (1953) *Caucasian Battlefields A History of The Wars on the Turco -Caucasian Border 1929- 1921.* Cambridge University Press.
 10. Şahin E. (2002). *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918).* Türk Tarih Kurumu. Ankara [Shahin E. (2002) *Trabzon and Batumi Conferences and Agreements (1917-1918).* Turkish Historical Society. Ankara]
 11. Kazemzadeh F. (1951). *The Struggle for Transcaucasia 1917-1921.* Philosophical Library, New York.

ULUSLARARARI İLİŞKİLER /
საერთაშორისო ურთიერთობები /
INTERNATIONAL RELATIONS

11. Geopolitical Dynamics in The South Caucasus: Türkiye, Iran, and Regional Influence

Saba TAVELISHVILI / საბა ტაველიშვილი

Arş. Gör., İlia Devlet Üniversitesi, Doğu Araştırmaları Enstitüsü, G. Tsereteli Cad., 0162, Tiflis, Gürcistan / ასისტენტ-მკვლევარი საბა ტაველიშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი / Research Fellow, İlia State University, Institute of Oriental Studies, G. Tsereteli St., 0162, Tbilisi, Georgia. DOI: **10.5281/zenodo.10463390**

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: saba.tavelishvili@iliauni.edu.ge

ORCID ID: 0009-0008-9387-153X

Abstract

The geopolitical landscape of the South Caucasus, shaped by the interactions of Russia, Türkiye, and Iran, has undergone significant transformations over the past three centuries. The dissolution of the Soviet Union heightened the region's importance, offering Türkiye a strategic advantage with its established democracy and market economy. Türkiye's engagement in the South Caucasus, particularly with Georgia, has evolved into a symbiotic relationship, with Türkiye serving as a bridge between the East and the West. The Black Sea Economic Cooperation Organization (BSEC), founded by Türkiye in 1990, underscores its commitment to fostering economic collaboration in the region. In Azerbaijan, religious ties with Iran coexist with a strategic preference for Türkiye due to shared ethnicity and political alignment. Türkiye's military support during the Karabakh conflict solidified this alliance, leading to Azerbaijan regaining control over the disputed territory. Despite religious connections, Türkiye maintains economic relations with Iran, evident in the notable growth of Turkish exports. Georgia's refusal to participate in a regional cooperation platform initiated by Türkiye, Iran, and Russia reflects tensions stemming from Russia's occupation of Georgian territory. Georgia's strategic importance lies in its potential role as a transport corridor, connecting Türkiye to Russia. The South Caucasus emerges as a focal point in the contemporary international system, influencing the Middle East through its unique geographical location and proximity to Caspian Sea energy reserves. Stability and development in the region are seen as achievable through economic relations, emphasizing the interconnectedness of political and economic processes in the South Caucasus.

Keywords: Geopolitics; South Caucasus; Regional Cooperation; Caspian Sea Energy

გეოპოლიტიკური დინამიკა სამხრეთ კავკასიაში: თურქეთი, ირანი და რეგიონული გავლენა

მოკლე შინაარსი

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი, ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება. ტრანსფორმაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა სამი რეგიონული ძალის, რუსეთის, თურქეთისა და ირანის ურთიერთქმედება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც რეგიონულ ასევე საერთაშორისო დონეზე გაიზარდა სამხრეთ კავკასიის

მნიშვნელობა. თურქეთის რესპუბლიკას კი, რომელსაც ათწლეულების გამოცდილება ჰქონდა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პრინციპების დაფუძნებაში, საგრძნობი უპირატესობა გაუჩნდა. თურქეთ-საქართველოს კავშირები ინტენსიურ და სიმბიოზურ ურთიერთობაში გადაიზარდა. თურქეთი როგორც აზიასა და ევროპას შორის გადებული ხიდი, დასავლეთში გამავალი ფანჯრის მნიშვნელობას ატარებს საქართველოსთვის. თურქეთის მიერ ინიცირებული შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) დაფუძნებამ 1992 წელს, თვალსაჩინოდ წამოწია მისი როლი რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების საკითხში. აზერბაიჯანი რელიგიური აღმსარებლობით ერთმორწმუნეა ირანთან, თუმცა სტრატეგიული, ეთნიკური და თუნდაც კულტურული კავშირები თურქეთის რესპუბლიკასთან უპირატეს ხასიათს ატარებს როგორც საგარეო ასევე საშინაო პოლიტიკაში. ყარაბაღში თურქეთის სამხრედო მხარდაჭერის შედეგად აზერბაიჯანმა შეძლო და აღადგინა კონსტიტუციური კონტროლი სადავო ტერიტორიაზე, რამაც უფრო გააღრმავა და გააძლიერა თურქეთ-აზერბაიჯანის ალიანსი. თურქეთისა და ირანის რელიგიური განსხვავების მიუხედავად, ორი ქვეყანა არა მხოლოდ ინარჩუნებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, არამედ ხასიათდება ზრდის ტენდენციითაც. თურქეთის მიერ ინიცირებულია ახალი რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმა 3+3 ფორმატის სახელით, თუმცა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არარსებული დიპლომატიური ურთიერთობები და დამაბული ტერიტორიულ-პოლიტიკური დავა არ იძლევა პლატფორმის სრული დატვირთვით ამუშავების საშუალებას. საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა მრავალჯერ გაჟღერებულა და გააზრებულია მის მეზობელ ქვეყნებში, იგი წარმოადგენს სატრანსპორტო დერეფანსა და ეკონომიკურ შემაკავშირებელ რგოლს რუსეთსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. სამხრეთ კავკასიას, როგორც ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ხაზის მნიშვნელოვანი კვანძი, შეუძლია როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ასევე სამხრეთ-ჩრდილოეთის დაკავშირება. მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება რათა გაძლიერდეს მსოფლიო სავაჭრო-საკომუნიკაციო სისტემის მდგრადობა.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, რეგიონული თანამშრომლობა, კასპიის ზღვის ენერგო-რესურსები,

Güney Kafkasya'daki Jeopolitik Dinamikler: Türkiye, İran ve Bölgesel Nüfuz

Öz

Rusya, Türkiye ve İran'ın etkileşimiyle şekillenen Güney Kafkasya'nın jeopolitik görünümü son üç yüzyılda önemli değişim süreçlerinden geçmiştir. Sovyetler Birliği'nin dağılmasıyla bölgenin önemi artırmış, Türkiye, kurumsallaşan demokrasisi ve piyasa ekonomisiyle stratejik bir avantaj sağlamıştır. Türkiye'nin Güney Kafkasya, özellikle de Gürcistan'la ilişkileri, Türkiye'nin Doğu ile Batı arasında bir köprü görevi görmesi ile simbiyotik bir ilişkiye dönüşmüştür. Türkiye tarafından 1990 yılında kurulan Karadeniz Ekonomik İşbirliği Örgütü (KEİ), bölgede ekonomik işbirliğini geliştirme konusundaki kararlılığının altını çizmektedir. Azerbaycan, din ve mezhep bağlamında İran'la; ortak etnik köken ve siyasi ittifak düşüncesiyle Türkiye ile stratejik ilişkileri vardır. Türkiye'nin Karabağ ihtilafı sırasında askeri desteği bu ittifakı

sağlamlaştırmış ve Azerbaycan'ın tartışmalı bölge üzerindeki kontrolünü yeniden kazanmasına yardımcı olmuştur. Mezhepsel farklılığa rağmen Türkiye'nin İran'la ekonomik ilişkileri sürdürmesi, Türkiye'nin ihracatındaki kayda değer büyümesinden de anlaşılmaktadır. Gürcistan'ın Türkiye, İran ve Rusya tarafından başlatılan bölgesel işbirliği platformuna katılmayı reddetmesi, Rusya'nın Gürcistan topraklarını işgalinden kaynaklanan gerilimi yansıtmaktadır. Gürcistan'ın stratejik önemi, Türkiye'yi Rusya'ya bağlayan bir ulaşım koridoru olma potansiyelinden kaynaklanmaktadır. Güney Kafkasya, eşsiz coğrafi konumu ve Hazar Denizi enerji rezervlerine yakınlığıyla Orta Doğu'yu etkileyen çağdaş uluslararası sistemde bir odak noktası olarak ortaya çıkmaktadır. Bölgede istikrar ve kalkınmanın ekonomik ilişkiler yoluyla mümkün olduğu görülmekte ve Güney Kafkasya'daki siyasi ve ekonomik süreçlerin birbirine bağlılığı vurgulanmaktadır.

Anahtar Kelimeler: Jeopolitik; Güney Kafkasya, Bölgesel İşbirliği; Hazar Denizi Enerjisi

Over the past three centuries, the South Caucasus has been involved in a pivotal competition - involving three prominent regional actors: Russia, Türkiye, and Iran. Following the dissolution of the Soviet Union and the emergence of new independent entities in the region, the South Caucasus assumed a heightened political significance for Türkiye and Iran, necessitating the formulation of a novel South Caucasus policy. Thus, there is the secular and pro-Western Republic of Türkiye and, on the other side, the anti-Western theocratic regime in Iran. In the 1990s, numerous analysts anticipated a protracted and intense political rivalry between two regional heavyweights, Türkiye and Iran. However, it is imperative to recognize that the primary determinant in this context is the interplay of ideological and political dynamics.

After the dissolution of the Soviet Union, the South Caucasus gained regional and international importance. New markets and opportunities unfolded for Türkiye. At that juncture, Türkiye held a substantial advantage over the post-Soviet nations. Türkiye already had established democracy and a market economy, which had matured over the preceding decade and emerged as a compelling model for the South Caucasus region. These attributes were readily adaptable by countries in the South Caucasus, fostering economic and political strategies in close collaboration with Türkiye.

The foundation of modern relations between Türkiye and Georgia was established after the collapse of the Soviet Union. Georgia's primary goal was to secure Türkiye's recognition of its independence and territorial integrity. In the initial stages, relations between Georgia and Türkiye were cautious due to Russian border forces standing along the Georgia-Türkiye state border. Even before the dissolution of the Soviet Union, beyond the political objectives, Türkiye prioritized economic considerations. Türkiye was crucial in establishing the Black Sea Economic

Cooperation Organization (BSEC) in 1990. The organization primarily aims to deepen economic cooperation among Black Sea basin countries.¹

Nowadays, the nature of Türkiye's relations with South Caucasus countries underscores its aspiration to align its political and economic interests with Western values and importance. Among the westward-moving nations, Georgia views Türkiye as a bridge to the West, as the Turkish experts, among others, frequently discuss Türkiye's role as a bridge between the West and the East. Due to Türkiye's strategic geographical location, it serves as a gateway for trade and cultural exchange between the East and the West. The close and neighborly relations that Türkiye maintains as a member state of NATO and a regional leader with South Caucasus countries, specifically Georgia and Azerbaijan, have also translated into Western support. Over the past decade, Georgia has received significant backing from the West in pursuing Euro-Atlantic integration. In such a scenario, Türkiye must establish a stable and secure environment for the transport corridors of the South Caucasus, as it stands as one of the most vital and geostrategic partners for the European Union, facilitating the diversification of its energy resources and importing oil and natural gas from the Caspian Sea. Baku-Tbilisi-Ceyhan and Baku-Supsa pipelines are serving as critical prerequisites for this process. Undoubtedly, the Caspian reserves can fulfill the EU's energy needs (Katsitadze, 2005).

It is contended that Türkiye's primary objective was to forge robust ties with post-Soviet nations, most of whose populations shared the Muslim faith. However, this assumption may not hold in the case of Georgia. Presently, Türkiye is widely acknowledged as a strategic partner of Georgia. This is supported by the steady growth of trade volumes, diplomatic cooperation, and the overall improvement in neighborly relations between the two nations. Türkiye's ruling party, the Justice and Development Party, advocates for fostering cultural and economic ties with South Caucasus countries. In 2019, the former Prime Minister of Georgia met with Recep Tayyip Erdogan in Ankara. During a joint briefing, he highlighted that "Türkiye is the largest trade partner of Georgia, but we have the potential to double our trade turnover in the coming years" (Government of Georgia, 2019). Türkiye places importance on deepening cultural and economic relations with Georgia. The Turkish Embassy in Georgia actively collaborates with various universities to promote cultural exchange and language learning. They allow Georgian citizens to study the Turkish language free of charge, fostering greater understanding and

¹ While the organization's primary focus is on economic cooperation, it also possesses the potential to address conflicts among member states. Issues related to conflicts are not shunned on this platform. For instance, on June 13, 2023, during the 46th meeting of the organization, Armenia's Deputy Minister of Foreign Affairs, Vahe Gevorgyan, protested against Azerbaijan's so-called blockade policy over Armenia, especially on the Karabakh region.

communication between the two nations. It also provides financial support for diverse cultural events and facilitates collaborations between Georgian and Turkish archaeologists and historians.

Despite its religious ties with Iran (Iran and Azerbaijan represent the Shia Muslim community), Baku prefers closeness to Sunni Türkiye. This preference stems not only from shared ethnicity and language but also from Türkiye's political affiliation. This was particularly evident in 1992 when Abulfas Elchibey assumed the leadership in Azerbaijan. Elchibey openly embraced a pro-Turkish stance and did not shy away from anti-Russian rhetoric. İlham Aliyev has similarly embarked on a more active phase of rapprochement with Türkiye. While in the 1990s, Türkiye primarily offered political and economic assistance to Azerbaijan, the relationship evolved into military aid between 2020 and 2023. Türkiye provided direct military support to Azerbaijan during the conflict in Karabakh. As a result of this support, Azerbaijan regained control over the Karabakh territory, leading to the Republic of Armenia relinquishing its control over the self-declared 'Nagorno-Karabakh Republic.' The Turkish government actively and openly supported Azerbaijan throughout the Karabakh conflict. Recep Tayyip Erdoğan's phrase "One nation, two states" vividly illustrates the close cultural and political ties between Türkiye and Azerbaijan; this statement has also become the message of Ambassador Dr. Cahit Bağcı in Azerbaijan (The Embassy of Türkiye in Baku, 2021). It is essential to note that Azerbaijan has a complex relationship with Iran. This current state of affairs provided an additional rationale for the United States of America to establish strong relations with Azerbaijan. Simultaneously, NATO also harbors political objectives in its interest in the Caspian Sea reserves and the South Caucasus. This interest includes reducing the influence of Iran and Russia in the mentioned region.

Many Western states distanced themselves from establishing political and economic relations with Iran. Such a process in Western policy also influences Middle Eastern countries, including Türkiye. As a counterweight, the Islamic Republic of Iran attempted to improve its relations with the Russian Federation. Since 2022, an intensive military dimension has been added to the political and economic ties. However, Türkiye refrained from forging close and amicable political relations with Tehran. On the other hand, Türkiye actively pursued and deepened economic relations with Iran. This practice persisted and continues to do so, even during the presidency of Recep Tayyip Erdoğan. An illustration of this can be found in the remarkable growth of Turkish exports to Iran - during 2019-2022. (It is important to note that the data for 2020-21 should be interpreted within the framework of the global pandemic). In 2019, Turkish exports to the Islamic Republic of Iran amounted to USD 2.73 billion, and by 2022, this figure had surged to USD 3.07 billion. In

contrast, imports in 2022 experienced a slight decline compared to 2019, decreasing from USD 3.60 billion to USD 3.35 billion. In 2019, the number of Iranian citizens who visited the Republic of Türkiye was 2.1 million but increased to 2.33 million in 2022 (Ministry of Foreign Affairs of Türkiye, 2023). Those examples, the increasing trade volumes, rising exports, and growing numbers of tourists between the two nations demonstrate a shared positive approach to economic matters. However, amid this political redistribution, the Republic of Türkiye established a cooperation platform in the 3+3 format for balancing political influences. This platform includes regional powers [Türkiye, Iran, Russia] and all three countries of the South Caucasus [Georgia, Azerbaijan, Armenia]. However, Georgia has declined to participate in the platform, citing Russia's occupation of Georgian territory as the official reason.

Due to its strategic location, Georgia holds significant importance in the modern international system. Its connections to the Middle East are particularly interesting, serving as a potential bridge for transport corridors originating from Asia and in the north-south direction. Despite the sanctions imposed on Ukraine due to the invasion, Türkiye maintains and expands its economic relations. Energy resources play a substantial role in this economic cooperation (Reuters, 2022). Geographically, Russia and Türkiye lack a direct land connection, so a transport corridor passing through Georgia's territory is crucial. (If the Zangezur corridor is opened, Türkiye can connect with Russia through Azerbaijan.)

The significance of the Caucasus, particularly the South, is that it holds immense socio-economic, political, and cultural importance for the Middle East region. This is attributed to its unique geographical location, bordering the energy-rich reserves of the Caspian Sea. The security and development of the region largely hinge on the actions of regional leaders engaged in ongoing political and economic processes in the South Caucasus. In the contemporary world, it is widely recognized that stability and a secure environment can be achieved through economic relations. Therefore, various regional projects are poised to contribute to the stabilization and sustainable development of the South Caucasus as a sub-region.

Bibliography

1. Cherzig, E. (1996). Iran and Türkiye: Between Central Asia and the Arab World. *Security Dialogue*, 72(4)
2. Hill, F. (2003). Seismic shifts in Eurasia: the changing relationship between Türkiye and Russia and its implications for the South Caucasus. *Southeast European and Black Sea Studies*, 3(3), 55–75.

3. Demirağ, Y. (2004). EU policy towards South Caucasus and Türkiye. *Perceptions: Journal of International Affairs*, 9(4), 91–105.
4. Katsitadze, G. (2004). Interests of Iran and Türkiye in South Caucasus. *The East and Caucasus*, 2, 165-173
5. Katsitadze, G. (2005). The economic and resource foundations of Relations among Central Asian Countries. *The Orient and The Caucasus*, 3, 109-117
6. Republic of Türkiye. (2023). *Türkiye-Iran Economic and Commercial Relations*. Ankara, Türkiye: Ministry of Foreign Affairs. Retrieved from: <https://www.mfa.gov.tr/economic-and-commercial-relations-with-iran.en.mfa>
7. Türkiye Cumhuriyeti Bakü Büyükelçiliği. (2021). *Büyükelçinin Mesajı [message of the ambassador]*. Baku, Azerbaijan: Embassy of Türkiye in Azerbaijan. Retrieved from: <https://baku-be.mfa.gov.tr/Mission/Message>
8. Ministry of Foreign Affairs of The Republic of Armenia. (2023). *Deputy Foreign Minister of Armenia participated in the 46th meeting of Council of Ministers of Foreign Affairs of the BSEC member states*. Yerevan, Armenia. Retrieved from: https://www.mfa.am/en/speeches/2023/06/13/dfm_bsec/12048
9. Reese, C. Evans, D. (2022). *Putin and Erdogan agree to boost cooperation, some rouble payments for gas*. Reuters. Retrieved from: <https://www.reuters.com/business/energy/putin-erdogan-agreed-partial-payments-gas-roubles-interfax-2022-08-05/>
10. Gakharia, G (2019, October 31). დღეს თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია, თუმცა შეგვიძლია, სავაჭრო ბრუნვა უახლოეს წლებში გავაორმაგოთ [Today Türkiye is the largest trade partner of Georgia. However, we can double it in the coming years]. 1tv of Georgia. Retrieved from: <https://1tv.ge/news/giorgi-gakharia-dghes-turqeti-saqartvelos-yvelaze-didi-savachro-partnioria-tumca-shegvidzlia-savachro-brunva-uakhloesi-wlebshi-gavaormagot/>

ÇEVİRİ / TRANSLATIONS /
თარგმანები

12. Oktay AKBAL – ASLI ÇIKMAZI

ნანა ჯანაშია / Nana JANASHIA

ოქთაი აქბალი - ჩიხი სახელად ასლი

Filoloji Bilim Doktoru / ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: nanio02@yahoo.com

DOI: 10.5281/zenodo.10463398

სიცოცხლეს შენზე ფიქრით შევიგრძნობო, უნდოდა ეთქვა.

ჩემს ცხოვრებას აზრს მხოლოდ შენი არსებობა სძენსო, უნდოდა ეთქვა.

დღეთა მსვლელობას მნიშვნელობა იმიტომ ეკარგება, რომ შემდგომ დღეებშიც შენ იარსებებო, უნდოდა ეთქვა.

შენს არყოფნაში არ ვცხოვრობ, ვიცლები; თოჯინას ვემსგავსები, თავი ცოცხალი რომ ჰგონია, სუნთქავს, მეტყველებს, მოძრაობს, სისულელეების კეთებაში დროს კლავსო, უნდოდა ეთქვა.

ცხოვრება მას შემდეგ დაიწყო, შენი მოღიმარი მზერა რომ დავინახე. ადამიანის ბედნიერებისათვის შენთან ერთ ქალაქში ცხოვრებაც კი საკმარისიაო, უნდოდა ეთქვა.

მინდა ხელი მოგკიდო, შეგეხო; იმისთვის მჭირდება, ჩემს არსებობაში ეჭვი რომ არ შემეპაროსო, უნდოდა ეთქვა.

შენ ახალგაზრდა ხარ, მე კი – ბებერი და მახინჯი; ჩვენ შორის მთელი სამყაროა; სხვადასხვა წინაღობა, საზღვრებია; წლებია, წლებიო, უნდოდა ეთქვა.

შენთან ერთად ჩაბნელებულ კლუბში ერთი საათის გატარება, ჯაზის მოსმენა, თითო-ოროლა ლექსის წაკითხვა, აქეთურ-იქითურზე საუბარი – მხოლოდ ეს არის ბედნიერებაო, უნდოდა ეთქვა.

თვეში ერთხელ ჩემთვის გამოეწყვე, ჩემთვის მოიკაზმე, ქუჩაში ჩემთვის გამოდი, ჩემთვის შეგაკრთოს გამვლელების მზერამ, ჩემთვის აიარე გრძელი კიბე, ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის მოდი ჩემთანო, უნდოდა ეთქვა...

იცოდა, რომ სიტყვასაც ვერ ეტყოდა. ეს გაუნელებელი გრძნობა არ კმარაო, ამბობდა, უსაზღვრო სიყვარულისთვის არ კმარა, არ ეყოფა, უსაშველო სიყვარულს ვერ უშველის. ადამიანი ამით ვერ დაკმაყოფილდება. ის შენი უნდა იყოს. დღისით და ღამით. მუდმივად. უვადოდ. ან ასე, ან – საერთოდ არა. ყოველ მხრივ უნდა იცნობდე. დილით საწოლიდან როგორ დგება? თვალებს როგორ იფშვნეტს? საბნიდან გამოყოფილი მარცხენა ფეხი ბნელ ოთახში როგორ გამოიყურება? მზის პირველი სხივები მის თმაში როგორ აინთება?.. ეს უნდა

იცოდე. უნდა განიცადო. გემო უნდა გაუსინჯო. მერე... ღამდამოხით აივანზე, ზღვის პირას მთელი სამყარო უნდა შეიქმნა. სხვადასხვა კაბაში ნახო; სხვადასხვა კაბას რომ გამოიცვლის, იმის შემდგომი მდგომარეობა უნდა იცოდე; თითოეულზე ცალ-ცალკე უნდა იოცნებო... ქალთან განსაკუთრებული სამყაროს შექმნა მხოლოდ ასე შეიძლება, თორემ თვეში ერთხელ ქუჩაში შენთვის რომ გამოვა, გრძელ კიბეს შენთვის აივლის, პატარა, მტვრიან, ბნელ ოთახში ერთ-ორ საათს გაატარებს და წავა... ასე არ შეიძლება. განა ამას გამორჩეული სიყვარული ჰქვია? ამაოა. ამაო ვნება, გიჟური მონატრება...

წინ ეჯდა ასლი. თვალს არ აცილებდა. მისი ხელი ხელში ეკავა. ერთ ნაბიჯში, სკამზე. სათქმელი თავიდან ამოუვარდა. ვერაფერი უთხრა. ოთახს თვალი მოავლო. ოთხ მოთეთრო კედელს. ალაგ-ალაგ ბათქაშჩამოცვენილს. პატარა ფანჯრის მიღმა ხის კენწერო ჩანს. ფოთლების შრიალი ისმის. მინას ბელურა დააჯდა და გაფრინდა. ასლიმ ყავა მოსვა.

– ვიმიტიხაოთ, – თქვა.

– არ მინდა.

ერთდროულად ძალიან ახლოს და ძალიან შორს იყო. ერთხანს დუმდნენ ორივენი. ასლი თითქოს გემში ან თვითმფრინავში ჩამჯდარიყო. უმოწყალოდ შორდებოდა. ღრუბლებისკენ მიისწრაფოდა. დასაჭერად ხელს ვერ იწვდიდა. ამის უნარს მოკლებული იყო. სიყვარული თვალსა და ხელს შორის ეკარგებოდა. ვერ აკავებდა. მიუშვა.

– ადრე უნდა წავიდე, – უთხრა.

– ისევ?

– ისევ.

სულ ასე არ ამბობდა? რაც უნდა ექნა, ასლის სამყაროში ვერა და ვერ აღწევდა. რაღაცას ხვდებოდა. ბევრ რამეს. მაგრამ ზუსტი არცერთი არ იყო. განა ამას სიყვარული ჰქვია? შევითხვაც კი სასაცილოდ ჟღერს. სასაცილოა და სატირალი. რა უნდა ეპოვა ასლის მასში? ცხოვრებით დაჩაგრულ კაცში. ასლი ყვაოდა და ირგვლივ ბედნიერებას ასხივებდა. მისი ახალგაზრდობა და სილამაზე აუხდენელი ოცნების შთაბეჭდილებას ქმნიდა. ასლის გარეშე ოცნება თითქოს ნამდვილი ოცნებაც ვერ იქნებოდა. ყველა ოცნება, ყველა განცდა მის ნაწილს მოიცავდა; უნდა მოეცვა. ეს აუცილებელი პირობა იყო. გრძნობები და ოცნებები აზრს მხოლოდ ასლის მზერით, ღიმილით იძენდა.

– არ მეუბნები, – უთხრა.

– რას?

– არ მეუბნები!

ასლის არყოფნაში იმდენი სათქმელი უგროვდებოდა! უამრავი ოცნება, სურვილი! მაგრამ ახლა ფიქრებში იძირებოდა. ლაპარაკს ვერ ახერხებდა. სიტყვები, შესაფერისი სიტყვები ენის წვერიდან უქრებოდა. ვერ იჭერდა. სირცხვილით იწვოდა. ასლის თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა. ფანჯრიდან გარეთ იყურებოდა. ხის ზედა ტოტებზე ჩიტები ისხდნენ; დაბლა – ქუჩის უდიდამო ყოველდღიურობა იყო; მოპირდაპირე სახლებში – ბევრი განსხვავებული, მაგრამ მაინც მსგავსი ცხოვრება... ერთი ფანჯარა გაიღო; ქალმა ქვევით კალათა ჩაუშვა. ასლი ქუჩის ცხოვრებას გაეტაცებინა. მაგრამ დიდხანს არა, მალე ისევ მამაკაცს მიუბრუნდა. გრძელი მწვანე საყურეები შეირხა. შიგ თვალებში ჩახედა. შემდეგ გაუცინა. ხელი მოჰკიდა, მოუჭირა.

– რა მშვენიერია, – უთხრა.

ყასიდად ნათქვამი იყო. ან იქნებ არა. იქნებ სხვა აზრი ჰქონდა. ხელი გაიწვდინა. საყელოზე დამაგრებული ქინძისთავი შეუსწორა. ყალყზე შემდგარი ცხენი ეტლში იყო შებმული. პაწაწინა ქინძისთავი იყო, მაგრამ ცხენიც და ეტლიც ისე ცოცხლად გამოიყურებოდნენ... ყალყზე შემდგარმა ცხენმა ზღაპრული სამყაროსკენ გააქანა. კონკიას ზღაპრის მსგავსი ამბავი შეთხზა სახელდახელოდ. ციცქნა გოგონა უცებ გაზრდილიყო; უფლისწულები და პრინცები ჰკუიდან გადაეყვანა, მაგრამ სიტყვას ვერავინ ასმენდა, ახლოს არავის იკარებდა; კონკიას ერთადერთი ადამიანი უყვარდა; მის საპოვნელად, მასთან შესახვედრად ყალყზე შემდგარ ცხენს ეტლიანად მიაჭენებდა. ქალაქის ერთ მიყრუებულ კუნჭულში ხვდებოდა, ოთახში, მაღალი კიბე რომ ადიოდა. ძნელად დასაჯერებელი ზღაპარი იყო. აკი მისი რეალობაც ზღაპარს ჰგავდა. ასლი, კონკიასავით, ამ კარიდან გადიოდა, კიბეს ჩაივლიდა და ქრებოდა. გაქრებოდა. მისი არსებობა როგორ უნდა დაეჯერებინა?! საერთოდ კი არსებობდა ასლი?! ამწამს მაინც შეეძლო ამ ეჭვის განდევნა? ცხენს თითებით მიეაღერსა.

– ეს ცხენი შენ გგავს, – უთხრა.

– როგორ?

– ფეთქებადობით, მეოცნებეობით.

ასლის არ უკითხავს, რატომო. იქნებ შინაგანად ეს მსგავსება ესიამოვნა კიდევ. ლაპარაკი უნდოდა. რაღაცის ახსნა, მისი დარწმუნება. მაგრამ ვერ შეძლო. სიტყვები გაეჭედა. დრო გადიოდა. ამაოდ, უაზროდ. ძალა არ არსებობდა ამ ფუჭად დაკარგული დროის შემჩერებელი; მისთვის აზრის, მიმართულების მიმცემი. ხელჩამოშვებული მას აჰყვებოდა, მიენდობოდა.

– დღეს შეწუხებული ხარ, – უთხრა ასლიმ. ხმა არა, მაგრამ გამოხედვა დამცინავი ჰქონდა. ერთობოდა. რატომ? – მე შეგაწუხეთ.

– ასე აღარ შეიძლება, – წამოიძახა უცებ კაცმა. – ამას ბოლო უნდა ჰქონდეს. ბოლო!

გადაიფიქრა. ხელი გაიწვდინა. ასლიმ უკან დაიხია. სიცარიელემ იმატა. სამყაროსოდენა გახდა სიცარიელე. გაფართოვდა, გაგრძელდა, გაიშალა. იოტისოდენები დარჩნენ ამ სიცარიელეში. მნიშვნელობა აღარაფერს ჰქონდა. აღარც სიყვარული იყო, აღარც დაუვიწყარი ადამიანები, ქალები, მამაკაცები, მეგობრობა, ახლობლობა...

– მე თქვენი მეგობარი ვარ, – უთხრა.

განა მეგობრობა უნდოდა?! არა. მეგობრობა არ უნდოდა. ხელშესახებ, თვალნათელ რამეებს ნატრობდა და არა მხოლოდ სიტყვებს, წარმავალ ქცევას, გრძნობებს, ნატვრას. თვალწინ შეუღებავ ტუჩებს ხედავდა. ჩაწიკწიკებულ კბილებს. თმას. ამავეალ-ჩამავალ მკერდს... ეს ყველაფერი უნდოდა. დღისითა და ღამით. წლობით... მეგობრობა რა მოსატანია! ჰაერი! ჰაერი არ უნდოდა. ყელში ამოსვლოდა ჰაერი. ცარიელი სიტყვები. ადგომა უნდოდა, ამ ნატიფი სხეულის მკლავებში მოქცევა. მეორე მხრივ კი ბორკილები, გადაულახავი მოვალეობანი, რომ ვერც დაივიწყებდი, თავს არ დაგავიწყებდა...

ასლიმ ახლობლობასა და მეგობრობაზე ილაპარაკა. სამუდამოდ ასე უნდა დარჩენილიყო. ასე ახლოს, ასე მეგობრულად. ტრფობის ჩიხში არ უნდა მოხვედრილიყვნენ. ჩიხებში სიარული არ უყვარდა ასლის. უაზრობად მიაჩნდა. უამრავი რამე თქვა. გონებაში ერთიც კი არ ჩარჩენია. შემდეგ თვითონაც ალაპარაკდა. მანაც უამრავი რამე თქვა. აღარც ის ახსოვს. ყველაფერი ამოუფრინდა მესხიერებიდან. იცოდა, რომ მისი და ასლის ნათქვამიც ფუჭი იყო. სიტყვები რეალობას ვერ შეეცვლიდა. რეალობა ოცნებას მუდამ კისერს უგრეხდა. მოუგრეხდა. ცხოვრებად წოდებულ მახინჯ თამაშში წაგებული ყოველთვის ოცნება რჩებოდა.

– მივდივარ, – თქვა.

ხმაში ბრაზი, წყენა, ტკივილი ჰქონდა? მხოლოდ დადლილობა ამდენი ლაპარაკით გამოწვეული... ჩიხში მოქცეული სიყვარულით, ვნებით მინიჭებული ნგრევის განცდა... ჩიხში მოხვედრამდე ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ჩიხის სიღრმიდან უკან გამოდწევა... აუტანელი სწორედ ეს იყო.

– ჩიხში ვართ, – თქვა. უეცრად სიცილი აუტყდა. – ეს სიყვარულის ჩიხია. გიყვარვარ. დაუშვათ, მეც... მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ჩიხში ვართ. ჩვენ შორის დაუძლეველი სიშორეა... ან სიახლოვე, თუმცა მაინც ჩიხია. –მოეწონა. – ასლის ჩიხია, – თქვა, – ასე არ ჯობია?

– ასლის ჩიხი...

ამ ჩიხიდან ნეტავ სულ არ გამიყვანაო, ფიქრობდა. სიცოცხლე ასლის ჩიხში დამესრულებინა. მთელი ცხოვრება ამ ჩიხის კედლებისთვის მერტყა თავი და ასე მოვმკვდარიყავი. გვერდიგვერდ, ერთად, ერთ ხორც. მაგრამ ასლი ამას გაუძლებდა? ერთგული დარჩებოდა ამ სიყვარულისა, მეგობრობას რომ უწოდებდა? განა სიყვარული სიზმარი არ არის? ლამაზი, ნამდვილი, მიმზიდველი. ოღონდ გაღვიძებამდე.

წამოდგა. ფანჯარას მიუახლოვდა. ახლა ამ გზას გაუყვებოდა. კუთხეს მოეფარებოდა. ხიდზე გადავიდოდა. გემზე ავიდოდა. იქნებ ამხანაგები შეხვედროდნენ. უბნის ბიჭები აეკიდებოდნენ. ერთ-ერთი მიუახლოვდებოდა კიდეც, რამეს ეტყოდა. შესაძლოა, მისთვის გაელიმა. შემდეგ სანაპიროთი სახლისკენ წავიდოდა. პაწაწინა ოთახში დატოვებული კაცი გაახსენდებოდა?! რომც გახსენებოდა, ვითომ რა...

მათი სიყვარული სულ ოცნებაში გაივლიდა. სასიყვარულო თავგადასავალს განხორციელება არ ეწერა. ესე იგი, ფუჭია. უაზრო.

– ასლი ჩიხიდან გადის, – თქვა, – თავისი ჩიხიდან. – კაცს მიუბრუნდა. თმაზე მიეფერა და დაამატა: – ამ ეტაპზე.

შესაძლოა, დაბრუნებულიყო. ერთ დღეს ამ ჩიხის ატმოსფერო მონატრებოდა. ცოტა ხნით ჩიხში მოქცეული სიყვარულის ავანტიურით მინიჭებული ბედნიერების განცდა მონდომებოდა. განიცდიდა. განაცდევინებდა. ასლის ჩიხი მუდამ იარსებებდა. სანამ ოცნება იარსებებდა. ერთი სიტყვით, სანამ თავად კაცი იარსებებდა...

13. Ziya PAŞA(1829-1880)

ასმათ ჯაფარიძე / Asmat DJAPARIDZE

ზია ფაშა (1829-1880)

İv. Javakhishvili Tbilisi Devlet Üniversitesi, Dil Merkezi, İlia Chavchavadze Sk.36, Tbilisi / ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენების შემსწავლელი ცენტრი, თურქული ენის მასწავლებელი, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი #36. DOI: 10.5281/zenodo.10463402

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: japaridzeasmat@yahoo.com

განსაკუთრებულია ზია ფაშას (აბდულჰამიდ ზიაედინ) როლი თურქული ლიტერატურის ისტორიაში. მისი შემოქმედების ნოვატორობა იმთავითვე აღიარეს მისმა თანამოკალმეებმა. განმანათლებლური იდეები, მოწინავე საზოგადოებრივი აზრები, მისწრაფება ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ მთლიანად მსჭვალავს პოეტის შემოქმედებას. გარდა ამისა, ზია ფაშას ნაწარმოებებში დასმულია ფილოსოფიური პრობლემები, გადმოცემულია სათუთი ადამიანური გრძნობები და განცდები. იგი მიეკუთვნება „თანზიმათის“ ეპოქის ავტორთა რიცხვს. მის კალამს ეკუთვნის, როგორც პროზაული, ასევე პოეტური ნაწარმოებები. ზია ფაშა ნამიქ ქემალთან და იბრაჰიმ შინასთან ერთად არის ახალი თურქული ლიტერატურის ფუძემდებელი.

* * *

მერიქიფევ, ღვინო ჩამოასხი,
სულს რომ გაგვიფურჩქნის და აგვიყვავებს,
ცოდვილ გულს სალბუნად დაედება,
ნუგემს მოგვცემს და სიმშვიდეს გვაზიარებს.
მოწიფულ კაცთათვის წამალია,
მწიკვლისგან გულს რომ ასუფთავებს,
უმწიფარ ყრმათათვის ზიანის მომტანია,
ფრთებს ვერ შეასსამს და ცასთან წილს ვერ დასდებს.
ჭიქა ღვინით მკვდარი გული გამიცოცხლე, მერიქიფევ,
ღვთიურ სითხით ეს ფიალა შემივსე.
ო, რა დიდი დრო გასულა მას მერე,
რაც ამ თასით ჭეშმარიტი სიტკბოების ფასი შევიტყვე.

მოდი, შევსვით სადღეგრძელო იმ კაცისა,
ვიწრო ბილიკს რომ დაადგა ცისკენ მავალს,
ის, ვინც ამ გზას დაადგება, ეკლით მკაწრავს,
მისთვის იმ დიდ საიდუმლოს ვინ დაფარავს!?
მაშ, მწდევე, ერთიც ჩამოასხი იმათ ჯიბრზე,
ცრუ მორწმუნის ნილბით სახეს რომ იფარავს,
ჩვენც შევუდგეთ ამ გზას, რათა დავეწაფოთ
წყალს სამოთხის, წმინდასა და მადლით მრავალს.
ამ სამოთხის მშვენიერი ასულების ტრფობის აღმა
ჩვენი გული დაფერფლოს და ცეცხლში დაწვას.
ო, რა ხელმა დაადულა ეს სასმელი,
ქეშმარიტი ოსტატის ხელს ვინ არ იცნობს?!
ღვინო არის ასწლოვანი, ოსტატი კი
სიყვარულით გვაბრძენებს და ღმერთთან წილს გვყოფს.
მწდე კი რარიგ ნორჩია და ახალგაზრდა,
მისი ხელით ჩამოსხმულით ღმერთი გვიხმობს.
ექვი ხომ არ გეპარება ჩემს სიტყვებში,
ღვინის ოსტატთ დავიმოწმებ მათ დასტურად.
ცრუ მოძღვართა ლაყბობას კი ნუ მოუსმენ,
თორემ უმაღლესი იქცევიან შენს მაცდურად.
ო, საწუთროვ, ცრუ, ორპირო, მუხანათო,
რა ლამაზად ინიღბები,
ამ ნილაბ ქვეშ რამდენს იტევ ბოროტებას,
ო, წყეულო, ვხედავ, რომ არ შეიცვლები.
ეს ქვეყანა მუხთალია, ბრუნვადი და ცვალებადი,
სწრაფად ხატავს ტილოს ჩვენი ცხოვრებისას.
მაშ, დაასხი, მერიქიფევ, ნუ აყოვნებ,
ჩემი გული დიდ სიბრძნესთან ზიარი ჰყავ.

აღსასრულის მომლოდინე, ჩემო გულო,
ათრთოლდი და აკანკალდი,
ამ თასიდან გადმოღვრილი ცოდნით, მენდე, ეშმაკს რისხავ.
ღმერთს თუ ჭკუა მოუცია, დამერწმუნე,
დაეწაფე ამ სასმისს და შესვი სრულად,
შეიყვარე ეს ღვთიური სითხე და მყის იგრძნობ,
რომ ფუჭია ეს სოფელი, არ ღირს ჩირად.

თურქული ენიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

14. Aziz NESİN- Uçuruma Gidiyoruz

ნატო ხარშილაძე / Nato KHARSHILADZE

İv. Javakhishvili Tbilisi Devlet Üniversitesi, Dil Merkezi, Okutman, İlia Chavchavadze Sk.36, Tbilisi / ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენების შემსწავლელი ცენტრი, თურქული ენის მასწავლებელი, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი #36. DOI: 10.5281/zenodo.10463410

e-posta / ელ.ფოსტა / e-mail: nato.kharshiladze@tsu.ge

აზიზ ნესინი - უფსკრულისკენ მივდივართ

აზიზ ნესინი თურქი მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი (მეჰმეთ ნუსრეთის ერთ-ერთი ფსევდონიმია) დაიბადა 1915 წლის 20 დეკემბერს პრინცის კუნძულების კუნძულ ჰეიბელიადაზე.

აზიზ ნესინი ყირიმელი თათრების შთამომავალია. მან 1939 წელს დაამთავრა სამხედრო-ტექნიკური სასწავლებელი. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, სხვადასხვა სატირული და სოციალური ჟურნალის რედაქტორი გახდა. იგი უამრავი სტატიის, ფელეტონის, ესეს, ნოველის, ზღაპრის, რომანისა და პიესის ავტორია. ლიტერატურული ნამუშევრების წყალობით, უამრავი ჯილდო აქვს მიღებული როგორც თურქეთში, ასევე იტალიაში, ბულგარეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში. აზიზ ნესინის ნამუშევრები 30 ენაზე ითარგმნა. 1972 წელს მან ღარიბი ბავშვების დასახმარებლად ნესინის ფონდი დააარსა. მწერალი პოლიტიკური აქტივისტი და ისლამის კრიტიკოსი გახლდათ. პოლიტიკური შეხედულებების გამო არა ერთხელ იყო დაჭერილი. ცხოვ - ცხოვრების უკანასკნელი წლები რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლაში გაატარა.

აზიზ ნესინი 1995 წლის 6 ივლისს გულის შეტევით გარდაიცვალა.

უფსკრულისკენ მივდივართ

კაფეში სილის გაწნის ხმა გაისმა. ნარდი, კარტი, ბანქოს თამაში, ლაპარაკი-ყველაფერი შეწყდა. თავები იმ მაგიდისკენ მიტრიალდა, საიდანაც ხმა მოესმათ. სილის გაწვნა ვინც იგემა, მოსული, ზორბა კაცი იყო, მოძალადე კი- ჩია და გამხდარი. დაზარალებულს მარცხენა ლოყაზე ხუთი თითი უკვე დატყობოდა. პოლიციას ამ თითების ანაბეჭდიდანაც შეეძლო ამოეცნო, ვინ დაარტყა მსუქანს. კაფეში მსხდომებმა თქვეს, ზორბას რომ მოენდომებინა, გარეთ გაიყვანდა და ლავაშივით გააბრტყელებდა გასლიკულსო.

- გიჩვილებ, ახლავე წამოდი განყოფილებაში! თქვენ ყველამ დაინახეთ! - აყვირდა დაზარალებული. ხმას არავინ იღებდა. მოძალადე, რომელიც ზორბას მხრამდეც ვერ სწვდებოდა “ქშაო,, თქვა და ხელი ისე აიქნია, თითქოს ბუზის აფრენა

უნდოდა. მსუქანი გარეთ გავარდა. კაფეში მსხდომებმა თამაში და ლაპარაკი გააგრძელეს. დაზარალებული ცოტა ხანში პოლიციელის თანხლებით დაბრუნდა.

- ეს არის, ეს! - თავზე დაადგა მოძალადეს. შემდეგ კი მოწმეებზე მიუთითა - მათაც დაინახეს!

პოლიციელმა გამხდარი და ოთხი მოწმე განყოფილებაში წაიყვანა. დაზარალებულს ჯერ კიდევ აწითლებულ ლოყაზე ედო ხელი.

-ამ კაცს ვუჩივი, ბატონო ინსპექტორო, ესენი კი, მოწმეები არიან! - თქვა მან.

პოლიციელმა ჯერ მომჩივანს და მოპასუხეს, შემდეგ კი მოწმეებს გამოჰკითხა ვინაობა. თან მბეჭდავს საბეჭდ მანქანაზე აბეჭდვინებდა. მოსარჩელემ განაცხადა, რომ არ იცნობდა მოძალადეს. მოწმეები ცალკე იჩემებდნენ, ჩვენ არაფერი დაგვინახავსო.

დაზარალებული: -ტყლაშანის ხმა არ გაგიგიათ განა?

არა, მოწმეებს არც არაფერი უნახავთ და არც არაფერი გაუგიათ.

პატარა, გამხდარი კაცი: - დიახ, არ უარვყოფ, გავარტყი ამ ბიჭს.

კომისარი: -რატომ? გაქვთ რამე საერთო? შეურაცხყოფა მოგაყენა?

-საერთო არაფერი გვაქვს, მას არც კი ვიცნობ.

-კარგი, მაშ როგორ მოხდა?

დაბალმა, გამხდარმა ახსნა დაიწყო.

-გუშინ საღამოს სამსახურიდან სახლში მოვედი. ვხედავ, დენი გაუთიშავთ გადაუხდელობის გამო. მთელი ღამე სიბნელეში გავატარეთ, ვერც დავიძინე. თქვენ კარგად იყავით და დედაჩემი ორი წელია ავად არის. კუჭის ტკივილი კლავს საწყალს. ექიმი მისცემს წამალს, მიიღებს და უყუჩდება, შემდეგ ისევ ტანჯავს ტკივილი. ამდენ წამალსაც სად იყიდი ჩვენს დროში? დილით საწოლიდან ავდექი. მარცხენა მხარეს ვერ ვგრძნობ. ოთახის ფანჯრის მინა, რომელშიც ჩვენ გვძინავს, სამი თვის წინ გატყდა. იმასაც ვერ ვშოულობთ. ფანჯარაზე თეთრეული გაეჭიმეთ, მაგრამ აზრი არ აქვს. დილაშე ქარი და სიცივე შემოდის შიგნით. მარცხენა მხარე მტკიოდა, ძლივს შევედი უკაცრავად და საპირფარეშოში. ვხედავ, წყალიც დაწყვეტილა. გარეთ თავსხმა წვიმაა, ონკანში წვეთი წყალი არ მოდის. ოთახში შევედი, ვკანკალებ.

ნახშირს ვერ ვუკვეთავთ, არ იშოვება. ცოტა შეშა ვიყიდეთ და მალე გაგვითავდა. ახლა იმასაც ვეღარ ვშოულობთ. ვხედავ, გაზეთების გამყიდველს გაზეთი დაუტოვებია. ყოველ დილით სამსახურში წასვლამდე ვკითხულობ. გადავხედე. „სილამაზის კონკურსი“, „გალათასარაი ლიგის ჩემპიონი გახდა“, „რა ბედი ეწევა 300 ტონა ყავას საბაჟოზე“, „აბიღინ დევერის სატვირთო გემი დგომით დამპალა“

ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული. გარეთ გასვლა მომინდა. კართან მანდატური და ადვოკატი დამხვდნენ. ბოლო ხანებში სახლის ქირა ვერ გადავიხადეთ და მეპა-ტრონემ აღმასრულებელს გადაგვცა თურმე. ჩამოსართმევი ნივთი ვერაფერი იპოვეს. არასდროს მინდოდა მანდატური და გირავნობის ოფიცერი ჩემს სახლში მენახა. ვიცოდი, ვერაფერს იპოვნიდნენ და ჰა, შევრცხვი კიდეც კაცი.

ადვოკატი დივანს დააცხრა და წავიღოთო თქვა. ხელის ერთი მოქნევით შაქრის ზანდუკი გახსნა. შიგ ჩალაგებული დაფლეთილი შარვლები, ნაჭრები და დამონძილი საბნები გამოჩნდა. ადვოკატმა ახლა რადიო ახსენა.

-ნეტა ეს უბედურება რადიო წაიღონ და თავი დამაღწევიწონ მისგან, წელიწადში ათი თვე ხელოსანთანაა, ქვეყნის ფული მიჯდება. ამ მდგომარეობამდე რადიომ მიგვიყვანა ისედაც- თქო გავიფიქრე...

კარიდან როცა გადიოდნენ, ჩემმა ცოლმა:

-ჩვენი გოგო სკოლაში არ დადის.

-რატომ?

-სპორტის მასწავლებელი შორტებს და თეთრ, რეზინისძირიან ფეხსაცმელს ითხოვს, თუ არა და გაკვეთილზე არ დაგიშვებო, უთქვამს.

-კარგი, კარგი...

-არც ზეითუნის ზეთი გვაქვს...

გარეთ გავვარდი. სამსახურში ისედაც დავაგვიანე. დღეს არ წავალ-თქო, ვიფიქრე. თავსხმა წვიმა არ ჩერდებოდა. ჩვენთან ტრამვაი გააუქმეს. ავტობუსი ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მოდის სავსე და შიგ ჩაჯდომა შეუძლებელია. მარშუტკა რომ მოინდომო, ისიც გადაჭედულია. მანქანები კი დადიან შხუილით, მაგრამ არც ერთი არ აჩერებს. ფეხსაცმელში წყალი შემდის, წვიმას ციდან თითქოს ვარცლით ასხამენ. მთლად გავილუმპე, ვკანკალებ. ვიღაც ბიჭი მომიახლოვდა:

-უკაცრავად, ბიძია.

მეგონა საათს შემეკითხებოდა და ეს არ მკითხა იმ დალოცვილმა?

- გუშინდელი თამაშის შესახებ არაფერი იცი?

- ღმერთო, რა დავაშავე?!

გავცალე. იქვე ერთი კაფეა, შიგ შევედი. წყალი წურწურით ჩამომდის. მიმტანს ჩაი შევუკვეთე. გვერდით ეს კაცი ზის და გაზეთს კითხულობს.

- ნეტავ, რა მელის, რა მეშველება, რა იქნება ჩემს თავს? ამაზე ვფიქრობ და ამან უცებ გაზეთი მოისროლა და ყვირის:

- ქვეყანა უფსკრულისკენ მიდის!

მეგონა ისიც ჩემსავით შეწუხებული იყო. ვიფიქრე ერთმანეთს დარდს გავუზიარებთ-თქო.

-რა იყო, ბატონო? არ იფიქროთ თქვენს საქმეში ცხვირს ვყოფდე, რატომ ბრაზობთ?

ის კი ისევ გაბრაზებული:

-სხვა რა უნდა იყოს? ამ ქვეყანაში ხეირიანი მსაჯი აღარაა, უნამუსო ვიყო! გუმინდელი მატჩის მსაჯიც მხარე იყო.

ღმერთო, არ ვიცი რა დამემართა ამის შემდეგ მეც ვერ გავიგე, ბატონო კომისარო. ცხოვრებაში არავისთვის წკიპურტიც არ დამირტყამს. თითქოს ჩემს სხეულში ვიღაცამ ღილაკს თითი დააჭირა, მარჯვენა მთელი ძალით ზევით ავწიე და ამ კაცს სილა გავაწანი. ჩადენილს არ უარყოფ, მაგრამ არა ნებით. ღმერთმანი, ასეთი განზრახვა არ მქონია. ჩემი ნების იქით მოხდა რაღაც. შემდეგ გონს მოვედი. იმისიც შემეშინდა, ეს კაცი ახლა შუაზე გამგლეჯს-თქო ვიფიქრე, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ასე არ მოხდა. ნეტავ, ყოვლისშემძლე ალაჰმა მისცეს ჩემს მარჯვენა მკლავს ზალოღლუ რუსტემ მოჭიდავეს ძალა და მას ანახოს ამ ბიჭის სახე.

კომისარმა თითქოს ადგილიდან ადგომა დააპირა. კბილებში რაღაც გამოცრა, მარჯვენა ხელის გულს იქავებდა, თან დაზარალებულს უყურებდა. ზორბა კაცს მიმართა:

-მიდი, ნულარ წელავ, შერიგდით!

დაზარალებულმა წინააღმდეგობა გაუწია, არ შევურიგდებო, უთხრა კომისარს. განრისხებულმა კომისარმა საბეჭდ მანქანაზე მბეჭდავ პოლიციელს მიმართა:

-წერე! დაზარალებულის თქმით ქვეყანა უფსკრულისკენ მიდის. ქვეყნის მაღალი ინტერესებისა და ხელისუფლების მორალური პრინციპების... კვლავ მიუბრუნდა ზორბას:

-ჰა, რიგდებით თუ არა?

დაზარალებულმა მარცხენა ლოყაზე გადაისვა ხელი, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა ხუთი თითის კვალი.

- მოდი, ბატონო, შევრიგდეთ! - მიმართა მან მოძალადეს.

